როზეტა ასათიანი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1993), პროფესორი (1994), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), აკადემიკოს-მდივანი (1998-დღემდე), ნიუ-იორკის მეცნიერებათა (1999), რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (2007) აკადემიების ნამდვილი წევრი.

1972-2006 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრაზე ჯერ ასისტენტის, შემდეგ დოცენტის, ხოლო 1993-2006 წლებში პროფესორის თანამდებობაზე. ამჟამად არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 170-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის: მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ბროშურები, ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონები. მრავალი სტატიის ავტორია ქართულ ენციკლოპედიაში, თანაავტორი და მთავარი რედაქტორი პირველი ქართული სახელმძღვანელოსი ეკონომიკურ თეორიაში (1998). 40 ნაშრომის მეცნიერ-რედაქტორია. 1993 წელს ჩამოაყალიბა სტატისტიკური სამსახური „ბარომეტრის“ სახელწოდებით, გამოსცა სტატისტიკური კრებულები სერიით — საქართველო და გარე სამყარო, სახელდობრ: „მოსახლეობა ციფრებში“ (1995), „მსოფლიო ციფრებში“ (2000).

სხვა საქმიანობა: გამომცემლობა „სიახლის“ პრეზიდენტი (1993-დღემდე). თსუ-ის ეკონომიკის დარგის სადისერტაციო საბჭოს წევრი (1995-2006), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი (2000-დღემდე), ჟურნალების „ეკონომიკის“ (თსუ შრომები) (2003-2006), „სოციალური ეკონომიკის“ (2001-2005, 2009-დღემდე), „ეკონომისტის“ (2009-დღემდე), „ახალი ეკონომისტის“ (2010-დღემდე), „საქართველოს ეკონომიკის“ (2012 – დღემდე) სარედაქციო კოლეგიების წევრი; საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1996), საზოგადოება „თბილისელის“ წევრი (1999).

ჯილდოები: ოქროს მედალი წარჩინებული სწავლისათვის (1957), საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების სამეცნიერო პრემია (1988), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო პრემია (1994), ღირსების ორდენი (1999); საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო პრემია 2008 წლის საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის (2008), პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია (2013).

როზეტა ასათიანი პირველი და ერთადერთი ქართველი მკლევარი ქალია, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკურ თეორიაში (ეკომონიქსში).

კვლევის სფერო: მაკროეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ამოცანათა ფართო წრე. მისი ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ეკონომიკური თეორიის აქტუალურ საკითხებს, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის ანალიზს, საბაზრო სისტემის ფუნქციონირების უცხოური გამოცდილების შესწავლასა და საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზების ძიებას.

ISBN 978-9941-9134-4-0

საით მიდის საქართველო?
როზეტა ასათიანი

როზეტა ასათიანი

საით მიდის საქართველო?

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი

როზეტა ასათიანი

საით მიდის საქართველო?

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი

გამომცემლობა „სიახლე“
თბილისი 2014

UDC (უაკ) 338(479.22)+330.34(479.22)
ს-871

როზეტა ასათიანი. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014. – 368 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოში ახალი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთში, ძირითადად 1991-2012 წლებში განვითარებული მოვლენები და პროცესები, გამოკვლეულია ერთდროულად ორი ისტორიული მოვლენის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და „საბჭოთა სოციალიზმის“ კონვერსიის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკაზე წინააღმდეგობებით სავსე გარდამავალი პერიოდის სირთულეები, ქვეყანაში განვლილი თუ მიმდინარე არსებითი ეკონომიკური ძვრები, მიღწეული წარმატებები თუ ჩავარდნები; გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, რაც განმტკიცებულია სტატისტიკური მასალებითა და სხვა ფაქტობრივი მონაცემებით.

წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, არამედ სახელმწიფო მოხელეებისთვისაც და, საერთოდ, მკითხველთა ფართო წრისათვის.

მეცნიერ-რედაქტორი:

ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი.

რეცენზენტები:

ნოდარ ჭითანავა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

იოსებ არჩვაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;

ჯემალ კახნიაშვილი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

ISBN 978-9941-9134-4-0

© რ. ასათიანი, 2014;
© გამომცემლობა „სიახლე“, 2014.

რედაქტორისაგან

ქართველი ეკონომისტების მიერ საქართველოს ეკონომიკის შესწავლას ყურადღება არც საბჭოთა ეპოქაში და არც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელობის აღდგენის შემდეგ მოკლებია. მკვლევართა შორის არაერთი სახელოვანი ეკონომისტია, მათგან კი განსაკუთრებით გამორჩეულია პროფესორი როზეტა ასათიანი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკის კვლევას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა. მკითხველთა სამსჯავროზე გამოვიდა მისი ახალი მონოგრაფია „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“, რომლის სამეცნიერო რედაქტირების პატივი მე მერგო.

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკის, მისი განვითარების სირთულეების, დაშვებული შეცდომებისა და მიღწეული წარმატებების უმთავრესი საკითხები.

პროფესორი როზეტა ასათიანი, როგორც კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიის მხარდამჭერი, ქართველ ეკონომისტთა შორის ცნობილია ეკონომიკაში საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეხამების მომხრედ. ამ თეორიის პრიზმაში აქვს მას გატარებული დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შეფასება. სწორედ ამიტომ აქვს ამ მონოგრაფიას იმის საფუძვლიანი პრეტენზია, რომ ეწოდებოდეს „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“.

რა თქმა უნდა, მონოგრაფიაში მოყვანილ მოსაზრებათა მიმართ მკითხველს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეს, რაც ნაშრომის უდავო დამსახურებაა, რადგანაც მკითხველ-

ში დაფიქრების, ზოგჯერ კი კამათის სურვილსაც კი აღძრავს. ამ კუთხით წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, მომავალ ეკონომისტებს, რომლებსაც აქვთ სურვილი სიღრმისეულად გაერკვნენ კეინზიანური თეორიის ქართული სინამდვილისადმი მისადაგების პრობლემებში.

დაბოლოს, პროფესორი როზეტა ასათიანი არის ქართული ენის, ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესანიშნავი მცოდნე, დამცველი და განმავითარებელი, რაც მისი ნაშრომების ნებისმიერი რედაქტორისათვის გასაწევ სამუშაოს არსებითად აადვილებს. ჩემთვის დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო ამ საინტერესო მონოგრაფიის რედაქტირება.

აკადემიკოსი **ვლადიმერ (ლადო) პაპავა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

2014 წლის 24 თებერვალი

რეცენზენტებისაგან

წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა ორიგინალურია. აქტუალურია თემა, პრობლემა. უაღრესად პრაგმატულია შემოთავაზებული დასკვნები. ნაშრომში ერთხელ კიდევ გამოვლინდა ავტორის, როგორც ნოვატორი მკვლევრის, ყველა თვისება-ღირსება: ღრმა თეორიული ცოდნა, რეალობის ობიექტურად აღქმა, მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირების ლოგიკურად ახსნა, მეცნიერული და მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერება. წიგნში პრობლემები განხილული და გაანალიზებულია კომპლექსურად, თამანედროვე ეკონომიკური თეორიის არსენალში არსებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების ადეკვატური გამოყენებით. საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები შეფასებულია არა მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილებების ანალიზით, არამედ სისტემურადაა ახსნილი თვისებრივად ახალი მოვლენები, ტრანსფორმაციული პროცესების ძირითადი ნიშნები, თავისებურებები, ტენდენციები და კანონზომიერებები. ანალიზის ადეკვატურია ავტორისეული დასკვნები.

მონოგრაფიაში არგუმენტირებული პასუხებია გაცემული კითხვებზე, რომლებიც დღეს აწუხებს საზოგადოებას:

პირველი, ავტორმა შეძლო საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი – ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი განეხილა როგორც მთლიანი სისტემა, სწორად აეხსნა მთელისა და ნაწილის ერთიანობა, დაეცვა კომპლექსურობისა და დიფერენცირებული მიდგომების პრინციპები;

მეორე, თეორიული პოსტულატებისა და პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით სწორად არის ახსნილი, რომ ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე არსებული ვითარების (ობიექ-

ტურად ჩამოყალიბებული რეალობა) არაადეკვატური იყო ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც გამოიწვია ეკონომიკის სისტემურ კრიზისში შესვლა;

მესამე, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დასკვნას იმის შესახებ, რომ საქართველოში შექმნილია ნახევრად რეფორმირებული, კლანურ ინტერესებზე აგებული, არაეფექტიანი ეკონომიკა, რომელიც მოსახლეობის ბიოლოგიური არსებობის ფუნქციასაც ვერ ასრულებს;

მეოთხე, ნაშრომში კონცეპტუალურადაა ახსნილი, რომ საბაზრო მექანიზმის გაფეტიშების არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ იგი არ არის ერთადერთი უნივერსალური ფენომენი, რომელსაც, საქართველოს რეფორმატორთა აზრით, თითქოს შეუძლია ყველგან და ყოველთვის მოძრაობაში მოიყვანოს საზოგადოებრივი ძალები და ავტომატურად უზრუნველყოს ეკონომიკის ეფექტიანობა. ავტორის მართებული აზრით, ეკონომიკის საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეხამებაა ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების რეალური წინაპირობა;

მეხუთე, ავტორმა შეძლო ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში დაეცვა მთავარი პრინციპი (რომელიც, სამწუხაროდ, დღეს უგულებელყოფილია) – წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის (როგორც განვითარების ეტაპების) დიალექტიკური ერთიანობა, ობიექტურად აეხსნა დაშვებული შეცდომების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიზეზები და ეჩვენებინა საით მიდის ქვეყნის ეკონომიკა;

მეექვსე, არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ავტორმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი პოზიციის მართებულობა, რომ ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია ობიექტურად ჩამოყალიბდა როგორც რეალობა და მას დიდი პერსპექტივა აქვს;

მეშვიდე, წიგნს აქვს დიდი მნიშვნელობა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქვეყნებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების პროცესების შესწავლისათვის. სწორედ ამაშია ავტორის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების ლოგიკურობა და არაორდინალურობაც.

ნოდარ ჭითანავა
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
სდასუ-ის სრული პროფესორი

2014 წლის 4 მარტი

ქართველ ეკონომისტთა საზოგადოება ნაკლებადაა განებივრებული მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე შრომებით ეკონომიკურ თეორიაში. ამას თავისი ობიექტური ახსნა აქვს. საქართველო, ახლახან, ორიოდე ათეული წლის წინ დაადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას. ნებისმიერი მოვლენის შეფასებას, განზოგადებას, მისი შინაგანი კანონზომიერებების გამოვლენასა და მეცნიერული, ობიექტური დასკვნების გაკეთებას კი გარკვეული დრო სჭირდება, მით უფრო ისეთ პროცესს, რომელიც ეხება კოლექტივისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფიის თუ სტატიის სახით გამოქვეყნდა, თუმცა, მათი უმრავლესობა ან უპირატესად აღწერილობითი ხასიათისაა, ან ახდენს უცხოელი ავტორიტეტების ნაშრომთა პოპულარიზაციასა და მათი შეხედულებების გამეორებას, რის გამოც ეკონომიკური ლიტერატურის სიმრავლის ფონზე აშკარად შეინიშნება ეკონომიკური თეორიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების დეფიციტი. ამიტომაც განსაკუთრებით საინ-

ტერესო და საყურადღებოა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მონოგრაფია – „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“. იგი იმ ნაშრომთა რიგს მიეკუთვნება, რომლებშიც მაღალ აკადემიურ დონეზე, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და ობიექტურობით არის განხილული თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ვრცელია საქართველოს ეკონომიკით ავტორისეული დაინტერესების სპექტრი – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებებისა და ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების გაანალიზებით დაწყებული და სახელმწიფოს საგარეო ვალითა და გლობალიზაციის პრობლემებით დამთავრებული.

პროფესორ როზეტა ასათიანის მონოგრაფია აშკარად გამორჩეულია ბოლო პერიოდის ეკონომიკურ საკითხებზე გამოცემულ ნაშრომთა შორის. მასში არ არის მხოლოდ თეორიული მსჯელობები და არც მეორე უკიდურესობას ვხვდებით – მოვლენებისა და ფაქტების მშრალ აღწერილობას. ავტორი მოყვანილი მდიდარი სტატისტიკური მასალის მიღმა გაცილებით მეტს ხედავს, ახდენს ნაშრომში მოცემული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზს. ამიტომაც შეიძლება მასზე საუბარი როგორც მაღალი გამოყენებითი ღირებულების სამეცნიერო ნაშრომზე.

მონოგრაფიის ღირსებაზე რამდენიმე გარემოება მეტყველებს:

პირველი, ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკას, მის სტრუქტურას, პოტენციალს, რეგიონულ თუ ისტორიულ კონტექსტს, შესაბამის ფაქტობრივ (როგორც წესი, უახლეს) სტატისტიკურ მასალებს, რაც მის მსჯელობას განსაკუთრებულად არგუმენტირებულს და დამაჯერებელს ხდის;

მეორე, ავტორი შემოქმედებითად უდგება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხელისუფლების მიერ

ეკონომიკის რეფორმირების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და იმ მიზეზებს, რომელთა გამოც მათში ჩადებული ბევრი პოზიტიური იდეა, მიზანი ვერ განხორციელდა (სრულად ან ნაწილობრივ);

მესამე, მეცნიერი ავლენს საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების მიერ 1990-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე პოსტსოციალისტური ქვეყნების სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელების ხელშეწყობისათვის შემუშავებული რეკომენდაციების ღრმა ცოდნას, ახდენს მათ შეფასებას და იყენებს საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად. ეს ეხმარება ავტორს კომპლექსურად დაგვანახოს საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ზოგადი კანონზომიერებები და თავისებურებები;

დაბოლოს, ავტორი არ ღალატობს მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და ობიექტურობის გრძნობას, რაც აუცილებელი პირობაა ნაშრომის მაღალი შემეცნებითი და გამოყენებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად.

პროფესორ როზეტა ასათიანის მონოგრაფია სერიოზულ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკის პრობლემების შესწავლითა და გადაჭრის გზების ძიებით.

იოსებ არჩვაძე

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

2014 წლის 2 მარტი

ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით ეკონომისტთა საზოგადოება კარგად იცნობს პროფესორ როზეტა ასათიანის შემოქმედებას. ამ შესანიშნავი ქალბატონის ძირითადი სლოგანია „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. ამის დასტურია თუნდაც წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა – „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი.“ ათეული წლების მანძილე იგი თავისი ორიგინალური ნაწერებით მკითხველებს რეგულარულად აწვდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზს, მისეულ შეფასებას, რაც ასახულია მის როგორც ქართულ, ისე ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოცემულ ნაშრომებში. ისიც აღსანიშნავია, რომ ავტორი არ კმაყოფილდება მხოლოდ კონცეპტუალური ანალიზით და ხელისუფლებას სთავაზობს ქვეყნის ეკონომიკის ჩიხიდან გამოსვლის არგუმენტირებულ რეკომენდაციებს.

დარწმუნებული ვარ, რომ წინამდებარე მონოგრაფიას საზოგადოება დიდი ინტერესით გაეცნობა, ხოლო ხელისუფლება შეეცდება ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებას. თუ არადა, ყოველთვის იქნება კითხვა: საით მიდის საქართველო?

ჯემალ კახნიაშვილი
თბილისის საბაზრო ეკონომიკისა
და სამართლის ინსტიტუტის რექტორი,
პროფესორი.

2014 წლის 8 მარტი

წინათქმა

დღეს საქართველო, თავისი არსებობის მანძილზე, ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზეა. ქვეყანაში არსებული არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მრავალ რთულ პრობლემას წარმოშობს, რომელთა გადაჭრის გარეშე, გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპის პირობებში შეუძლებელია საქართველოს ნორმალური განვითარება და გარე სამყაროსთან ცივილიზებული ურთიერთობა.

ცნობილია, რომ ყოველ ქვეყანას აქვს საკუთარი, ისტორიულად განსაზღვრული ტრადიციები, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ფასეულობები. ამ მხრივ, საქართველო, შეიძლება ითქვას, მდიდარია, ორიგინალურიცაა, ოღონდ ამ ფასეულობათა წარმოჩენა და განვითარებაა საჭირო.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, გლობალიზაციის წარმოშობიდან დღემდე, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროებში მომხდარი უდიდესი ცვლილებები მეტ-ნაკლები ზომით აისახა ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. ამიტომ **თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში არ შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან იზოლირებულად განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. აუცილებელია ამ პროცესების გაანალიზების საფუძველზე გავაკეთოთ სათანადო დასკვნები, რათა შევძლოთ ობიექტური პასუხი გავცეთ კითხვას: საით მიდის საქართველო?** აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებ-

თან გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის დაკავშირება.

დიდი ილია ბრძანებდა: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს... ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ ამ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნი. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებას და ვერც აზრს“.[1]

თანამედროვე დროებასაც თავისი ტკივილი აქვს, წინა ეპოქებისგან განსხვავებული. პოზიტიურთან ერთად, დიდია გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების გავლენა. სწორედ ამ დროების „ქერქში ჩაჯდომით“ უნდა ვეცადოთ „საბუთი ვუპოვოთ ცხოვრებას“, შეძლებისდაგვარად წინ აღვუდგეთ სახელმწიფოებრიობის, ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთა ნიველირების გარეშე გართულდება შიდა, ენდოგენური წინააღმდეგობების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

ქვეყნის კეთილდღეობაზე, მის ტკივილსა და იარებზე საქართველოში დღეს ბევრს მსჯელობენ, მიუთითებენ ნაკლოვანებებზე და კატეგორიულად მოითხოვენ მათ აღმოფხვრას, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში გვესმის მხოლოდ მტკივნეულ საკითხებზე ლაპარაკი, ხოლო პრაქტიკულად საქმეზე ნაკლებად ზრუნავენ. ამიტომაცაა, რომ დღეს საქართველოში ჩამოყალიბდა, თუ შეიძლება ითქვას, უარყოფის თავისებური მოდელი, ქვეყანას კი სჭირდება საქმიანი, შედეგიანი კრიტიკა, რომელიც გზას გადაუკეტავს ყოველგვარ მანკიერებას. ამიტომ **საქართველოს ხელისუფლება რამდენად სწორად გაერკვევა საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ მექანიზმებში და გაითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს, რამდენად ადეკვატურად ააგებს ეკონომიკურ პოლიტიკას, ამ პროცესში ჩართავს ჭეშმარიტად ნიჭიერ და კვალიფიციურ კადრებს დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ბედი.**

საქართველოში მოჭარბებული მწვავე პრობლემების რაც

1 **ჭავჭავაძე ი.** თხზ. ტ. IV. თბილისი, 1955, გვ. 66.

შეიძლება სწრაფად გადაჭრის ფიქრებმა, გამომდინარე იქიდან, რომ ლაგის ფაქტორი (რომელიც გამოხატავს პრობლემის არსებობის აღიარებასა და მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შორის დროის შუალედს) უკვე კატასტროფულ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, რამაც გადამაწყვეტინა საზოგადოებისათვის შემეთავაზებინა, მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა.

ნაშრომის მიზანია, ისტორიულ-ლოგიკური ერთიანობის პრინციპის დაცვითა და სათანადო დასკვნების გაკეთებით, საქართველოში არსებული ვითარების პირუთვნელი შეფასება. სათაურში შემთხვევით არ არის მითითებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების **კონცეპტუალური** ანალიზი. წინამდებარე ნაშრომი (სქოლასტიკური ანალიზისგან განსხვავებით) არა პრაქტიკისაგან მოწყვეტილი ცნებების, კატეგორიების, არამედ სინამდვილის აღქმის, საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების, პროცესების ზოგადი ცნებების (კონცეპტების) ანალიზია.

საკვლევი თემის მასშტაბურობამ, დროის მიერ დასმული ამოცანების სირთულემ და მნიშვნელობამ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკის შექმნისა და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსალური ფასეულობების ეროვნულ ეკონომიკაში განმტკიცების აუცილებლობამ განაპირობა ნაშრომის არქიტექტონიკა, განვლილი პერიოდის ეტაპობრივი გაანალიზება.

მონოგრაფიაში შევეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია და გაგვეშუქებინა ის აქტუალური, საჭირბოროტო პრობლემები, რომლებმაც ფრიად ნეგატიური ტენდენციები წარმოქმნეს, აფერხებს საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას, რეალურ საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობასა და განვითარებას.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, ეროვნული ბანკის ბიულეტენები,

პერიოდული გამოცემები („საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი; „ბიულეტენი“. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და ა.შ.); გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, საექსპერტო სამსახურების მონაცემები; ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ გამოცემული კრებულები, აგრეთვე როგორც უცხოელ, ისე ქართველ მკვლევართა გამოკვლევები, ამასთან, ავტორის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები და დამატებითი გაანგარიშებები.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს დღევანდელი მდგომარეობით დაინტერესებულ მკითხველს, ჩააფიქრებს იმაზე, თუ ეს ქართველთა ძირძველმა ქვეყანამ რა ძნელბედობა გადაიტანა და წინააღმდეგობები გადალახა. მაშინ როდესაც დიდი იმპერიები გაქრა მსოფლიო რუკიდან, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა დღესაც ღია თუ ფარული წინააღმდეგობების მორევში იკაფავს გზას.

ნაშრომმა რიგ საკითხებზე შეიძლება გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა და კამათიც. ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ ამისთვის მზად ვართ. წინამდებარე გამოკვლევა ელის ობიექტურ, მეცნიერულ შეფასებას.

უდიდეს მადლობას მოვახსენებ წიგნის მეცნიერ-რედაქტორს, მსოფლიოში ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს პროფესორ ვლადიმერ პაპავას, რეცენზენტებს – დიდი გამოცდილების მქონე მეცნიერს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ჭითანავასა და ეკონომიკის აკადემიურ დოქტორებს, ცნობილ სტატისტიკოსს იოსებ არჩვაძესა და თეორეტიკოს-ეკონომისტსა და პირუთვნელ შემფასებელს ჯემალ კახნიაშვილს გაწეული შრომისთვის.

მკითხველის სამართლიანი შენიშვნები და წინადადებები ავტორის მიერ მადლიერების გრძნობით იქნება მიღებული, გააზრებული და გათვალისწინებული შემდეგ გამოცემაში.

შესავალი

ორ ათეულ წელზე მეტია საქართველოში მიმდინარეობს რთული, წინააღმდეგობებით სავსე პროცესები. „საბჭოთა სოციალიზმზე“ უარის თქმა და ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო ქვეყანაში ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების, დემოკრატიული, სამართლიანობის პრინციპებზე აგებული ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების საფუძველი. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. იმ გზას არ დავადექით, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკურ ქვეყნად იქცა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელსაც ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს. ქვეყნის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ძველიდან შემორჩენილმა თუ ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა. ათეული წლების განმავლობაში საქართველოს ყოფნას ეკონომიკურ იზოლაციაში უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს, პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის, საქართველო იმ მცირე გამონაკლისთა ჯგუფს განეკუთვნება, რომლის მაგალითზეც ნათლად ჩანს, თუ როგორ არ უნდა გატარებულიყო რეფორმა. ამას ისიც ემატება, რომ ქვეყანაში ძნელად იკაფავს გზას ახალი ეკონომიკური აზროვნება*. არადა, დრო არ ითმენს. რეფორმატორთა დილეტანტიზმი, ფრაგმენტულად, უსისტემოდ

* ამის მიზეზი მრავალია. ამათგან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი **განათლების სფეროში არასწორად ჩატარებული რეფორმებია.** იხ. **რ. ასათიანი.** ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013.

განხორციელებული რეფორმები მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების, გაუმართლებელი დასკვნებისა და, აქედან გამომდინარე, ფრიად ნეგატიური ტენდენციების მიზეზი გახდა, რამაც ქვეყანა სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანა, რეალური საფრთხე შეუქმნა მის განვითარებასა და შეაფერხა დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბება.

რა უშლის ხელს საქართველოში ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას? პირველ ყოვლისა, ტრანსფორმაციული პროცესების ალოგიკურად წარმართვა, ის ინსტიტუციური გარდაქმნები, რომლებმაც პიარეკონომიკის შექმნით გაცილებით მეტი პრობლემა წარმოქმნა, ვიდრე გადაჭრა. **მრავალ სხვა მიზეზთან ერთად, კვაზიდემოკრატია აფერხებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.**

საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი დიდი სიხარულით შეხვდა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. მაგრამ რა მივიღეთ? **სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა. სამართლიანობის პრინციპებზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული ულტრალიბერალური კაპიტალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან.** არადა, საქართველოში, ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა და ევროპული ცივილიზაციის დამკიდრება მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარი ეკონომიკის განვითარებითაა შესაძლებელი.

არ უნდა უგულვებელვყოთ ფესვები, საიდანაც მოვდივართ, ტრადიციები, რომლებსაც ჩვენი ორიგინალობა ეფუძნება. ამასთან, **გასათვალისწინებელია ის გამოწვევებიც, რომელსაც XXI საუკუნე სთავაზობს ცივილიზებულ სამყაროს. საქართველო, მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, დიდი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა და მხოლოდ ამ გზით უნდა განვითარდეს. სხვა ალტერნატივა მას არა**

აქვს. ამისთვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ახალი ეპოქის ეკონომიკური ანალიზი, იმ ნაკლოვანებების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლის ქვეყნის წინსვლას და გარე სამყაროსთან ჯანსაღ ურთიერთობას.

ნაშრომში საკვლევ თემად ძირითადად აღებულია 1991-2012 წლები – საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან განვლილი, სიახლეებით სავსე „სუსხიანი“ დროის მონაკვეთი, რომელიც ერთდროულად ორი ისტორიული მოვლენის – პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კატაკლიზმებით სავსე პერიოდს მოიცავს. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური შედეგების შეფასება, წარსულისა და აწმყოს შეჯამებაა, ფაქტობრივად, სამომავლო ორიენტირიცაა. ამიტომ შევეცადეთ, ლოგიკურ-ისტორიულობის პრინციპის დაცვით, შეგვესწავლა და, სათანადო დასკვნებზე დაყრდნობით, ობიექტურად შეგვეფასებინა არსებული ვითარება.

მონოგრაფიაში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოს ეკონომიკის კონვერსიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, პროცესების, ცნებების თეორიული განზოგადება. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა აუცილებელია მოცემული საკითხის არსში გარკვევისა და სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის. მით უმეტეს თეორიული ცოდნა ეკონომიკაში განვითარების გზის მთავარი მაჩვენებელია, ამასთან, იგი სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველიცაა.[1]

ახალი ეპოქის საქართველოში განვითარებული პროცე-

1 პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა **დენიელ ბელმა** ჩამოაყალიბა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ხუთი ნიშანი, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი სწორედ თეორიული ცოდნის, როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძვლის, როლის ამაღლებაა. **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М., “Academia”, 1999, с. 117.

სების სიღრმისეული და არაემპირიული ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოების მსოფლმხედველობის ამაღლებისათვის, არამედ დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და ქვეყნის სწორი გზით განვითარებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნება იქნა და ჩამოყალიბდა შესაბამისი გარემო. ამის გარეშე წინსვლაზე მსჯელობაც კი ზედმეტია, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში წარმოქმნილი მიკრო-, მეზო-, მაკრო- და მეგაეკონომიკური პრობლემები მჭიდრო კავშირშია პოლიტიკურ პრობლემებთან და მათი სინქრონიზაციის გარეშე ვერც ერთი პრობლემა ვერ დაიძლევა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ეკონომიკა იმდენად არის დამძიმებული უწესრიგობით, ესოდენ მოჭარბებული პრობლემების სწრაფად დაძლევა შეუძლებელია.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისა და ამ კონტექსტში საქართველოს ეკონომიკის შესახებ არსებული სამეცნიერო პუბლიკაციების,[1] ასევე, ჩვენივე ნაშრომებ-

1 **Стиглиц Дж.** Куда ведут реформы? (К десятилетию начала переходных процессов). “Вопросы экономики”, 1999, №7; **Krugman P.** The Return of Depression Economics. New York, W.W. Norton&Company, 1999; **Papava V.** The Science of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the Europena Choice? “Georgian International Journal of Science and Technology”. Vol. I, Issue 1, 2008; **Papava V.** Georgia’s Socio-Economic Development: Prospects Over the Medium Tenn. “International Alert”, January, 2013; **პაპავა ვ.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“, 2000; **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005; **პაპავა გ.** ეკონომიკის რეფორმირება თუ დეფორმირება. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010; **პაპავა ვ.** არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011; **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე ა.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001; **ა. თვალჭრელიძე, ი. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, „ნეკერი“, 2011;

ის[1] გამოყენების საფუძველზე, შეეცადეთ გაგვეხილა ის ზეაქტუალური პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე გართულდება სისტემური კრიზისიდან თავის დაღწევა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გა-

---

ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი I. თბილისი, სესპსკი, 1996; **ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, „ივერიონი“, 1912; **ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები და პერსპექტივები. „შრომები“. XI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013; **ჩიქავა ლ.** დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012; **აბესაძე რ.** მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. „შრომები“. XI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013; **აბესაძე რ.** საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგადი ასპექტები. „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება. მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013; **ბარათაშვილი ე.** საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010; **კაკულია მ.** მაკროეკონომიკური საფრთხეების გაძლიერება რუსული აგრესიის შემდეგ და მათი განეიტრალების შესაძლებლობა. „2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა.“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი. თბილისი, 2009; **არჩვაძე ი.** თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა: განვითარების დონისა და მოწყვლადობის ზოგიერთი ასპექტი. ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი. თბილისი, „ნეკერი“, 2012; **იაკობიძე დ.** საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბილისი, „კომენტარი“, 2009; **კახნიაშვილი ჯ.** მაკროეკონომიკა. თეორია და პოლიტიკა. II ნაწილი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 1997 და ა.შ.

1 **ასათიანი რ.** საქართველოში საბაზრო სისტემის ფორმირებისა და ეკონომიკის კონვერსიის კარდინალური საკითხები. „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში“. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის

დასვლა.

მსოფლიოში გამორჩეული თავისებურებების, ლამაზი ტრადიციებისა და დიდი პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობების მქონე „ოქროს საწმისის“ ქვეყანა დღეს მაღალი პასუხისმგებლობის წინაშე დგას. მან საკუთარი ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით უნდა შექმნას ეკონომიკური განვითარების საკუთარი მოდელი.

მასალები. თბილისი, 1994; **ასათიანი. რ.** საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე: ეკონომიკური რეფორმების შედეგები და პერსპექტივები. „სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში“. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი, 13-14 ნოემბერი, 1997; **Асатиани Р.** Особенности и перспективы развития экономики Грузии в переходный период. “Общество и экономика”, 1998, №2; **ასათიანი რ.** ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2000, №8; **ასათიანი რ.** საით მივყავართ რეფორმებს? (ეკონომიკური რეფორმების ალტერნატიული სტრატეგია). „ეკონომიკა“, 2003, №4; **ასათიანი რ.** მცდარი მონეტარისტული პოსტულატები და საქართველო ილუზიების ტყვეობაში. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2004; **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005; **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო კაპიტალიზმის ჩიხში. „ეკონომისტი“, 2009,№1; **Asatiani R.** Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Volume 3, Issue 2-3, Ca&CC Press, Sweden, 2009; **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. I ნაწილი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009; **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Developments”. New York, Nova Science Publishing, Inc, 2011 და ა.შ.

I თავი

XX საუკუნის 90-იანი წლები — ახალი ეპოქის დასაწყისი საქართველოში

I.1. 70-წლიანი სოციალისტური ექსპერიმენტის კრახი

XX საუკუნის 90–იანი წლებიდან განხორციელებულმა უდიდესმა ცვლილებებმა, რაც კომუნისტური სოციალისტური სისტემის კონვერსიას* უკავშირდება, 27 ქვეყნისა და 400 მილიონი მოსახლეობის წინაშე ისეთი რთული და არაორდინარული ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა დააყენა, რომელიც უცნობი იყო მსოფლიო ისტორიისათვის – მბრძანებლურ–ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო დემოკრატიაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა. ამასთან, თუ აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნისთვის „საბაზრო სოციალიზმი“ შედარებით მოკლე პერიოდი არსებობდა (II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში წარმოიშვა), რუსეთში მისი დაწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციად მონათლულ, სინამდვილეში ისტორიული განვითარების ჩარხიდან ამ ქვეყნის ამომგდებ რევოლუციას უკავშირდება. ჯერ რუსეთში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირში (აქედან გამომდინარე, საქართველოშიც) ეს პერიოდი 70-წლიანი სოციალისტური ექსპერიმენტის სახითაა ცნობილი.

სოციალიზმმა სახელი გაუტეხა სოციალიზმის თავისთა-

* კონვერსია (conversion) [<ლათ. conversio] – გარდაქმნა, შეცვლა.

ვად საკმაოდ მიმზიდველ იდეას. ამაში სუბიექტური ფაქტორების წვლილი არცთუ უმნიშვნელო იყო, მაგრამ გადამწყვეტი როლი მაინც ობიექტურმა ფაქტორებმა შეასრულეს.

სოციალიზმის მშენებლობა მხოლოდ ენთუზიაზმით, ვოლუნტარისტული მეთოდებით, ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად, დაუძლეველ წინააღმდეგობებს წააწყდა. ქვეყანა, სადაც მანქანური ინდუსტრიაც კი არ იყო ფორმირებული, ახალი დილემის წინაშე დადგა. გასაბჭოების შედეგად ტოტალურმა გასახელმწიოებრივებამ (ნაციონალიზაციამ) უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი პროგრესის მთელ პროცესზე.

სოციალიზმად წოდებული ადმინისტრაციულ–ცენტრალიზებული სისტემა ემყარებოდა წარმოების საშუალებებზე ფორმით საზოგადოებრივ, ხოლო შინაარსით სახელმწიფო საკუთრებას. საკოლმეურნეო–კოოპერაციული საკუთრება ფაქტობრივად სახელმწიფო საკუთრების დანამატს წარმოადგენდა. აიკრძალა კერძო საკუთრება, მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება. ცენტრალიზებულმა დირექტიულმა დაგეგმვამ, რომელიც თითქმის გამორიცხავდა რეგულირების საბაზრო მექანიზმს და რომლის ძირითადი სააღმსრულებლო ინსტრუმენტიც ხუთწლიანი გეგმა იყო, გამოიწვია ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიზაცია. ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ იერარქიულ დონეებზე ფაქტობრივად ერთიანი ეკონომიკური ცენტრის ფუნქციონირებამ, რასაც თან ახლდა გათანაბრებითი განაწილება, გამოიწვია მითვისების პროცესის დეფორმაციაც.

როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯ. მ. ბიუკენენი აღნიშნავს, ამა თუ იმ სახის საქონელსა და მომსახურებაზე პატერნალისტური („მამობრივი“ – რ.ა.) ფასების დაწესებამ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადა პური, რძე, საქალაქო ტრანსპორტი, საბავშვო ბაღი, განათლება, სამედიცინო მომსახურება და ა.შ., მაგრამ იგი მიღწეულ იქნა არა მოთხოვნა–მიწოდების ურთიერთზემოქმედების, არამედ პოლიტიკური გზით, პოლიტიკური ფასების დაწესების საფუძვე-

ლზე.[1] ამით ძირი გამოეთხარა საზოგადოებრივი წარმოების მამოძრავებელ ეკონომიკურ ინტერესებს, რამაც წარმოშვა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა პიროვნების გაუცხოება წარმოების საშუალებებისაგან, შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის სტიმულების დაქვეითება, ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ინტერესის დაკარგვა, კორუფცია და ა.შ. ამის შედეგად ჩამოყალიბდა დეფიციტური ეკონომიკა და „დაკანონდა“ წარმოებული საქონლისა და მომსახურების აბსოლუტური უმრავლესობის დაბალი ხარისხი. ამასთან, ერთ ქვეყანაში „გამარჯვებული“ სოციალიზმი არ იძლეოდა ეკონომიკის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტრის შექმნის შესაძლებლობას. ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო პარიტეტის ხარჯებმა შთანთქა. ასეთ ვითარებაში ცენტრალიზებულმა ეკონომიკამ ვერ შეძლო ეკონომიკური ტრიადის (რა? როგორ? ვისთვის?) ეფექტიანი გადაჭრა. საბოლოო ანგარიშით, **მივიღეთ კვაზისოციალისტური ეკონომიკა კვაზისოციალისტური საზოგადოებით.**

ადმინისტრაციულ–ცენტრალიზებული დაგეგმვა ითვალისწინებდა პროდუქციის გამოშვების მოცულობის მეტ–ნაკლებად ზუსტად განსაზღვრას, რომელიც შემდეგ გეგმური დავალების სახით ნაწილდებოდა საწარმოო ერთეულებზე. ასეთი დავალებები 60–იან წლებამდე დადებით შედეგებს იძლეოდა, მაგრამ შემდგომ მან თანდათან გამოავლინა თავისი უარყოფითი მხარეები. ვერ სრულდებოდა როგორც მოკლე-, ისე გრძელვადიანი გეგმები. წლიურ გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა საშუალოდ 40–50%–ს აღწევდა, ხოლო ხუთწლიან გეგმებში – 15–20%–ს.[2] აღნიშ-

1 **Бюкенен Д. М.** Минимальная политика рыночной системы. «Вопросы экономики», 1990, № 12, с. 8.

2 **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 8.

ნულ მაჩვენებლებს შორის დაშორიშორება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

ცენტრი ფაქტობრივად უძლური იყო დაეცვა კვლავწარმოების პროპორციებს შორის წონასწორობა. ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ პრაქტიკულად დაკარგა ეკონომიკის მართვისა და მისი რეგულირების ფუნქცია. გამოიკვეთა დირექტიული დაგეგმვის უპერსპექტივობა და მისი საბაზრო ურთიერთობებით შეცვლის ობიექტური აუცილებლობა. რესურსების ცენტრალიზებული განაწილება, რომელიც დაფუძნებული იყო მატერიალურ–ტექნიკური მომარაგების სისტემაზე, განაპირობებდა მომხმარებელთა თავისუფლების შეზღუდვას, მათ სრულ დამოკიდებულებას მწარმოებლებზე. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად, ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებით მეტ-ნაკლებად ახერხებდა არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებასა და ფუნქციონირებას.

1990 წელს საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ, GDP) მაჩვენებელი (5,5 ათასი დოლარი) თითქმის 3,5-ჯერ ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს (19,8 ათასი დოლარი) და 4,5-ჯერ აშშ-ისას (24 ათასი დოლარი), თუმცა, 2,5-ჯერ უსწრებდა განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს (2,15 ათასი დოლარი).[1]

ამ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირი საშუალო განვითარების ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად იყო მიჩნეული, მაგრამ მას არ ჰქონდა მომავალი და განვითარების პერსპექტივა იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში უარყოფილ იქნა საზოგადოებრივი განვითარების ისეთი ცივილიზებული ფორმები, როგორიცაა კერძო საკუთრება, კონკურენცია, შრომის მოტივაციის მექანიზმი, ყაირათიანობა, პასუხისმგებლობა, თავისუფალი აზროვნება, საბაზრო კოორდინაცია, რელიგიაც კი და ა.შ. სამაგიეროდ გაბატონდა სახელმწიფო საკუთრე-

1 **Болотин Б.** Международные сравнения: 1990-1997 гг. "Международная экономика и международные отношения", 1998, № 10, с. 120.

ბა (90%) მკაცრი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური კოორდინაციის ვერტიკალური სტრუქტურითა და დიქტატორული რეჟიმით, ჰორიზონტალური კავშირების არარსებობით. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ჩამოყალიბდა ჩაკეტილი, დეფიციტური ეკონომიკა, უპირატესად ექსტენსიური ტიპის რესურსტევადი წარმოება დაბალი ეკონომიკური ზრდით. **მართალია, ცალკეულ სფეროებში (განათლება, მეცნიერება, კულტურა და ა.შ.) იყო მნიშვნელოვანი პროგრესიც, განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია, მოპოვებულ იქნა წარმატებები კოსმოსის ათვისებაში, ატომურ ენერგეტიკაში, ქიმიურ წარმოებაში, მეტალურგიაში, ავიაციაში, სამხედრო სფეროში, მეცნიერებაში და ა.შ., მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არსებული შეჯიბრების ბედი პირველის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.**

სსრკ-ში მიმდინარე პროცესები, ბუნებრივია, ჩვენს რესპუბლიკაშიც პოვებდა ასახვას. საქართველო ღრმად ინტეგრირებული აღმოჩნდა სსრკ-ის „ერთიან სახალხომეურნეობრივ კომპლექსში“. მას სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა ნავთობის 96%, ბუნებრივი აირის 100%, შავი ლითონების, ნაგლინისა და ფოლადის მილების 93%, ხე–ტყის 80%, ხორცის 40%, რძის 75%, მარცვლეულის 90%, შაქრის 98%. მართალია, საქართველოდან გაჰქონდათ ჩაი, კონიაკი, ღვინო, ციტრუსები, მანგანუმი, ქიმიური პროდუქცია და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში საქართველოს უარყოფითი საგადასახდელო ბალანსი ჰქონდა.

საბჭოთა საქართველოს ბოლო ხუთწლედების, განსაკუთრებით კი XII ხუთწლედის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, ფაქტობრივად, სსრკ–ის მთელი ეკონომიკის – „ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის“ – დეგრადირების მაგალითია.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა დაბალი მექანიზაცია და ავტომატიზაცია. 1985 წელს საქართველოს მრეწველობაში ხელით შრომობდა დასაქმებულთა 39% (კავშირის მასშტაბით – 35%),

სოფლის მეურნეობაში, შესაბამისად, 95,9 და 73,3%.[1] სსრკ-ის „დაჩქარების კურსის“ მიუხედავად, რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, რაზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა №1 ცხრილი.

№1 ცხრილი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 1985-1990 წლებში (%-ით წინა წელთან)[2]

მაჩვენებლები	1985	1986	1987	1988	1989	1990
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	104,8	100,7	101,3	103,7	97,9	96,1
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	104,5	98,5	98,1	100,9	96,6	95,7
მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქცია	105,6	98,9	97,2	110,6	97,6	95,6
ეკონომიკის ყველა დარგის საწარმოო ფონდები	106,8	106,5	103,6	103,5	103,3	102,7
კაპიტალური დაბანდება	106,9	98,2	107,5	101,0	98,8	70,4
მრეწველობის პროდუქციის მთლიანი მოცულობის ზრდის ტემპები	121,0	102,0	105,0	108,0	109,0	102,0
საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა	102,7	97,5	98,4	107,3	98,6	96,2

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, საქართველოს სსრ განვითარების ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა ბოლო, XII ხუთწლედში გაუარესების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მრეწველობის თითქმის ყველა სტრატეგიულ სფეროსა და დარგში აღინიშნა ზრდის ტემპე-

1 Статистический ежегодник стран-членов СЭВ. М., 1986, с. 305.

2 ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის – Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., Тбилиси, 1986 და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის მასალების საფუძველზე.

ბის დაცემა: თუ იგი 1985 წელს მძიმე მრეწველობაში შეადგენდა 129%–ს, 1990 წელს შეადგინა 104%, მსუბუქ მრეწველობაში, შესაბამისად, – 121 და 104, კვების მრეწველობაში – 115 და 99, მეტალურგიულ წარმოებაში – 104 და 77, სათბობ–ენერგეტიკულ კომპლექსში – 79 და 74, მანქანათმშენებლობაში – 154 და 112, საამშენებლო მასალების წარმოებაში – 132 და 106, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში – 140 და 120, ხისდამამუშავებელ და ცელულოზა–ქაღალდის წარმოებაში – 146% და 93%. საგრძნობლად იკლო ქვანახშირის მოპოვებამ. ამ პერიოდში თითქმის განახევრდა მისი მოცულობა და 1860 ათასი ტონიდან 956 ათას ტონამდე დავიდა. ნავთობის ამოღება 3186 ათასი ტონიდან (1980 წელს) დაეცა 186 ათას ტონამდე (1990 წელს) და ა.შ.[1]

მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა არც საქართველოს ეკონომიკის ისეთ წამყვან დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა. სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირების მნიშვნელოვანი მიზეზი, დაბალი აგროტექნიკური დონისა და სხვა ფაქტორების გარდა, ნათესი ფართობის შემცირებაც იყო. შესაბამისად იკლო სახელმწიფო შესყიდვების მოცულობამაც.

აღნიშნულ პერიოდში არ გაუმჯობესებულა მომსახურების სფეროს (საბჭოთა პერიოდში ეგრეთწოდებული არაწარმოებითი სფეროს) ეკონომიკური მაჩვენებლებიც. კერძოდ, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ფაქტობრივი მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩებოდა საგეგმო დავალებებს. განსაკუთრებით გაუარესდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა (როგორც ტვირთზიდვის, ისე მგზავრთბრუნვის მხრივ). შექმნილმა სიძნელეებმა ნეგატიური გავლენა მოახდინა სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარებაზე. მართალია, განათლების ზოგად მაჩვენებლებს (მაგალითად, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო

1 საქართველო ციფრებში 1990 წელს. მოკლე სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1991.

სპეციალური განათლების მქონე პირთა რაოდენობა და ა.შ.) ზრდის ტენდენცია ჰქონდა, მაგრამ ხარისხი აშკარად მოიკოჭლებდა. არ სრულდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაგა–ბაღების, საავადმყოფოების და ა.შ. მშენებლობის საგეგმო დავალებები.

საქართველოს მერვე ადგილი ეჭირა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით, მეექვსე ადგილი – მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ, ხოლო პირველი ადგილი – არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წონის მიხედვით. დასაქმების ასეთი მაღალი წილი არაწარმოებით სფეროში არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული და არ შეესაბამებოდა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დონეს. განსაკუთრებით მაღალი იყო დასაქმების დონე ადმინისტრაციულ–სამეურნეო სფეროში, საუწყებო კვლევით ინსტიტუტებში, სხვადასხვა სამმართველო–შუალედურ რგოლებსა და ა.შ. არაწარმოებით სფეროში დასაქმების ზრდა არ გამომდინარეობდა ობიექტური პროცესებიდან, არამედ მას საფუძვლად სუბიექტური მოსაზრებები ედო. მაგალითად, იქმნებოდა საკვლევი ინსტიტუტები ან ლაბორატორიები, სადაც საშტატო ერთეულები რამდენიმე ათეულს აღწევდა, როდესაც სამეცნიერო შედეგები და მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენება დასაქმებულთა ხელფასის ნახევარსაც კი ვერ ანაზღაურებდა. ამრიგად, ეფექტიანობის პრინციპი არ იყო გამოყენებული მათ მიმართ, ასევე, არაწარმოებითი სფეროს სხვა დარგების მიმართაც. ეს ხელს უშლიდა საზოგადოებრივ პროგრესს და იწვევდა შექმნილი დოვლათის მფლანგველურ გამოყენებას. მგეგმავი ორგანოებისთვის კი ეს ცნობილი იყო მაშინ, როდესაც დაფინანსებისა და შტატების საკითხი დაისმებოდა და შტატების შემცირების გეგმას იძლეოდნენ განუკითხავად იმისა, თუ რომელ ინსტიტუტს რა მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობისთვის.[1]

1 **ასათიანი რ.** არაწარმოებითი სფერო ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. თბილისი „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1987, გვ. 238-239.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში მთიანი რაიონების მოსახლეობის ხვედრითი წონის დაცემისა და ცალკეულ რაიონებში აბსოლუტური შეკვეცის ტენდენცია, რომელმაც ბოლო ხუთწლედებში კანონზომიერი ხასიათი მიიღო და დაბლა დასცა რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, 70–იანი წლებიდან, როდესაც გამოიკვეთა ეკონომიკის ასეთი არაეფექტიანობა, კავშირის მასშტაბით მრავალჯერ სცადეს მისი „შეკეთება“, რასაც დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან მიზეზები კომპლექსურად არ იყო გააზრებული. კომუნისტურმა პარტიამ არაერთხელ სცადა „უძრაობის პერიოდის“ ეკონომიკურ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა, მაგრამ „განვითარებულმა სოციალიზმმა“ ვერ შეძლო ხელოვნური ინიექციებით, „სისხლის გადასხმით“ არსებული სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. მაგალითად, 1982 წელს შემუშავდა სასურსათო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა არსებით ძვრებს სურსათის წარმოების მიმართულებით, მაგრამ რეალურად 1985 წელს აღნიშნული წარმოების მოცულობა ნაცვლად გეგმური 20%–ით გაზრდისა, 25%–ით შემცირდა.[1]

საქართველოში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დაწყებული კრიზისი თანდათან მწვავდებოდა, ეკონომიკაში ღრმავდებოდა დისპროპორციები, დესტაბილიზაცია და ეცემოდა ცხოვრების დონე.

„მეტი სოციალიზმის“ ლოზუნგზე აგებული „პერესტროიკა“ უპერსპექტივო და ბლეფი გამოდგა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ 1990 წელს საბჭოთა კავშირის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) ზრდის ტემპი (1982 წლის ფასებით) უარყოფითი იყო და მინუს 2,2%-ს შეადგენდა.[2]

---

1 **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 8.

2 გაანგარიშებულია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ. იხ.: Советский экономический рост: официальные данные и альтернативные оценки. "Вопросы экономики", 1995, № 10, с. 106.

საბჭოთა სივრცეში, ბუნებრივია, საქართველოშიც, ვერ განვითარდა კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სამეწარმეო გამოცდილება, მაშინ როდესაც ცივილიზებული სამყარო მარტივი გაცვლიდან დიდი ხნის გადასული იყო ავტომატიზებულ და ელექტრონულ ბაზრებზე.

ზემოაღნიშნულისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების გამო, 80–იანი წლების ბოლოს ეტატიკურ*-ბიუროკრატიული ორგანოების დემონტაჟის, კვაზისოციალისტური ეკონომიკური სისტემის ნგრევის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა. ამას თავად საზოგადოება ითხოვდა. ამ პროცესების პარალელურად საფუძველი შეერყა თვით საბჭოთა კავშირს. 1991 წლის დეკემბერში ოფიციალურად გამოცხადდა მისი დაშლა. ეს უდიდესი იმპერია სწრაფად დაინგრა, ხოლო სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ისტორიული მეტოქეობის დასრულებით, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლიო სისტემა, რომელიც აღიარებულია ლოგიკურ, თუმცა, XX საუკუნის უპრეცედენტო მოვლენად.

I.2. ორი ისტორიული მოვლენის თანხვედრა საქართველოში

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, 9 აპრილის 2 წლის თავზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ (გაცილებით ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირში ოფიციალურად გამოცხადდებოდა მისი დაშლა), ქართველი ერის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო. ეპოქა, რომელიც სავსეა გარე თუ შიგა ფაქტორებით გამოწვეული წინააღმდეგობებით, სირთულეებით, მაგრამ მაინც უდიდესი პოზიტიური ძვრებით ხა-

* ეტატიზმი – პოლიტეკონომიური მეცნიერების ცნება, რომელიც ნიშნავს სახელმწიფოს აქტიურ და უხეშ მონაწილეობას საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში.

სიათდება, რამაც რადიკალურად შეცვალა საქართველოს განვითარების კურსი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისითაც.

საქართველოს წინაშე იმთავითვე რთული ამოცანა დადგა – სახელმწიფო–მონოპოლისტური სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე რაც შეიძლება უმტკივნეულო გადასვლისთვის სათანადო პირობების შექმნა. თავის მხრივ, ეს მოითხოვდა ქვეყნის სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარისა და წესის რადიკალურ შეცვლას.

დღეს მსოფლიო ცივილიზაციასთან მიახლოების ძირითად მიმართულებად რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის, უფრო ზუსტად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნაა აღიარებული. თანამედროვე პირობებში მხოლოდ იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პროგრესს და საკმაოდ აპრობირებულია მსოფლიოში.* ამ უალტერნატივო პროცესს ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებულმა ეკონომიკური თეორიების განვითარებამ და, რაც მთავარია, მათი გამოყენების მასშტაბების ზრდამ დღეს განვითარებული, მაგრამ ამავე საუკუნის 30–იან წლებში ღრმა სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების წინაშე მდგომი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში[1], ხოლო, მეორე მხრივ, სამეცნიერო–ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე საზოგადოებრივ წარმოებაში მიმდინარე მძლავრმა პროგრესულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა. ამ ორმა ერთმანეთისაგან

---

* თუმცა დასავლეთის ზოგიერთ წარმატებულ ქვეყანაში (მაგალითად, გერმანიაში) დღის წესრიგში, ჯერ კიდევ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე (2008) დადგა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სოციალურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნის საკითხი. **სოციალური საბაზრო ეკონომიკა მომავლის ეკონომიკაა.**

1 **ასათიანი რ.** გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე. „ახალი ეკონომისტი“, 2010, №2; **ასათიანი რ.** თეორიული ცოდნა როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №3.

განსხვავებულმა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულმა მოვლენამ განაპირობა თვისებრივი ცვლილებების შეტანა „ველური კაპიტალიზმის“ სისტემაში და საბაზრო ეკონომიკის ფორმირება. აქედან გამომდინარე, სრულიად ახალი ამოცანები დაისახა ამ გზით მიმავალი ქვეყნების სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში, ვიდრე ეს ჰქონდა წმინდა კაპიტალისტურ ურთიერთობებზე აგებულ ეკონომიკურ სისტემას. ამიტომ, ბუნებრივია, ისე როგორც სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, საქართველოსთვისაც, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მხოლოდ ეს გზა იყო მისაღები. აქედან გამომდინარე, გასული ათასწლეულის ბოლოს „მცდარი გზით განვითარებულ“[1] ქვეყნებში ქარტეხილივით მოვარდნილი პროცესები დროის მოთხოვნა იყო. მას ჰუმანიზაციის მსოფლიო პროცესის ობიექტური აუცილებლობაც განაპირობებდა.

ამ უაღრესად რთული ევოლუციური (და არა რევოლუციური) პროცესის ახსნა ჩვენს პირობებში ახალ ეკონომიკურ აზროვნებასა და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. აუცილებელია კომპლექსურად შევისწავლოთ მეურნეობრიობის ეფექტიანი მექანიზმი – ბაზრის ფენომენი, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე და სრულიად ახალ ამპლუაში ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკაში.

მოცემული საკითხის ახსნისათვის მიზანშეწონილია ზოგად ასპექტებში გავაანალიზოთ XX საუკუნეში მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ–ეკონომიკური პროცესები და მათი შედეგები, ავხსნათ ამ პროცესების ლოგიკური კავშირი საქართველოში გასული საუკუნის 90–იან წლებში დაწყებულ პროცესებთან.

1 **Lipowsky A**. Towards Normality. Overcoming the Heritage of Central Planning Economy in Poland in 1990-1994. Warsaw, Adam Smith Research Center, Center of Social and Economic Research, 1998; **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 18-19.

I.3. ბაზარი ახალ ამპლუაში

ცნობილია, რომ დასავლურ ცივილიზაციაში კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის განმტკიცებასა და განვითარებას უკავშირდება ინდუსტრიული ეპოქის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს XVIII–XIX საუკუნეების მიჯნიდან XX საუკუნის 60–იანი წლებამდე განვლილ პერიოდს. ინდუსტრიულმა ეპოქამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნათა ხანგრძლივ ისტორიულ ციკლს. მისთვის დამახასიათებელი იყო კერძო ინტერესების პრიორიტეტი საზოგადოებრივთან შედარებით. მისი იდეოლოგია ადამიანს განიხილავდა როგორც ეკონომიკურ ფენომენს, როგორც წარმოების საშუალებას და არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების მიზანს. ეს პერიოდი აღინიშნა კორუფციის ზრდითა და სხვა ანტისოციალური მოვლენებით.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალური კონცეფციის ბატონობის ეპოქა თვითდინებით მიმდინარეობდა, ხოლო კლასიკურ-ლიბერალური თეორია ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებულ მიმართულებად რჩებოდა და XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე საფუძვლად ედო ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ აშშ-ისა და მსოფლიოს სხვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას.

ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მსოფლიო ეკონომიკა „დიდ დეპრესიამდე“ მიიყვანა. 40-იან წლებში დაწყებულმა „კეინზიანურმა რევოლუციამ“, როგორც 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურმა გამოძახილმა, ბიძგი მისცა არსებითი ძვრების დაწყებას წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. ამ პერიოდიდან მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების შედევრად ცნობილ, ბესტსელერად აღიარებულ ჯონ მეინარდ კეინზის (1883-1946) ნაშრომში – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“(1936) (შემდგომში – „ზოგადი თეორია“ –

რ.ა.) – წარმოდგენილი მაკროეკონომიკური რეგულირების თეორია (მოდელი) საფუძვლად დაედო წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტების უმრავლესობა ამ ნაშრომს განიხილავს როგორც შემობრუნების ეტაპს ეკონომიკური აზრის ისტორიასა და აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. ასეთი შეხედულება, პირველ ყოვლისა, ეფუძნება იმ გარემოებას, რომ კეინზმა უარყო ეკონომიკაში გაბატონებული მიკროეკონომიკური მიდგომა – სმითისეული კონცეფცია და უპირატესობა მაკროეკონომიკურ თეორიასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას მიანიჭა.

ჯ.მ. კეინზი აქცენტს ეფექტიანი მოთხოვნის მექანიზმზე აკეთებს.* ეს მექანიზმი განსაზღვრავს ეკონომიკაში დასაქმების დონეს და ეწინააღმდეგება მანამდე გაბატონებულ შეხედულებას, რომლის მიხედვით უმუშევრობის მაღალი დონე ახსნილია მაღალი ხელფასით და ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: თუ ხელფასი შემცირდება, შესაბამისად დაეცემა მოთხოვნა, ხოლო დასაქმება გაიზრდება, ვინაიდან ფირმის მიერ გამოყენებული იქნება მეტი შრომა შედარებით დაბალი ფასით. დასაქმების გაზრდა ხელს შეუწყობს დანაზოგის გაზრდას, რაც განაპირობებს ინვესტიციების გადიდებას. კეინზი კი „ზოგად თეორიაში“ ამტკიცებს, რომ ხელფასის დაცემა დასაქმების გაზრდას კი არ გამოიწვევს, არამედ დათრგუნავს მოთხოვნას და უმუშევრობის გადიდებას გამოიწვევს. მისი საფუძვლიანი მტკიცებით, დასაქმების დონე განისაზღვრება არა რეალური ხელფასის დონით, არამედ ერთობლივი მოთხოვნის დონით, რომელიც, თავის მხრივ, ძალზე მგრძნობიარეა ინვესტიციების დონისადმი. კეინზის აზრით, სახელმწიფო თუ შეძლებდა ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებას, ამით გააფართოებდა წარმოებას, მოიზიდავდა ინვესტიციებს, რომელიც

* **ჯ. მ. კეინზის** ეს მტკიცება, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებო იყო რეფორმების დაწყებისთანავე ჩიხში მოქცეული საქართველოს ეკონომიკისათვის. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ეკონომიკას სიცოცხლისუნარიანობას დაუბრუნებდა.

ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზისადმი მიძღვნილი კეინზის თეორია უმთავრესად იკვლევს საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებსა და მათგან თავის დაღწევის გზებს. ამიტომაც იგი იმთავითვე, ეკონომიკის კონვერსიის საწყის ეტაპზე მეტად ყურადსაღები იყო ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი საქართველოსთვის. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კეინზიანური მოდელი დღესაც აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის.

„კეინზიანურმა რევოლუციამ“ დიდი როლი შეასრულა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში, ამასთან, რაც მთავარია, დააჩქარა კაპიტალიზმის გადაზრდა ახალ თვისებრიობაში – საბაზრო, რეგულირებად ეკონომიკაში. კერძო კაპიტალისტური საკუთრების პრიორიტეტზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა შეცვალა საკუთრების პლურალიზმზე (საკუთრების მრავალფორმიანობა თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით) დაფუძნებულმა ეკონომიკურმა სისტემამ. **ჩამოყალიბდა სრულიად სხვა შინაარსის ბაზარი, ვიდრე იყო წინა ეკონომიკურ სისტემებში**, სადაც ბაზარს, შეიძლება ითქვას, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ეკისრებოდა და წინა პლანზე იყო წამოწეული ჯერ მონათმფლობელური (მონათმფლობელსა და მონას შორის), შემდეგ, ფეოდალური (ფეოდალსა და ყმაგლეხს შორის), ხოლო ბოლოს – კაპიტალისტური (კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის) ეკონომიკური ურთიერთობები. ამასთან, არ გამოვრიცხავთ არც 70-წლიან „სოციალისტურ ექსპერიმენტს“, სადაც ასევე არსებობდა განსხვავებულ პარადიგმებზე დამყარებული ბაზარი, მაგრამ აქაც იგი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა და წინა პლანზე ე.წ. სოციალისტური ეკონომიკური ურთიერთობები იყო წამოწეული, რომელიც ეფუძნებოდა ფორმით მარქსისტულ, ხოლო შინაარსით ლენინურ მემკვიდრეობაზე აგებულ სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას.

შერეული ტიპის ეკონომიკაში, სადაც სახელმწიფო „ღამის დარაჯიდან“ მაკროეკონომიკურ რეგულატორად გადაიქცა, საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ბაზარს მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა, რაც ახალი ეკონომიკური გარემოსა და, აქედან გამომდინარე, თვისებრივად განსხვავებული ეკონომიკური სისტემის შექმნაში აისახა. ამიტომაცაა აღიარებული კეინზის თეორია „კეინზიანურ რევოლუციად“.

საბაზრო სისტემაში განმსაზღვრელი ადგილი დაიკავა ბაზარმა (რაც სახელწოდებაშიც კი აისახა) როგორც კვლავწარმოების მთელი პროცესის მომცველმა ფენომენმა. იგი აღიარებულ იქნა ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად. საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებულმა რადიკალურმა და ამავე დროს, უაღრესად პროგრესულმა ცვლილებებმა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, განაპირობა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის, ჩამოყალიბება. ასეთმა ბაზარმა, შრომის მოტივაციის ეფექტიანი სისტემა შექმნა და მეწარმეობის განვითარებას ფართო შესაძლებლობები მისცა. მან, ჰორიზონტალური კავშირების გაფართოება-განმტკიცების საფუძველზე, საგრძნობლად გაამარტივა მმართველობის იერარქიული სტრუქტურა, განაპირობა კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაახლოება და, საბოლოო ანგარიშით, წარმოქმნა ისეთი ობიექტური კანონზომიერება, რომელმაც გამოხატულება თვისებრივად სრულიად ახალ ეკონომიკურ ზრდაში პოვა. ისტორიაში ცნობილი ყველა წინა ბაზრისგან განსხვავებით, იგი დაექვემდებარა გარკვეულ კანონზომიერებებს. მისთვის დამახასიათებელია: ა) საკუთრების პლურალიზმი, სადაც საკუთრების ნებისმიერ ფორმას თანაბარი უფლებები აქვს მინიჭებული; ბ) მწარმოებელთა დამოუკიდებლობა და ეკონომიკური პასუხისმგებლობა; გ) მეწარმეობაში რეგლამენტაციის არქონა, რაციონალიზმი კონტრაჰენტის არჩევაში და ა.შ. ბაზარი, შრომითი მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნით, პირადი და საზოგადოებრივი ინტერე-

სების გაერთიანების მოქნილი მექანიზმია.

საბაზრო ეკონომიკა, როგორც რეგულირებული ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, თვითონ ადგენს საზოგადოებამ რა აწარმოოს (ამ საკითხს მომხმარებლები წყვეტენ თავიანთი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების მიხედვით), როგორ აწარმოოს (ამას განსაზღვრავენ მწარმოებლები მაღალი შემოსავლის მიღების მცდელობით) და ვისთვის აწარმოოს (ეს საკითხი იმათ სასარგებლოდ წყდება, ვისაც მეტი შემოსავალი აქვს). საბოლოო ანგარიშით, საზოგადოება აღწევს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, შესაძლებელი ხდება წარმოების ოპტიმალური სტრუქტურული პროპორციებისა და მოცულობის დადგენა, ყალიბდება ისეთი წარმოების წესი, რომელიც უზრუნველყოფს დანახარჯების მინიმიზაციასა და მოგების მაქსიმიზაციას. ამიტომ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში შეზღუდულია.

საბაზრო პრინციპების საფუძველზე განვითარებული ეკონომიკა განაპირობებს ქვეყნის მეურნეობის დეპოლიტიზაციას, მმართველი პოლიტიკური პარტიისაგან დამოუკიდებლობას. მას პრაქტიკულად მინიმუმამდე დაჰყავს პოლიტიკური გზით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა რიცხვი.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკა „წმინდა“ სახით, სადაც ავტომატურად ხდება ძირითადი ეკონომიკური პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. რეალურ საბაზრო ეკონომიკაში, ბუნებრივია, გვხვდება გადახრები იდეალური მოდელისაგან, რაც აისახება: 1. მონოპოლიების წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში, რომლებიც ფასწარმოქმნის დეფორმაციას იწვევენ და აფერხებენ კონკურენციის მონაწილეთა თავისუფალ შეღწევას ბაზარზე; 2. კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შეფერხებაში; 3. ინფლაციაში; 4. ეკონომიკური განვითარების ციკლურობაში; 5. შეფარდებით ჭარბწარმოებაში; 6. უმუშევრობაში, რომელიც აღემატება ბუნებრივ დონეს და ა.შ. გარდა ამისა, საზოგადოებაში არსებობს ბევრი მწვავე პრობლემა, რომე-

ლთა გადაჭრა ბაზარს არ შეუძლია. ესენია: სოციალური პრობლემები (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, უმუშევართა შენახვა, ხელმოკლეთა დახმარება და სხვ.), გარემო ბუნების დაცვა, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება და ა.შ. ამიტომ სამეურნეო ცხოვრების კოორდინაციისა და მართვისათვის გამოიყენება არა მხოლოდ ბაზრის მექანიზმი, არამედ სახელმწიფო რეგულირებაც ისეთი ბერკეტების მეშვეობით, როგორიცაა გადასახადები და სამთავრობო ხარჯები, ფულად–საკრედიტო პოლიტიკა, შემოსავლების რეგულირება, სოციალური, ანტიმონოპოლიური და საგარეო–ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური ცხოვრების სტაბილურობის უზრუნველყოფაში სახელმწიფოს მონაწილეობის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გერმანია და შვედეთი, სადაც მთავრობა ატარებს აქტიურ სოციალურ პოლიტიკას; იაპონია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო–სახელმწიფოებრივი ინდიკატური დაგეგმვის განვითარებული სისტემა; ახალინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკა (კერძოდ, სამხრეთ კორეის ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მთავრობის მიერ მომზადებულმა ხუთწლიანმა ინდიკატურმა გეგმებმა) და სხვ., მაგრამ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე, რომლის იქითაც ეკონომიკაში არსებობას წყვეტს საბაზრო მექანიზმი. სახელმწიფო, გადასახადების საშუალებით, სარგებლის განაკვეთით, სახელმწიფო ხარჯებით, შეღავათებითა და ა.შ. მხოლოდ ინსტიტუტებისა და ინდივიდუუმების ეკონომიკური ქცევის წესებს ადგენს, მაგრამ მათ საქმიანობაში არ ერევა, არ ანგრევს საბაზრო მექანიზმს, პირიქით, მას აძლევს შესაძლებლობას განსაზღვროს ფასები, რესურსების გამოყენების მიმართულებები.

მსოფლიოში მიმდინარე ასეთი პოზიტიური ცვლილებების ფონზე 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ, სახელმწიფოებრიობის აღიარების საფუძველზე, შეცვალა განვითარების კურსი, გეზი აიღო საბაზრო ეკონომიკისაკენ, მიზნად

დაისახა ეკონომიკის კონვერსია - მთელი საზოგადოებრივი წარმოების რადიკალური გარდაქმნა. ამრიგად, საქართველო შეუერთდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროგრესულ პროცესებს, რითაც დაიწყო ახალი ეპოქა მის განვითარებაში.

I.4. ეკონომიკის კონვერსიის განხორციელების წინაპირობები

როგორ უნდა განთავისუფლებულიყო ეკონომიკა ადმინისტრაციულ–მბრძანებლური სისტემისაგან, რა გზებით განხორციელებულიყო სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია და ეროვნული ეკონომიკის კონვერსია, მისი გადაყვანა საბაზრო რელსებზე? ეს საკითხები საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე დაისვა და საზოგადოებაში ცხოველი დისკუსია გამოიწვია. გამოვიდა რიგი კანონებისა,[1] გამოიცა სპეციალური სამეცნიერო ნაშრომები (მონოგრაფიები, ბროშურები, სტატიები), სადაც, უცხოური გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, გაშუქებულია საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის განხორციელების წინაპირობები და, რეფორმირების საწყისი ეტაპის გაანალიზების საფუძველზე, ჩამოყალიბებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზები.[2]

ეკონომიკის კონვერსიის ობიექტურმა აუცილებლობამ

1 კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, № 7, № 8, 1991; საქართველოს რესპუბლიკის კანონები ბანკების შესახებ. თბილისი, „სამშობლო“, 1991 და ა.შ.

2 სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი **გუნია ა.** თბილისი, „მეცნიერება“, 1991; საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი **პაპავა** ვ. თბილისი, 1991; **გუნია ა.** საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის

ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება მოითხოვა, რაც შესაძლებელი იყო ცხოვრების ყველა სფეროში რადიკალური რეფორმების გატარებით. საქართველოს წინ ელოდა ღრმა ინსტიტუციური ცვლილებები, რეფორმა საბიუჯეტო–საგადასახადო და ფულად–საკრედიტო სფეროებში, საგარეო–ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ა.შ., მაგრამ ეკონომიკის კონვერსიის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო წინაპირობების მომზადება. **ასეთ წინაპირობებს ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სახელმწიფო–მონოპოლისტური მარწუხებიდან თავის დაღწევა წარმოადგენდა.**

საქართველოში დაიწყო 70–წლიანი ექსპერიმენტის შედეგების ნგრევა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ურთულესი პროცესი. ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიულ გზას. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეფორმებს არ შეექმნა

ფორმირების საკითხები. პრეპრინტი, თბილისი, 1991; **პაპავა გ.** საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები. თბილისი, 1991; **ძნელაძე დ.** საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. „საქართველო“, თბილისი, 1991; **ასათიანი რ.** საბაზრო ინფრასტრუქტურა. „ეკონომიკა“, №7–8, 1991; **ასათიანი რ.** საკუთრების განსახელმწიფოებრივება: არსი, ფორმები, მეთოდები. „პოლიტიკა“, № 9–10, 1991; **ასათიანი რ**. პრივატიზაცია: გზა საბაზრო ეკონომიკისაკენ. „ეკონომიკა“, № 11–12, 1991; **წერეთელი გ.** საქართველო საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების გზაზე. „ეკონომიკა“, 1992, №8-9; **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993; **ჭითანავა ნ.** საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები. თბილისი, სესპსკი, 1993; **Papava V.** The Economic System of Soviet Communism and the Manifestation of Egalitarianism in Post-Communist Economist Economic Reform. Tbilisi, “Metsniereba”, 1994; **Папава В., Беридзе Т.** Проблемы реформирования грузинской экономики. “Российский экономический журнал”, 1994, №3; **პაპავა ვ.** საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბილისი, „მეცნიერება“, 1995; **ბასარია რ., მესხია ი.** გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. თბილისი, ფსკი, 1995; **მესხია ი.** საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების პრობლემები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. „ეკონომიკა“, 1995, №11-12 და ა.შ.

სათანადო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები. საქართველოში სრულიად მოუმზადებლად დაიწყო ძველი ეკონომიკური სისტემის ერთი ხელისმოსმით ნგრევის პროცესი. ამას ხელი შეუწყო არახელსაყრელმა სასტარტო პირობებმა და დაბალმა ეკონომიკურმა პოტენციალმა, რასაც დაემატა შექმნილი შინააშლილობა, საზოგადოების დაყოფა ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად და ომი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ყოველივე ამან, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკური გარდაქმნების საბოლოო შედეგებზე.

მართალია, საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის დაწყებას გარკვეულწილად საფუძვლად დაედო ხელისუფლების მიერ მიღებული ეკონომიკური კანონები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა – საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ), მსოფლიო ბანკმა, ევროგაერთიანებამ* და სხვებმა. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ძირითადად პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რუსეთში მიმდინარე რეფორმის ანალოგიური იყო, ნაკლებად ითვალისწინებდა საქართველოს თავისებურებებს, ეროვნულ ინტერესებსა და ქვეყანაში შექმნილ რთულ სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობას. ამგვარ პოლიტიკას ერთგვარი გამართლებაც მოეძებნა, რაც იმით გამოიხატა, რომ რეფორმირების დაწყებისას საქართველო სამანეთო ზონაში იმყოფებოდა და მას არ ჰქონდა თავისი ეროვნული ფულადი ერთეული, რაც ხელს უშლიდა საკუთარი მოდელით რეფორმების წარმართვას.* მთავარი მიზეზი კი იყო

* ევროგაერთიანებას, რომელიც შეიქმნა 1967 წელს და აერთიანებდა დასავლეთ ევროპის 12 ქვეყანას, 1993 წლის 1 ნოემბრიდან მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე ეწოდა ევროკავშირი. უფრო ვრცლად იხ.: **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“,2012, გვ. 98.

ის, რომ ქვეყანაში ეკონომიკის კონვერსიასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების შესწავლა არ ხდებოდა სისტემური კვლევის მეთოდებით, ზოგადი კანონზომიერებებისა და თავისებურებების ინტეგრირებულობის კუთხით.

სისტემური მიდგომა ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად შევისწავლოთ პრობლემა, გამოვყოთ პრიორიტეტები და მოვახდინოთ სისტემის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სისტემურ წინააღმდეგობათა ხასიათის ამოცნობა და პრობლემათა გადაჭრის სტრატეგიის შემუშავება.

სისტემური მიდგომის გარეშე ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილმა რეფორმამ საქართველოში მრავალი ახალი პრობლემა წარმოქმნა და ქვეყნის განვითარების ტრაექტორია შეცვალა.

ამრიგად, საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის წინაპირობები მეტად არასახარბიელო იყო და ქვეყნის რეალური ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევისათვის ბრძოლა – ეს უალტერნატივო პროცესი რთულ ვითარებაში დაიწყო.

***** ამიტომაც იყო, რომ 1992 წელს საქართველოს მთავრობის ეკონომიკური რეფორმების შტაბის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ღონისძიებების მთელი პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა სამანეთო ზონაში მიმდინარე პროცესების უარყოფითი ზემოქმედებისგან საქართველოს ეკონომიკის დაცვას, მაგრამ შინა აშლილობის თუ სხვა მიზეზთა გამო, იგი ვერ განხორციელდა.

II თავი

პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეკონომიკაში: კანონზომიერებები, თავისებურებები, ეტაპები

II.1. ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდი

„ყაზარმული სოციალიზმის“ კრახი საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ამასთან, თითქმის ამ პროცესის პარალელურად საბჭოთა კავშირის დაშლა და მის საფუძველზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება, რომლებმაც მიზნად დაისახეს ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნა, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უპრეცედენტო მოვლენაა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და სოციოლოგის ჯონ კენეთ გელბრეითის (1908–2006) აზრით, ეს მოვლენა ორ მსოფლიო ომთან ერთიან რიგში დგას, როგორც ერთ-ერთი ამ სამი უდიდესი ისტორიული მოვლენათაგანი, რითაც გამოირჩევა XX საუკუნე.[1] ამ უდიდესმა ისტორიულმა მოვლენამ ღრმა ტრანსფორმაციული პროცესები გამოიწვია და „დღის წესრიგში თვისებრივად ახალი პრობლემები დააყენა, რომელთა გადაწყვეტაც იმ კლასიკური სქემების ფარგლებს სცილდება, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების მიერ მთელი წინა ისტორიის განმავლობაში იქნა შემუშავებული“.[2] აქედან გამომ-

1 **Galbraith J. K.** Economics in the Century Ahead. In: "The Future of Economics." Oxford, Blackwell, 1992, p. 47.

2 **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 11.

დინარე, სავსებით ლოგიკურად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც დაიწყო **ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდი**, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიო ცივილიზაციაში. ამასთან, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ტალღაში მოხვედრილი ქვეყნების ეკონომიკა არა მხოლოდ თვისებრივად ახალი პრობლემების წინაშე დადგა, არამედ მეტად არაორდინარული იყო ასეთ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების სასტარტო პირობებიც.[1]

მაშინ როდესაც „ველური" კაპიტალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე (კაპიტალიზმის წიაღიდან აღმოცენებულ, მისგან წარმოქმნილ ახალ თვისებრიობაზე) გარდამავალ პერიოდს საფუძვლად დაედო ჯონ მეინარდ კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორია, სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დაიწყო სპონტანურად, ეკონომიკის ნგრევის პირობებში, წინასწარ გაუაზრებელი, არსებულ მდგომარეობასთან მიუსადაგებელი ეკონომიკური თეორიისა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე. სულ სხვა სასტარტო პირობები იყო დასავლეთის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების დასაწყისში XX საუკუნის 40-იან წლებში და სულ სხვა – 90-იან წლებში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. თუმცა პოსტფაქტუმ, არა მხოლოდ საქართველოსა და სხვა ტრანზიტულ ქვეყნებში, არამედ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშიც ფართოდ გაიშალა ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდის კვლევა და, შეიძლება ითქვას, მცდარი გზით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობები და მექანიზმები კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდა.

1 **ასათიანი რ.** საქართველოში საბაზრო სისტემის ფორმირების და ეკონომიკის კონვერსიის კარდინალური საკითხები. „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში". სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი, 1994.

II.2. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის სტრატეგია

საქართველოში დაწყებულმა სისტემურმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, პოლიტიკურთან ერთად, მოიცვა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. სფეროები. გარდამავალი პერიოდის სტრატეგიად იმთავითვე ერთმნიშვნელოვნად აღიარებულ იქნა შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ხოლო **რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ათვლის წერტილად 1992 წლის პირველი ნახევარი გამოცხადდა.**[1]

საქართველოს წარმატებას, მის მომავალს, მნიშვნელოვანწილად, მისი სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ტემპი და ხარისხი განსაზღვრავდა. თავის მხრივ, ამ მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემოზე, ეკონომიკური პროცესების რეგულირების მექანიზმზე, არსებული პოტენციალის სწორად განსაზღვრაზე, ქვეყანაში დაწყებული ინსტიტუციალიზაციის პროცესის დონესა და ხარისხზე და ა.შ. **ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად კოორდინაცია გაეწია ამ მოულოდნელი პროცესებისათვის, სისტემური გარდაქმნებისათვის, შეემუშავებინა მართვის ბერკეტები და დაეცვა ქვეყნის ეკონომიკა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან.** პირიქით, ასეთ რთულ სიტუაციაში, სრულიად ალოგიკურად, სახელმწიფო სმითისეული „ღამის დარაჯის“ ფუნქციით შემოიფარგლა და ეკონომიკის რადიკალური ლიბერალიზმის დოქტრინაზე დაყრდნობით, ეკონომიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვა.

საქართველო მაშინ შემობრუნდა წმინდა ლიბერა-

1 „საქართველოს რესპუბლიკა“. 29 ივლისი, 1992.

ლიზმისაკენ, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა მას ზურgi Seaqcies (დღეს „სახელმწიფო მინიმუმის“ პოლიტიკა განვლილი ეტაპია ცივილიზებული სამყაროსათვის). მოხდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის აბსოლუტური მინიმიზაცია. არადა, თავისთავად საინტერესო და მიმზიდველი გარდამავალი პერიოდის სტრატეგია საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მისი ბედი, ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების, ქვეყნის თავისებურებების გაუთვალისწინებლობისა და პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეკონომიკურ პროცესებზე დიდი ზემოქმედება მოახდინა სტიქიურმა ძალებმა. გააქტიურდა კრიმინალური სტრუქტურები. სახელმწიფოებრივი „ნიშა“ მაფიოზურმა ჯგუფებმა დაიკავა. საზოგადოებამ სწრაფად ვერ აუღო ალღო რეალობას. იმატა ზერელე და შიშველ ემოციებზე აგებულმა მსჯელობამ იმის შესახებ, რის გაგებასაც სპეციალური ცოდნა და პროფესიონალიზმი სჭირდებოდა.

წინა პლანზე წამოიწია სამშობლოსადმი დამოკიდებულების გამოხატვის თავისებურმა ფორმამ – მისადმი მომხმარებლური თვალით ყურებამ. ადამიანთა ამ კატეგორიამ, რომელსაც ონორე დე ბალზაკმა თავის დროზე სოციალური ნული უწოდა, მხოლოდ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რას მისცემდა მას სამშობლო და არა იმაზე, თვით რას გასცემდა მისთვის. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზედა ეშელონებში მოიკალათა (მაგრამ ქართველ ერში პოზიტიური ყოველთვის ჭარბობდა და ასეა დღესაც. ამან გადაარჩინა საქართველო და ამაშია მისი ძლიერების წყარო).

სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, ექსტრემალურ სიტუაციაში ახალი ეკონომიკური სისტემისა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობების ფორმირებაში განმსაზღვრელი როლი ეკონომიკის ლიბერალიზაციას დაეკისრა.

II.3. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელები

ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის სტრუქტურაში განმსაზღვრელი ადგილი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას uWr avs.* მისი განხორციელების გარეშე ინსტიტუციური, მიკრო-, მეზო- და მაკროეკონომიკური გარდაქმნები, დეფორმირებულ ხასიათს იღებს. მართლაც, ინსტიტუციური გარდაქმნები (საკუთრების განსახელმწიფოებრივება, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, წარმოების რესურსების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ფორმირება და სხვ.), ასევე, ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, ანტიმონოპოლიური რეგულირება, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია, ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლა და ა.შ. მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში საბაზრო ინფრასტრუქტრის ინსტიტუტები აშკარა, დაუფარავ სპეკულაციურ ორიენტაციას იღებს, ფასების ლიბერალიზაცია შეიძლება ჰიპერინფლაციაში გადაიზარდოს და ა.შ. თავის მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელია ინსტიტუციური, მიკრო- და მეგაეკონომიკური გარდაქმნების გარეშე განხორციელდეს. ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, საბაზრო ურთიერთობებისა და შესაბამისი ინსტიტუტების გარეშე, იგი დირექტიულ-ცენტრალიზებულ ფორმას იღებს.

ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატე-

---

* საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში წარმოქმნილ პრობლემებთან უშუალო კავშირშია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თეორიული ასპექტები. ამიტომ შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ ისინი.

ბლობა დიდად არის დამოკიდებული იმ მოდელზე, რომელიც ქვეყანამ სისტემური გარდაქმნის, ეკონომიკის რეფორმირების საწყის ეტაპზე უნდა აირჩიოს.

მსოფლიო პრაქტიკამ ამ თვალსაზრისით წინა პლანზე „შოკური თერაპიისა“ და გრადუალისტური მოდელები წამოსწია.

„შოკური თერაპია“, პირველ ყოვლისა, ტრანსფორმაციული პროცესების დაჩქარებული ტემპით, შოკისმომგვრელი ეფექტით წარმართვას გულისხმობს და შემდეგ ძირითად პრინციპებს ემყარება: ფასების განთავისუფლება-აშვებას, თავისუფალი ფასწარმოქმნის საფუძველზე ფასებისა და საგარეო ვაჭრობის სწრაფ ლიბერალიზაციას, საკუთრების განსახელმწიფოებრივებასა და კერძო საკუთრების ჩამოყალიბებას, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციასა და ა.შ. მისთვის დამახასიათებელია რადიკალიზმის უაღრესად მაღალი დონე, რაც ზემოაღნიშნული გარდაქმნების პარალელურად, არსებული ეკონომიკის დემონტაჟში, მისი სხვადასხვა მეთოდით ნგრევაში გამოიხატება.

გრადუალისტური მოდელისათვის ნიშანდობლივია სახელმწიფო ინსტიტუტების შეცვლა-განახლება ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შენარჩუნებით, ეროვნული მეწარმეობის სტიმულირება და წარმოების სტაბილიზაცია, სახელმწიფო მონოპოლიების არსებობა ეკონომიკის საკვანძო სფეროებში და ა.შ. იგი ძველი ეკონომიკური სისტემის ელემენტების გამოყენების საფუძველზე თანდათანობით, ევოლუციური გზით გარდაქმნას გულისხმობს. ამიტომ ეს მოდელი გათვლილია წარმოებრივი პოტენციალის განვითარებაზე, სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აღნიშნული ორი მოდელიდან საქართველომ „არჩევანი“ „შოკურ თერაპიაზე“ გააკეთა. „დიდი აფეთქების“ სახელწოდებით ცნობილი ეს მოდელი „ვაშინგტონის კონსენსუსის“ საფუძველზე განხორციელდა და იგი არაოპტიმალური აღმოჩნდა საქართველოსათვის

(ისე როგორც ამ ტალღაში მოხვედრილ სხვა ქვეყნებისთვისაც).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეს გზა არ იყო გათვლილი საქართველოს წარმოებრივი პოტენციალის განვითარებასა და ფინანსურ სტაბილიზაციაზე. მის მთავარ მიზანს ფასების აშვება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია წარმოადგენდა.

აღნიშნულმა მოდელმა ვერ გაამართლა საქართველოში, ვინაიდან ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია. „შოკური“ გზით განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები თავიდანვე ეჭვს ბადებდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მეცნიერ-ეკონომისტებში. ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასე მოუმზადებლად გატარებული ფასების ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას.[1] მოხდა ეკონომიკის შეგნებულად ნგრევა. სახელმწიფოს დამანგრეველი ხელი მიწვდა ეკონომიკის ყველა სფეროს. ხატოვნად რომ ვთქვათ, სახელმწიფომ მოირგო პრივატიზაციის „რბილი ხელთათმანი“, პრივატიზაციისას არ გაკეთდა აქცენტი კორპორაციულ მართვაზე. კერძო სექტორს სახელმწიფოს აქტივები გადაეცა ყოველგვარი მარეგულირებელი პროცესების გარეშე. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. ეკონომიკის შოკირება, რამაც პოსტკომუნისტურ სივრცეში ღრმა ინსტიტუციური ცვლილებები გამოიწვია, ზოგჯერ ოქტომბრის რევოლუციასაც კი ადარებენ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ, როდესაც პოსტვაშინგტონის კონსენსუსმა შეაჯამა მიმდინარე რეფორმის 10 წლის შედეგე-

[1] **ასათიანი რ.** საკუთრების განსახელმწიფოებრივება: არსი, ფორმები, მეთოდები. „პოლიტიკა“, 1991, №9-10; **ასათიანი რ.** პრივატიზაცია: გზა საბაზარო ეკონომიკისკენ. „ეკონომიკა“, 1991, №11-12; **ასათიანი რ.** საკუთრების პრივატიზაცია და საქართველოს გადასვლა საბაზრო ურთიერთობებზე. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., 1992; **ასათიანი რ.** პრივატიზაციის ქართული ვარიანტი: მითი თუ სინამდვილე. „შანსი“, 16 VIII, 1994 და სხვ.

ბი, უარყოფითად შეაფასა ვაშინგტონის კონსენსუსის მიერ მიღებული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში რეალიზებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეს გზა.

სამწუხაროდ, XX საუკუნის პირველ დიდ წარუმატებელ ექსპერიმენტს – 70-წლიან სოციალისტურ ექსპერიმენტს დაემატა ასევე წარუმატებელი მეორე ექსპერიმენტი – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური“ გზა. ამ უკანასკნელმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მწვავე პრობლემები წარმოქმნა, განსაკუთრებით – სოციალურ სფეროში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემოთავაზებული სქემა ითვალისწინებდა კერძო საკუთრების შექმნასა და კონკურენციის განვითარებას. ბუნებრივია, ორივეს განხორციელება აუცილებელი იყო, მაგრამ საქართველოს მთავრობა მხოლოდ პრივატიზაციით დაკმაყოფილდა. სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა კერძო საკუთრებაში, მაგრამ ვერ ჩამოყალიბდა საკუთრების პლურალიზმი, ამასთან, ამ პროცესს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით წარმატება არ მოჰყოლია. ნაჩქარევმა, მოუფიქრებელმა, არაკანონიერმა პრივატიზაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. იგი იქცა ნაკლებად გამჭვირვალე პროცესად და შემოვლითი გზით კორუფციის წყაროდ.

რაც შეეხება **მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელებს**, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია მათი შემდეგი ძირითადი ტიპები: ორთოდოქსული, ჰეტეროდოქსული და სტრუქტურულ-წარმოებრივი.

ორთოდოქსულ მოდელში აქცენტი კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებაზე სახელმწიფო ხარჯების (თავდაცვის, სოციალური დაცვის ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიების, კაპიტალდაბანდებების, სახელმწიფო მმართველობისა და ა.შ.) შემცირების გზით. მისთვის დამახასიათებელია საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრება (საგადასახადო შეღავათების შემცირება, გადასახადების გადიდება და ა.შ.), რასაც თან ახლავს ინფლაციური სპირალის

წინააღმდეგ მიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც. იგი გამოიხატება ცენტრალური ბანკის მიერ ფულის ემისიის შეზღუდვაში, საპროცენტო განაკვეთის ამაღლებაში, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებაში და ა.შ. ამიტომ მასზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ფულის მიწოდების შეზღუდვას, რისი ერთადერთი გზაც, ფულის ემისიის შეზღუდვასთან ერთად, კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებაა. ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდება ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკების განკარგულებაში არსებულ ფულად მასას და, შესაბამისად, ფულად მულტიპლიკატორს, ხოლო საპროცენტო განაკვეთის გადიდება ამცირებს კომერციული ბანკების დაინტერესებას გაზარდონ თავიანთი რეზერვები ცენტრალური ბანკიდან სესხის აღების გზით.

მაკროსტაბილიზაციის ორთოდოქსული ტიპისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური სტაბილიზატორების (ე.წ. „ღუზის“) არჩევის ორი ძირითადი გზა: პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მიმოქცევაში ეროვნული ფულის შეზღუდვაზე, ე.ი. „ფულად ღუზაზე“, რომელსაც საფუძვლად მონეტარული მეთოდები უდევს. იგი ემყარება მკაცრ საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას მცურავი გადასაცვლელი სავალუტო კურსის პირობებში, როდესაც ანტიინფლაციური ღონისძიებები დაყვანილია ერთობლივი მოთხოვნის შემცირებასა და ფულადი მასის შეზღუდვაზე; მეორე შემთხვევაში აქცენტი კეთდება სავალუტო კურსის სტაბილიზაციაზე ფიქსირებული კურსისა და სავალუტო „დერეფნის“ დადგენის გზით, ე.ი. „სავალუტო ღუზაზე“. ეს ღონისძიება ხელს უწყობს ინფლაციური მოლოდინის შემცირებას, ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური ქცევის წინასწარ განჭვრეტასა და ა.შ. ამ შემთხვევაში გამახვილებულია ყურადღება უცხოურ ვალუტაზე, პირველ ყოვლისა, აშშ-ის დოლარზე და გადასაცვლელი სავალუტო კურსის სტაბილურ შენარჩუნებაზე.

ამრიგად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული მოდელი, ერთი მხრივ, მონეტარული პოლიტიკის („ფუ-

ლადი ღუზა“), ხოლო, მეორე მხრივ, ფიქსირებული სავალუტო კურსის („სავალუტო ღუზა“) გამომხატველია. სუსტი ეკონომიკის პირობებში იგი წარმოშობს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა: დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შესუსტება, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, წარმოების გაფართოების შესაძლებლობების შეზღუდვა, საშინაო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემა, საგადასახადო ბაზის შეკვეცა და სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და ა.შ

ჰეტეროდოქსული მოდელი აქცენტს აკეთებს შემოსავლებისა და ფასების „გაყინვაზე“, რაც ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ფინანსური სტაბილიზაციის „მესამე ღუზის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მოდელი, განსაკუთრებით შოკის ფორმით, იძლევა სწრაფ ანტიინფლაციურ ეფექტს, მაგრამ წარმოქმნის ნეგატიურ შედეგებსაც: ხდება ფასისმიერი იმპულსების დეფორმაცია, ქრება წარმოების განვითარების სტიმულები, ჩნდება სასაქონლო დეფიციტის წარმოქმნის საშიშროება და ა.შ. ჰეტეროდოქსული მოდელისთვის ნიშანდობლივია „შოკური თერაპიისთვის“ დამახასიათებელი სწრაფი ფინანსური სტაბილიზაციის პრინციპის შეხამება ფიქსირებული ან დროებით „გაყინული“ ფასების პრინციპთან. მისი სტრატეგია ნეოლიბერალური და ნეოკეინზიანური თეორიების ძირითადი პოსტულატების მექანიკური შეერთების გამოხატულებაა.[1]

მაკროსტაბილიზაციის მესამე მოდელი – **სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია**, როგორც გრადუალისტური ვარიანტი, „შოკისაგან“ განსხვავებით, ხორციელდება თანდათანობით, ევოლუციურად. მისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება არა მხოლოდ

1 **Стиглиц Дж.** Многообразнее инструменты, шире цели: движение к пост-Вашингтонскому консенсусу. “Вопросы Экономики”, 1998, № 8, с. 17.

რეგულირების აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, არამედ პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვის შენარჩუნებით, წარმოების მოდერნიზაციით, ადგილობრივ მწარმოებელთა დაცვით, მეცნიერული გამოკვლევების წახალისებითა და ა.შ. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია, ფინანსური სტაბილიზაციის მიზნით, ითვალისწინებს არა მოთხოვნის შეზღუდვას, არამედ მის სტიმულირებას, როგორც შინამეურნეობების, ისე ფირმების მიმართ. სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია ითვალისწინებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ელემენტების სუბორდინაციას. ამ მოდელის ფარგლებში ფინანსური სტაბილიზაცია იქცევა თანმხლებ და წარმოებულ ელემენტად. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის აღნიშნულ მოდელში გარკვეულწილად გაერთიანებულია როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური თეორიების ძირითადი პოსტულატები და იგი, ჩვენი აზრით, ამითაც იმსახურებს ყურადღებას.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის, გრადუალიზმის გამოყენების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ იაპონია, რომელმაც აქტიური მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა რესურსული პოტენციალის განვითარებისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების თვალსაზრისით. ასევე, შეიძლება დავასახელოთ უნგრეთი, სადაც შემუშავებულ იქნა „კუპას გეგმა“, რომელშიც გრადუალიზმთან ერთად „შოკური თერაპიის“ ელემენტებიც იქნა გათვალისწინებული. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრადუალისტური მოდელი გამოიყენა აგრეთვე უზბეკეთმა, სადაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის 1990-1995 წლებში მშპ-ის ყველაზე დაბალი, 18%-იანი ვარდნა დაფიქსირდა.[1]

გრადუალიზმის თვალსაჩინო მაგალითად თანამედროვე **ჩინეთიც** გამოდგება. მან არ გამოიყენა დასავლეთის კონ-

1 **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 25.

სულტანტთა რეცეპტები, გამოკვეთა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკუთარი, ევოლუციური გადასვლის გზა. ჩინეთმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე ადრე დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების შენარჩუნებითა და ეკონომიკური როლის გააქტიურებით, „რბილი დაშვების“ პოლიტიკით ჩინეთი წარმატებით ახორციელებს წარმოებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მძლავრ მოდერნიზაციას, აქტიური სტრუქტურული, წარმოებრივი და საინვესტიციო პოლიტიკით განაპირობებს წარმოებრივი სიმძლავრეების განახლებას, წარმოების დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ერთობლივი მიწოდების ზრდას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ანტიინფლაციურ ეფექტს იწვევს. ჩინეთი პარალელურად ახორციელებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, რაც ერთდროულად სოციალური პრობლემების გადაჭრის საწინდარია. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მშპ-ში მაღალია შიდა ინვესტიციების წილი, რომელიც 40%-ს აჭარბებს.

ამრიგად, ჩინეთმა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ჩვენგან განსხვავებით, დაიწყო არა უკიდურესი რადიკალიზმითა და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურებით, არამედ აქცენტი სტრუქტურულ-წარმოებრივ მაკროსტაბილიზაციაზე გადაიტანა. მან წინა პლანზე დააყენა ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის განვითარება, პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარება, მეწარმეობის სტიმულირება მოქნილი საგადასახადო მექანიზმით თუ სხვა მეთოდებით, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, წარმოების მოდერნიზაცია და საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ გაშლა, ეკონომიკის საკვანძო დარგებსა და სფეროებში სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმით შენარჩუნება და, საერთოდ, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განმტკიცება.

პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან რადიკალურად განსხ-

ვავებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს ჩინეთი ესოდენ დიდ აღმავლობას განიცდის. მაშინ როდესაც 2000 წელს ჩინეთში, 1990 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი გაორკეცდა, საქართველო აწარმოებდა 1990 წლის დონის მხოლოდ 1/3–ს. ვთქვათ, საქართველო ბევრად უფრო მცირე ქვეყანაა, ვიდრე ჩინეთი და მათი შედარება, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება არ იყოს გამართლებული (თუმცა, კანონზომიერების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ქვეყნის სიდიდეს არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა), მაგრამ საერთოდ, განვითარების შედეგების მიხედვით, სურათი რადიკალურად განსხვავებულია და კონტრასტი მეტად მკვეთრია ჩინურ გზასა ანუ გრადუალისტური განვითარების გზით მიმავალ ქვეყანასა და ჯერ „შოკური“, ხოლო შემდეგ ორთოდოქსული განვითარების გზით მიმავალ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის.

„ჩინური სასწაულის“ უმთავრეს ფაქტორად სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა აღიარებული, რაც, ბუნებრივია, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს ეყრდნობა და რამაც განვითარების აქამდე არნახული შესაძლებლობები შეუქმნა ამ ქვეყანას.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის პროგრამები იწვევს საკრედიტო შეზღუდვების შერბილებას, ქმნის დამატებითი ფულადი ემისიის შესაძლებლობას, რაც ინფლაციის გაზრდის საშიშროებას წარმოქმნის. მისი შეკავება შესაძლებელია ინფლაციის კონტროლის გაძლიერებით, რაც გამოიხატება ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე ფასების კონტროლით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების განვითარებითა და, საერთოდ, მაკროეკონომიკური დინამიკისადმი მუდმივი ყურადღებით. ამ გზით წარმოშობილი ინფლაცია მოკლევადიანია. იგი მხოლოდ საწყის ეტაპზე ვლინდება, ხოლო შემდეგ, წარმოების გამოცოცხლებისა და აღმავლობის საფუძველზე, თანდათან ქრება.

ამრიგად, ამგვარი გზით მიღწეული ფინანსური სტაბილიზაცია არსებითად განსხვავდება ლიბერალურ-მონეტარული პოლიტიკის შედეგად მიღწეულისაგან. რაც მთავარია, იგი იძლევა სამამულო პროდუქციით ბაზრის გაჯერების შესაძლებლობას, ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის არდაშვების გარანტიას.

ბუნებრივია, ეკონომიკის სტაბილიზაციის სტრუქტურულ-წარმოებრივი მოდელის განხორციელება რიგ წინააღმდეგობებს აწყდება, მათ შორის, აღსანიშნავია, დასახული მიზნის მისაღწევად მსხვილი ფინანსური რესურსების აუცილებლობა, მოლოდინის პერიოდის საკმაო ხანგრძლივობა, ინფლაციის შეჩერების რისკის მაღალი ალბათობა, მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ძლიერი ბიუროკრატიული ბარიერები და ა.შ.

გრადუალისტურ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკისაგან განსხვავებით, ორთოდოქსულ თეორიაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა სრულიად განსხვავებული პოსტულატების მატარებელია. „არის მრავალი ასპექტი, რომლის მიხედვითაც ორთოდოქსულ თეორიას ჩვენ მივიჩნევთ მცდარად, არაადეკვატურად.“[1]

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელების მოკლე მიმოხილვა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: **საქართველოში ეკონომიკის სისტემური გარდაქმნების (კონვერსიის) მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულ იქნა ორთოდოქსული ტიპის პირველ ვარიანტზე. ეს არის ლიბერალურ-მონეტარული პოლიტიკა, რომელიც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით გამოიხატა და, „შოკური თერაპიის“ შემდეგ, ვაშინგტონში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში აისახა.**

რაც შეეხება გრადუალისტურ მოდელს, საბაზრო ეკო-

1. **Нельсон Р., Уинтер С**. Эволюционная теория экономических изменений. Перевод с английского. М., “Дело”, 2002, с. 47.

ნომიკაზე თანდათანობითი, ევოლუციური გზით გადასვლის შესაძლებლობები საქართველომ ხელიდან გაუშვა, თუმცა, ამისათვის, გარდა იმისა, რომ არ იყო პოლიტიკური ნება, მიზეზი მრავალი იყო. მათ შორის აღსანიშნავია ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, სამოქალაქო ომი, კონფლიქტები, ომი სამაჩაბლოში, აფხაზეთში და ა.შ.

ამრიგად, საქართველომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული გზა „აირჩია", რომელიც, ასევე არაოპტიმალური აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. იგი რადიკალურად განსხვავდება ჩინური ვარიანტისაგან, მაკროსტაბილიზაციის სტრუქტურულ-წარმოებრივი გზისგან, (გრადულიზმისაგან).* ორთოდოქსულ გზაში აისახა „ძვირი ფულის" პოლიტიკა, თავისი მცურავი სავალუტო კურსით, რომელიც არ იყო გათვლილი საქართველოსთვის. „ძვირი ფულის" პოლიტიკა, როგორც ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, საქართველოში გამოიხატა ფულის მიწოდების შეზღუდვით, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებით (შესაბამისად, ფულადი მულტიპლიკატორის შემცირებით), საპროცენტო განაკვეთების გაზრდითა და ეროვნული წარმოების განვითარების სტიმულების ჩაკვლით, რამაც თავი იჩინა საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობის დამუხრუჭებაში, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შესუსტებაში, საშინაო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის წილის დაცემაში, საგადასახადო ბაზის შეკვეცაში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებაში, საგარეო ვალის სწრაფ ზრდასა და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტში, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტებაში და ა.შ.

თუ გადავხედავთ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკას, არც ერთი ქვეყანა დეპრესიიდან უკან – კრიზისში არ დაბრუნებულა და არც ერთ ქვეყანას ასეთ პირობებ-

* გრადუალიზმი, ეკონომიკის კონვერსიის თვალსაზრისით, „შოკური თერაპიის" ანტიპოდია, ხოლო მაკროსტაბილიზაციის თვალსაზრისით – ორთოდოქსული (ასევე, ჰეტეროდოქსული) სტაბილიზაციის ანტიპოდი.

ში არ გამოუყენებია „ძვირი ფულის“ პოლიტიკა. მონეტარულმა რეცეპტებმა ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე და ინფლაციის დამუხრუჭების მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი წარმოქმნა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული მოდელი, ისე როგორც „შოკური თერაპია“, თავსმოხვეული იყო და, სამწუხაროდ, საფუძვლად დაედო საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

II.4. ეკონომიკის კონვერსიის ეტაპები

საქართველოში კონვერსიის რანგში აყვანილი ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესები, სისტემურ გარდაქმნებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდის ეტაპებად დაყოფის შესაძლებლობას იძლევა. დროის ეს მონაკვეთი სპეციფიკური ნიშნებითა და თავისებურებებით ხასიათდება და საანალიზო პერიოდს (1991-2012 წლები) სამ ეტაპად ყოფს: I ეტაპი მოიცავს 1991-1995 წლებს, II ეტაპი – 1996-2003 წლებს, III ეტაპი – 2004-2012 წლებს, ხოლო IV ეტაპი, ფაქტობრივად, დაიწყო 2013 წლიდან და, ბუნებრივია, გრძელდება დღესაც.

გარდამავალი პერიოდის ძირითადი ტენდენციების გამოვლენისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია თითოეული ეტაპის ცალ-ცალკე გაანალიზება.

I ეტაპი „შოკური თერაპიის“, უფრო ზუსტად, ეკონომიკის შოკირების პერიოდია. იგი „საბაზრო ეიფორიის“, საქართველოს უახლეს ეკონომიკურ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძაფრი წინააღმდეგობებით აღსავსე წლებია. ეს პერიოდი, როგორც ეკონომიკური რეფორმების საწყისი ეტაპი, ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: უპირველეს ყოვლისა, იგი დაკავშირებული იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის უმძიმეს შედეგებთან. კერძოდ, ა).

საქართველო (ისე როგორც ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანა), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისაგან განსხვავებით, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახელმწიფოებრიობის ატრიბუტების არქონის გამო, დადგა ორი ურთულესი ამოცანის წინაშე: „შოკური თერაპიის“ განხორციელებასთან ერთად, პარალელურად უნდა ჩამოეყალიბებინა სახელმწიფო ინსტიტუტები. საქართველოში ამ უკანასკნელის ფაქტობრივი არარსებობა „შოკური თერაპიის“ წარუმატებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ „შოკური თერაპიის“, შეიძლება ითქვას, კლასიკური სქემა — „ბალცეროვიჩის გეგმა“ საქართველოში ბრმა კოპირების შედეგად განხორციელდა როგორც რუსულ „სარკეში“ ამ გეგმის ანარეკლი;[1] ბ). საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ეროვნული ვალუტის არარსებობის გამო, საქართველო, ჯერ კიდევ, სამანეთო ზონაში იყო და მიმოქცევაში უკვე არარსებული საბჭოთა კავშირის ფულადი ერთეული – მანეთი და რუსული რუბლი ჰქონდა, რაც ხელს უშლიდა „შოკური თერაპიის“ სრულყოფილ განხორციელებას. ასეთ ვითარებაში ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული „შოკური თერაპიის“ არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისთვის იყო განწირული.[2]

ჯონ კენეტ გელბრეითის აზრით, რეფორმა იწყება არა ახალი მთავრობით, არამედ ჩვენი შეხედულებებით ეკონომიკურ სისტემაზე.[3] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სიძნელეები დაკავშირებული იყო არა მხოლოდ

1 **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 32.

2 იქვე, გვ. 38.

3 **Гэлбрейт Дж. К.** Экономические теории и цели общества. Перевод с английского. М., "Прогресс", 1979, с. 270.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მძიმე შედეგებთან, არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ სტერეოტიპებთან, რომლებიც დამკვიდრდა საზოგადოების ცნობიერებაში, არამედ ცოდნის მწვავე დეფიციტთანაც. მან განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი სახელმწიფო სტრუქტურებში. **იმდენი არაკვალიფიციური სახელმწიფო მოხელე, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ საბაზრო ეკონომიკაზე, რა ფუნქციებს ასრულებდა საქართველოს ხელისუფლებაში? ეს პერიოდი ნამდვილად არ იყო სავარძელში ნებივრობის დრო![1]** სასაქონლო დეფიციტთან ერთად, აშკარად იგრძნობოდა რეფორმისტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანთა დეფიციტიც. საზოგადოება წააწყდა ბევრ ისეთ პრობლემას, რომლებიც უცხო იყო მისთვის, მაგრამ კარგად ცნობილი დასავლეთის ქვეყნებისათვის. სამამულო ეკონომიკურ მეცნიერებას თავისებური დაღი დაასვა მსოფლიო ეკონომიკური აზროვნებისაგან ფაქტობრივმა მოწყვეტამ, რკინის ფარდის მიღმა საინფორმაციო ვაკუუმში ყოფნამ. ეკონომიკური ქაოსისაგან ორგანიზებული ეკონომიკური სისტემის შექმნა სპეციალურ ცოდნასა და პროფესიონალიზმს საჭიროებდა. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სწრაფ დაუფლებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი, რისთვისაც ამ პერიოდში არ არსებობდა სათანადო პირობები. ცოდნის იმ მარაგით კი, რომელიც ჰქონდა საზოგადოებას, შეუძლებელი და სარისკო საქმე იყო საბაზრო ურთიერთობების რთულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა.

ეკონომიკური რეფორმების წარუმატებელი სტარტის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების გამწვავებაც იყო. სხვადასხვა ჯურის სეპარატიზმმა, შიგა სამოქალაქო და ავტონომიებთან ტერიტორიულმა კონფლიქტებმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ეროვნულ ეკონომიკას. არც ერთ ქვეყანას არ დაუწყია საბა-

1 **ასათიანი რ.** ნაწილობრივ მაინც დავძლიოთ „ინფორმაციული შიმშილი“. „ბანკი“, №6 (30), 1993.

ზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეკონომიკის ისეთი ნგრევის პირობებში, როგორც საქართველოში მოხდა. მარტო აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი 9 მლრდ ლარს აღემატება. ამავე პერიოდში სამეგრელოში საომარი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი 78 მლნ ლარს აღწევს, ხოლო თბილისში – 33 მლნ ლარს.[1]

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო არ თმობდა პოზიციებს, ინარჩუნებდა ტექნოლოგიურად უპერსპექტივო საწარმოებსა და თანამედროვე მოთხოვნების საპირისპირო წარმოების სტრუქტურას, რითაც, შეიძლება ითქვას, აკონსერვებდა ეკონომიკას. ასეთ სიტუაციაში ჰიპერტროფირებული მონოპოლიზმისა და დეფიციტის დაძლევის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დადგა. მაგრამ ამისათვის არც პოლიტიკური ნება იყო და არც ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებაზე აგებული ერთიანი სტრატეგიული პროგრამა, რომელთა არარსებობა კიდევ უფრო ართულებდა ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას. არადა, **ადმინისტრაციული გზით საბაზრო ურთიერთობების ელემენტების შემოღება არ ნიშნავდა ბაზარზე გადასვლას**. პროდუქციის უკიდურესი დეფიციტის პირობებში ფასების ლიბერალიზაცია ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის უკიდურეს ფორმად მოგვევლინა. იგი მძიმე ტვირთად დააწვა საზოგადოებას. აი როგორ შეაფასა ეს მოვლენა ამერიკელმა პროფესორმა ა. ივანოვმა: საბაზრო ეკონომიკისაკენ გზის გაკვლევა სასაქონლო ფარის დეფიციტის პირობებში თვითმკვლელობაა... ეს იგივეა, ავადმყოფს გაუკეთო გულის ოპერაცია ანესთეზიის გარეშე. იგი ხომ ტკივილებისგან შოკში ჩავარდება და საოპერაციო მაგიდაზე დაიღუპება.[2]

საქართველოში, მართალია, რადიკალური რეფორმა ფას-

1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბილისი, 1996, გვ. 41.

2 "Аргументы и факты," № 23, 1991.

წარმოქმნაში 1992 წლის 1 თებერვლიდან განხორციელდა, მაგრამ თავისუფალი ფასები ზოგიერთი სახეობის საქონელზე პირველად შემოღებულ იქნა 1991 წლის გაზაფხულზე. თუ 1991 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 180%-ს შეადგენდა, 1992 წელს ეს მაჩვენებელი 25-ჯერ, 1993 წელს – 92-ჯერ, ხოლო 1994 წელს – 120-ჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა რეგულირებადი სამომხმარებლო ფასებიც. 1992 წელს, 1991 წელთან შედარებით, იგი 10-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც მოსახლეობის ფულადი შემოსავლები მხოლოდ 3,4-ჯერ გადიდდა.[1]

ნიშანდობლივია, რომ ფასების აშვებას საქართველოში არ მოჰყოლია შესაბამისი საბაზრო ქცევა – წარმოებისა და, აქედან გამომდინარე, მიწოდების გაზრდა, პირიქით, ამ პროცესმა უკუპროპორციული გავლენა მოახდინა მასზე. ბაზრის გარეშე საბაზრო ინსტრუმენტების დამანგრეველმა მოქმედებამ წარმოების მკვეთრი შემცირება გამოიწვია, შეიძლება ითქვას, ჩაკლა წარმოება. თუ 1989 წელს წარმოების ვარდნა, წინა წელთან შედარებით, 4,8%-ს შეადგენდა, 1990 წელს მან შეადგინა 12%, 1991 წელს – 20,6, 1992 წელს – 44,8, 1993 წელს – 25,4, 1994 წელს – 11,3%. მკვეთრად შემცირდა მშპ-ის მოცულობა. 1995 წელს მან შეადგინა 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 27,3%. ამრიგად, 1990-1995 წლებში საქართველოს მშპ 3,6-ჯერ და მეტად შემცირდა. ასეთ პირობებში ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებამ (რომელიც არ ჯდებოდა კლასიკურ სქემაში) მთელი ეკონომიკის მოშლა გამოიწვია. ამასთან, გაუარესდა კრიმინალური სიტუაცია, რასაც ეკონომიკის ძარცვა მოჰყვა.[2]

1993 წლის გაზაფხულზე საქართველოში შემოღებულ იქნა ფულადი ერთეულის სუროგატი – კუპონი. ეს მოხდა

1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბილისი, 1996, გვ. 15.

2 **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ. 199.

სრულიად მოუმზადებლად და იძულებითი ნაბიჯიც იყო, ვინაიდან ქვეყანა, შეიძლება ითქვას, დარჩა ფულადი ერთეულის გარეშე რუსეთიდან რუსული ფულის ბანკნოტების მოუწოდებლობის გამო. ეს სუსტი, შეუქცევადი და ჩაკეტილი მიმოქცევის საშუალება იმთავითვე, ფაქტობრივად, ამოვარდნილი იყო ეკონომიკიდან. დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ამ დროს საქართველოში არსებული ნაკლებწარმოების კრიზისის სიღრმე: წარმოების ტემპების სწრაფი დაცემა, სასაქონლო დეფიციტის მკვეთრი გამწვავება და ფულადი მასის დაუსაქონლება, ფასების სწრაფი ზრდა და ინფლაციის მაღალი ტემპი, სახელმწიფო რეგულირების სისუსტე, ფულადი მიმოქცევის უკონტროლობა, საბიუჯეტო დეფიციტის სწრაფი გადიდება, იატაკქვეშა მევახშეობის ფართოდ გაშლა, უმუშევრობის სწრაფი ზრდა, მაფიური კლანების პარპაში, უაღრესად დაბალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური კადრების მკვეთრი დეფიციტი, დათრგუნულ მეწარმეთა მასობრივი ემიგრაცია, ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების გამწვავება, აღრიცხვისა და კონტროლის, საანგარიშგებო დისციპლინის მოშლა, კვაზისაბაზრო სტრუქტურებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბება. ყოველივე ამათ აგვირგვინებდა და მათი ანარეკლი იყო კუპონი, რომელიც, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწრაფად უფასურდებოდა. კუპონის ზღვარსგადასულმა ემისიამ ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა. 1993 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის ტემპი თვეში 60-70%-ს შეადგენდა, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 7587,9%-ს მიაღწია. ეს იყო სამომხმარებლო ფასების ზრდის პიკი. 1993 წლის ბოლოს ჭენებადი ინფლაციური პროცესები ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა.

1993-1994 წლებში ქვეყანას დამტკიცებული ბიუჯეტი არ ჰქონდა. 1994 წლის შემოდგომაზე 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2,5 მლნ კუპონი ღირდა, ხოლო გადასაცვლელი კურსი, ფაქტობრივად, 5,4 მლნ კუპონს აღწევდა. ამავე წელს ინფლაციის დონე 7380%-ს შეადგენდა. მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. საშუალო ხელფასი თვეში

1,5 აშშ დოლარის, ხოლო პენსია – 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო! პარალელურად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იზრდებოდა, ოქროს რეზერვი მცირდებოდა, იმპორტზე ქვეყნის შიგა მოთხოვნა დიდდებოდა, საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურა უარესდებოდა და ა.შ. ამასთან, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული ბანკის კრედიტებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მავნე პრაქტიკას.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა პარალიზებული აღმოჩნდა იმ დამანგრეველი ზემოქმედებით, რომელიც გამოიწვია ომმა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ქვეყანაში გაჩნდა ლტოლვილთა მთელი არმია, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ეკონომიკას. ამასთან, სწრაფად განვითარდა „შავი ბაზარი“, რომელმაც, ფაქტობრივად, იტვირთა მოსახლეობის ბიოლოგიური არსებობის პრობლემის გადაჭრა.

1994 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა. თვისებრივად ახალ დონეზე განახლდა თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. დიდი იყო მათი ფინანსური მხარდაჭერა სტაბილიზაციის პროგრამების მიღებასა და განხორციელებაში. 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მწვავე კრიზისული პროცესების მაჩვენებელთა ზრდის ტემპების შენელება. **1995 წლიდან საქართველოს უკვე ჰქონდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი.**

1994 წლის ბოლოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რამაც შესაძლებელი გახადა ჰიპერინფლაციის მოთოკვა და ობიექტური წინაპირობები შექმნა ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. ამ პერიოდში წლიური ინფლაცია 50%-ს მცირედით აღემატებოდა.

პროფ. ვლადიმერ პაპავა ჯერ კიდევ 1989 წელს წერდა: „საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ეროვნული ქართული ვალუტის გარეშე დღეს ძნელად თუ იქნება ვინმესთვის მისაღები. ეს კი გამოწვეულია არა მარტო ემოციე-

ბით, არამედ იმის რეალური გააზრებითაც, რომ ფული არის ქმედითი საშუალება ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად... მიმოქცევაში უნდა გამოვიდეს საქართველოს საკუთარი ვალუტა – თეთრი".[1]

1995 წლის შემოდგომაზე შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, რომელიც გამოცხადდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად.* დოლართან მიმართებაში მისი გადასაცვლელი კურსი იყო 1 აშშ დოლარი 1,3 ლართან. წარმოების დაცემა, ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა შეჩერდა. ამავე წელს აღინიშნა ნულოვანი ზრდა – 0,4%-ის ფარგლებში.

1995 წლის ბოლოდან საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები მოხდა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური" გზა ლიბერალურ-მონეტარული მოდელით შეიცვალა. ამით საქართველოში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების **II ეტაპი.** მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ეს ორთოდოქსული მიმართულება ამ პერიოდიდან საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ამ მოდელს საოცრად მიესადაგება საქართველოს ეკონომიკაში შემდგომ განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები და პროცესები. კერძოდ, დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარებით, რაც გადასახადების გადიდებაში, საგადასახადო შეღავათების, სახელმწიფო სოციალური ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიებისა და ა.შ. შემცირებაში გამოიხატა. მკაცრ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას მოჰყვა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც, რაც „ძვირი ფულის" პოლიტიკაში აისახა. ეკონომიკის შოკირების დამანგრგველი ეფექტების შემდეგ, რეფორმირების II ეტაპზე „ძვირი ფულის" პოლიტი-

1 **პაპავა ვ.** საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბილისი, „მეცნიერება", 1995, გვ. 58, 60; „კომუნისტი", 24 ოქტომბერი, 1989.

* ამ უაღრესად დიდ ეროვნულ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით იმდროინდელ ეკონომიკის მინისტრს ვლადიმერ პაპავას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილსა და ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს.

კის მულტიპლიკაციური ეფექტის უმთავრესი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით, ინფლაციის მოთოკვა და ლარის კურსის სტაბილიზაცია იყო.

გატარებული ორგანიზაციული და ეკონომიკური ზომების შედეგად დარეგულირდა ინფლაციური პროცესები. 1996 წელს ინფლაციამ 13,5% შეადგინა. ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლის საქმეში წინგადადგმულ ნაბიჯს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმის მიღება წარმოადგენდა. ამასთან, განხორციელდა რიგი ინსტიტუციური ცვლილებებისა.

1996-1997 წლებში საქართველოს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი და ინფლაციის ზომიერი დონე დაფიქსირდა. მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 11%-ით გაიზარდა, მაგრამ რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების უარყოფითი მოქმედების შედეგად 1998 წელს, 1997 წელთან შედარებით, მშპ-ის ზრდის ტემპი 2,9%-ით დაეცა.

საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი პრაქტიკულად 1998 წლის პირველ ნახევარში დაიწყო. „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ წარმოქმნა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, საგადასახადო ბაზის შეკვეცა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და ა.შ. ყოველივე ეს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მკვეთრ შემცირებაში გამოიხატა. მსოფლიოში საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მშპ-ში ექსპორტის წილის მიხედვით, რაც დაახლოებით 3%-ს შეადგენდა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ როდესაც მთავრობამ, ჰიპერინფლაციის დაძლევის შემდეგ, შეინარჩუნა ინფლაციის დათრგუნვის კურსი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა. საგარეო **ვალის გაზრდამ (მისი წილი მშპ-ში 60%-ს აღემატებოდა) საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ დამოკიდებული გახადა მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებზე და, საერთოდ, მსოფლიო ფინანსური ბაზრების კონიუნქტურაზე, რამაც**

ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამასთან, საგარეოს დაემატა ქვეყნის შიგა ვალიც, ამიტომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ძირითადად ვალების გასტუმრებაზე იქნა აგებული. ეს იყო საგარეო ვალის მომსახურება, აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მიმდინარე და ძველი ვალების გასტუმრება. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში საქართველოში პენსიას იღებდა დაახლოებით 900 ათასი ადამიანი. 14-ლარიანი პენსიის დასარიგებლად წლიურად საჭირო იყო 151 200 ათასი ლარი. ამას ემატებოდა 55 მლნ ლარი ლტოლვილთა დასახმარებლად. სულ წლიურად 200 მლნ-ზე მეტი ლარი იყო საჭირო მხოლოდ ამ მუხლით. გარდა ამისა, ამ თანხას ემატებოდა აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასები, საგარეო ვალის მომსახურება. ლარის ხელოვნურმა გამყარებამ და მისი დეფიციტის შექმნამ გამოიწვია დოლარიზაციის სწრაფი ზრდა (დოლარიზაციის დონემ მის ზღვრულ ნორმას – 36%-ს მნიშვნელოვნად გადააჭარბა) და ნეგატიური ტენდენციები წარმოქმნა როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში, რაც უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე. „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ მხოლოდ „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი გამოიწვია და კიდევ უფრო დაამუხრუჭა ეროვნული ეკონომიკის განვითარება. **ჩამოყალიბდა საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, რამაც დასცა ერთობლივი მოთხოვნა და გაამწვავა სოციალური პრობლემები. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია, რის გარეშეც ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური სისტემა პოლიტიკურად ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გახდა.**

ინფლაციის დათრგუნვას უნდა შეექმნა პირობები ეკონომიკაში ინვესტირების გადიდებისათვის, მაგრამ მან მხოლოდ ინფლაციის დამუხრუჭების მოკლევადიანი ეფექტი მოგვცა, ვიდრე ეკონომიკის განვითარება. ამის გამო შეუძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების ხანგრძლივი დროით შეკავება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეროვნული ვალუტისა

და ფასების რეალური სიმყარე დამოკიდებულია არა მთავრობის მონეტარულ მანიპულაციაზე, არამედ ეროვნულ წარმოებაზე. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია: ეკონომიკის კონვერსიის 12-წლიანი რეფორმირების შემდეგ, 1990 წელს წარმოებული მშპ-ის ნახევარსაც კი ვერ ვაწარმოებდით. ამასთან, თუ 1990 წელს საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 655 მლრდ დოლარს შეადგენდა, 2000 წლისათვის იგი 388 მლრდ-მდე შემცირდა, ე.ი. დანაკარგი 40,8%-ს გაუტოლდა[1] (აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ღირებულებამ 2010 წელს უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა არა მარტო 2000 წლის, არამედ 1990 წლის დონესაც და 900 მლრდ დოლარი, ფინანსური კაპიტალის გარეშე, შეადგინა).[2]

ბანკები, ფაქტობრივად, იზოლირებული აღმოჩნდნენ საინვესტიციო საქმიანობისაგან, ვინაიდან მაღალი საპროცენტო განაკვეთი და დაბალი ერთობლივი მოთხოვნა ზღუდავდა მეწარმეობას. ცხოვრების ნორმად იქცა კორუფცია, ფართოდ მოიკიდა ფეხი კონტრაბანდამ, რომელმაც კიდევ უფრო „დააკონსერვა“ ადგილობრივი წარმოება. ჩიხში მოექცა ხელისუფლება, რომელმაც არა თუ ვერ დაიცვა, არამედ ვერც კი შექმნა სრულყოფილი, ქვეყნისადმი მისადაგებული კანონები. კაპიტალმა ეროვნული წარმოების ნაცვლად გეზი საზღვარგარეთისკენ აიღო, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება არ იყო მომგებიანი და საიმედო. მაღალი იყო სამეწარმეო რისკი, პარალიზებული – უნაღდო ანგარიშსწორება. სამაგიეროდ, არნახულ მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ, რომელმაც 60%-ს გადააჭარბა, თუმცა, ზოგიერთ დარგში (მაგალითად, ჯანდაცვაში) 75-85%-საც კი მიაღწია. ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკაში თავი იჩინა დაგვიანების ეფექტმა, გაჩნდა ლაგი. ქვეყანამ მიზნობრივად ვერ გამოიყენა ის შეღავათი-

1 **არჩვაძე ი.** რა ფერისაა მილიარდი? „მერკური“, თბილისი, 2002, გვ. 21.

2 **არჩვაძე ი.** ეროვნული სიმდიდრე. იხ. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“. 2012, გვ. 92.

ანი კრედიტები და გრანტები, რომლებიც თითქმის უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა საქართველოში.

ყოველივე ეს და სხვა ნეგატიური ფაქტორები ხელს უშლიდა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და პროგრესს. ადვილი წარმოსადგენია თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო 12-წლიანი რეფორმის შემდეგ.[1]

ცნობილია, რომ ბიზნესი თავის ამოცანად არ ისახავს ისეთი უნივერსალური ფასეულობების დაცვას, როგორიცაა თავისუფლება, კანონის უზენაესობა და ა.შ. მათ დასაცავად იქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც უსათუოდ გლობალიზაციისგან მიღებული სიკეთეა. საქართველოშიც შეიქმნა ასეთი ინსტიტუტები. დახმარების თვალსაზრისით დიდი იყო ძალისხმევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყანაში არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე ვერ წავიდა წინ. **ამიტომ იმ ერთ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოჰყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით.**[2] აქედან გამომდინარე, კატასტროფულად დაეცა სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებლობა, სახელმწიფო ინტერესები დაექვემდებარა ერთეულთა ინტერესებს. ჩვენ იმ გზას არ დავადექით, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყ-

1 **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2002; **ასათიანი რ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი. „ეკონომიკა“, თსუ შრომები, 2003, №3-4; **ასათიანი რ.** ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4; **ასათიანი რ.** მცდარი მონეტარული პოსტულატები და საქართველო ილუზიების ტყვეობაში. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2004.

2 **ასათიანი რ.** ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2000, №8.

ვანდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში პოზიტიურ ძვრებსაც ჰქონდა ადგილი. გაუმჯობესდა ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელიც, მაგალითად, მშპ-ის მოცულობამ 2003 წელს 1990 წლის დონის 46,8% შეადგინა, ნაცვლად 27,3%-ისა 1995 წელს. ამავე მაჩვენებელმა მოსახლეობის ერთ სულზე, შესაბამისად, შეადგინა 866 აშშ დოლარი, ნაცვლად 614-ისა და ა.შ. მაგრამ ეს, შეიძლება ითქვას, „ზღვაში წვეთი“ იყო და არსებითი გავლენა არ მოუხდენია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტებზე ალაპარაკდა, ეკონომიკური რეფორმების 12 წლისთავზე უმძიმესი იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რეფორმამდელი 1990 წლის დონის მიღწევას, მშპ-ის წარმოების თვალსაზრისით, 1995-2003 წლების საშუალოწლიური ტემპის გათვალისწინებით (სხვა თანაბარ პირობებში), თითქმის 20 წელი დასჭირდებოდა, მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობის აღდგენას – 40 წელი, სოფლის მეურნეობისას – 8 წელი და ა.შ.

ამ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია. არ არსებობდა სათანადო რესურსები ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის. ქვეყანაში საკმაოდ მძიმე საინვესტიციო გარემო შეიქმნა. ინვესტიციების წილი ძირითად კაპიტალში 9,6%-ს შეადგენდა. დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება, რაც მთავარია, ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა, პირიქით, მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში შეიქმნა რევოლუციის ახალი მოდელი, რომელმაც მიიქცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება.

12-წლიანი ფიასკოს შემდეგ, საქართველოში 2004 წლიდან დაიწყო რადიკალური რეფორმების **III ეტაპი,** რომელიც 2012 წლის თითქმის ბოლომდე გაგრძელდა. „ვარდების რევოლუ-

ცია“ გლობალიზაციის თავისებური გამოძახილიც იყო.

ცივილიზებულმა სამყარომ კვლავ მოიხედა საქართველოსკენ. რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვან დახმარებას ითვალისწინებდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საქართველოს ბიზნესკლიმატის რეფორმის“ პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციურ გარდაქმნებზე სოციალურ–ეკონომიკური სფეროს ყველა მიმართულებით, ადმინისტრაციული და საჯარო სამსახურის რეფორმირებაზე, საგადასახადო კოდექსის დახვეწასა და გამარტივებაზე, სასამართლო სისტემის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ფარული ეკონომიკისა და კორუფციის ფართო მასშტაბების ლიკვიდაციის ღონისძიებებზე და ა.შ. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირების ხარჯზე დაძლეულ იქნა 2004 წლამდე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი. ამ თვალსაზრისით, წინ გადაიდგა ნაბიჯები: გამარტივდა ფირმების რეგისტრაციის პროცედურა, 2007 წელს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მიხედვითაც საბაჟო გადასახადების რაოდენობა შემცირდა 16-დან 3-მდე, შეიცვალა საბაჟო ტარიფები, რომლებიც მერყეობდა 1-დან 25%-ის ფარგლებში. 2008 წლის მონაცემებით, იგი შეადგენდა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე – 12%-ს, საამშენებლო მასალებზე – 5%-ს და სხვა საქონელზე – 0%-ს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საბანკო კრედიტების მოზიდვაზე. ოფიციალური მონაცემებით, 2004-2007 წლებში უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადების მოცულობა 4,6-ჯერ გაიზარდა და 2,3 მლრდ დოლარს მიაღწია.[1]

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სწრა-

1 Doing Business. How to Reform. Comparing Regulation in 175 Economies. Washington, DC: The World Bank, 2006, p. 14; http://www.doingbusiness.org/documents/doingbusiness2007_Overview.pdf

ფად იზრდებოდა 2003 წლიდან. სახელდობრ, საქსტატის მონაცემებით, 2003 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 430,1 მლნ დოლარს (მაშინ როდესაც 2000 წელს შეადგინა 131,2 მლნ დოლარი, 2001 წელს – 109,8, ხოლო 2002 წელს – 167,3 მლნ დოლარი), 2004 წელს – 499,1, 2005 წელს – 549,8, 2006 წელს – 1,190, 2007 წელს – 2014,8, 2008 წელს – 1564, 2009 წელს – 658,4, 2010 წელს – 814,5, 2011 წელს – 1117,2 მლნ დოლარს. რაც შეეხება 2012 წელს, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიშის – „2012 წლის მიმოხილვის" – მიხედვით, ამავე წლის შუა პერიოდიდან უცხოურმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად იკლო საქართველოში და წლის ბოლოს, წინა წელთან შედარებით, 252 მლნ დოლარით ნაკლები შეადგინა.[1] მაშინ როდესაც 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 28%-ით შემცირდა, საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი მხოლოდ 18% იყო.* საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: საქართველოში შემოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი ოფშორულ ზონებზე მოდის.** „სპეციალისტთა შეფასებით რუსეთში, საქართველოსა და ყაზახეთში არის ასეთი სქემა: ადგილობრივი პოლიტელიტის მიერ ნაშოვნი ფული ოფშორში მიდ-

1 www.geostat.ge

* პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება აღინიშნა ევროზონის ქვეყნებში, ასევე, აშშ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

** ოფშორული ზონები პოპულარული გახდა გასული საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან. ბიზნესზე საგადასახადო წნეხის გაზრდამ ბიძგი მისცა ოფშორული ზონების ფორმირება-განვითარებას. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული, მაგრამ ეროვნული ეკონომიკისაგან იზოლირებული ეს ინსტიტუტები, რომლებიც სარგებლობენ შეღავათიანი რეჟიმით (მოგების თავისუფალი გატანა ქვეყნიდან, ფირმის რეგისტრაციის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურა, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონე, ფირმის მფლობელთა სრული კონფიდენციალურობა და ა.შ.), მიმზიდველი გახდა მრავალი ქვეყნისთვის. ოფშორული კაპიტალის ბაზარზე ყურადღებას იპყრობს სინგაპური, ჰონკონგი, მონაკო, კაიმანისა და ვირჯინიის კუნძულები, ჩეხეთი და სხვ.

ის და ისევ უკან ამ ქვეყნებში ბრუნდება ინვესტიციის სახით. ეს ქვეყნები, რომლებიც ე.წ. პოლიტბიზნესმენების თავშესაფარია, იმავდროულად მათი ინვესტორებიცაა. საქართველოში ბოლო წლებში ყველაზე დიდი ინვესტიციები შემოვიდა კაიმანის კუნძულებიდან და ჰოლანდიიდან, ასე რომ ჰოლანდიაც სერიოზული ოფშორია".[1] საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტაბილური წყარო არის აგრეთვე თურქეთი, აზერბაიჯანი, გაერთიანებული სამეფო. ჰოლანდიიდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 2011 წელს 250 მლნ დოლარი, ხოლო გაერთიანებული სამეფოდან 59 მლნ დოლარი შეადგინა.[2] ამასთან, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია პრივატიზაციის გზით უძრავი ქონების შეძენაზე.

ბუნებრივია, ეს ნეგატიურად აისახა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და აშკარა დისბალანსი წარმოქმნა ქვეყანაში შემოსულ ფინანსურ რესურსებსა და რეალური სექტორის განვითარებას შორის.[3] ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააშიშვლა ნეკროეკონომიკის პრობლემები,[4] რომლებიც საქართველოში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო.

ამიტომაცაა, რომ საქართველო რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშეა. უპირველეს ყოვლისა, **ვერ მოხერხდა ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, ეკონომიკური ინტერესების შეჯერება, წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, საზოგა-**

1 **ღანიაშვილი მ.** რა კავშირშია ინვესტიციების შემცირება ოფშორების სკანდალთან. „საქართველოს ეკონომიკა", 2013, №11, გვ. 11-12.

2 იქვე.

3 **პაპავა ვ.** თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში. „ეკონომისტი", 2009, №4, გვ. 5-6.

4 **Papava V.** Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism. New York, Universe, 2005.

დოებრივი სექტორის განვითარება და ა.შ. კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. უკიდურესად დაბალი მოთხოვნის პირობებში მწვავეა სოციალური სტრატიფიკაცია, ღრმავდება სოციალური პოლარიზაცია. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო 24-ე ადგილზეა. არსებული პენსია (მიუხედავად მისი ზრდის ტენდენციისა), საარსებო მინიმუმს ფაქტობრივად ვერ ფარავს (რომელიც თავისთავად მიზერული და არარეალურია). მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იზოლირებულია საქმიანი აქტიურობისაგან, მითუმეტეს პრივატიზაციის პროცესებისაგან, რაც განსაკუთრებით რეფორმირების III ეტაპზე ფორსირებული ტემპით მიმდინარეობდა და არ ითვალისწინებდა ქვეყნის თავისებურებებსა და საზოგადოების მოთხოვნებს. ამ პერიოდში სათანადოდ არ იყო დაცული კერძო საკუთრება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბაზრო ურთიერთობების განვითარებას საქართველოში.[1]

სახელისუფლებო წნეხის ქვეშ აღმოჩნდა ოფიციალური სტატისტიკური სამსახური. ხშირად ხდებოდა პოლიტიკური მიზნებისათვის სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირება. არაჯანსაღი სტატისტიკა ხელოვნურად ცვლიდა რეალურ სურათს და ართულებდა სწორი დასკვნების გაკეთებას.

საქართველოში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია განათლების სისტემა, არადა, ინტელექტუალური პოტენციალის სწორად გამოყენებას დიდი უკუგების მიცემა შეუძლია საზოგადოებისათვის. ნიშანდობლივია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაწყებითი განათლების მომცველობის კოეფიციენტი იყო 99, საშუალო განათლებისა – 88, ხოლო უმაღლესი განათლების – 32, მაშინ როდესაც უმაღლესი განათლების მომცველობის კოე-

1 **Papava V.** The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What abaut the European Choice? "Georgian International Journal of Science and Technology." Vol. 1, Issue 1, 2008, pp. 8-9.

ფიციენტი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში 8-26-ის ფარგლებში მერყეობდა.[1]

ადამიანის განვითარების ინდექსის (რომელიც 1990 წელს პირველად აისახა გაეროს განვითარების პროგრამაში, ხოლო 1991 წელს დაემატა განათლების მიღების საშუალო ხანგრძლივობა, რის საფუძველზეც შეიქმნა ცოდნის მაჩვენებელი) მიხედვით, რომელიც მერყეობს 0-დან 100 ქულამდე, რანჟირებულია 188 ქვეყანა. 80 და უფრო მაღალი ქულის მქონე ქვეყნები მიჩნეულია მაღალგანვითარებულად, 50-მდე – დაბალგანვითარებულად. საქართველო იყო საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში 72,9 ქულით. აღნიშნული მაჩვენებლით, მართალია, იგი დარჩა საშუალოგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში, მაგრამ გაუარესდა მისი მდგომარეობა. ამ ინდიკატორის მიხედვით, საქართველომ, რომელიც 2002 წელს 81-ე ადგილზე იყო, 2005 წლის მონაცემებით, 96-ე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა 2012 წელს 72-ე ადგილზე აღმოჩნდა.[2]

საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც ევროკავშირს, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს განათლების წილით მშპ-სა და სახელმწიფო ბიუჯეტში. ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, 2010 წლის მონაცენებით, საქართველოში განათლების წილი მშპ-ში 2,5-დან 3-ჯერ, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში 2-2,5-ჯერ ნაკლებია. პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ეს მაჩვენებლები საქართველოში, შესაბამისად, 1,3-დან 2,5-ჯერ და 1,5-დან 2-ჯერ ნაკლებია.[3]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 2003-2005 წლებში რეალური მშპ-ის ზრდის წლიური საშუალო ტემპი 9% იყო, ხოლო 2005–2007 წლებში

1 World Bank. Historically Planned Economics: A Guide to the Data. Washington, D.C. 1992.

2 Statistics of the Human Development Raport - 2008; http://hdr.undp.org/en/statistics

3 UNDP-ს (გაეროს განვითარების პროგრამა) მიერ მომზადებული ანგარიში: Human Development Report-2010. New York, 2010; http://stats.uis.unesco.org/unesco/TableViewer/tableView.aspx?ReportId=172

10%-ს გადააჭარბა,[1] ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა 1990 წლის დონის მიღწევა. მსოფლიო ბანკისა და სსფ-ის ექსპერტული შეფასებით, საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოში რეალური მშპ (მშპ-ის დეფლატორის – ფასების ჯაჭვური ინდექსის მეთოდით) შეადგენდა 1990 წლის დონის მხოლოდ 71,1%-ს, მაშინ როდესაც ეს ბარიერი დაძლია აზერბაიჯანმა (192,8%), სომხეთმა (171,6%), ლატვიამ (140,9%), ესტონეთმა (172,7%), ლიტვამ (129,7%), თურქმენეთმა (218,1%), უზბეკეთმა (157,3%), ყაზახეთმა (143,3%), ტაჯიკეთმა (138,5%), ბელორუსმა (152,7%), რუსეთმა (112,3%). აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საქართველოში ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 84,1% შეადგინა, ხოლო 2012 წელს – 89,3%.*

საინტერესოა, როგორ შეფასებას აძლევდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2008 წელს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს: მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა „საქმიანი გარემო“, ჯერ კიდევ, ირღვევა კონტრაქტები, სუსტია სასამართლო სისტემა და ღრმა კორუფციისაგან ქვეყანამ თავი ვერ დააღწია.[2]

საქართველოში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ქვეყანა ტოტალური უმუშევრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. შემცირდა ეკონომიკური აქტიურობა, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დასაქმებაც. უმუშევრობის ოფიციალურმა დონემ უკანასკნელ წლებში 15%-ს გადააჭარბა. ამასთან, სხვადასხვა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური სოციოლოგიური გამოკვლევებით მოსახლეობის 70%-ზე მეტი უმუშევრად მიიჩნევს თავს. ეს აიხსნება იმ მარტივი მიზეზით, რომ სამ-

1 „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 7.

* გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში (წინასწარი შეფასებით) 2013 წელს მშპ-ის ზრდის ტემპი 3,1% იყო, რეალურმა მშპ-მა შეადგინა 1990 წლის დონის 92,1%. ასე, რომ ბარიერი ჯერ კიდევ მაინც არ არის გადალახული, მაგრამ ნელ-ნელა ვუახლოვდებით ამ, ჩვენი აზრით, სამარცხვინო ნიშნულს. www.geostat.ge

2 Georgia: Selected Issues//TNF Country Report 06/170. May, 2008, pp. 23-28.

უშაო ძალის 55% თვითდასაქმებულია, საიდანაც მიღებული შემოსავალი იმდენად მიზერულია, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი დასაქმებულად ვერ აღიქვამს თავს. ამასთან, აქედან 80% აგრარულ სექტორშია თვითდასაქმებული.

საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მან თავი ვერ დააღწია უარყოფით საგადასახდელო ბალანსს. სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ 2012 წელს 5465 მლრდ დოლარი შეადგინა.

საქართველოში პრიორიტეტული უნდა გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა, ხოლო, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის იმპორტთან შედარებით, უპირატესობა ტექნოლოგიურ იმპორტსა და ლიზინგის განვითარებას უნდა მიენიჭოს.

დემოკრატიული საზოგადოება დაფუძნებულია კანონის ბატონობაზე, რომლის დეფიციტიც საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე აშკარად იგრძნობა.

დღეს, როდესაც მსოფლიომ გეზი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ აიღო, მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევა (ანუ ის, რომ იგი სოციალურად ასატანი იყოს) ამ მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია.

ეკონომიკის რეფორმირების **IV ეტაპზე** ახალმა ხელისუფლებამ ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. სამთავრობო პროგრამაში – „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ – ჩამოყალიბებულია მთავრობის პრიორიტეტები, თუმცა, დოკუმენტს რამდენადმე აკლია კონკრეტულობა, ზოგადია დასახული ამოცანების განხორციელების ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული ხედვა და ინიციატივები.[1] ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

1 საქართველოს მთავრობა. სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“. http://goverment.gov.ge/files/68_35092_403443_programa.pdf

III თავი

ინსტიტუციური რეფორმები – ეკონომიკის კონვერსიის სტრატეგიული მიმართულება

III.1. ქართული სახელმწიფოს ახალ ინსტიტუციურ ყაიდაზე მოწყობის აუცილებლობა

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის არსის გარკვევის ერთ-ერთი ქმედითი მიდგომა ინსტიტუციური ანალიზია.[1] ჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება ეკონომიკური განვითარების საწინდარია. ეკონომიკის რეალური ტრანსფორმაცია სწორედ ამით იწყება და მის სწორ წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა პერიოდმა საქართველოში თვისებრივად ახალი ინსტიტუტების შექმნა მოითხოვა, რომელთა ერთი ნაწილი არსებული ინსტიტუტების ტრანსფორმაციის, ხოლო მეორე ნაწილი მათი რღვევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ეს ურთულესი პროცესი კონცეპტუალურ, სისტემურ მიდგომას მოითხოვდა და ისეთი ფასეულობები წამოსწია წინა პლანზე, როგორიცაა სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, ქცევის კულტურა, რაციონალიზმი აზროვნებასა და ქმედებაში და ა.შ. ქართული სახელმწიფოს ინსტიტუციურ მოწყობაში გარდამავალი პერიოდის საწყის

1 **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 47.

ეტაპზე მათ გაცილებით დიდი როლი ენიჭებოდათ, ვიდრე არსებულ მატერიალურ რესურსებს. შერეული ეკონომიკის ფორმირება, ფასებთან ერთად, მთელი სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციას მოითხოვდა, რაც, თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებდა ეკონომიკის დემონოპოლიზაციის განხორციელებასა და ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობას, საკუთრების დემოკრატიზაციისა და პლურალიზმის დამკვიდრებას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, გარე სამყაროსთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების ფართოდ გაშლასა და ა.შ.

ამის პარალელურად, თანამედროვე მსოფლიოში გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესი, თავის მხრივ, ჩაკეტილიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლას განაპირობებს, რაც, ბუნებრივია, შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმების გარეშე შეუძლებელია.

ინსტიტუციური რეფორმების ეს მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი პროცესი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის მაკროდონეზე გაანალიზებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის პირველსავე წლებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელთაგან ერთი ემყარებოდა **შეუზღუდავი ინდივიდუალიზმისა და მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლების**, ხოლო მეორე – **ეკონომიკური წესრიგისა და ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტებს** (აღსანიშნავია, რომ ასეთი დაპირისპირება განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს განვითარებად ქვეყნებში).

პირველი პოზიციის ამოსავალი პრინციპი – კერძო ინტერესების გაძლიერება და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია სათავეს, ჯერ კიდევ, ა. სმითიდან და თავისუფალი კონკურენციის ეპოქიდან იღებს. მისი ამოსავალი პრინციპია ეკონომიკურ ურთიერთობებში ინდივიდუალური სამეწარმეო ინტერესების, როგორც განვითარების მამოძრავებელი ძალის, გაძლიერება და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია. ამ შემთხვევაში შედეგიანო-

ბის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი წესი: ის, რაც ხელსაყრელია ეკონომიკური სუბიექტისთვის (ფირმისთვის, ინდივიდისთვის) ავტომატურად ხელსაყრელია მთელი ქვეყნისთვის (მაკროსისტემისთვის). ასეთი მიდგომა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თითქმის 160 წელი არსებობდა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და განვლო გრძელი, ამასთან, წინააღმდეგობებით სავსე გზა.

მეორე პოზიცია, რომელიც უპირატესობას ეკონომიკური წესრიგისა და ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტს ანიჭებს, აქცენტს მაკროსისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობაზე აკეთებს და, გარკვეული თვალსაზრისით, შეუზღუდავი ინდივიდუალიზმის იგნორირებას ახდენს.

როგორც მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს, შეუზღუდავი ინდივიდუალიზმი ეკონომიკაში ადრე თუ გვიან მაკროსისტემის კრიზისს იწვევს. ამასთან, ეს პრინციპი არაადეკვატურია საბაზრო ეკონომიკისთვის, რომელიც თავისი არსითა და ბუნებით განსხვავდება, ფაქტობრივად, XX საუკუნის 40-იან წლებამდე დამკვიდრებული კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემისაგან.

თანამედროვე პირობებში მდგრადი და ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგიის ამოცანების შემუშავებასა და გადაწყვეტაში ყურადღება ეკონომიკურ წესრიგსა და ეკონომიკურ ზრდაზეა გამახვილებული. **ინსტიტუციური რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების ეს მიმართულება განსაკუთრებით გასათვალისწინებელი იყო საქართველოსთვის ძველის ნანგრევებზე ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის დასაწყისშივე.** იგი აქტუალურია დღესაც. ეკონომიკური ზრდის მოთხოვნებისა და, პირველ რიგში, ფისკალური სტიმულირების აუცილებლობის უგულვებელყოფამ, ამ სფეროში საერთაშორისო აპრობირებული პრაქტიკის იგნორირებამ და, საერთოდ, ეკონომიკური რეფორმების არასწორად წარმართვამ, ეკონომიკური აქტიურობის მკვეთრ შენელებასთან ერთად, ეკონომიკური ზრდის რეცესიაში გადაზრდის

რეალური საფრთხე შექმნა.[1]

ასე რომ, ქართული სახელმწიფოს ახალ ინსტიტუციურ ყაიდაზე მოწყობა გარდაუვალი იყო და მისი აუცილებლობა სადავოდ არ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ როგორ უნდა განხორციელებულიყო იგი, ბევრ კითხვას ბადებდა. ინსტიტუციური რეფორმების გატარების პროცესში დაშვებული იქნა უხეში შეცდომები, რომელთა შესახებაც მომდევნო თავებში იქნება მსჯელობა.

III.2. ინსტიტუციური რეფორმების მიმართულებები

ინსტიტუციური გარდაქმნების, როგორც პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის თანმხლები პროცესის, ძირითადი მიმართულებები თვით ეკონომიკური რეფორმების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარეობს და საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპებითაა განპირობებული. ახალ ინსტიტუტებს საქართველოში უნდა უზრუნველეყოთ საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ჯანსაღი, სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე, უპირველესი პრიორიტეტი **რეფორმის საკანონმდებლო-სამართლებრივ უზრუნველყოფას ენიჭებოდა**, რომელიც, თავის მხრივ, ახალი ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციურ უზრუნველყოფასა და შესაბამის კანონთა სისტემის შექმნას გულისხმობდა. ინსტიტუციური რეფორმების შემდეგი ძირითადი მიმართულებები იყო **ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და მათი ფუნქციების ტრანსფორმაცია, სახელმწიფო მმართველობის რადიკალური შეცვლა და საბაზრო პრინციპებთან მისადაგება, სახელმწიფოს მართვის ახალი სტრუქტურების (სასამართლო სისტემა, ანტიმონოპოლიური სამსახური, ბუნებრივი მონოპოლიების**

[1] **კაკულია მ.** ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში: პოლიტეკონომიური ასპექტი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2013, №9, გვ. 13.

მარეგულირებელი კომისიები, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, გარემოს დაცვის სტრუქტურა და სხვ.) ჩამოყალიბება და სხვ.

ინსტიტუციური რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე **საკუთრების განსახელმწიფოებრივება,** რასაც თან ახლავს კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება და მეწარმეობის განვითარება, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობა, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება და ა.შ.

ინსტიტუციური რეფორმების შემადგენელი ნაწილია **საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება**. საბაზრო ურთიერთობების რთული სისტემა მოითხოვს მის შესაბამის ინფრასტრუქტურას. მასში შედის ცალკეული ბაზრების ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები: საქონლისა და საფონდო ბირჟები, საფინანსო-საგადასახადო სისტემის შესაბამისი ინსტიტუტები, ბანკები, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიები, პროფკავშირთა და პენსიონერთა ფონდები და ა.შ.

საბაზრო ურთიერთობების რთული სისტემის ფასეულობების დამკვიდრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში პოლიტიკური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, ისეთი სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელებას, რომელიც განაპირობებს ადამიანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ თავისუფლებას, სოციალური პროგრამების შემუშავების აუცილებლობასა და ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მიცემას, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას, პოლიტიკურად და ეკონომიკურად სამართლიანი ქვეყნის იმიჯის შექმნით ახალ მსოფლიო წესრიგში სათანადო ადგილის დამკვიდრებასა და ა.შ.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკა არ წარმოადგენს ეკონომიკას წესების გარეშე. ამ წესების დაცვა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელმაც მიზნად ასეთი

ეკონომიკის შექმნა დაისახა. ამიტომ, ბუნებრივია, **ურთულესი ამოცანების წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური პროცესების ფონზე, მის კვალდაკვალ დაიწყო ეკონომიკის კონვერსია.**

III.3. საკუთრების განსახელმწიფოებრივება როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების საფუძველი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უპირველეს ამოცანად საკუთრების განსახელმწიფოებრივება იქნა აღიარებული. ეს პროცესი, როგორც საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრების გარანტი, ინსტიტუციური რეფორმების, შეიძლება ითქვას, ათვლის წერტილადაა მიჩნეული. თავის მხრივ, იგი, ქვეყნის პოლიტიკურ მექანიზმებთან ერთად, როგორც მეწარმეობის განვითარების, კონკურენციული გარემოს შექმნისა და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის საწინდარი, ეკონომიკური საქმიანობის ყველა მხარისა და წესის რადიკალურ შეცვლას მოითხოვდა.

საკუთრების განსახელმწიფოებრივების მიზანია წარმოების საშუალებებისა და წარმოების შედეგებისაგან უშუალო მწარმოებელთა გაუცხოვების მოსპობა, მეურნეობის აგენტებსა და მათი საქმიანობის შედეგებს შორის დაკარგული კავშირურთიერთობების აღდგენა, ბაზრის პოზიტიური შესაძლებლობების აქტივიზაცია და ა.შ. საკუთრების განსახელმწიფოებრივება, როგორც წესი, ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას, უყაირათიანობისა და კორუფციის დაძლევას. მას ახალი ეკონომიკური სტიმულები შეაქვს შრომით საქმიანობაში, ფართო გასაქანს აძლევს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებსა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. ასეთ პირობებში არსებითად იცვლება სახელმწიფოს როლი: იგი

გვევლინება არა მხოლოდ როგორც მესაკუთრე და მეურნეობრივი სუბიექტი, არამედ როგორც ეკონომიკის რეგულატორი.

საკუთრების განსახელმწიფოებრივების შედეგად წარმოიქმნება თავისუფალი მეწარმეები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ ინდივიდუალური მეწარმეების, უმცირესი, მცირე, საშუალო ან მსხვილი ფირმების სახით. ორგანიზაციულ ფორმებს აქ არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია დაცული იქნეს შემდეგი მოთხოვნები: ა). მეურნეობრივი დამოუკიდებლობის მოპოვება, რომელიც შეხამებული იქნება ბაზრის მოთხოვნებთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლად სამოქმედო პროგრამის განსაზღვრას, მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ფასების ფორმირებას, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების თავისუფალ არჩევანს, სავალდებულო გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლების დამოუკიდებლად გამგებლობას და ა.შ.; ბ). საბოლოო შედეგებისათვის ეკონომიკური პასუხისმგებლობის გაძლიერება. რაც უფრო სრულყოფილად იქნება დაცული ეს პირობები, მით უფრო მეტია საბაზრო მექანიზმის მეშვეობით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობები.

საკუთრების განსახელმწიფოებრივება, რომელიც გულისხმობს საწარმოთა გამოყვანას მმართველობის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან და მათ გარდაქმნას კერძო საწარმოებად, აქციონერულ საზოგადოებებად, ამხანაგობებად, კოოპერატივებად და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად, შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ძირითადია სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, აქციონირება, არენდით გადაცემა და ა.შ.

ეკონომიკის რეგულირების პროცესების სწრაფი განვითარება და სახელმწიფო საწარმოთა განსახელმწიფოებრივება, მათ შორის – პრივატიზაცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის განსაკუთრებით 80-იანი წლებიდანაა დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში, აშშ-საგან განსხ-

ვავებით, სადაც სახელმწიფო სექტორის წილი მცირეა, დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო სექტორის შენარჩუნებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის ძირითად კაპიტალში სახელმწიფო საკუთრების წილი დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. ამასთან, სახელმწიფო მეწარმეობა გააქტიურებულია სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებში, განსაკუთრებით ჯანდაცვაში, განათლებასა და კულტურაში. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის კავშირგაბმულობასა და ინფორმაციის ეროვნულ სისტემაზე, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ზოგიერთ სახეობაზე, ბუნების დაცვის ინსტიტუტებზე, საპოლიციო და სახანძრო სამსახურზე, პენიტენციურ დაწესებულებებზე, აგრეთვე სამხედრო წარმოებაზე, თავდაცვისა და უშიშროებასთან დაკავშირებულ საწარმოებზე და ა.შ. ისინი ფუნქციონირებენ სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი კონტროლით და ფაქტობრივად გამოცალკევებულნი არიან საბაზრო ურთიერთობების სფეროდან.

საფრანგეთში სახელმწიფო საწარმოებს განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ძვირადღირებული, მაღალტექნოლოგიური პროგრამების რეალიზაციაში. დიდია სახელმწიფო მეწარმეობის როლი ატომურ ენერგეტიკაში, მაღალი სიჩქარის მატარებლების წარმოებაში, „აერობუსის“, „ევრიკისა“ და „არიანის“ პროგრამების განხორციელებაში. ასევე არ მომხდარა ავიასატრანსპორტო და ავიაკოსმოსური დარგების პრივატიზაცია.

გაერთიანებულ სამეფოში პრივატიზაციის პოლიტიკამ, რომელიც „ტეტჩერიზმის“ სახელით არის ცნობილი, მკაცრი ფორმა მიიღო. მას, როგორც სახელმწიფო მეწარმეობის შემცირების მიზანდასახულ ღონისძიებათა სისტემას, ფართო სარბიელი მიეცა მ. ტეტჩერის კონსერვატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში, ხოლო შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში, გფრ-ში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. განვითარება პოვა სახელმწიფო საკუთრების როგორც სრულმა, ისე ნაწილობრივმა გამოსყიდვამ, შერეული (სახელმ-

წიფო-კერძო) საწარმოების შექმნამ, რამაც დამატებითი იმპულსი მისცა საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

აშშ-ში შეიმჩნევა სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის შედარებით სუსტი ტალღა, რაც აიხსნება არა მარტო იმით, რომ ევროპული საზომის მიხედვით, სახელმწიფო მეწარმეობის სექტორის მასშტაბი ამ ქვეყანაში უმნიშვნელოა, არამედ იმითაც, რომ ბევრი საწარმო, რომელიც ეკონომიკური აუცილებლობის გამო შენარჩუნებულია სახელმწიფო საკუთრებაში, მიმზიდველი არ არის კერძო ბიზნესისათვის.

ამრიგად, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, **საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის არ არის აუცილებელი და ზოგ შემთხვევაში მიზანშეუწონელიცაა სახელმწიფო საკუთების სრული ტრანსფორმაცია.** აუცილებელია წარმოიქმნას საბაზრო ურთიერთობების სრულფასოვანი სუბიექტების საკმაო რაოდენობა, რომელთაც ექნებათ საბაზრო გარემოს ფორმირების შესაძლებლობა.

III.4. საკუთრების განსახელმწიფოებრივების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში

როგორ უნდა მომხდარიყო საქართველოში საკუთრების განსახელმწიფოებრივება? ერთი შეხედვით პრობლემა არც ისე რთული იყო და შეიძლებოდა მისი ადვილად გადაჭრა საწარმოების საუწყებო, მმართველობის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან გამოყვანით და მათი გარდაქმნით კერძო საწარმოებად, აქციონერულ საზოგადოებებად, ამხანაგობებად და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ამ მოულოდნელ პროცესებს და ამიტომ ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გარდამავალი პერიოდი მეტად მტკივნეულად წარიმართა. ღრმა პოლიტი-

კურმა კრიზისმა თავისი დაღი დაასვა ეკონომიკასაც. ჯერ კიდევ, 1989-1990 წლებიდან საქართველოს ეკონომიკამ უდიდესი ვარდნა განიცადა, რაც გამოწვეული იყო როგორც შიდა, ისე გარე ნეგატიური ფაქტორებით. თუ 1989 წელს წარმოების ვარდნა 4,8%-ს შეადგენდა, 1990 წელს მან 12,4%-ს მიაღწია. მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა ეს პროცესი: 1991 წელს 20,6% შეადგინა, 1992 წელს – 44,8%, თუმცა, 1993 წლიდან იწყო კლება, ამ წელს იყო 25,4%, 1994 წელს – 11,3%, ხოლო 1995 წელს – 5%.[1]

სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების მკვეთრად გამწვავების ფონზე საქართველოს უხდებოდა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი უპრეცედენტო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებული იყო მრავალ სირთულესთან და რომლის ანალოგიც არ მოიძებნება მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. სახელდობრ, **პირველი**, უნდა მომხდარიყო განსახელმწიფოებრივება ძირითადად იმისა, რაც არასდროს ყოფილა კერძო საკუთრებაში და თავიდანვე შეიქმნა სახელმწიფო საკუთრების სახით; **მეორე**, განსახელმწიფოებული ქონება უნდა გადასცემოდა ისეთ საზოგადოებას, რომელიც არასდროს ყოფილა კერძო მესაკუთრე და რომელსაც არ ჰქონდა კერძო მეწარმეობის გამოცდილება და ჩვევები; **მესამე**, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკუთრება, რომელიც განსახელმწიფოებრივებას ექვემდებარებოდა, შეადგენდა ეროვნული სიმდიდრის სოლიდურ ნაწილს, რომლის ღირებულება, მიწის, მისი წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ჩათვლით, უზარმაზარია, ადვილი წარმოსადგენია ამ პროცესის სირთულეები და მასშტაბურობა.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულ იქნა პრივატიზაციაზე, როგორც განსახელმწიფოებრივების ერთ-ერთ ძირითად ფორმაზე. იგი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უდიდესი პოლიტიკური აქტია, რომლის განხორციელება დი-

1 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალები.

დად განსაზღვრავდა საქართველოში მკვდარი წერტილიდან ეკონომიკური რეფორმების დაძვრას. პრივატიზაცია ხომ სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნაა პერსონიფიცირებულ კერძო საკუთრებად, რომლის დროსაც ქონების მფლობელი კონკრეტული პირი ხდება.

საქართველოში იმთავითვე დაიწყო მწვავე დისკუსია საკუთრების განსახელმწიფოებრივების ფორმებისა და მეთოდების შესახებ. ამასთან, თვით პრივატიზაციის აქტიურ მომხრეებს შორისაც არ იყო აზრთა ერთიანობა მისი გატარების გზებისა და ვადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკური ლიტერატურაში არსებული მრავალი წინადადების განზოგადებით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სამი ძირითადი, ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული ვარიანტი: **პირველი ვარიანტის** მიხედვით სახელმწიფო საკუთრება უსასყიდლოდ და თანაბრად უნდა გადასცემოდა საზოგადოების ყველა წევრს ან იმ მუშაკებს, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების (რეალური სფეროს) საწარმოებში; **მეორე ვარიანტი** ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების მასობრივ გაყიდვას, ხოლო **მესამე ვარიანტი** – სახელმწიფო ჰოლდინგების ანუ ისეთი სპეციალური სახელმწფოებრივი ორგანიზაციების შექმნას, რომელთა განკარგულებაში იქნებოდა პრივატიზებულ საწარმოთა აქციების საკონტროლო პაკეტი, ხოლო მათ ფარგლებში საწარმოები აქციების ჯვარედინი მფლობელები გახდებოდნენ.

უსასყიდლო პრივატიზაციის განხორციელება ყველაზე მარტივი გზაა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა საკმაოდ სწრაფად გაგვეხორციელებინა საკუთრების განსახელმწიფოებრივება, მაგრამ რამდენად სწორი იყო იგი? ამ ვარიანტის მომხრენი ეყრდნობოდნენ იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს ხელთ არსებული წარმოებრივი და არაწარმოებრივი ფონდები (საბჭოური კლასიფიკაციით) მთელი საზოგადოების მიერ არის შექმნილი და ამდენად მის თითოეულ წევრს ეკუთვნის შესაბამისი წილი პრივატიზებული სახელ-

მწიფო ქონებიდან; ამასთან, ამჟამად არსებული სახელმწიფო საკუთრება საარვისოა და, აქედან გამომდინარე, შეიძლება მისი დაყოფა, მითვისება და ა.შ.

აღნიშნული პრობლემა სერიოზულ მიდგომას მოითხოვდა. რამდენად სწორი იქნებოდა საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და მილიონთა სიცოცხლის ფასად დაცული ეროვნული სიმდიდრის ასეთი დენაციონალიზაცია? ამასთან, პიროვნება, რომელიც ყოველგვარი შრომის გარეშე მიიღებდა სახელმწიფო ქონების წილს და გადაიქცეოდა, შეიძლება ითქვას, ნომინალურ მესაკუთრედ, როგორ გამოიყენებდა მას და რა წვლილს შეიტანდა წარმოების პროცესში? სახელმწიფო საკუთრების ასეთი განაწილების გამო მომავალი თაობა ხომ არ დააყენებდა მისი რევოლუციის გზით ხელახალი გადანაწილების საკითხს?

პრივატიზაციის ასეთი გზის ნაკლი კიდევ უფრო დიდია სახელმწიფო საწარმოების მათში დასაქმებულთათვის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში. ასეთი „უზურპატორული“ ღონისძიება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა მასწავლებლებს, ექიმებს და, საერთოდ, იმ მუშაკებს, რომლებიც არ მუშაობდნენ მატერიალური წარმოების სფეროში, აგრეთვე პენსიონერებს, სტუდენტებს და ა.შ. ისინი (საქართველოში მათი რიცხოვნება იმ პერიოდში დასაქმებულთა დაახლოებით 31%-ს შეადგენდა) სახელმწიფო ქონების არავითარ წილს არ მიიღებდნენ, დარჩებოდნენ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე და, ფაქტობრივად, განცალკევებულნი და გაუცხოებულნი საკუთრებისაგან.

სახელმწიფო საწარმოს კოლექტივის ამ საწარმოს კაპიტალის მესაკუთრედ გამოცხადება გამოიწვევდა აგრეთვე სოციალური სამართლიანობის დარღვევასა და უმართებულო ქონებრივ დიფერენციაციას. ეს პროცესი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და კიდევ უფრო გაღრმავდებოდა. მოსახლეობის ერთი ნაწილი მემკვიდრეობით მიიღებდა საკუთრებას, ხოლო მეორე – მოკლებული იქნებოდა საარსებო საშუალებებს. ამასთან, საკუთრების საგრძნობლად გან-

სხვავებული წილი შეხვდებოდათ მატერიალური წარმოების სხვადასხვა დარგის მუშაკებს. მაგალითად, საქართველოს მრეწველობაში 80-იანი წლების ბოლოს კაპიტალშეიარაღება დარგობრივ ჭრილში ერთ მომუშავეზე მერყეობდა 7,6 ათასი მანეთიდან (მსუბუქ მრეწველობაში) 215,7 ათას მანეთამდე (ელექტროენერგეტიკაში), ე.ი. ეს თანაფარდობა დაახლოებით 1 : 28-თან იყო.[1] ეს სხვაობა, ტექნიკური აღჭურვილობის დონეში დიდ განსხვავებასთან ერთად, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო ცალკეული საწარმოების მიხედვით. კარგად აღჭურვილი საწარმოს მუშაკები უფრო მეტი საკუთრების მფლობელნი აღმოჩნდებოდნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ მოძველებულ, არარენტაბელურ საწარმოებში.

ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო საკუთრების უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში მოქალაქეებს (ბავშვებისა და პენსიონერების ჩათვლით) მათ წილ საკუთრებაზე უნდა მიეღოთ დოკუმენტი სერტიფიკატის, აქციის, თამასუქის და ა.შ. სახით.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფასიანი ქაღალდი, რომელიც მისი მფლობელისათვის წარმოადგენს მოწმობას საკუთრების კუთვნილ წილზე დივიდენდის, სარგებლის, ან შემოსავლის სხვა ფორმის მიღების უფლების შესახებ, არ უნდა მომხდარიყო მისი გაყიდვა, მემკვიდრეობით გადაცემა, გაჩუქება და ა.შ. ამასთან, მის მფლობელს უნდა აკრძალოდა ამ წილის მატერიალური ან ფულადი რესურსების სახით მიღების უფლება.

ავტორთა მეორე ჯგუფის შეხედულებით, ფასიანი ქაღალდების მფლობელს უნდა მინიჭებოდა მესაკუთრის ყველა უფლება: ყიდვის, გაცვლის, გაჩუქების, ახალ საქმეში

1 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალები.

დაბანდებისა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების მოქმედების სფერო არ იზღუდება და ისინი ასრულებენ საფონდო საქონლის, ფულადი კაპიტალისა და გადახდის საშუალების ფუნქციებს. ამასთან, ფულად კაპიტალად გადაქცევის შემთხვევაში მათ შეუძლიათ შეასრულონ საინვესტიციო რესურსების როლიც.

ისმის კითხვა: ვინ და რა წყაროებით გადაიხდიდა დივიდენდს ან სარგებელს ფასიან ქაღალდებზე? ძირითადად არსებობს ორი ვარიანტი:

პირველი, თუ სახელმწიფო იკისრებდა ამ ფუნქციას, მაშინ ძალიან კარგი ფინანსური მდგომარეობის პირობებშიც კი გაუჭირდებოდა მისი შესრულება (მის საგარეო თუ საშინაო ვალებს ესეც დაემატებოდა). მაგრამ, დავუშვათ, რომ სახელმწიფომ შეასრულა, შეიძლება ითქვას, ასეთი მევალის ფუნქცია და ფასიანი ქაღალდების მფლობელებს გადაუხადა დივიდენდი, მაშინ იგი უკან დაიბრუნებდა მესაკუთრის როლს, ხოლო ფასიანი ქაღალდების მფლობელები, თავიანთი საკუთრების იურიდიული და ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის მიზნით, იძულებულნი იქნებოდნენ ისევ დაემყარებინათ ურთიერთობა სახელმწიფოსთან. საბოლოო ანგარიშით, ეს ნიშნავდა იმას, რომ განსახელმწიფოებრივება არ მომხდარა ან მოხდა ფორმალურად;

მეორე, თუ სახელმწიფო საკუთრება გადავიდოდა საწარმოს მუშაკთა საკუთრებაში და ამის საფუძველზე ჩამოყალიბდებოდა აქციონერული საზოგადოება, მაშინ, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი გადაიხდიდა დივიდენდს იმ შემოსავლიდან, რომელსაც გამოიმუშავებდა თვით „შრომითი კოლექტივი.“ განსახელმწიფოებრივების ასეთი ვარიანტი გამოიწვევდა არა მხოლოდ საკუთრების, არამედ მისგან მიღებული შემოსავლების უსამართლო განაწილებას. ბუნებრივია, ელექტროენერგეტიკაში მომუშავე, საკუთრების კუთვნილ წილზე საშუალოდ თანაბარი სარგებლის პირობებში, მიიღებდა გაცილებით მეტ შემოსავალს, ვიდრე მსუბუქ მრეწველობაში დასაქმებული.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოსახლეობაზე უსასყიდლოდ გაცემულ აქციებზე ან სხვა დოკუმენტებზე დივიდენდის გადახდა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სოციალური დაცვის თავისებური ფორმა, მაგრამ შრომის სტიმულების შესუსტება, ფულადი მიმოქცევის გაუარესება და სხვა შედეგები, რაც თან სდევს მას, საკმაოდ დიდი ფასია ამ დაცვისათვის. ამასთან, განსახელმწიფოებრივების ასეთი მეთოდი, რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, კონტროლის ნაკლებეფექტიანი გზაა. მოცემული საწარმოს რამდენიმე აქციის მფლობელი, რომელიც არ მუშაობს ამ საწარმოში, საეჭვოა, რომ შეაწუხოს ამ აქციების ბედმა. ამასთან, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკუთრების ძალზე დაქუცმაცება ასუსტებს მესაკუთრეთა კონტროლს საწარმოს საქმიანობასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, თუმცა, ეს პრობლემა შეიძლება გადაჭრილიყო ჰოლდინგების შექმნით.

რაც შეეხება განსახელმწიფოებრივების მეორე ალტერნატიულ ვარიანტს – სახელმწიფო ქონების მასობრივ გაყიდვას – მასზე ორიენტაცია არარეალური იყო, ვინაიდან დაბალი ცხოვრების დონის პირობებში შეუძლებელია მასობრივი გაყიდვა მცირე საწარმოებისაც კი. მოსახლეობა და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას საკუთარი სახსრებით შეეძინათ სახელმწიფო საწარმოთა კაპიტალი. ამიტომ ეს პროცესი შეიძლება გაგრძელებულიყო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გასათვალისწინებელი იყო აგრეთვე მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფულად დანაზოგებში არსებითი განსხვავება, მნიშვნელოვანი უკანონო სახსრების არსებობა და სხვ. ყოველივე ეს ქმნიდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის არათანაბარ და, რაც მთავარია, არასამართლიან სასტარტო პირობებს, რაც მახინჯი ფორმით საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფასა და სოციალური სტრატიფიკაციის გამწვავებას გამოიწვევდა. ამასთან, განსახელმწიფოებრივების აღნიშნულ მეთოდს აქვს დადებითი მხარეე-

ბიც. მის ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე დაინტერესებული მეურნის ფორმირება, რომელსაც მიეცემოდა საშუალება თავისი საკუთარი სახსრებით შეეძინა სახელმწიფო ქონება, გაეფართოებინა ფულადი შემოსავლების უზრუნველყოფის სფერო, რაც მთლიანობაში ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გაზრდის საფუძველია.

ჩვენს არსებითად მოშლილ ეკონომიკაში პრივატიზაცია უნდა გატარებულიყო ისე, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი ყოფილიყო თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებისა და ეფექტიანი ბაზრის ფორმირება. ეფექტიანი ბაზარი კი კონკურენციული ბაზარია, ხოლო სრულყოფილ კონკურენციას მხოლოდ საკუთრების მრავალფორმიანობა განსაზღვრავს.

განსახელმწიფოებრივების ერთ-ერთი თავისებური ფორმაა სახელმწიფო ქონების არენდით* (გამოსყიდვის უფლებით) გადაცემა შრომით კოლექტივებზე, სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებზე. არენდა, როგორც გამოსყიდვით, ისე გამოსყიდვის გარეშე, არსებითად ცვლის სამართლებრივ-ეკონომიკურ პირობებს და, რაც მთავარია, სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ხასიათს. იგი ქმნის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან საწარმოთა განთავისუფლების შესაძლებლობას. სახელმწიფო აძლევს არენდირებული ქონების დამოუკიდებლად ფლობისა და გამოყენების უფლებებს არენდატორს, რომელსაც პასუხისმგებლობა მისი შენახვისათვის ენიჭება.

სახელმწიფო საკუთრების სხვა ფორმად გარდაქმნის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს აქციონერული საზოგადოებების შექმნა. ფორმალური ლოგიკის მიხედვით, სახ-

* მეწარმეობის შესახებ კანონსა და საქართველოს სხვა სამთავრობო დოკუმენტებში „არენდის“ ნაცვლად გამოიყენება სიტყვა „იჯარა“, რაც არ არის სწორი და მოითხოვს დაზუსტებას. ამასთან დაკავშირებით, იხ.: **რ. ასათიანი.** თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 28, 178.

ელმწიფო საწარმოთა გარდაქმნა აქციონერულ საზოგადოებებად ნიშნავს საკუთრების ფორმის შეცვლას. ამ შემთხვევაში ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებიდან აქციონერთა საკუთრებაში. მაგრამ რეალური განსახელმწიფოებრივება შეიძლება არც კი განხორციელდეს, თუ სახელმწიფო შეინარჩუნებს აქციების საკონტროლო პაკეტს. აქციონერული საზოგადოების მიერ გამოშვებლი აქციების ნაწილის შეღავათიან პირობებში შეძენის უფლება აქვთ მათში დასაქმებულებს. პოლონელები ამ პროცესს კომერციალიზაციას უწოდებენ, ხოლო ამერიკელები – კორპორატიზაციას. ვინაიდან პრივატიზაციის ტემპი ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობისა და სხვადასხვა არასახელმწიფოებრივი სტრუქტურის მოთხოვნაზე, ამიტომ გარკვეული უპირატესობაც კი აქვს სახელმწიფო–აქციონერული საზოგადოებების შექმნას.

თანამედროვე პირობებში **მსხვილი საწარმოების** მიმართ გავრცელებულია სახელმწიფო–აქციონერული საზოგადოებების ჩამოყალიბების ტენდენცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში. მაგალითად, იაპონიაში რკინიგზის კორპორატიზაციის შედეგად, წინათ ზარალიანმა კომპანიებმა არანაკლებ წარმატებებს მიაღწიეს, ვიდრე იაპონიის ეკონომიკის სხვა სექტორებმა.

რაც შეეხება **საშუალო ზომის საწარმოების** განსახელმწიფოებრივებას, მათ მიმართ გამოიყენება როგორც აქციონერულ საზოგადოებებად, ისე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად და ამხანაგობებად გარდაქმნის ფორმები, რასაც თვით დარგის სპეციფიკა, წარმოების განვითარების მასშტაბები, ტექნოლოგიის დონე, ორგანიზაციული სტრუქტურა და ა.შ. განსაზღვრავს. იმ საშუალო ზომის საწარმოების მცირე ნაწილში, რომლებიც თავიანთი სიდიდით უახლოვდებიან მსხვილ საწარმოებს, კაპიტალის ღირებულება ზოგჯერ აღემატება კერძო ინვესტორების მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში, როგორც მსოფლიო გამოც-

დილება ადასტურებს, უპრიანია ჰოლდინგური ფორმის გამოყენებაც.

განვითარებული ქვეყნების მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს რომ მცირე ზომის საწარმოების მმართველობა და საკუთრება ახლოსაა ერთმანეთთან. ეს უზრუნველყოფს წარმოების შედეგებით დაინტერესების ზრდას, რაც მცირე ბიზნესს ეკონომიკურად ეფექტიანს ხდის. მაშასადამე, **მცირე საწარმოები**, როგორც წესი, მთლიანად გადადის ცალკეული მოქალაქეების, ამხანაგობების თუ კოოპერატივების საკუთრებაში.

პოსტკომონისტური ტრანსფორმაციის პერიოდში საკუთრების ოპტიმალურ სტრუქტურაზე გადასვლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამ გრძელ გზაზე საქართველოში მთავარი იყო შერეული ეკონომიკის ისეთი ტიპის შექმნა, რომელიც არ გამოიწვევდა სოციალურ დაძაბულობას, კონფლიქტებს და ეკონომიკას გამოიყვანდა ბიუროკრატიული ორგანოების კონტროლიდან, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა განვლილ პერიოდში.

III.5. პრივატიზაცია – ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციის საფუძველი

საბაზრო სისტემაზე გარდამავალ ეკონომიკაში პრივატიზაცია განიხილება როგორც სახელმწიფო საწარმოების დემონტაჟის საფუძველზე კერძო სექტორის წარმოქმნისა და გაფართოების ხანგრძლივი ეკონომიკური სტრატეგია. მასზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. საქართველოში, ეკონომიკის კონვერსიის საწყის ეტაპზე, პრივატიზაციის სტრატეგიული მნიშვნელობა მდგომარეობდა კონკურენციული საბაზრო გარემოს რაც შეიძლება სწრაფად შექმნაში, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დაღწევა.

საქართველოში მწვავე საბიუჯეტო კრიზისის პირობებში პრივატიზაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და პრივატიზებულ საწარმოებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზით საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. ამის მისაღწევად კი, პრივატიზაციასთან ერთად, აუცილებელი იყო ბაზრების რეალური ლიბერალიზაციის განხორციელება, სახელმწიფოს მიერ რიგი ბარიერის გაუქმებით წარმოებისა და გასაღების დივერსიფიკაცია, მცირე ბიზნესის, როგორც საბაზრო ხვრელების შემავსებელი სეგმენტის, წახალისება, საიმპორტო საქონელზე საბაჟო და სხვა სახის შეზღუდვების შესუსტება, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და, პირველ ყოვლისა, საფონდო ბირჟის ჩამოყალიბება-განვითარება და ა.შ.

ბაზრების რეალური ლიბერალიზაცია იწვევს არა მხოლოდ სახელმწიფო მეწარმეობის შეფარდებით შემცირებას, არამედ ეკონომიკის დემონოპოლიზაციასაც, რითაც სახელმწიფო საწარმოები კარგავენ თავიანთ მონოპოლიურ მდგომარეობას ბაზარზე.

საქართველოში ქონების განსახელმწიფოებრივების პროცესი მიმდინარეობდა ეტაპობრივად. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლის 15 სექტემბერს მიღებული კანონის საფუძველზე, ქვეყანაში არსებული მთელი ქონება საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა.

პრივატიზაციის პრაქტიკულ განხორციელებამდე ჩატარდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები. 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“. პრივატიზაცია ძირითადად განისაზღვრა აუქციონისა და კონკურსის ფორმით. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 18 იანვარს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ.“ 1992 წლის ნოემბერში შეიქმნა განსახელმწიფოებრივების განხორციელების ერთიანი ორგანო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახით.

მას წინ უძღოდა (1992 წლის 18 აგვისტოს № 123 დადგენილების საფუძველზე) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება. იგი ითვალისწინებდა: სახელმწიფო საკურების სხვა ფორმებად გარდაქმნას, კერძო საკუთრების დამკვიდრებასა და კერძო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას, მცირე ბიზნესის განვითარებას, კონკურენციული გარემოს შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, არარენტაბელური საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის განთავისუფლებას სუბსიდირებისაგან, საწარმოთა რესტრუქტურიზაციასა და ა.შ.

კერძო სექტორის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი, მცირე პრივატიზაციის, პირველ ყოვლისა, მცირე ჰესების* გაყიდვით 1992 წლიდან დაიწყო. ეს იყო უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი. მწვავე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გარდა, არ იყო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და ეკონომიკური რეფორმების ქვაკუთხედის – პრივატიზაციის წარმართვის საათანადო გამოცდილება. მძიმე კრიმინოგენურმა ვითარებამ და საომარმა მოქმედებებმა, მრეწველობისა და ტრანსპორტის პარალიზებამ, მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმა, მოშლილმა საფინანსო-საკრედიტო სისტემამ, ჰიპერინფლაციამ და სხვა ნეგატიურმა პროცესებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა პრივატიზაციაზე, რამაც თავი იჩინა იმ დარღვევებისა და ნაკლოვანებების სახით, რაც დაშვებულ იქნა ამ პერიოდში.

მცირე პრივატიზაცია ძირითადად მოიცავდა მომსახურების სფეროს შემდეგ დარგებს: ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების მცირე საწარმოებს. გარდა ამისა, მცირე პრივატიზაცია განხორციელდა

* საქართველოში მცირედ მიჩნეულია 13 მვტ-მდე სიმძლავრის ჰესები. საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკის შესახებ. „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“. 1997, №33.

ჯანდაცვის სფეროში, საქენერგოს სისტემაში და ა.შ.

1992 წლიდან დაწყებული მცირე ჰესების გაყიდვა ფაქტობრივად 1995 წელს დამთავრდა. 1 ივლისის მდგომარეობით, პრივატიზებული იყო 14 მცირე ჰესი: სიონი, ტირიფონი, მისაქციელი, იგოეთი, დმანისი, ხერთვისი, კახარეთი, საცხენისი, ჩითახევი, დაშბაში, ბჟუჟა, კაბალი, მარტყოფი, თეთრიხევი. მათი საერთო სიმძლავრე შეადგენდა მთლიანი ენერგოსისტემის 2%-ს, გამომუშავებული ელექტროენერგია – 1,85%-ს, ხოლო ძირითადი საწარმოო კაპიტალის ღირებულება – 1%-ს.[1]

კერძო სექტორის ჩამოყალიბების I ეტაპის დასასრულს – 1996 წლის I კვარტლისათვის საპრივატიზაციოდ დამტკიცებული მცირე საწარმოების 89% გადავიდა კერძო საკუთრებაში. სახელდობრ, ვაჭრობაში 2980 საპრივატიზაციო ობიექტიდან პრივატიზებულ იქნა 2884, საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და საზოგადოებრივ კვებაში – 2997-დან 2667. გარდა ამისა, პრივატიზებული იქნა ჯანდაცვაში – 646-დან 343, საქენერგოს სისტემაში – 30-დან 23, ბენზინგასამართ სადგურებში – 163-დან 163 ობიექტი და ა.შ. სულ 1996 წლისათვის მომსახურების სფეროს 6865 ობიექტიდან პრივატიზებული იყო 5983, მაშინ როდესაც მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში ერთად აღებული 913 საპრივატიზაციო ობიექტიდან პრივატიზებულ იქნა 545.[2] ამასთან, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის ბრძანებულების საფუძველზე ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების პრივატიზაცია ძირითადად მოხდა საბალანსო ღირებულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, ე.წ. შრომით კოლექტივებზე.

ცნობილია, რომ მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებასთან შედარებით, მომსახურების სფეროს დარგები უფრო იზიდავს ბიზნესს, ვინაიდან გაცილებით მომგებიანია. ამიტომ მათი

1 **თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ.** ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, „დანი“, 2006, გვ. 193-194.

2 საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები. თბილისი, 1996, გვ. 16.

გაყიდვა თავისუფლად შეიძლებოდა საბაზრო ფასით აუქციონისა და კონკურსის წესით. თუმცა ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური სიტუაცია, მწვავე ენერგოკრიზისი, ტრანსპორტის პარალიზება, ჰიპერინფლაცია, საომარი სიტუაცია და ა.შ. უარყოფითად მოქმედებდა პრივატიზაციის ისედაც რთულ პროცესზე, რომელიც გარკვეული ხარვეზებით წარიმართა.

სახელმწიფო ქონების ერთი და იმავე მესაკუთრეთა ფორმირების პირობებში, საქართველომ დაკარგა უზარმაზარი თანხა, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა ქვეყნის ეკონომიკას. რატომ აღმოჩნდა ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები პრიორიტეტულ მდგომარეობაში? გროშებად ჩავუგდეთ ხელში სახელმწიფო ქონება, თანაც მივეცით უფლება ამ ქონების ღირებულების 50-დან 65%-მდე გადახდის, ხოლო შემდეგ საზოგადოებისაგან ჩალის ფასად ნაყიდი ვაუჩერებით მისი დაფარვის შესაძლებლობა. მოკლედ, საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა ასეთი „ჰუმანური“ ნაბიჯი და დროებით ამხანაგობებს პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცა აღნიშნული ქონება საბალანსო ღირებულებით, მიზერულ ფასში, მაგრამ ამის პარალელურად **უყურადღებოდ დატოვა ინტელიგენცია – მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, რომლებიც შემდეგ, ცხოვრების დონის უკიდურესი დაცემის გამო, აღმოჩნდნენ უმძიმეს მდგომარეობაში**. ჩალის ფასად მოხდა აგრეთვე იმ საწარმოების გაყიდვაც, რომელთა 1990–1991 წლებში გამოსასყიდი ფიქსირებული თანხა 1992–1993 წლების ჰიპერინფლაციის პერიოდში სიმბოლურ თანხად იქცა. ასეთი იყო, დაახლოებით, 250-300 უმნიშვნელოვანესი საწარმო.[1]

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას უნდა გაეფართოვებინა საგადასახადო ბაზა და, შესაბამისად, ამით შეევსო

1 **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 256–257.

სახელმწიფო ბიუჯეტი. ქვეყანაში არსებულმა გამოუყენებელმა შრომითმა პოტენციალმა, რომელიც ტვირთად დააწვა ეკონომიკას, გაზარდა ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობა. ამასთან, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები აბსოლუტურად მოუქნელი იყო, რაც ხელს უშლიდა პრივატიზაციის დემოკრატიული გზით წარმართვას.

საკუთრების განსახელმწიფოებრივების მეორე ეტაპი 1996 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. იგი მასობრივ პრივატიზაციას მოიცავდა, რაც მოსახლეობაში 30 აშშ დოლარის ეკვივალენტის ნომინალური ღირებულების ვაუჩერების გავრცელებაში გამოიხატა. ვაუჩერიზაციამ გარკვეულწილად დააჩქარა პრივატიზაციის პროცესი, ვინაიდან, დაბალი მოთხოვნის პირობებში, მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესაძლებლობა შეიქმნა, მაგრამ იმდენად მიზერული იყო ეს თანხა, რომ მან თავისი როლი ვერ შეასრულა. ამ გზით მოსახლეობა მესაკუთრე ვერ გახდა. ამასთან, სულ დარიგდა 4264541 ვაუჩერი ანუ დაკმაყოფილდა მოსახლეობის 83,6%, ხოლო 16,4%-მა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მიიღო კუთვნილი ვაუჩერი.

მოსახლეობას თავისუფლად შეეძლო გაეყიდა საკუთარი საპრივატიზაციო ბარათები, მაგრამ სწრაფი ინფლაციური პროცესების გავლენით ვაუჩერების ფაქტობრივი ღირებულება 8-ჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო მათი საბაზრო ფასი 4-5 ლარამდე დაეცა. ამ პერიოდში 40-ზე მეტი საბარათო აუქციონი ჩატარდა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, პრივატიზაციის პროცესში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, უცხოელმა ინვესტორებმა „ვაუჩერიზაციის“ პროცესში შეიძინეს პრივატიზებული ქონების 20%.[1] ამასთან, რიგი მოქალაქეების მიერ თავიანთი კუთვნილი ვაუჩერების

1 **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 259-260.

გაყიდვის გზით სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია მოხდა ნომენკლატურის ხელში. ვაუჩერების დაახლოებით 70%-ის მეშვეობით სახელმწიფო ქონება ხელში ჩაიგდო მოსახლეობის მხოლოდ 1%-მა.[1]

მასობრივ პრივატიზაციას წინ უძღოდა საშუალო და მსხვილ საწარმოთა აქციონირების პროცესი. 1998 წლის 1 იანვრისთვის უკვე აქციონირებული იყო 1121 საწარმო, ანუ აქციონერულ საზოგადოებად გარდასაქმნელ ობიექტთა 86,8%. ამასთან, მათი უმეტესი ნაწილი შეიქმნა სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში (28,5%), მშენებლობაში (19,2%), მრეწველობაში (15,6%), ხოლო დარჩენილი 36,7% – მომსახურების სფეროს მსხვილ ობიექტებში.[2]

„დიდი პრივატიზაცია“ შეეხო აგრეთვე პურპროდუქტების სისტემას, რომლის საწარმოებში ეტაპობრივად განხორციელდა ფართომასშტაბიანი განსახელმწიფოებრივება. გარდა ამისა, იგი შეეხო ჯანდაცვის სფეროსაც. „დიდი პრივატიზაცია“ განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის, კონკურსისა და აუქციონის ფორმით.

განსახელმწიფოებრივება შეეხო საბანკო სისტემასაც, ერთიარუსიანი შეიცვალა ჯერ სამიარუსიანი, ხოლო შემდეგ, ორიარუსიანი საბანკო სისტემით. 1995-1996 წლებში განხორციელდა შემდეგი ბანკების – „ბინსოცბანკის“, „ექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“, „შემნახველი ბანკისა“ და „აგრობანკის“ აქციონირება, შესაბამისად, აქციონერულ საზოგადოებებად ჩამოყალიბდნენ: „საქართველოს ბანკი“, „აგრობანკი“ და სამი ბანკის – „ექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“ და „შემნახველი ბანკის“ ბაზაზე – „გაერთიანებული ქართული ბანკი“. პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია განხორციელდა ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და ტრან-

1 **არჩვაძე ი.** რა ფერისაა მილიარდი? თბილისი, „მერკური“, 2002, გვ. 32.

2 საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

სპორტის სფეროებშიც.

საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ენერგეტიკის ვერტიკალურად ინტეგრირებული სახელმწიფო სტრუქტურები: ელექტროენერგეტიკაში – „საქენერგო“, ხოლო ბუნებრივი გაზით მომარაგების სექტორში – „საქგაზი“. ამ სტრუქტურებმა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში ვერ გაართვეს თავი ენერგეტიკით ქვეყნის უზრუნველყოფის ვალდებულებას. აუცილებელი გახდა რესტრუქტურიზაციის განხორციელება. 1996 წლის 4 ივლისის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების – „ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ“ – საფუძველზე „საქენერგოს“ ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი სექტორი: 1. გენერაციის, 2. ელექტროგადაცემის, 3. დისპეჩერიზაციისა და რეალიზაციის სექტორები. რაც შეეხება ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებს, ისინი, ჯერ კიდევ, 1994 წელს გადავიდნენ მუნიციპალურ მმართველობაში. აქციონერულ საზოგადოებებად გარდაიქმნენ გენერაციისა და დისტრიბუციის სექტორებში შემავალი საწარმოები.

ენერგეტიკაში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან განხორციელდა ძირეული ცვლილებები. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის № 403 ბრძანებულებით დამტკიცდა ქვეყნის ენერგოსისტემის პრივატიზაციის სტრატეგია. „საქენერგო“ და „საქგაზი“ დანაწევრდა დამოუკიდებელ საწარმოებად და გაემიჯნათ ფუნქციები. შეიქმნა ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელსაც დაევალა ელექტროენერგიის საბითუმო და საცალო ტარიფების რეგულირება. 1997 წლის 1 აგვისტოს „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ეს უკანასკნელი, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გამოსცემდა ელექტროენერგეტიკის ნორმატიულ აქტებს. 1999 წლის აპრილში აღნიშნულ კანონში შევიდა ცვლილებები, რის საფუძველზეც მას ეწოდა კანონი „ელე-

ქტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, ხოლო კომისიას – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკ“). 2007 წლის 20 ნოემბრის „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში კიდევ შეტანილ იქნა ცვლილებები: კომისიას დაემატა წყალმომარაგების რეგულირების ფუნქცია, რის გამოც მას ამჟამად **ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია** ეწოდება.

პირველი მსხვილი ენერგეტიკული ობიექტი, რომლის პრივატიზაციაც განხორციელდა, იყო „თელასი“. მისი აქციების საკონტროლო პაკეტი (75%) 1998 წელს 25,0 მლნ დოლარად შეისყიდა ამერიკულმა კომპანიამ „AES“-მა („ეი-ი-ეს“-მა). 1999-2000 წლებში კომპანია „ეი-ი-ეს“-ს, შეთანხმების საფუძველზე, მართვის 25-წლიანი უფლებით გადაეცა ჰიდროელექტროსადგურები „ხრამი-1“ და „ხრამი-2“, ასევე, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, რომელთა მიმართ მან აიღო ვალდებულება მათი რეაბილიტაციისათვის დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი კრედიტების (დარიცხულ პროცენტებთან ერთად) – 135 მლნ ლარის დაფარვის შესახებ. ამასთან, მართვის უფლებისთვის კომპანიამ გადაიხადა, შესაბამისად, 2,5 და 3,5 მლნ დოლარი.[1]

2001 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს ენერგეტიკის დარგში კომპანია „ეი-ი-ეს“-ის მიერ ჩადებული იყო 555 მლნ ლარი, ხოლო 1999-2002 წლებში გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი იყო 89152 ათასი ლარი.[2] 2001 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, საქართველოში სულ პრივატიზებული იყო 35 დიდი და მცირე ელექტროსადგური. 2002 წელს ამერიკულმა კომპანია „ეი-ი-ეს“-მა თავისი აქტივები მიჰყიდა რუსულ კომპანია „PAO-

1 **თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ.** ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, „დანი“, 2006, გვ. 195.

2 საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

ЕЭС“-ს. ამჟამად მის საკუთრებაშია „თელასი“, ჰიდროელექტროსადგურები „ხრამი-1“ და „ხრამი-2“, ასევე, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები.

საქართველოში 2004 წლიდან დაიწყო განსახელმწიფოებრივების მესამე ეტაპი. 2006 წლის 12 მაისს „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“ 90 მლნ დოლარად შეიძინა ყაზახურმა ბანკმა „თურან ლენ“-მა. ამასთან, ამ ბანკმა, რომლის აქტივები 5,5 მლრდ დოლარია, განახორციელა თბილისში სასტუმრო „ივერიის“ რეკონსტრუქცია. იგი, ასევე, 21 სასტუმროს მფლობელია აჭარაში.[1]

გასაყიდად გამოტანილ იქნა ენერგეტიკის შემდეგი ობიექტები: სადისტრიბუციო კომპანიები: აჭარის ენერგოკომპანია, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, ლაჯანურჰესი, რიონჰესი, გუმათჰესი, შაორჰესი, ძევრულჰესი და აწჰესი. საპრივატიზაციო კონკურსში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 8 კომპანიამ. 2007 წლის 3 ივლისს ტენდერში გაიმარჯვა ჩეხურმა კომპანია "Energo-Pro"-მ, რომელმაც შეისყიდა ყველა საპრივატიზაციო ობიექტი, გარდა კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა. ეს უკანასკნელი შეიძინა ქართულმა კომპანიამ TBC+Energy-მ, რომელმაც საწყის ფასზე 2,5-ჯერ მეტი გადაიხადა და თანხამ 5,1 მლნ დოლარი შეადგინა. ჩეხური კომპანია "Energo-Pro"-ს საკუთრებაში 32 მლნ დოლარად ოფიციალურად გადავიდა საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანიის და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აქტივები, რაც ქვეყნის ენერგოგამანაწილებელი ქსელის 60%-ზე მეტს შეადგენს, აგრეთვე 6 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 350 მეგავატზე მეტია. ამჟამად ეს კომპანია ფუნქციონირებს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ სახელწოდებით.

1 მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ივნისი, 2006, გვ. 13.

2012 წლის მონაცემებით, ელექტროენერგეტიკის სფეროში პრივატიზებული იყო ყველა მოქმედი ობიექტი, გარდა „საქართველოს ელექტროსისტემისა“, „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესისა“.

2007 წლის 5 იანვარს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანია „Stemcor“-ის ფილიალმა – „საქართველოს მანგანუმმა“ 57 მლნ დოლარად იყიდა „ვარციხეჰესი“, ხოლო 20 მლნ დოლარად – „ჭიათურმანგანუმი“. „Stemcor“-ის საკუთრებაშია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. „საქართველოს მანგანუმმა“ ვალდებულება აიღო დააბანდოს 100 მლნ დოლარის ინვესტიცია და მანგანუმის წლიური მოპოვება გაზარდოს არსებული 200 ათასი ტონიდან 300 ათას ტონამდე, ხოლო მინიმუმ 200 ათასი ტონა მოპოვებული მანგანუმი გადაამუშაოს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.[1]

2007 წლის 30 ივლისს ბათუმის აეროპორტი 20 წლით მართვის უფლებით საინვესტიციო პროგრამით გადაეცა თურქულ კომპანია "TAV Batumi Operation"-ს, რომელმაც მართვის უფლების სანაცვლოდ სიმბოლურად ერთი დოლარი გადაიხადა. სამაგიეროდ მას დაევალა ბათუმის აეროპორტის დავალიანების დაფარვა, თუმცა, აეროპორტის მთელი საქმიანობიდან მიღებული მოგება კომპანიას დარჩა. აეროპორტის მშენებლობაში კომპანიამ 28,5 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ამავე კომპანიამ ააშენა თბილისის საერთაშორისო აეროპორტიც.[2]

ყაზახურმა სახელმწიფო კომპანია – "KazMunaiCas"-მა 2008 წლის 6 თებერვალს "Greenoak Group"-ისგან იყიდა ბათუმის ნავთობტერმინალი და საზღვაო პორტი. ამ უკანას-

1 მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, აპრილი, 2007, გვ. 9.

2 მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2007, გვ. 9.

კნელმა კი 1996 წელს შეიძინა ბათუმის ნავთობტერმინალი, ხოლო 1999 წელს – ბათუმის საზღვაო პორტი.

2008 წლის 29 ოქტომბერს თბილისის წყალმომარაგების კომპანია „თბილისის წყალი“ 85,662 მლნ დოლარად შეიძინა შვეიცარიულმა კომპანია „Multiplex Solutions“-მა. საპრივატიზაციო პაკეტში ასევე წარმოდგენილი იყო ჟინვალ-ჰესი, მცხეთის წყლით მომარაგების სისტემა და გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები. ტენდერში გამარჯვებულმა შვეიცარიულმა კომპანიამ პირობა დადო, რომ წყლის განაწილების ქსელის რეაბილიტაციაში განახორციელებდა 350 მლნ დოლარის ინვესტიციას და წყლის ტარიფებს არ გაზრდიდა მომდევნო ორი წლის მანძილზე.[1]

2012 წლის მონაცემებით, საქართველოში წილობრივად 1400-მდე საწარმო ფუნქციონირებს, რომელთა თითქმის 70% მედიცინის, განათლებისა და კულტურის სფეროებიდანაა, თუმცა, ამ საწარმოთა უმეტესობის ეკონომიკური ეფექტიანობა დაბალია.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში პრივატიზებული ობიექტებიდან მოქმედი იყო 39103 საწარმო, აქედან, მცირე – 31852, საშუალო – 3705, მსხვილი – 1911. 1635 ობიექტის სიდიდე დაუდგენელი იყო.[2] 2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, ბიზნესსექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობამ საქართველოში სულ შეადგინა 54667, აქედან, მცირეა 45471, საშუალო – 5708, ხოლო მსხვილი – 3488 საწარმო.[3] ამავე წლის მდგომარეობით, ბიზნესსექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა საქმიანობის სახეობებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით მოცემულია №2 ცხრილში.

პრივატიზაციიდან მიღებული თანხით 2004–2008 წლებ-

1 მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თებერვალი, 2008, გვ. 12.

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები; www.geostat.ge/?action=page&_id=118&lang=geo

3 იქვე.

ში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები. სახელდობრ, თუ 2003 წელს იგი შეადგენდა 23,6 მლნ ლარს, 2004 წელს შეადგინა 72,6 მლნ ლარი, 2005 წელს – 419,4, 2006 წელს – 564,9, 2007 წელს 643,8, ხოლო 2008 წელს – 551,0 მლნ ლარი (ცნობისათვის: ეს მაჩვენებელი 2001 წელს შეადგენდა 5,6 მლნ ლარს, ხოლო 2002 წელს – 8,7 მლნ ლარს).[1] ანალოგიური ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო ბოლო წლებში.

№2 ცხრილი

საქართველოში ბიზნესსექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა საქმიანობის სახეობებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით, 2012 წელი[2]

	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
სოფლის მეურნეობა. ნადიობა და ტყის მეურნეობა	553	27	71	455
თევზჭერა	63		5	58
სამთომოპოვებითი მრეწველობა	368	21	64	283
დამმუშავებელი მრეწველობა	5541	439	531	4571
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და გაწაწილება	128	44	19	65
მშენებლობა	3939	459	626	2854
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	20767	1622	2603	16542
სასტუმროები და რესტორნები	2471	54	193	2224
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2460	286	268	1906
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	6300	260	479	5561
განათლება	915	36	207	672
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1548	155	299	1094
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	1467	66	143	1258
სხვა საქმიანობა	8147	19	200	7928

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთხელ მისცა მთავრობას რეკომენდაცია, რომ პრივატიზაციიდან შემოსული თანხების დაბანდება რეალურ სექტორში მომხდარიყო, მაინც ძირითადად ძველე-

1 საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2008. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2008, გვ. 148; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

2 www.geostat.ge

ბური მეთოდებით ხორციელდებოდა ამ თანხების ხარჯვა. პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროდ იქცა. ამ მოსაზრებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში.[1]

საქართველოში საკუთრების სხვადასხვა ფორმით განსახელმწიფოებრივების განხორციელებას, მათ შორის, პრივატიზაციის სწორად ჩატარებას ეკონომიკის რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე სერიოზულად აფერხებდა არაჯანსაღი გარემო, რაც გამოიხატა კორუფციის ფართო მასშტაბებით, ქვეყნის თავისებურებების ნაკლებად გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მიდგომის დაბალი დონითა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკუთრების უფლება აღიარებული და გარანტირებულია კონსტიტუციით, ადგილი ჰქონდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფას, განსაკუთრებით რეფორმირების III ეტაპზე (2004-2012 წლებში), რაც „განსჯის საგანი გახდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების ("Human Rights Watch-ისა და სხვათა) მიერ“.[2]

„ყველაზე დიდი შეცდომა, რაც დაუშვა „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ, ეს კერძო საკუთრების უფლების ხელყოფაა. მესაკუთრეებს ძალოვანი უწყებების ზეწოლით აიძულებდნენ ვითომდა „ნებაყოფლობით“ დაეთმოთ საკუთრება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს პროცესი დეპრივატიზაციის საბურველქვეშ იქნა გატარებული, რომლის მიზნადაც პრივატიზაციაში 2004 წლამდე დაშვებულ შეცდომათა ვითომდა გამოსწორება იქნა გაცხადებული. სინამდვილეში, საკუთრების უფლების ხელყოფა გამოყენებულ იქნა ხელისუფლებასთან დაახლოებულ ე.წ. ელიტარულ ბიზნესმენთათვის ქონების გადანაწილების მიზნით. ამ სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ ყოველგვარი სამა-

1 **პავლიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 111.

2 იქვე, გვ. 140.

რთლებრივი საფუძვლის გარეშე დაინგრა არაერთი შენობა-ნაგებობა; თითოეული ასეთი შემთხვევა საკუთრების უფლების დარღვევის თვალსაჩინო პრეცედენტი იყო".[1]

საქართველოში მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე სახელმწიფო ყიდდა ყველაფერს. კანონმდებლობის უხეში დარღვევით მიმდინარეობდა მსხვილი საწარმოების პრივატიზება. ამ გზით შემოვიდა საქართველოში უცხოური, მათ შორის, სახელმწიფო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, რუსეთის სახელმწიფო ბანკმა – „ვნეშტორგბანკმა" 2005 წელს შეიძინა „გაერთიანებული ქართული ბანკის" (შემდგომში „ვითიბი ბანკის") საკონტროლო კაპიტალი. **„აბა ახლა რა გავყიდოთ" – ამ პრინციპზე აგებულმა საკუთრების განსახელმწიფოებრივების თავაშვებულმა და არაგამჭვირვალე პროცესმა არ დაინდო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებიც კი. მათ შეუფერხებელ გასხვისებას ხელს ისიც უწყობდა, რომ ხელისუფლებამ უარყო სტრატეგიული ობიექტების ცნება,** საზოგადოება კი უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა ეს პროცესი. ამ მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას გადამწყვეტი როლი ენიჭება ინსტიტუციური რეფორმების ცივილიზებული ფორმით წარმართვაში.

სახელმწიფო ქონების არაგამჭვირვალედ გასხვისების ნათელ მაგალითად ისიც გამოდგება, რომ არცთუ იშვიათად, სპეციალურად ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზაციაში მონაწილეობის მისაღებად, პრივატიზაციის წინ იქმნებოდა ფირმები საეჭვო დამფუძნებლებითა და საეჭვო კაპიტალით და სწორედ ისინი გამოდიოდნენ შესაბამის ტენდერებში გამარჯვებულნი.[2] ესეც საგულისხმო ფაქტორია იმისა, თუ რატომ არის საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საქმი-

1 **პაპავა ვ.** საქართველოს ეკონომიკაში დაშვებული შეცდომები, შექმნილი საფრთხეები და მათი დაძლევის გზები. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2008, №5, გვ. 11.

2 პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, გვ. 366-367.

ანი აქტიურობისაგან ჩამოცილებული.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის მიზანშეწონილია, სახელმწიფო საკუთრების სრულ ტრანსფორმაციასთან ერთად, ნაწილობრივი პრივატიზაციის, შერეული მეწარმეობის დასავლეთში აპრობირებული ფორმის საქართველოს ეკონომიკაში განცხორციელება. იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ორგანულ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოში მეწარმეობის დიდი ტრადიციები, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია პრივატიზაციისადმი საკუთარ (ეროვნულ) მიდგომას მოითხოვს. ილია ჭავჭავაძე წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? ამათ გარეშე ჩვენ „ჩვენ“ არ ვიქნებით და მათი მარადიული დაცვა თითოეული ჩვენგანის წმინდათა წმინდა ვალია“[1] – დასძენდა წმინდა ილია მართალი.

საკუთრების განსახელმწიფოებრივების პროცესში გასათვალისწინებელია ეროვნული ფასეულობები, ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები და ქვეყნის განვითარების თავისებურებები, ბუნებრივია, ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც, „ევროპის... მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი“.[2]

III.6. „ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფცია და საქართველო

საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის კანონზომიერი პროცესი თავიდანვე წარიმართა გარკვეული თავისებურებებით, რაც აისახა კიდეც მის ძირითად მიმარ-

1 **ჭავჭავაძე ი.** თხზ. ტ. III. თბილისი, გვ. 26–27.

2 იქვე.

თულებებში. ამ მეტად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროცესზე გარკვეული გავლენა მოახდინა წარსულის მემკვიდრეობამ, რაც გამოიხატა ავტორიტარულ და ბიუროკრატიულ სახელმწიფო ადმინისტრირებაში, გამოცდილების არარსებობასა და სამართლიანი ეკონომიკური ქცევის დეფიციტში.

უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოს ინსტიტუციური გარემო ძალიან ჰგავდა რუსეთისას. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. საქართველო ცდილობს გადავიდეს დასავლური ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე. ინსტიტუციური სივრცეების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. თანამედროვე პირობებში აშშ და ევროკავშირი ცდილობენ თავიანთი ინსტიტუციური მოდელი დანერგონ და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი გარემო შექმნან სხვა ქვეყნებში, მათ შორის ტრანზიტულ ქვეყნებშიც, რათა ამით ხელი შეუწყონ ამ ქვეყნებში დია ეკონომიკის რეალურად ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. დღეს ევროკავშირის ბაზარი ყველაზე ორგანიზებულია მსოფლიოში. ამიტომ საქართველოს ინსტიტუციური გარემოც ევროკავშირზეა ორიენტირებული.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური საქმიანობის წესების, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გამოხატულება, ეყრდნობა „ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფციას და აქცენტს აკეთებს სტაბილური და ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე. ამ პროცესის ორიენტირად საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის კანონმდებლობა აირჩია, რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით. ჯერ კიდევ 1997 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის პირველი სექტე-

მბრიდან მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს.“ ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.[1]

დღეს საქართველოს ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა **გერშენკრონის კონვერგენციის თეორიასთან**, რომელიც „ჩამორჩენილობის უპირატესობის“ სახელითაა ცნობილი. „ლოგიკურია, ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ინსტიტუციური განვითარება ნულიდან კი არ უნდა დაიწყოს, არამედ ევროკავშირის გამოცდილება გამოიყენოს... ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია მსოფლიოში, რომელსაც მაღალი ეკონომიკური და სოციალური მწარმოებლურობა ახასიათებს.“[2] მართლაც, განვითარებული ქვეყნების ინოვაციების იმიტირება, რომელიც თავისთავად არ იძლევა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საშუალებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას ნაკლები დანახარჯებით მაღალი უკუგების მიღებასა და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებაში. ამასთან, ინსტიტუციური განვითარება, როგორც ეკონომიკური ქცევის ფორმალური წესებისა და ფარული ნორმების ერთობლიობა (**დუგლას ნორთი**), ურთულესი პროცესია, რომელსაც ისეთი სპეციალური საკომუნიკაციო არხების მობილიზება სჭირდება, როგორიც არასამთავრობო ორგანიზაციებია.

1 მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თებერვალი, 2008, გვ. 12.

2 **სამსონი ი.** განვითარების გზების ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. მარტი, 2006, გვ 89.

IV თავი

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა

IV.1. ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია – საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის უმნიშვნელოვანესი მიმართულება

საბაზრო გარდაქმნათა პროცესს საქართველო მოშლილი ფინანსური სისტემით შეხვდა. ამიტომ ეკონომიკის კონვერსიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მისი ტრანსფორმაცია წარმოადგენდა, ხოლო ეკონომიკური რეფორმის წარმატებით განხორციელება დიდად იყო დამოკიდებული საბაზრო ურთიერთობების ადეკვატური საბიუჯეტო-საგადასახადო ინსტრუმენტების დროულ ამოქმედებაზე. აუცილებელი იყო ფინანსური რესურსების წარმოქმნის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში სახელმწიფოს, ფირმებსა და შინამეურნეობებს შორის ახალი ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ცივილიზებული გზით წარმართვა-განვითარება. წარსულს უნდა ჩაჰბარებოდა ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ბერკეტები, ფინანსური რესურსების უწყებრივი განაწილების საბჭოური წესი. ამას საბაზრო სისტემაზე გადასვლის ამოცანები მოითხოვდა.[1]

ფინანსური სისტემა, როგორც ფინანსური ურთიერთო-

1 **ასათიანი რ.** საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირება. „შრომები“. I ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2000, გვ. 318.

ბებისა და მათი მარეგულირებელი ინსტიტუტების ერთობლიობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ხარისხს. მისი მეშვეობით სახელმწიფო წყვეტს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა წინაშე უძლურია საბაზრო მექანიზმი. ამიტომ საქართველოს ეკონომიკური რეფორმების პროგრამაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაფინანსების მთელი მექანიზმის ფაქტობრივად თავიდან შექმნამ დაიკავა. თავის მხრივ, იგი მოითხოვდა ფინანსური რესურსების როგორც მიკრო-, ისე მაკროდონეზე ჩამოყალიბებისა და ხარჯვის თანამედროვე მეთოდებით რეგულირებას. მიკროდონეზე – შინამეურნეობებსა და ფირმებში წარმოქმნილ პირველად ფინანსებს, რომელიც ქმნის მუნიციპალურ (ადგილობრივ) ბიუჯეტს, მაკროდონეზე უნდა ჩამოეყალიბებინა სახელმწიფო ფინანსები, ხოლო ამ უკანასკნელს, როგორც სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ერთობლიობას და მთელი ფინანსური სისტემის ცენტრალურ რგოლს, – სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა – ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ბიუჯეტი. ამიტომ, სავსებით ლოგიკურად, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების **I ეტაპზე**, სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემდეგ, ფინანსების სფეროში სრულიად განსხვავებული ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება დაიწყო, ვიდრე ეს იყო ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული მმართველობის პირობებში.

საბაზრო ურთიერთობებზე აგებული ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობასა და ეკონომიკის კონვერსიის შედეგებს. ამისათვის კი არსებით გარდაქმნებს მოითხოვდა მთელი ეკონომიკის ფინანსური სექტორი, როგორც სახელმწიფო, ისე საწარმოთა ფინანსური სისტემები, აგრეთვე ინსტიტუციური ინვესტირების სისტემა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ფინანსები, რომელიც მოიცავს ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ერთეულების ფინანსებს, საწარმოთა ფინანსები,

რომელიც აერთიანებს მსხვილი, საშუალო და მცირე ფირმების ფინანსებს და ინსტიტუციური ინვესტირების სისტემა, რომელიც ქმნის ინვესტიციური და საპენსიო ფონდების, აგრეთვე სადაზღვევო კომპანიების ერთობლიობას, რეფორმირების პროცესში თვისებრივ გარდაქმნებს დაექვემდებარა.

თუ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის მთელი ფინანსური რესურსი ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში იყო თავმოყრილი, საბაზრო სისტემაში ფინანსური რესურსების უმეტესი ნაწილი დეცენტრალიზებულია, მეურნე-სუბიექტების საკუთრებაა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ამიტომ საქართველოში იმთავითვე დაიწყო ფინანსური რესურსების დეცენტრალიზაციის პროცესი და მისი ძირითადი ნაწილი სახელმწიფო მმართველობიდან არასახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარებაში გადავიდა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკის დარგთა განვითარებისათვის, ასევე, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები. მაგალითად, 1993 წელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყოფილ იქნა მთელი საბიუჯეტო ხარჯების 7%, მაშინ როდესაც 1992 წელს იგი 33%-ს შეადგენდა.[1]

ამის პარალელურად სახელმწიფო ფინანსების სფეროში დაიწყო ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მართვის დონეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. სახელმწიფო ფინანსების ოპერატიული მართვა დაეკისრა საქართველოს მთავრობას, სახელმწიფო საფინანსო და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს, ხაზინას, საგადასახადო სამსახურებსა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ხელმძღვანელობას. ამასთან, სახელმწიფო ფინანსებს, როგორც ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური რესურსების მობილიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, განმსაზღვრელი როლი დაეკისრა საშინაო

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასა და იმ საერთო–სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრაში, როგორიცაა სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ა.შ. ამისათვის კი ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანას ახალი ტიპის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება წარმოადგენდა.

IV.2. ახალი ტიპის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება

საქართველოში ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის დეცენტრალიზაციასთან ერთად, როდესაც მოხდა სახელმწიფო მართვის სფეროდან არასახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარებაში მათი გადასვლა, დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი მისადაგებული დამოუკიდებელი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფორმირება. ამას თვით საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ამოცანები მოითხოვდა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და საინვესტიციო პრობლემები, რომლებიც ადრე სამინისტროებისა და უწყებების დონეზე წყდებოდა, ახლა მნიშვნელოვანწილად საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემას უნდა გადაეწყვიტა და შესაბამისი რეგულირებით განეხორციელებინა. მის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაუყარა 1993 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების“ შესახებ, რომლითაც განისაზღვრა ყველა დონის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნა სახ-

აზინო სამსახური, რომელსაც დაევალა ცენტრალური ბიუ-ჯეტის შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი, ფინან-სური ურთიერთობების რეგულირება ბიუჯეტსა და ბიუ-ჯეტგარეშე ფონდებს შორის, ბიუჯეტგარეშე ფონდების შემოსავლებსა და მათ გამოყენებაზე კონტროლი, ინფორ-მაციის შეკრება, დამუშავება და ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის შესახებ, ფინანსური რესურსებ-ის ოპერატიული მართვა და პროგნოზირება, საბიუჯეტო სისტემის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება და წარდგენა ხელისუფლების ორგანოებისთვის და ა.შ.

ეკონომიკის რეფორმირების კვალობაზე, გარდამავალი პერიოდის I ეტაპზე წინგადადგმულ ნაბიჯად და პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში არასაბიუჯეტო ფონდების ასახვა, რა-მაც შესაძლებელი გახადა არასაბიუჯეტო ფონდებისა და მათი ფორმირების წყაროების ბიუჯეტთან ერთად საკანონ-მდებლო წესით დამტკიცება. ასევე, ამ ეტაპის დადებით მოვ-ლენად უნდა ჩაითვალოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ნაწ-ილობრივ მოწესრიგება. ამით შესაძლებელი გახდა სხვა-დასხვა პოზიციიდან მისი მაჩვენებლების ანალიზი, თუმცა, საბიუჯეტო მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობის მიღწევა ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. ამასთან, აღსანიშნა-ვია, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა შესაბამისი თეორიულ-მე-თოდოლოგიური წანამძღვრების სათანადო შესწავლისა და მომზადების გარეშე, რის გამოც დაშვებულ იქნა ბევრი შეც-დომა. ამას მოჰყვა საბიუჯეტო-საგადასახადო კანონ-მდებლობის ხშირი კორექტირება, შესაბამის კანონებში პერ-მანენტულად შესწორებების შეტანა. მაგალითად, გადასახა-დების ყველა სახეობაზე კანონში გამუდმებით ხდებოდა ცვლილებები, რაც გაურკვევლობას წარმოშობდა გადასახა-დების გადამხდელებში და იწვევდა დაძაბულობას, წინააღმ-დეგობას მათსა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს შორის. აქედან გამომდინარე, მოქმედი

საგადასახადო სისტემა აფერხებდა მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებას, რასაც 1991-1995 წლების ეკონომიკური ანალიზიც გვიჩვენებს.

1991 წლიდან მოყოლებული სერიოზული სირთულეები შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში*. 1991 წლის ბიუჯეტი მართალია შესრულდა და შემოსავლის გადამეტებამ გასავალზე დაახლოებით 7% შეადგინა, მაგრამ ეს ძირითადად განპირობებული იყო საბიუჯეტო ხარჯების 25%-მდე შემცირებით.[1]

განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა 1992 წლიდან, როდესაც საქართველოში ჩამოყალიბებულმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა სახელმწიფო ბიუჯეტის მწვავე დეფიციტი წარმოქმნა. ამ წელს ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ის 28% შეადგინა. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების ხარჯების ასახვამ ქვეყნის ბიუჯეტში, რაც ადრე საკავშირო ბიუჯეტიდან იფარებოდა. ამასთან, ამავე წლიდან ქვეყანაში დაწყებულმა საომარმა კონფლიქტებმა, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროზე. მოიშალა სახელმწიფო შემოსავლების სისტემა, გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 1993 წელს. ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ის უკვე 47% შეადგინა.[2] მის დასაფარავად სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო უცხოური სესხების, ტრანსფერებისა და ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტების გამოყენება. მაგალითად, 1992 წელს ეროვნული ბანკის კრედიტით დაიფარა მთელი საბიუჯეტო

---

* 1990 წელს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი უდეფიციტო იყო. შემოსავალი მთლიანად ფარავდა გასავალს და შესაბამისად, საგეგმო პარამეტრების 100,7%-სა და 96,8%-ს შეადგენდა.

1 **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 121.

2 იქვე.

ხარჯების 60%, 1993 წელს კი – 84%.[1] ამ გარემოებამ ხელი შეუწყო საბიუჯეტო და საგადასახადო დისციპლინის მოშლას, ბიუჯეტის ხარჯებზე სახელმწიფო კონტროლის მკვეთრ შესუსტებასა და, საბოლოო ანგარიშით, ინფლაციის სწრაფ ზრდას. 1993 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა კულმინაციას მიაღწია. 1994 წელს, მართალია, იგი შემცირდა 37%-მდე, მაგრამ მდგომარეობა მაინც უკიდურესად მწვავე იყო. 1993-1994 წლების ბიუჯეტი პარლამენტს არ დაუმტკიცებია და მისი განხილვა–მიღება ხდებოდა კვარტალების მიხედვით. დიდი სირთულეების წინაშე დადგა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება. მასობრივი ხასიათი მიიღო შემოსავლების გადამალვისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკამ. 1994 წელს სახელმწიფო შემოსავლების წილი მშპ-ში 1991 წლის 31%-დან 4,2%-მდე შემცირდა, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილმა 1994 წლის დასაწყისისათვის მხოლოდ 2% შეადგინა.[2]

1994 წლის მეორე ნახევრამდე ეროვნული ბანკი ახდენდა სხვადასხვა ორგანიზაციებზე დიდი ოდენობის სესხების გაცემას, რამაც კიდევ უფრო მოშალა საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ხელი შეუწყო ჰიპერინფლაციის წარმოქმნას. ამ და სხვა მიზეზების (წარმოებრივი კავშირების გაწყვეტა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, პოლიტიკური არასტაბილურობა და ა.შ.) გამო პარალიზებული აღმოჩნდა რეალური სექტორი. ასეთ ვითარებაში ეკონომიკის შოკირებამ თერაპიის გარეშე, ვერ გამოიწვია წარმოების ზრდის სტიმულირება, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახა მთელ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაზე. უკვე 1995 წლის ნაერთი

1 **ზურაბიშვილი ვ.** საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2004, გვ. 162.

2 **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 309.

(კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავალში, ნახევარზე მეტს (53,9%) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოყოფილი დახმარებები, გრანტები და კრედიტები შეადგენდა.[1]

ამის პარალელურად მკვეთრად შეიცვალა ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა. 1993–1995 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნულ ეკონომიკაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობა, სამაგიეროდ გაიზარდა სახელმწიფო მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯები. მაგალითად, თუ 1992 წელს ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში იგი შეადგენდა 5%-ს, 1993 წელს 10% შეადგინა. რაც შეეხება სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებს – განათლებას, მეცნიერებას, ჯანდაცვას, კულტურასა და ა.შ., მათი წილი საბიუჯეტო ხარჯებში მკვეთრად დაეცა. კერძოდ, სსფ-ის საექსპერტო შეფასებით, თუ მშპ-ში განათლებისა და კულტურის წილი 1991 წელს 7,3%-ს შეადგენდა, 1993 წელს 0,9% შეადგინა. მეცნიერების წილი, შესაბამისად, იყო 0,4 და 0,09%, ჯანდაცვისა და სპორტის – 3,9 და 0,3% და ა.შ.[2]

1995 წელს, ორწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი, დაბალანსებულ იქნა შემოსავალი-ხარჯები, ყურადღება გამახვილდა ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო და არაემისიური წყაროების (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და სხვა წყაროები) გამოყენების გზით ინფლაციის დონის შეზღუდვასა და ბიუჯეტის მაჩვენებელთა რეგულირების მიღწევაზე.

უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენას საფუძვლად დაედო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ითვალ-

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

2 **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 123-126.

ისწინებდა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევას. საქართველოს ეკონომიკაში, ეკონომიკური რეფორმირების **II ეტაპზე**, დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა, რამაც გააუმჯობესა ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო მოწყობა. გაძლიერდა საბიუჯეტო ხარჯების კონტროლი, აღრიცხვა-ანგარიშგება, ამაღლდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების დონე და ა.შ. 1995 წელს ბიუჯეტის დეფიციტის წილი მშპ–ში, 1994 წელთან შედარებით, თითქმის სამჯერ შემცირდა და 4,8% შეადგინა. 1996 წლის 29 მაისს პარლამენტმა მიიღო კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“. ამას მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენცია, თუმცა, საბიუჯეტო ხარჯების გადამეტებამ შემოსავლებზე, ფაქტობრივად, პერმანენტული ხასიათი მიიღო. სახელდობრ, 1996 წელს ბიუჯეტის შემოსავლებმა 518,1 მლნ ლარი შეადგინა და შემოსავლების გეგმა 92,0%-ით, ხოლო 1997 წელს 87,2%-ით შესრულდა. 1999 წელს გაღრმავდა საბიუჯეტო კრიზისი და შემოსავლების გეგმა მხოლოდ 70,5%-ით შესრულდა. საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების დონის მიხედვით ეს წელი ყველაზე წარუმატებელი იყო. ბიუჯეტს დააკლდა 272,3 მლნ ლარი.[1] ამ პერიოდში ბიუჯეტის ხარჯები იმდენად მიზერული იყო, რომ სოციალური სფეროს მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა (არაფერს ვამბობთ ეკონომიკის განვითარების სხვა პრიორიტეტებზე). სამაგიეროდ, სწრაფი ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა საგარეო ვალების მომსახურებაში, რაც მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფო ბიუჯეტს და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკას. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტენდენცია 1997 წელსაც გაგრძელდა და 621,8 მლნ ლარი შეადგინა (თუმცა ხარჯებმაც შეადგინა 797,2 მლნ ლარი). ზრდის ტენდენცია გაგრძელდა 1998 წლის პირველ ნახევარშიც, ხოლო მეორე ნახევარში

1 მოხსენება 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 2000, გვ. 25.

გამოიკვეთა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტემპების შემცირება და 1995 წლის შემდეგ, პირველად დაფიქსირდა წარმოების მოცულობის ვარდნა.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 621,8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა – 797,2 მლნ ლარი. ამრიგად, დეფიციტი დაფიქსირდა 175,4 მლნ ლარის ოდენობით ანუ საბიუჯეტო ხარჯები აღემატებოდა შემოსავლებს 28,2%-ით.[1]

ბუნებრივია, შემოსავლების შემცირების ტენდენცია ქვეყნის მშპ-შიც გამოიკვეთა. 1998 წელს საგადასახადო შემოსავლებმა მშპ-ის მხოლოდ 9% შეადგინა, მაშინ როდესაც 1997 წელს იგი 19,1% იყო.[2]

აღსანიშნავია ის გარემობა, რომ ეს მაჩვენებელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში 27%-ის, ხოლო რუსეთში – 30%-ის ფარგლებში იყო.[3] რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, მათი ბიუჯეტის შემოსავლების ოდენობა მშპ-თან მიმართებაში კიდევ უფრო მაღალია. იგი მერყეობს 30%-დან (აშშ) 52%-მდე (შვედეთი). ქვეყნების ძირითადი ჯგუფებისათვის ეს მაჩვენებელი 40-45%-ის ტოლია.[4]

ასეთ პირობებში საქართველოში 1998 წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გამწვავდა საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც გაგრძელდა 1999 და 2000 წლებშიც. ამასთან, 1999 წელს საბიუჯეტო შემოსავლების გეგმამ, 1998 წელთან

1 რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 1999, გვ. 18.

2 იქვე.

3 Экономика переходного периода. Руководитель авторского коллектива **Е.Т. Гайдар.** М., 1998, с. 135.

4 რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 1999, გვ. 8.

შედარებით, 8,2 პროცენტული პუნქტით ნაკლები შეადგინა. ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა 1999 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების შესრულების ძალზე დაბალი დონე – 76,4%. თუ 1996 წელს ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე 24%-ს შეადგენდა, 1997 წელს შეადგინა 31, 1998 წელს – 28, 1999 წელს – 41,8, ხოლო 2000 წელს – 43%.[1] ამასთან, ამ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისთვის დამახასიათებელი იყო: ა) საკუთარი შემოსავლების წილის შემცირებისა და გრანტების წილის გადიდების ტენდენცია; ბ) საკუთარ შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების წილის ზრდა; გ) მთლიან შემოსავალში არაპირდაპირი გადასახადების, კერძოდ, დამატებული ღირებულების, აქციზისა და საბაჟო გადასახადების მაღალი ხვედრითი წონა (58%).[2]

1999 წელს საგადასახადო შემოსავლების მობილიზება ფისკალური სფეროს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დარჩა. განსაკუთრებული ჩავარდნა იყო იმპორტის დაბეგვრის სფეროში. ამ წელს ფაქტობრივმა საგადასახადო შემოსავლებმა გეგმის მხოლოდ 73,8% შეადგინა.

საქართველოს 2001, 2002, 2003 წლების ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, წინა წლებთან შედარებით, ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით (შესაბამისად, 15,1, 15,7 და 13,9%). 2000–2003 წლებში ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 43,7%-ით გაიზარდა.[3] ამასთან, სუსტი ეკონომიკური ზრდა შედარებით მაღალი ტემპით შეიცვალა. მიუხედავად ამისა, ამ წლების საბიუჯეტო შემოსავლების გეგმები არ

1 რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 1999, გვ. 8.

2 ანგარიში 2000 წლის საქართველოს საგადასახადო სისტემის მუშაობის შესახებ. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო. თბილისი, 2001, გვ. 68-70.

3 **ზურაბიშვილი ვ.** საქართველოს საბიუჯეტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში. თბილისი, 2005, გვ., 36, 47.

სრულდებოდა, თუმცა, მათი შეუსრულებლობისათვის არ ტარდებოდა სათანადო ღონისძიებები, როგორც საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები წლიური გეგმის მხოლოდ 76%-ს შეადგენდა, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის შემოსავლები – გეგმის 86%-ს. დიდი იყო კონტრაბანდის მასშტაბები. ამ წლებში საბაჟო დეპარტამენტის შემოსავლებმა გეგმის მხოლოდ 74% შეადგინა. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, ამ მხრივ გეგმა მხოლოდ 73%-ით შესრულდა.[1] რთული სიტუაცია ჩამოყალიბდა საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაში. მკვეთრად შემცირდა ეკონომიკის ცალკეული დარგების დაფინანსება. თუ 1990 წელს საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებაზე მთელი საბიუჯეტო ხარჯების 43,9% მოდიოდა, 2003 წლისთვის 11,5% შეადგინა. 1990-2003 წლებში განსაკუთრებით შემცირდა ასიგნებები: სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დაფინანსებაზე 8,7%-დან 2,3%-მდე, თავდაცვის ხარჯები 8,3%-დან 3,5%-მდე, ჯანდაცვისა 6,1%-დან 4,9%-მდე. აღსანიშნავია, რომ 2003 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ხარჯები ბიუჯეტის მხოლოდ 0,5%-ს შეადგენდა. ამასთან, დიდად გაიზარდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები (10,1%-დან 18,5%-მდე), რომელიც გარდა ფუნდამენტური გამოკვლევებისა (რომელთა წილი ბიუჯეტში, საერთოდ, მიზერულია), ძირითადად ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯებს მოიცავდა. ამასთან, სწრაფად გაიზარდა ისეთი ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნებოდა ძირითად განყოფილებებს (ამ ხარჯების უმეტესი ნაწილი მოდიოდა საგარეო და საშინაო ვალის მომსახურებაზე). მათი ნაერთი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში 1990–2003 წლებში 10,9%-დან 20,8%-მდე

1 **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ. 506-507.

გაიზარდა.[1] ყოველივე ეს მიუთითებდა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზე. ამ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს მიაღწია. ქვეყანაში მძიმე საინვესტიციო გარემო შეიქმნა. ინვესტიციების წილი ძირითად კაპიტალში მხოლოდ 9,6%-ს შეადგენდა.

საბიუჯეტო კრიზისის დასაძლევად ყურადღება გადატანილი იყო საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაზე და არა შემოსავლების გაზრდაზე. ამასვე ემსახურებოდა საკანონმდებლო ბაზაც. ქვეყნის ეკონომიკისთვის არაადეკვატურ კანონმდებლობას თან ახლდა უპასუხისმგებლობა ყველა დონეზე, განუკითხაობა და დაუსჯელობა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების კვალობაზე საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში გატარებულმა რეფორმამ ძირითადად განაპირობა საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის მისადაგება საბაზრო პრინციპებთან, მაგრამ სუსტი მაკროეკონომიკური რეგულირების გამო, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყანას თავი დაეღწია მძიმე ეკონომიკური სიტუაციისაგან, განსაკუთრებით, ფისკალურ სფეროში.

კანონმდებლობის არასრულყოფილების, საგადასახადო ადმინისტრირების სისუსტისა და ა.შ. გამო საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდებოდა საგადასახადო ტვირთის გაცილებით მაღალი დონით, ვიდრე ამას გადასახადების აკრეფის პრაქტიკა ადასტურებდა. ასე, რომ 12-წლიანი რეფორმირების შემდეგ საქართველო ვერ განთავისუფლდა მწვავე საბიუჯეტო კრიზისისგან, რაც სისტემურ კრიზისში გადაიზარდა.

ფისკალური კრიზისი ავიწროებდა კეთილსინდისიერი გადამხდელების წრეს. დიდი შემოსავლის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები სხვადასხვა გზით ნიღბავდნენ თავიანთ შემოსავლებს. ასეთი მდგომარეობა ხელს უშლიდა მეწარმეობის განვითარებასა და ხელს უწყობდა ნეგატიურ არჩევანს კონკურენტულ ბრძოლაში. ბანკები, ფაქტობრივად, იზოლირებული აღმოჩნდნენ საინვესტიციო საქმიანობის-

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

გან. მაღალი საპროცენტო განაკვეთი ზღუდავდა მეწარმეობას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის განვითარებას, არარენტაბელურს ხდიდა რეალურ სექტორში საქმიანობას. კვლავ პარალიზებული იყო უნაღდო ანგარიშსწორება.

აღნიშნული და სხვა მიზეზების გამო საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი არსებით ცვლილებებს მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით, „ვარდებით“ მოსულ ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობით არაერთი გადაუჭრელი, მწვავე პრობლემა დახვდა, რაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა. შექმნილი სიტუაციიდან (საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში გამეფებული კორუფცია, სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი, დაგროვილი გაუცემელი ხელფასები საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთათვის, გადაუხდელი პენსიები და ა.შ.) გამომდინარე, რადიკალური რეფორმების გატარება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა.

2004 წლიდან ეკონომიკის რეფორმირების **III ეტაპზე** დაიწყო რევოლუციურ პათოსზე მორგებული რეფორმების ახალი ტალღა. თებერვალში პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები (მორიგი ცვლილებები კი 2006 წლის მიწურულს განხორციელდა), რამაც საპრეზიდენტო ძალაუფლების გაძლიერება გამოიწვია. მართალია „ძალაუფლების კონცენტრაციას სულაც არ მოჰყოლია დემოკრატიის განვითარება, მაგრამ პოსტრევოლუციურ მთავრობას შეაძლებინა გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, დაეძლია მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, რამაც შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო (საბიუჯეტო სექტორში) დავალიანებების დაფარვა.“[1] ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო კორუფციაში დადანაშაულებული თანამდებობის პირების დაპატიმრების შემდეგ მათ

1 **პაპავა ვ.** პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2008, გვ. 20–21.

მიერ პატიმრობიდან გასათავისუფლებლად სოლიდური თანხის ე.წ. „თავისუფლების საფასურის“ გადახდამ. თუმცა ეს „დამატებითი შემოსავლები“ ძალოვანი უწყებების ბიუჯეტგარეშე ანგარიშებზე იქნა აკუმულირებული.

დასავლეთის ყურადღება მიიპყრო და მოწონება დაიმსახურა ფირმების რეგისტრაციის პრაქტიკის გამარტივებამ, გადასახადებისა და ტარიფების შემცირებამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან განაახლა 2003 წელს შეჩერებული პროგრამა.

2004 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტებთან ერთად), 2003 წელთან შედარებით, 85,7%-ით გაიზარდა და 1732,9 მლნ ლარს მიაღწია. საბიუჯეტო შემოსავლების წილი მშპ-ის მიმართ 14,9%-დან 21,4%-მდე გაიზარდა.

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტენდენცია მომდევნო 2005 წელსაც გაგრძელდა. წინა წელთან შედარებით, იგი (გრანტებთან ერთად) 53,3%-ით გაიზარდა და 3257,2 მლნ ლარს მიაღწია. 2006 წელს, 2005 წელთან შედარებით, 3,6%-ით დაეცა ზრდის ტემპი და აბსოლუტურ მონაცემებში ამ მაჩვენებელმა 3139,2 მლნ ლარი შეადგინა. ყველაზე ნორმალური იყო 2007 წელი. წინა წელთან შედარებით, იგი 42,4%-ით გაიზარდა და 4469,1 მლნ ლარს მიაღწია. 2008 წელს ზრდამ, 2007 წელთან შედარებით, 22,3% შეადგინა და 5469,6 მლნ ლარს მიაღწია.[1] 2012 წლის მონაცემებით, საბიუჯეტო შემოსავლებმა 7058,2 მლნ ლარი ანუ მშპ-ის 27,0% შეადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გადამეტებამ შემოსავლებზე 2003 წელს შეადგინა მინუს 1,9%, 2004 წელს – მინუს 17,4%, ხოლო 2012 წელს – მინუს 5,9%.[2]

2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საბიუჯეტო კლასიფიკატორი, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის აღრიცხვა წარმოებს სსფ-ის 2001 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები (იხ. საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი).

2 საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი; www.mof.ge

IV.3. საბიუჯეტო რეგულირება და სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციის პრობლემა

საბიუჯეტო რეგულირება მაკროეკონომიკური რეგულირების ღერძია, რომლის სწორად წარმართვაზეც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარება. იგი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული კომპონენტია, რომელშიც, როგორც სარკეში, აირეკლება სხვა სფეროებში წარმოქმნილი პრობლემები.[1]

შეხედულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 40%-ს, საკმაოდ ფეხმოკიდებულია განვითარებულ ქვეყნებში. ამ იდეის ავტორი მილთონ ფრიდმენია.[2] სახელმწიფო ხარჯების დონის განსაზღვრისადმი ასეთი ემპირიული მიდგომა ეფუძნება სახელმწიფო ხარჯების მიზანმიმართულ გამოყენებას ეკონომიკური ზრდის სფეროში მაკროეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ქვეყანას, თავისი თავისებურებებიდან გამომდინარე, აქვს საკუთარი პრობლემები საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულადსაკრედიტო, საზოგადოებრივი სექტორისა და ა.შ. სფეროებში, სახელმწიფო ხარჯების მისაღები დონე გრძელვადიან პერიოდში, სპეციფიკურია ცალკეული ქვეყნისათვის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ხარჯების დონეს რაოდენობრივად სხვადასხვა წესით განსაზღვრავენ. მისი შეფასების კრიტერიუმი მეტად რთულია და დაკავშირებულია ეკონომიკის სტაბილიზაცი-

1 **ასათიანი რ.** სახელმწიფო როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული თანხმობის გარანტი. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი, თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

2 **Friedman M.** Capitalism and freedom. Chicago. “Univ. of Chicago press”, 1992.

ის, სტრუქტურული გარდაქმნების, რესურსების განაწილებისა და სხვა პრობლემებთან.

თუ სახელმწიფო ხარჯები დაუსაბუთებლად იზრდება, მაშინ იგი დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა, მაგრამ თუ სახელმწიფო ხარჯებისაგან უკუგება მაღალია, მაშინ საკითხი იმის შესახებ, რამდენად მისაღებია ამ ხარჯების არსებული დონე, არ ექვემდებარება განხილვას. მაგრამ როგორ უნდა ანაზღაურდეს ეს ხარჯები – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და ძირითადად ორი გზით წყდება: პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება გადასახადების გაზრდაზე ან სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტი იფარება ფულის ემისიით, საგარეო და საშინაო სესხებით (აგრეთვე გრანტებით).

ფულის ემისია ორგანულად უკავშირდება ქვეყნის მშპ-ის საერთო მოცულობას. მისი ზღვარსგადასული ზრდა იწვევს ფასების დონის ზრდასა და წარმოქმნის ინფლაციურ გადასახადს. საგარეო სესხების აღებაც უკავშირდება დაბეგვრას, ოღონდ იგი გარკვეული დროითაა გადავადებული და წინა პლანზე სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის საკითხს აყენებს. ამ უკანასკნელს კი, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალი.

საქართველოში, ბიუჯეტის დეფიციტის ინფლაციური დაფინანსების შეწყვეტასთან ერთად, გამოვლინდა სახელმწიფო ხარჯების მჭიდრო დამოკიდებულება საგადასახადო შენატანებთან. საქმიანი (სამეურნეო) აქტიურობის მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია დასაბეგრი ბაზის შემცირება და საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზება, ეროვნული წარმოების განვითარების კვალობაზე მისი გაზრდა ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დარჩა. საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ მთავრობა არ წავიდა

სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებისა და სტრუქტურის გაუმჯობესების გზით. იგი, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მიზნით, შემოიფარგლა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების საერთო შემცირებით. დაფინანსების უზრუნველყოფისათვის მან აირჩია შედარებით ადვილი გზები: ჯერ რეფორმების დაწყების პირველ ეტაპზე დაარღვია ფულადი პოლიტიკისადმი საბიუჯეტო პოლიტიკის დაქვემდებარების მოთხოვნა – ფულის მასის ზრდის ტემპის შესაბამისობა მშპ-ის ზრდის ტემპთან, რამაც წარმოქმნა ინფლაციური გადასახადი და გაზარდა საშინაო ვალი, ხოლო შემდეგ, შეინარჩუნა რა ინფლაციის დათრგუნვის კურსი, აირჩია მეორე გზა – ძირითადად აქცენტი საგარეო ვალზე გადაიტანა.

სახელმწიფო ვალის გაზრდამ საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ დამოკიდებული გახადა მსოფლიო საფინანსო ბაზრების კონიუნქტურაზე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ინფლაციის დათრგუნვას უნდა შეექმნა ეკონომიკური პირობები ეროვნული კაპიტალის ფორმირების პროცესის დაწყებისათვის, დანაზოგისა და ინვესტიციების გადიდებისათვის, მაგრამ არსებული ფინანსური დილემა აფერხებდა ეკონომიკური ზრდის ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორების ამოქმედებას. საქართველოსათვის საგულისხმო პარადოქსი გახდა, ერთი მხრივ, ქვეყნის მზარდი მოთხოვნა ინვესტიციებზე (განსაკუთრებით ეროვნულ ინვესტიციებზე) და, მეორე მხრივ, კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ.

სახელმწიფო სექტორში სტრუქტურული რეფორმის გარეშე სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მკვეთრმა დაცემამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სოციალური დაცვის, განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებზე, მკვეთრად შეამცირა მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა. ხელი შეუშალა ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესების განვითარებას.

საბიუჯეტო კრიზისმა მკვეთრად დააჩქარა შემოსავლებ-

ის დიფერენციაციის პროცესი, გაზარდა სოციალური დაძაბულობა. მაგალითად, 1999 წელს საქართველოში მოსახლეობის უმდიდრეს 10%-ზე მოდიოდა ფულადი შემოსავლების 37%, ე.ი. თითქმის 2/5, ყველაზე ღარიბ ნაწილზე – მხოლოდ 1%-მდე.[1] ქვეყანაში ფეხი მოიკიდა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის ტენდენციამ, როგორც ეს სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. დენაციონალიზაცია საზოგადოებას შემოუბრუნდა სახელმწიფო ქონების განიავებით, მომხმარებლის მონოპოლიური ჩაგვრით. საქართველოში უგულებელყოფილია ცივილიზებულ სამყაროში აპრობირებული მოსაზრება, რომ ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტია.[2]

ეკონომიკის რეფორმირების საანალიზო პერიოდში საქართველოს საგარეო ვალის ზრდის ტემპი აღემატებოდა მშპ-ის ზრდის ტემპს. მაგალითად, 1998 წელს საგარეო ვალის მომსახურებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 52 მლნ დოლარი, რაც ბიუჯეტის ხარჯების 10%-ზე მეტს შეადგენდა, 1999 წელს კი იგი 81,6 მლნ დოლარამდე გაიზარდა. ეს გაცილებით მეტია იმ თანხაზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხმარდა ჯანმრთელობის დაცვას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას, მშენებლობასა და ენერგეტიკას, ერთად აღებულს. იგი მეტად მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას.

ამ პერიოდისთვის საქართველოში პრაქტიკულად ამოიწურა სახელმწიფო ხარჯების შემცირების ყველა შესაძლებლობა. მაგალითად, 2004 წელს იგი მშპ-ის მხოლოდ 17,4%-ს შეადგენდა, თუმცა, მომდევნო წლებში რამდენადმე გაიზარდა და 2008 წლის ოფიციალური მონაცემებით, სახელმწიფო

1 საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

2 **Lucas R.** On the Mechanics of Economy Development. Journal of Monetary Economics. Vol. 22, 1988, p. 22.

ხარჯებმა 4936,3 მლნ ლარი შეადგინა ანუ მშპ-ის 25,9%.[1] 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა 6554,3 მლნ ლარი ანუ მშპ-ის 24,9% შეადგინა. მთლიანობაში შემოსულობები და გადასახადები ერთმანეთს გაუტოლდა და 8015,4 მლნ ლარი ანუ მშპ-ის 30,5% შეადგინა.[2] შედარებისთვის – აშშ-ში ეს მაჩვენებელი 42%-ია.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შეასუსტა საბაზრო ეკონომიკის სტიმულები და გააჭიანურა გარდამავალი პერიოდი. ამიტომ აუცილებელი გახდა რადიკალური რეფორმის განხორციელება მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში, მეცნიერულ დონეზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის შემუშავება და ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

IV.4. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა

საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც საბიუჯეტოსთან ერთად ფისკალურ პოლიტიკას ქმნის, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ეს კონცეფცია დღეს საყოველთაოდაა აღიარებული, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის შესაბამისი და პერსპექტივის მქონე საგადასახადო პოლიტიკის შერჩევა ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. ამიტომაცაა იგი საქართველოში გაცხოველებული მსჯელობის საგანი. ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფოებრიობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ცნობილი ჭეშმარიტებაა: ჯანსაღი საგადასახადო სისტემის შექმნა (ე.ი. ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც ფისკალურთან ერთად შეასრულებს მარეგულირებელ და მასტიმულირებელ ფუნქციებს) ჯანსაღი საბაზრო ურთიერთო-

1 საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

2 საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი; www.mof.ge

ბების ჩამოყალიბების საწინდარია. როგორი სახელმწიფო იქნება მომავალში საქართველო, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ეკონომიკა ჩამოყალიბდება ამჟამად პოლიტიკურად დამოუკიდებელ, მაგრამ ეკონომიკურად გარე სამყაროსთან მეტისმეტად დამოკიდებულ ქვეყანაში. ამ საქმეში გადასახადებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუნქცია აკისრიათ. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაში დიდი მნიშვნელობა სწორი, ქვეყნის ეკონომიკისათვის ადეკვატური საგადასახადო პოლიტიკის გატარებას ენიჭება. იგი მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი მიმართულების – ფისკალური რეგულირების შემადგენელი ნაწილი და მთავარი ბერკეტია. გადასახადებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა დღევანდელი მწვავე პრობლემა – უმუშევრობა, ინფლაცია, ბიუჯეტის დეფიციტი, სიღარიბე, ბიზნესის სამთავრობო რეგულირება, გარემოს გაჭუჭყიანებაც კი და ა.შ. ამ და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, შეიძლება ითქვას, ფესვები გადასახადებში აქვთ გართხმული.

საქართველოში თეორიული პარადიგმების შეცვლამ მოითხოვა ფისკალურ პოლიტიკაში მსოფლიო თეორიისა და პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გაანალიზება.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო პრაქტიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს, დაბეგვრის თეორია მხოლოდ XVIII საუკუნეში წარმოიშვა. აქედან მოყოლებული იგი „დუღილს“ განიცდის და დღესაც ნელ-ნელა იწმინდება.

ქვეყნის ეკონომიკაში გადასახადების განსაკუთრებულ როლს მსოფლიოში ცნობილი ისეთი ეკონომისტებიც ამტკიცებენ, როგორებიც არიან რ. ფრიში (ნორვეგია), ი. ტინბერგენი (ნიდერლანდი), უ. ბევერიჯი (ინგლისი), კ. ლანდაუერი, უ. მიჩელი (აშშ) და ა.შ.

სახელმწიფოს წარმოშობიდანვე გადასახადები ეკონომიკის სახელმწიფო მოწყობის აუცილებელ რგოლს წარმოადგენდა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მოსავლის 1/10 უნდა დარჩეს გადა-

ნაწილებისა და საეკლესიო მრევლისათვის. მართლაც, თავდაპირველად გადასახადები შემოსავლის 10%-ს შეადგენდა. ეკონომიკური სისტემების განვითარების კვალობაზე იცვლებოდა საგადასახადო სისტემაც. „დაბეგვრის თეორიის“ ევოლუცია ეკონომიკური აზრის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა.

ა. სმითმა პირველმა შექმნა დაბეგვრის თეორია. მისი აზრით, „გადასახადი, რომლის გადახდაც ყველასათვის სავალდებულოა, უნდა განისაზღვროს ზუსტად და არა თვითნებურად... საგადასახადო ტვირთის შემცირებით სახელმწიფო მეტს მოიგებს, ვიდრე მისი გაზრდით. ამასთან, გადამხდელები თავისუფლად შეძლებენ გადახდას, რაც სახელმწიფოს გაათავისუფლებს გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯებისაგან.“[1]

მაშინ როდესაც კლასიკური თეორია გადასახადებს მიიჩნევს წმინდა ფისკალურ იარაღად, კეინზიანური თეორია ინვესტიციების მოზიდვაში განსაკუთრებულ როლს გადასახადებს ანიჭებს. კეინზიანელების აზრით, გადასახადები გამოყენებული უნდა იქნეს ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ, შეასრულოს „ჩაშენებული სტაბილიზატორის როლი“ და ამით ხელი შეუწყოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი იდეა კორპორაციებისათვის საგადასახადო შედავათების დაწესებასა და, სამომხმარებლო მოთხოვნის ხელშეწყობის მიზნით, მოსახლეობისათვის გადასახადების შემცირებაში მდგომარეობს. ნეოკლასიკოსების აზრით, მაღალი გადასახადები აფერხებს სამეწარმეო ინიციატივასა და ამუხრუჭებს საინვესტიციო პოლიტიკას. იგი ხელს უშლის ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთან, საგადასახადო განაკვეთები არ უნდა იყოს მინიმალური. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა

1 სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან **ფ. გოგიჩაიშვილის** მიერ. თბილისი, 1938, გვ. 588–589.

ბიუჯეტის მოთხოვნა და გადასახადები შეწყვეტენ ეკონომიკური რეგულატორის ფუნქციის შესრულებას.

XX საუკუნის 20-იან წლებში პოლიტიკური ეკონომიის კემბრიჯის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა არტურ პიგუმ (1877–1959) თავის ნაშრომში „სახალხო ფინანსები" განავითარა აზრი იმის შესახებ, რომ კონფისკატორული დაბეგვრა არაეფექტიანია და სწორმა საგადასახადო პოლიტიკამ შუალედური გზა უნდა იპოვოს. მისი აზრით, გადასახადებმა რიგითი მოქალაქის კეთილდღეობა მინიმალურად უნდა დააზარალოს. იოზეფ შუმპეტერი (1883–1950) 1918 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – „სახელმწიფო გადასახადების კრიზისი" – ხაზგასმით აყალიბებს აზრს იმის შესახებ, რომ გადასახადებით სახელმწიფო შეიძლება შეეჯახოს ისტორიულ ბარიერს და დაინგრეს.

XX საუკურის 80-იან წლებში ნეოკლასიკოსთა „მიწოდების თეორია" აშშ-ში განავითარეს მ. ბერნსონმა, ა. ლაფერმა, მ. უეიდენბაუმმა, გ. სტაინომმა და სხვებმა. მათი მსჯელობა ეყრდნობა ზღვრული საგადასახადო განაკვეთების რადიკალური შემცირების იდეას. ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილი „ლაფერის მრუდი" ამ იდეის ილუსტრირების ნათელი მაგალითია. ა. ლაფერის აზრით, „რაც უფრო მაღალია ზღვრული საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო ძლიერია გადამხდელთათვის თავის არიდების წამქეზებელი მოტივი... ადამიანები იმისათვის კი არ მუშაობენ, რომ გადასახადები იხადონ. გადასახადების გამოქვითვით წმინდა შემოსავალი განსაზღვრავს კონკრეტული პიროვნება მუშაობს თუ „პლაჟზე ზის".[1]

ნეოკლასიკოსების მტკიცებით, ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების ზღვრული განაკვეთი 30%-ია, რომლის ფარგლებშიც ბიუჯეტი იზრდება. გადასახადებით შემოსავლის 40–50%-ით ამაღლებისას, როდესაც საგადასახადო განაკვეთი „აკრძალულ ზონაში" მოხვდება, მოსახლეობის

1 ციტირებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: Налоговые реформы 80-ых годов в США. М., 1995, с. 9-12.

დანაზოგი მცირდება, რაც ახშობს ინვესტირებისადმი ინტერესს და ამცირებს საგადასახადო შენატანებს. მართალია, გადასახადების გაზრდა, ერთი მხრივ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ან დაძლევის ყველაზე მარტივი გზაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მზარდი გადასახადები მხოლოდ აღრმავებს დეფიციტს. გადასახადების მაღალი პროცენტი ასოცირდება დიდ დეფიციტთან, უმუშევრობის დონის ზრდასა და მოულოდნელ ინფლაციასთან.

გადასახადების ფისკალური ფუნქციით ძირითადად ფორმირდება სახელმწიფო ფინანსური რესურსები, ანუ ამ ფუნქციით ხდება მშპ-ის მნიშვნელოვანი ნაწილის ფულადი ფორმით გასახელმწიფოებრივება. საგადასახადო ტვირთის დონეს, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო ხარჯების სიდიდე განსაზღვრავს. 1995 წლის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის კოეფიციენტით პირველ ადგილზე იყო აშშ (82,8%), მეორეზე – გერმანია (79,4%), მესამეზე – დიდი ბრიტანეთი (77,2%), შემდეგ – იაპონია (75,7%), საფრანგეთი (73,1%) და ა.შ.[1]

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილი, ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებული დაბეგვრის მოწინავე გამოცდილება არ იქნა გათვალისწინებული დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. არასწორმა საგადასახადო პოლიტიკამ სახელმწიფო ბიუჯეტი დაანგრია. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ საქართველოში სახელმწიფო ხარჯების საგადასახადო დაფარვის კოეფიციენტი მხოლოდ 60–65%-ს აღწევდა. ამ ნგრევის საფუძველი ეკონომიკური განვითარების თეორიის უგულებელყოფაშია, რამაც, ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, საგადასახადო ბაზის უკიდურესი სივიწროე გამოიწვია.

გარდამავალი პერიოდის პირველივე წლებიდან საქართველოში გამოიკვეთა ეკონომიკაზე საგადასახადო სისტემის პოზიტიური ზემოქმედების შესუსტების სიმპტომები.

1 **Стиглиц Дж. Ю.** Экономика общественного сектора. Перевод с английского. М., 1997, с. 387.

გადასახადებს არა მხოლოდ ეკონომიკის მასტიმულირებელი და მარეგულირებელი, არამედ ფისკალური ეფექტიც კი არ ჰქონდა. აბსოლუტურად მოუქნელი იყო საგადასახადო შეღავათების სისტემა. იმთავითვე აშკარად გამოიკვეთა საგადასახადო სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტის დაცემის ტენდენცია. არსებული საგადასახადო სისტემა კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკის კრიზისულ მდგომარეობას და იგი ეკონომიკური რეფორმის ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენდა.

საბაზრო პრინციპებზე მორგებული დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის შექმნა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური წინააღმდეგობის დაძლევას მოითხოვდა. ჩვენში ახლო წარსულში საგადასახადო სამართალი არ არსებობდა, ხოლო საგადასახადო სამსახურის დონე უპასუხებდა არა საბაზრო, არამედ ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებული სისტემის მოთხოვნებს. საგადასახადო საქმის მცოდნე კვალიფიციური კადრების ნაკლებობასთან ერთად, ამ სისტემაში ფეხი მოიკიდა განუკითხაობამ, განსაკუთრებით აღრიცხვა-ანგარიშგების სფეროში, ასევე, არასახელმწიფოებრივ სექტორში, რის გამოც დიდი ოდენობის თანხა იკარგებოდა და თავს არ იყრიდა ბიუჯეტის შემოსავლებში. მოკლედ, **საგადასახადო სისტემაში (ისე როგორც მთელ მაკროსისტემაში) საქართველოს მკვეთრად გამოხატული განვითარების კურსი არ ჰქონდა. სიტყვით თითქოს გადავდიოდით საბაზრო ეკონომიკაზე, საქმით კი სულ სხვა სურათი იყო.**

1992 წელს დროებითმა მთავრობამ მიიღო დოკუმენტი – „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები," რომელიც, ეკონომიკური დაქვეითების პროცესის შეჩერებისა და სამეურნეო ცხოვრებაში წესრიგის დამყარების მიზნით, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის რეორგანიზაციას ითვალისწინებდა. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მასობრივი უწესრიგობა და მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური დესტაბილიზაცია აფერხებდა რეალური ეკონომიკური რე-

ფორმების დაწყებას.

1993 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანაში მძვინვარებდა ჰიპერინფლაცია. საწარმოთა დიდი უმრავლესობა არ მუშაობდა. ქვეყანაში თანდათან იზრდებოდა გამოუყენებელი შრომითი პოტენციალის რაოდენობა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვებოდა ეკონომიკას. მდგომარეობა არა მხოლოდ კრიზისული, არამედ კატასტროფულიც იყო.

ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში შევიდა ქვეყნის ნგრევის, პოლიტიკური ლოზუნგებისა და რიტორიკული მოწოდებების ხანად.

ასეთ ქაოსურ სიტუაციაში გააქტიურდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. 1994 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებთან ერთად, შეიმუშავა ერთწლიან პერიოდზე გათვლილი დოკუმენტი – „განცხადება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ“.[1] წარმოების დაცემის შეჩერებისა და ეკონომიკური აღმავლობისთვის მყარი პირობების შექმნის მიზნით, აღნიშნული დოკუმენტი ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ითვალისწინებდა საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურის გაუმჯობესებას. ნავარაუდევი იყო საბიუჯეტო სუბსიდიების გაუქმება და სახელმწიფო შემოსავლების გაზრდა საგადასახადო რეჟიმის გამკაცრების გზით. ამ მიზნების მისაღწევად 1994 წლის სექტემბერში ქვეყანაში გაიზარდა გაზის, ელექტროენერგიის და პურის ფასი, სახელმწიფო სექტორში მინიმალური და მაქსიმალური ხელფასების სიდიდე (რაც თავისთავად მიზერული იყო) არსებითად გაუთანაბრდა ერთმანეთს, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირება და ა.შ. ამავე, 1994 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები: „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“, „საქართვე-

1 „საქართველოს რესპუბლიკა“. 20–21 ოქტომბერი, 1994.

ლოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“, „საწარმოთა მოგების გადასახადის შესახებ“, „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“, „აქციზის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ და ა.შ. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი გაიზარდა 14-დან 20%-მდე, ბენზინზე აქციზი – 10-დან 15%-მდე და ა.შ. ასევე გაიზარდა ჯარიმები საფინანსო და სამეურნეო კანონმდებლობის დარღვევისათვის. 1996 წლის ბოლოს მიღებულ იქნა კანონი „საბაჟო გადასახადის შესახებ“. საბაჟო გადასახადი 2-დან 12%-მდე გაიზარდა.

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა, ძალზე დაგვიანებით (მასზე მუშაობა 1993 წლიდან დაიწყო), როგორც იქნა მიიღო საგადასახადო კოდექსი (საფუძვლად ყაზახური საგადასახადო კოდექსი დაედო). არ იქნა გათვალისწინებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის რიგი რეკომენდაციებისა (მაგალითად, გადასახადების განაკვეთების სიდიდის განსაზღვრისას არ იქნა გათვალისწინებული რეალური საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გაანგარიშების მაჩვენებლები). ამიტომ 1998 წლიდან, არსებული შეცდომების გასწორების მიზნით, საგადასახადო კოდექსში შესწორებების შეტანა დაიწყო. 2004 წლამდე 270-ზე მეტი ცვლილება იქნა შეტანილი. გადამხდელთათვის ისედაც რთული ენით წარმოდგენილი კანონი, მრავალჯერადი ცვლილებით კიდევ უფრო რთული გასაგები გახდა. მიუხედავად ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები (მოხდა სანქციების ლიბერალიზაცია, დამატებული ღირებულების გადასახადისგან განთავისუფლდა სამედიცინო აპარატურა, ფარმაცევტული საქონელი, პრესა, საგამომცემლო პროდუქცია...), მაგრამ, მიუხედავად ამისა, საგადასახადო კოდექსი არასრულყოფილი იყო, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყანაში არაჯანსაღი კონკურენციული გარემოსა და დაბალი საგადასახადო კულტურის ჩამოყალიბებაში.

სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში მუდმივ დაძაბ-

ულობას იწვევდა გადასახადების აკრეფის არაჯანსაღი მექანიზმი. არადიფერენცირებული გადასახადები ხელს უწყობდა ფარული ეკონომიკის ზრდას. საგადასახადო შეღავათების სისტემა არ შეესაბამებოდა ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს. ქვეყანაში ადმინისტრაციის მიმართ ჩამოყალიბდა უნდობლობის გარემო. ამ გარემოებამ დაღი დაასვა ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკას და უარყოფითი გავლენა მოახდინა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.[1]

პოზიტიური ძვრებიდან აღსანიშნავია ის, რომ ახალი საგადასახადო კანონმდებლობით დაწესდა მოგების გადასახადის ერთიანი განაკვეთი – 20%-ის ოდენობით. წინა წლებში მოგების გადასახადი ძალიან მაღალი იყო და, მაგალითად, 1993 წელს 40%-ზე მეტს აღწევდა. ერთიანი განაკვეთის დაწესებით საკრედიტო დაწესებულებებისა და სადაზღვევო ორგანიზაციების მოგების გადასახადის განაკვეთი 35%-დან 20%-მდე შემცირდა.[2]

საგადასახადო კოდექსში, რომელშიც ხშირი ცვლილებები და შესწორებები ხდებოდა, არ იყო ასახული განაკვეთების დაწესების მეთოდოლოგია. საგადასახადო განაკვეთების დადგენისადმი გათვალისწინებული იყო მხოლოდ ფისკალური მიდგომა. **გერმანელი ექსპერტების აზრით, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე 20%-იანი დღგ (გფრ-ში 8,4%-ია) გააჩანაგებდა ქართულ სოფელს. სამაგიეროდ, საქართველოში აზარტულ თამაშებზე გადასახადი 15%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 58%-ია.**

ყურადღებას იპყრობს საქართველოში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობის საკითხი. განვითარებულ ქვეყნებში მათ შორის თანაფარდობა, შესა-

1 **ასათიანი რ.** საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა 1991-2008 წლებში. „შრომები“. VII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009.

2 **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 122.

ბამისად, მერყეობს 2,0 : 1-თან ფარგლებში. მაგალითად, 1995 წლის მონაცემებით, იგი აშშ-ში შეადგენდა 1,7 : 1-თან, კანადაში – 1,3 : 1-თან, შვედეთში – 1,4 : 1-თან, შვეიცარიაში – 2,0 : 1-თან და ა.შ.[1] საქართველოში კი პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის თანაფარდობა 1995 წელს შეადგენდა 1 : 1,02-თან, (49,5 და 50,5%), 1996 წელს 1 : 1,6-თან (46,3 და 53,7%), ხოლო 1997 წელს – 1 : 6,8-თან (12,8 და 87,2%).[2]

ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილი არაპირდაპირ გადასახადებზე მოდის, რაც არ ითვლება ნორმალურ მოვლენად. მოუქნელთან ერთად, არასტაბილური საგადასახადო სისტემა დიდ სიძნელეებს ქმნიდა მეწარმეობის განვითარებისათვის. ზოგჯერ ინსტრუქცია წინა რიცხვით შედიოდა ძალაში, რაც უხერხულობას იწვევდა წესიერ გადამხდელებშიც კი და მათ კანონის დამრღვევთა რიგებში აყენებდა. საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა იყო საგადასახადო დავალიანების ზრდა. მაგალითად, 1996 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო დავალიანებამ 6 მლნ ლარს მიაღწია, მათ შორის 75%-ზე მეტი მოდიოდა ჯარიმებზე, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო დავალიანებამ კი 61,2 მლნ ლარი შეადგინა.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ საწარმოში, სადაც არ აღინიშნებოდა წარმოების დაცემა, გადასახადების გადახდა მცირდებოდა. ეს ტენდენცია უკავშირდებოდა გადასახადებისაგან კანონსაწინააღმდეგო გადახრას, გადაუხდელობის სინდრომის განვითარებას, ბიუჯეტის წინაშე ეკონომიკური აგენტების დავალიანების დაგროვე-

1 **Жильцов Е. Н.** Экономика общественного сектора и некоммерческих организаций. М., "Издательство московского университета", 1998, с. 67.

2 „საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები“. კვარტალური მიმოხილვა. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. Tacis, პირველი კვარტალი, 1998, გვ. 21; „ბიულეტენი“. № 7, 1998, გვ. 28.

ბას, დაუსაბუთებელი საგადასახადო შედავათების მასშტაბების გაფართოებას (მაგალითად, 1998 წლისათვის გადაუხდელი გადასახადების მოცულობამ თითქმის 1 მლრდ ლარს მიაღწია, ხოლო 2004 წლისათვის – 2 მლრდ ლარზე მეტს) და ა.შ. ამას ემატებოდა კანონმდებლობის არასრულყოფილება, საგადასახადო ადმინისტრირების სისუსტე და სხვ. ტრანზიტულ პროცესებზე აგებული ეკონომიკის დამახასიათებელმა თავისებურებამ – მოკლევადიან პერიოდში პრივატიზაციის პროცესსა და საგადასახადო შენატანების ზრდას შორის პირდაპირი დამოკიდებულების არსებობამ (ეს კონცეფცია ცნობილია დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში და იგი განვითარებულია მ. ფრიდმენის, გ. იეროუსა და სხვათა ნაშრომებში.)[1] ვერ პოვა ასახვა საქართველოში. იყიდებოდა ქონება, ბიუჯეტი კი ცარიელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2003 წელს სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ით პირველ ადგილზე იყო, ეკონომიკის ადმინისტრირების, გადასახადების მშპ-თან თანაფარდობით იგი აუტსაიდერი იყო – ბიუჯეტის შემოსავლების თანაფარდობა მშპ-თან შეადგენდა მხოლოდ 16%-ს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სომხეთში 17,8% იყო, ხოლო აზერბაიჯანში – 26,8%.[2]

2004-2008 წლებში საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში მომხდარმა არსებითმა ცვლილებებმა, გარკვეული პოზიტიური ტენდენციები შექმნა ფისკალურ კონსოლიდაციაში. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების საფუძველზე, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები მშპ-ის მიმართ 2003 წლის 13,9%-დან 2004 წელს 18,6%-ს მიაღწია, 2005 წელს – 20,8, 2006 წელს – 22,9, 2007 წელს –

1 **Friedman M.** Capitalism and freedom. Chicago. Univ. of Chicago press, 1992; **Yarrow G.** Privatization on Theory and Practice. Economic Policy. Cambridge University press, April, 1986.

2 **არჩვაძე ი.** თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა: განვითარების დონისა და მოწყვლადობის ზოგიერთი ასპექტი. ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი. თბილისი, „ნეკერი“, 2012, გვ. 15.

25,8, ხოლო 2008 წელს 26,8% შეადგინა.[1] 2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში, ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თავი მოიყარა საგადასახადო შემოსავლებმა, გრანტებმა, სხვა შემოსავლებმა, ფინანსურმა და არაფინანსურმა აქტივებმა. აღსანიშნავია, რომ ამ წლის გრანტებმა სულ შეადგინა 593 მლნ ლარი. აქედან, 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის მთავრობებისგან მიღებული გრანტები 412,5 მლნ ლარს ანუ გრანტების მთელი მოცულობის 70%-ს შეადგენდა.[2]

საგადასახადო შემოსავლების წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2008 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 12-დან 25%-მდე აწევამ.

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა საშემოსავლო გადასახადმა 1,1 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო 2011 წელს – 1,4 მლრდ ლარი, მოგების გადასახადმა – შესაბამისად, 576 და 832 მლნ ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადმა – 2,2 და 2,8 მლრდ ლარი, აქციზმა – 615 და 671,0 მლნ ლარი, ხოლო საბაჟო გადასახადმა – 83,0 და 93 მლნ ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა საგადასახადო შემოსავლებმა 2011 წელს შეადგინა 5,8 მლრდ ლარი, ხოლო 2012 წელს – 6,3 მლრდ ლარი. თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად 2009 წლიდან შემცირდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. თუ 2005 წელს მშპ-ის რეალური ზრდა იყო 9,6%, 2006 წელს – 9,4%, ხოლო 2007 წელს 12,3% შეადგინა.

1 „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2008, გვ., 29.

2 **პაპავა ვ.** ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა ფინანსური დახმარების ასახვა საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი, აპრილი, 2009, გვ. 8.

2008 წელს ეკონომიკური ზრდა დაეცა 2,3%-მდე, 2010 წელს გაიზარდა 6,3%-მდე, 2011 წელს – 7,2%-მდე, ხოლო 2012 წელს ისევ დაეცა 6,2%-მდე.[1] 2012 წლის მონაცემებით, მოგების გადასახადის წილი სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში 13,5%-ია, ხოლო მშპ-ში – 3,3%.[2]

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს (და არა მხოლოდ ამ წელს) არაფინანსური აქტივები მთლიანად პრივატიზებიდან მობილიზებული თანხებით იყო წარმოდგენილი და 4,5-ჯერ აღემატებოდა წინა წელს შემოსულ თანხებს.

მთლიანობაში საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო მაკროეკონომიკური რეგულირების ცივილიზებული ფორმებისა და მეთოდების (და არა ადმინისტრაციული მეთოდების) დანერგვა და მათ შესრულებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, საბიუჯეტო წონასწორობის უზრუნველყოფისა და გრძელვადიან პერიოდში მისი შენარჩუნებისათვის სახელმწიფო ფინანსებში სტრუქტურული რეფორმების გატარება.

ხელისუფლებამ ვერ შექმნა საბაზრო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშემწყობი სამართლიანი ბაზა, რომელიც დააჩქარებდა ბიზნესის განვითარებას, დაიცავდა კონკურენციას, უზრუნველყოფდა ბაზრის მიერ უსამართლოდ განაწილებული შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას, ეკონომიკური კონიუნქტურის მერყეობით გამოწვეული ინფლაციის დათრგუნვასა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. როგორც იტყვიან, ველოსიპედის ხელახლა გამოგონება არ იყო საჭირო. ასეთი სამართლებრივი ბაზა უკვე საკმაო ხანია არსებობს განვითარებულ ქვეყნებში, მას მხოლოდ გულდასმით შესწავლა და დანერგვა სჭირდება ჩვენი კულტურული და ისტორიული თავისებურებების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

1 http://www.geostat.ge/?action=pape&pp_id=118&lang=geo

2 www.mof.ge

IV.5. საგადასახადო ტვირთი: მძიმე თუ მსუბუქი საქართველოს ეკონომიკისთვის?

გადასახადებზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკა და საზოგადოებრივი ყოფიერება. ძნელია იპოვო ადამიანი, რომელსაც არ აწუხებდეს ეს პრობლემა – საგადასახადო ტვირთთან დაკავშირებით წარმოქმნილი დილემა. ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი, ეს იქნება სახელმწიფო, ფირმა თუ შინამეურნეობა, უხილავი თუ ხილული ძაფებითაა დაკავშირებული გადასახადებთან.

2005 წლამდე საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდებოდა სუსტი საგადასახადო ადმინისტრირებით. გადასახადები მშპ-ის მხოლოდ 12-13%%-ს შეადგენდა, ამასთან, საგადასახადო ტვირთი არათანაბარი იყო – ზოგიერთისთვის მაღალი, ზოგისთვის კი – დაბალი. გადასახადების აკრეფის პრაქტიკა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. იგი საქართველოს ეკონომიკისათვის მიუღებელი და შეუსაბამო იყო.

საქართველოში ფისკალური კრიზისი, შეიძლება ითქვას, თვითგამაძლიერებელ ხასიათს ატარებდა. ეკონომიკური აგენტების მაღალ დაბეგვრასა და საგადასახადო ამონაგების დაბალ დონეს შორის წინააღმდეგობას კიდევ უფრო აძლიერებდა საგადასახადო ტვირთის უთანაბრობა. საგადასახადო სისტემა არ იყო ნეიტრალური იმ გადამხდელების მიმართ, რომლებიც ერთნაირ ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდნენ. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, ავიწროებდა კეთილსინდისიერი გადამხდელების წრეს. როგორც ცნობილია, საგადასახადო ტვირთს ძირითადად მსხვილი გადამხდელები ატარებენ (მათი წარმოებრივი საქმიანობა უფრო გამჭვირვალეა საგადასახადო სამსახურისათვის), ფიზიკური პირებიდან კი – საშუალოშემოსავლიანი გადამხდელები. დიდი შემოსავლების მქონე ფიზიკური პირები ხშირად სხვადასხვა გზით ნიღბავენ თავიანთ შემოსავლებს. ასეთი მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას, ტიპური იყო საქართველოსთვისაც.

საქართველოს ხელისუფლებისთვის ვერ იქნა აღქმული ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ **გადასახადებით რეგულირება საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.** ამ პროცესის სწორად წარმართვა საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლებისა და სამამულო წარმოების არა მხოლოდ გაზრდის, არამედ მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების საწინდარია.

„რეიგანომიკის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი სწორედ გადასახადების ლიბერალიზაცია და ფისკალური პოლიტიკის კონსერვატიული მიმართულებით შემობრუნება იყო.

საქართველოში, მიუხედავად დაბეგვრის საკითხებსა და საგადასახადო სისტემის აგების შესახებ გაცხოველებული პოლემიკისა, ვერ იქნა შემუშავებული დაბეგვრის ერთიანი კონცეფცია. არსებულმა საგადასახადო კოდექსმა (რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთი დაკვრით შეიქმნა) ვერ შეძლო ახალ ეკონომიკურ პირობებთან ადაპტირება. ვერ გამარტივდა საგადასახადო სისტემა საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საფუძველზე. თავიდან ვერ იქნა აცილებული ორმაგი დაბეგვრა, გადასახადების (განსაკუთრებით დამატებული ღირებულების გადასახადის და ა.შ.) დიფერენციაცია. მცირე საწარმოების მიმართ არ იქნა შემოღებული ფიქსირებული გადასახადი, ვერ განხორციელდა შეღავათების ვარირება, რომელთა დიფერენციაცია წარმოების დინამიკისა და სტრუქტურაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და ა.შ.

როგორც ცნობილია, ცივილიზებულ ქვეყნებში საგადასახადო მექანიზმი სტიმულს აძლევს საქველმოქმედო საქმიანობას. ნებისმიერი სახის ქველმოქმედება თავისუფლდება გადასახადებისაგან, რის გამოც ასეთი ქმედება არა მხოლოდ მორალურადაა პრესტიჟული, არამედ ეკონომიკურადაც ხელსაყრელია. ეს მოწინავე გამოცდილება არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში.

აღნიშნული ღონისძიებები გააუმჯობესებდა საგადასახა-

დო კულტურასა და დისციპლინას, აიძულებდა არაგადამხდელებს მოეხდინათ თავიანთი საწარმოების რესტრუქტურიზაცია, შემდეგ კი ვალები დაეფარათ, გააძლიერებდა ბრძოლას ფარული ეკონომიკის წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო ბიუჯეტში გაზრდიდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობასა და ხელს შეუწყობდა მის სტაბილიზაციას.

საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას არ იქნა გათვალისწინებული ორი მნიშვნელოვანი გარემოება: მისი ეფექტიანობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა.

ეფექტიანია ის საგადასახადო სისტემა, რომელიც გადასახადის გადამხდელთა ხარჯების მინიმიზაციისა და ეკონომიკის სტიმულირების გაზრდის საშუალებას იძლევა. საგადასახადო პოლიტიკა ისე უნდა იყოს აგებული, რომ წაახალისოს ფირმები წარმოებაში დანაზოგის დასაბანდებლად, რაც, თავის მხრივ, ერთობლივი ინვესტიციების ზრდას განაპირობებს.

ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის დონეს განსაზღვრავს მისი უნარი, აწარმოოს საქონელი და მომსახურება, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დანაზოგისა და ინვესტიციების დონეზე. დანაზოგის დონესა და ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. დანაზოგის მაღალი დონე საინვესტიციო რესურსების გადიდებას, შრომის მწარმოებლურობისა და, აქედან გამომდინარე, შემოსავლების ზრდას განაპირობებს. თუ კანონმდებლობა მიმართულია ქვეყანაში დანაზოგის სტიმულირებისაკენ, ბუნებრივია, მოსახლეობა თავისი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს გამოიყენებს დაგროვებისთვის, რაც, საბოლოო ანგარიშით, უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ამაღლებას.

თეორიას, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას ამ პერიოდში ედო საფუძვლად, „სტაგნაციის ახალი თეორია“ შეიძლება ეწოდოს. სახელმწიფომ ვერ დაიცვა წარმოება, რომელიც გაკოტრების ზღვარზე მივიდა, სახელმწიფომ ვერ დაიცვა ბაზარი, რომელიც სპეკულაციური ბიზნესით იყო გაჯერებული.

სოციალური სამართლიანობის პრინციპი საგადასახა-

დო სისტემის აგების ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპია, რაც ნაკლებად იქნა გათვალისწინებული საქართველოს პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში. **ხელისუფლებამ ვერ გაითვითცნობიერა ის, რომ გადასახადების დადგენის საკითხისადმი მხოლოდ ფისკალური მიდგომა ქვეყნის დამღუპველია.**

ცნობილია, რომ ლუდვიგ ერჰარდის პოლიტიკაში მთავარი სწორედ გადასახადების შემცირება იყო. ომით გაპარტახებულმა გერმანიამ ამ გზით ბიუჯეტში სამჯერ მეტი შემოსავალი მიიღო. პრეზიდენტ ჯონსონის აზრით, გადასახადების შემცირება ყველაზე მნიშვნელოვანი და ისტორიული ნაბიჯი იყო, რომელიც აშშ-მა გადადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის განმტკიცებისათვის. მაშინ როდესაც ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დეფიციტი იყო, პრეზიდენტი და კონგრესი ამცირებდნენ გადასახადებს 11,5 მლრდ დოლარით წელიწადში. რეიგანის ადმინისტრაციამ ახალ დარგებში შეამცირა გადასახადი ინვესტიციებიდან შემოსავლებზე, რამაც გაზარდა წარმოებაში კაპიტალდაბანდებაც და შრომის მწარმოებლურობაც. აშშ-ში 1974 წლიდან მოქმედებს კანონი საგადასახადო შეღავათების იმ კომპანიებზე მიცემის შესახებ, რომლებიც აქციებს ანაწილებენ მუშებს შორის. ამისათვის კომპანიები ქმნიან მოგებიდან ანარიცხების ფონდს, რომლის სახსრებიც ხმარდება მუშების მიერ აქციების გამოსყიდვას. რა თქმა უნდა, მათ საკუთრებაში აქციების საკონტროლო პაკეტი არ გადადის, მაგრამ მუშები რეალურად ერთვებიან საწარმოს მართვაში და ღებულობენ მოგების ნაწილს დივიდენდების სახით.

საზღვარგარეთული გამოცდილებიდან ჩანს, რომ საგადასახადო შეღავათები ფართოდ გამოიყენება საწარმოების ახალ პირობებთან შეგუებისა (მათ „ადაპტაციური“ შეღავათები ეწოდებათ) და სტიმულირებისათვის. განვითარებულ ქვეყნებში ეს შეღავათები განსაკუთრებით გამოიყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ენერგომატარებლების წარმოებაში, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროცესების დაჩქარებასა და ა.შ.

აშშ-ში საგადასახადო კანონმდებლობა ნებას რთავს ფირმებს, თავიანთი შეწირულობანი გამოაკლონ დასაბეგრი მოგების თანხას.

ცივილიზებულ მსოფლიოში ფართოდ არის აპრობირებული მცირე საწარმოების განთავისუფლება მოგების გადასახადისაგან შესაბამისი ბიზნეს-გეგმის წარდგენისა და ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მათთვის დაბეგვრის ერთიანი სისტემის შემოღება, როდესაც გადასახადის განაკვეთის ზღვრული სიდიდე არ აღემატება მთლიანი შემოსავლების 20%-ს. ამასთან, ამ ერთიანი გადასახადის 70% (ანუ განაკვეთის 14%) რჩებათ ტერიტორიულ ბიუჯეტებს, ხოლო 30% (ანუ განაკვეთის 6%) გადადის ცენტრალურ ბიუჯეტში.

მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული საგადასახადო რეგულირებით მეწარმეობის განვითარების სტიმულები არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ფისკალურ პოლიტიკაში, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკის განვითარებაზე, შეიძლება ითქვას, ჩაკლა წარმოება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა არსებული საგადასახადო კოდექსი, რომელშიც ახლებურად არ იყო გათვალისწინებული გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქცია. საქართველოში მოქმედებდა 21 საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადი. მაღალი იყო საგადასახადო ტვირთი, რომელიც ანგრევდა ისედაც სუსტ ეკონომიკას და სიღარიბისკენ უბიძგებდა ქვეყანას. ძალიან დიდი გარღვევა იყო თვით საგადასახადო ტვირთის დონესა და აკრეფილ გადასახადებს შორის. ბიუჯეტში არ შედიოდა აკრეფილი გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი.

2004 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან. აღებულ იქნა გადასახადების ლიბერალიზაციის კურსი. განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში. წინა პერიოდთან შედარებით, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, შემცირდა გადასახადების რაოდენობა, გამკაცრდა კონტროლის მექანიზმი,

შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. 2005 წელს გადასახადების რაოდენობა შემცირდა 7-მდე. გადასახადების შემდგომი ლიბერალიზაცია განხორციელდა 2008 წელს. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე საგრძნობლად გამარტივდა საგადასახადო რეგისტრაცია და საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭების პროცედურა, გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. გადასახადების რაოდენობა დავიდა 6-მდე. ეს გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, ქონების გადასახადი, საპროცენტო შემოსავალსა და დივიდენდიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადი (დივიდენდის დაბეგვრა). ამასთან, ცვლილებები მოხდა საგადასახადო განაკვეთებშიც. 12%-იან საშემოსავლო გადასახადს შეუერთდა 20%-იანი სოციალური გადასახადი (რომელიც 2005 წლამდე იყო 33%) და დაწესდა 25%-იანი ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (რომელიც შემდეგ 20% გახდა), მოგების გადასახადი 20%-დან 15%-მდე შემცირდა, დღგ – 20%-დან 18%-მდე (2006 წლიდან). რაც შეეხება ქონების გადასახადს, იგი 1%-ის ფარგლებში მერყეობდა.[1] აღსანიშნავია, რომ საქართველოს არა აქვს არანაირი გადასახადი მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე, ასევე, – გადასახადი კაპიტალის ზრდით გამომუშავებულ მოგებაზე.

მართალია, საქართველოში საანალიზო პერიოდში განხორციელდა საგადასახადო რეფორმა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, მაგრამ ქვეყანაში, ჯერ ერთი, უკვე თავი იჩინა დაგვიანების ეფექტმა, ამოქმედდა ლაგის ფაქტორი და, მეორეც, ამ პოზიტიური პროცესის პარალელურად დაიწყო საშუალო და მსხვილ ბიზნესზე ზეწოლა, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას თავისი დაღი დაასვა.

2011 წლის მონაცემებით, საქართველოში საგადასახადო

1 www.georgia.gov.ge საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა. თებერვალი, 2009, გვ. 25.

ტვირთი – გადასახადების თანაფარდობა მშპ-თან 21,7% იყო, ხოლო დეფიციტის სიდიდე მშპ-ის (დაახლოებით) 2,3%-ს შეადგენდა.[1]

ის გარემოება, რომ რეკეტით, კერძო საკუთრების ხელყოფითა და სხვა ნეგატიური ფაქტორებით ეროვნული ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იყო, ეს გარედან, ქვეყნის საზღვრებს გარეთ არ ჩანდა, ხოლო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რომ მოხდა გადასახადების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია, ეს კარგად გამოჩნდა და ამიტომაც იყო, რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საგადასახადო სისტემის იურისდიქციად გამოცხადდა.

საბაზრო ეკონომიკა არ არის იდეალური სისტემა, სადაც ადგილი არა აქვს წინააღმდეგობებით სავსე პრობლემებს, მათ შორის, კორუფციის, უმუშევრობისა და სხვა მანკიერებებს. განვითარებული ქვეყნები არ ერიდებიან თავიანთი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების წარმოჩენას. მითუმეტეს არ უნდა მოვერიდოთ ამას ჩვენ. საქართველოს ეკონომიკა იმდენად დამძიმებულია პრობლემებით, რომ მათი სწრაფად დაძლევა შეუძლებელია, მაგრამ უნდა ავირჩიოთ ის გზა, რომელიც სათანადო ადგილს დაგვიმკვიდრებს ცივილიზებული ქვეყნების გვერდით.

IV.6. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირება და ფისკალური ფედერალიზმის ფორმირების თავისებურებები საქართველოში

გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან საქართველოში დაწყებულმა უდიდესმა სისტემურმა გარდაქმნებმა და უსისტემოდ განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანა-

1 **არჩვაძე ი.** თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა: განვითარების დონისა და მოწყვლადობის ზოგიერთი ასპექტი. ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი. თბილისი, „ნეკერი“, 2012, გვ. 74-75.

ში წარმოშობილ მრავალ მწვავე პრობლემას შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების პრობლემას მიანიჭა. სტბილურობა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური სამართლიანობა, ეროვნული თანხმობა და თავისუფლება მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებად დარჩა. ეკონომიკური რეფორმების სხვისი კარნახით, მოუფიქრებლად განხორციელების სუსხი საზოგადოებამ განსაკუთრებით მწვავედ ეკონომიკის კონვერსიის ორი ათეული წლის შემდეგ შეიგრძნო. **ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს საქართველომ დამოუკიდებლობა ახლა მოიპოვა და ეკონომიკის რეფორმირებაც ახლა დაიწყო.** ლაგის ფაქტორმა განსაკუთრებით რეგიონებში იჩინა თავი. უგულვებელყოფილ იქნა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია – ტერიტორიულ ერთეულებში მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნება და დისპროპორციების აღმოფხვრა. ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ეთნიკური და ა.შ. რეგიონული კრიზისები სახელმწიფო პოლიტიკის ნორმად იქცა. ამიტომ დღეს, საქართველოსთვის ამ მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როგორც არასდროს, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დარეგულირებას, ცენტრსა და რეგიონებს შორის არა მხოლოდ ფინანსური რესურსების რაციონალურ ტერიტორიულ განაწილებას, არამედ საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილებას. არანაკლები მნიშვნელობისაა ამ პრობლემისადმი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხების შესწავლა.[1] **მეცნიერ-მუშაკების ვალია გავაძლიეროთ ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემის კვლევა, განსაკუთრებული ყურადღება**

---

1 **ასათიანი. რ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XXI საუკუნის II ათეულის დასაწყისში. „შრომები“. X ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

მივაქციოთ სოფელს, რომელიც დღეს ნელ-ნელა იფერ-ფლება და ხელისუფლებას დროულად მივაწოდოთ საყურა-დღებო წინადადებები და რეკომენდაციები. მკითხველი ჩავაფიქროთ იმაზე, თუ საით მიდის ქვეყანა, რა სირთულე-ებს ვაწყდებით ამ გაუკვალავ გზაზე და როგორ შეიძლება ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე. ეს მეტად რთული, მაგრამ ამავე დროს მეტად საჭირო საქმეა.

საქართველოს ახალი ხელისუფლება ცდილობს შეცვა-ლოს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ნეოლიბ-ერალური (ულტრალიბერალური) კურსი (სინამდვილეში ნეოლიბერალურს მიმსგავსებული, თვითდინებაზე მიშვებუ-ლი კურსი) და სავსებით სწორად, მრავალ სხვა მწვავე პრობ-ლემასთან ერთად, წინა პლანზე ადგილობრივი თვითმ-მართველობის გაძლიერების საკითხს აყენებს, რაც ორგანუ-ლად უკავშირდება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგ-ულირებასა და საბიუჯეტო ფედერალიზმის* განვითარებას. ეს უკანასკნელი, როგორც საბიუჯეტო მოწყობის ფორმა, არის ცენტრალურ და ტერიტორიულ სახელისუფლებო სტრუქ-ტურებს შორის არა მხოლოდ ფინანსური რესურსების, არამედ საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლი-ტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილება.[1]

დამოუკიდებელ საქართველოში თავიდანვე რთულად და მტკივნეულად წარიმართა საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩამოყ-ალიბების პროცესი. წარსულის მემკვიდრეობამ, ცენტრალ-იზებული ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა საბიუჯე-

* ეს ტერმინი გამოიყენება იმ ქვეყნების მიმართაც, რომლებიც არ წარმოადგენენ ფედერაციას. მოცემულ შემთხვევაში ფედერალ-იზმში იგულისხმება სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემის გან-ცალკევებული რგოლების არსებობა. არც პოლიტიკურ, არც სა-მართლებრივ და არც ეკონომიკურ ჭრილში ფედერალიზმი არ დაიყვანება ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციამდე.

1 **ასათიანი რ.** ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება – პირველი რიგის ამოცანა. „ახალი ეკონომისტი“, 2012, №4, გვ. 22-23.

ტო ტრადიციებმა, გაურკვევლობამ ბიუჯეტთაშორისი პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განსაზღვრაში და, საბოლოო ანგარიშით, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკის გაუთვალისწინებლობამ წარმოქმნა პირობები საბიუჯეტო რესურსების არარაციონალური, არაოპტიმალური გამოყენებისათვის, გამოიწვია ცალკეული რეგიონების რესურსული გამოფიტვა, სტრუქტურული დეფორმირება, რეგიონული დისპროპორციები, შიდარეგიონული, რეგიონთაშორისი და სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მოშლა. ყოველივე ეს მწვავედ აისახა სოციალურ სფეროში, მნიშვნელოვნად დააჩქარა უმუშევრობის ზრდა და ინფლაციის გაღრმავება. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ყველა დონის ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზა შემცირდა. მათ დაკარგეს საინვესტიციო ფუნქცია და გადაიქცნენ სამომხმარებლო ბიუჯეტებად, აღმოჩნდნენ ქმედითუუნარონი. საშემოსავლო უფლებამოსილების შესაბამისობა ხარჯების კომპეტენციასთან ფარატინა ქაღალდად დარჩა. გამოიკვეთა მხოლოდ ვერტიკალური ურთიერთობები, ჰორიზონტალური კი საერთოდ გაქრა. არსებული ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები თავისი ხასიათით დაუახლოვდა მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას. საბიუჯეტო რესურსების განაწილება ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის მთლიანად სუბიექტივიზმს დაემყარა.

ქვეყნის ფინანსური რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მათ ტერიტორიულ განაწილებასაც გულისხმობს. სხვაგვარად შეუძლებელია ქვეყნის ტერიტორიული ერთეულებისათვის გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭება, რაც ცივილიზებულ სამყაროში ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და პოლიტიკური სტაბილურობის ნორმაა. ამას მოითხოვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნების, კონკურენციული გარემოს შექმნისა და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ეფექტიანო-

ბის ამაღლების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება რეგიონული დისპროპორციები, რაც გამოვლინდება საბიუჯეტო რესურსების არარაციონალურ ხარჯვაში, ბიუჯეტთაშორისი პრობლემების გაღრმავებაში, უმუშევრობის ზრდასა და ა.შ. ამიტომ, ნებისმიერი საბიუჯეტო სისტემის პირობებში, ეს იქნება ფედერაციული თუ უნიტარული, ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილება (რაც კანონმდებლობით იქნება განმტკიცებული) ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების მთავარი პრობლემაა და ფისკალური ფედერალიზმის ღერძია.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები მეტწილად დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზე და გაცილებით ნაკლებად – სახელმწიფოებრივ მოწყობაზე (უნიტარული, ფედერაციული).

ფისკალური ფედერალიზმი ასახავს ქვეყნის ფინანსური სისტემის ფუნქციონირების წესს. იგი, როგორც საბიუჯეტო მოწყობის ფორმა, გულისხმობს ერთიან პროცესში საბიუჯეტო სისტემის ყველა რგოლის მონაწილეობას, ცენტრსა და რეგიონებს, ხელისუფლების ყველა დონეს (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები) შორის ფინანსური რესურსების, საგადასახადო უფლებებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილებას.

საქართველოში ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სახელმწიფოსა და რეგიონების ურთიერთობების რეფორმამდელმა მოდელმა ამოწურა თავისი თავი და დღის წესრიგში დადგა ამ მიმართულებით ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების აუცილებლობა.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მანკიერმა ტრადიციებმა დაღი დაასვა ფისკალური ფედერალიზმის ჩამოყალიბების პროცესს.

ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე ჩამოყალიბებუ-

ლი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები გაცილებით ახლოს აღმოჩნდა მართვის ცენტრალიზებულ სისტემასთან, ვიდრე საბაზრო პრინციპებთან.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დაურეგულირებლობამ გაამწვავა ფინანსური ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონებს შორის. ხელისუფლება საბიუჯეტო კრიზისის დაძლევას საბიუჯეტო ხარჯების უბრალო შემცირებით ცდილობდა. ამასთან, მაღალმა გადასახადებმა მკვეთრად დააქვეითა რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონე და ხარისხი. დაეცა სახელმწიფო ფინანსური რესურსების ეფექტიანობა, სამაგიეროდ სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა ფარული ეკონომიკის მასშტაბებმა. ქვეყანაში იმძლავრა კონტრაბანდამ. მწვავე საბიუჯეტო კრიზისმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. საბიუჯეტო საგადასახადო სფეროში ერთიანი სტრატეგიის, დასაბუთებული ფისკალური პოლიტიკის უქონლობის გამო ქვეყანაში შეიქმნა არასახარბიელო ეკონომიკური გარემო, რამაც სამეწარმეო საქმიანობის დაქვეითება და ეკონომიკური ზრდის ტემპების მკვეთრი დაცემა გამოიწვია. შიგა საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის შეუძლებლობამ საქართველო საგარეო-საკრედიტო პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოაქცია.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ბიუჯეტის დეფიციტი დასაშვებია 20-30%-ის ფარგლებში. ამიტომ არ შეიძლება საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის გაიგივება უდეფიციტო ბიუჯეტის შექმნასთან, რომლის შედგენის აუცილებლობის შესახებ რეკომენდაციებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი იძლეოდა. ცნობილია, რომ უდეფიციტო ბიუჯეტი რიგი განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი არ არის დამახასიათებელი. მთავარია, ჯერ ერთი, ეს დეფიციტი არ იყოს ზღვარსგადასული და, მეორე, ბიუჯეტის დეფიციტის წარმომქმნელი საბიუჯეტო ხარჯები გამოყენებულ იქნეს საინვესტიციო და არა სამომხმარებლო მიზნებისათვის.

1993 წლის 24 აპრილს მიღებულმა კანონმა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ განსაზღვრა სახელმწიფო

ბიუჯეტიდან რეგიონულ ბიუჯეტებში ანარიცხების ნორმატივები, ხოლო 1996 წელს მიღებული კანონით „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილების შესახებ“ განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ბიუჯეტების, ქვეყნის სხვა ტერიტორიული ერთეულების (ქალაქების, რაიონების, სოფლების) ბიუჯეტებისა და ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და ხარჯების შედგენასთან, დამტკიცებასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები. პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებსა და ცენტრალურ ბიუჯეტში ჩასარიცხი გადასახადების დიფერენციაციის მიმართულებით, განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონული ბიუჯეტების ანგარიშების ნორმატივები და ა.შ. ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის განვითარებაში, საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ორგანულმა კანონმა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, აგრეთვე სახელმწიფო კანონებმა „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“, „ბიუჯეტებს შორის შემოსულობების განაწილების შესახებ“ და ა.შ.

ფისკალური ფედერალიზმის შემადგენელი ნაწილია ცენტრალური და ტერიტორიული ხელისუფლების სტრუქტურებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილება, რაც საგადასახადო ფედერალიზმში აისახება. რაც უფრო ნაკლებდემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო მწვავედ დგას ეს პრობლემა და საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპების რეალიზაცია რიგ წინააღმდეგობებს აწყდება. მის სწორ ორგანიზაციაზე კი დიდად არის დამოკიდებული ცენტრსა და რეგიონებს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილება, რაც სხვადასხვა იერარქიული დონის ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი სფერია.

საქართველოში საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში შე-

ქმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ დადი დაასვა საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილებას მმართველობის იერარქიულ დონეებს შორის. ამ პრობლემამ, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში, კიდევ უფრო გაამწვავა ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები. დაირღვა ფისკალური ფედერალიზმის პრინციპები, დემოკრატიული დეცენტრალიზაციის პროცესი. ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა ფიქციად იქცა. გადასახადების ადმინისტრირების დაბალმა დონემ წარმოქმნა შეუსაბამობა გადასახადების ფაქტობრივ დონესა და რეგიონების პოტენციურ შესაძლებლობებს შორის. საგადასახადო უფლებამოსილების ტერიტორიული განაწილება და ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოებისათვის ავტონომიის მინიჭების კანონმდებლობა ნაკლებად ეყრდნობოდა ევროკავშირსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებულ სტანდარტებს და არ ითვალისწინებდა „სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმს“, რომელიც საკუთარი შემოსავლებისა და სუბსიდირებული სახსრების თანაფარდობით გამოითვლება. საგადასახადო ფედერალიზმის განვითარებას აფერხებდა უმოქმედო საწარმოთა დიდი რაოდენობა, გამოუყენებელი შრომითი პოტენციალის მაღალი დონე, გადასახადების სიმრავლითა და მაღალი განაკვეთებით დამძიმებული 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი. ტერიტორიული ერთეულების (ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონების, ქალაქების) ბიუჯეტებში, მართალია მთლიანად ჩაირიცხებოდა ადგილობრივი გადასახადები (სამეწარმეო საქმიანობისთვის გადასახადი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საკურორტო გადასახადი, სასტუმროს გადასახადი, რეკლამის გადასახადი, მანქანების პარკირების გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის), მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მათი სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის. არსებული საგადასახადო კოდექსი არ იძლეოდა ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავ-

ლების სწორი განსაზღვრის შესაძლებლობას. არ იყო დაზუსტებული ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საერთო–სახელმწიფოებრივი გადასახადების რა წილი უნდა შესულიყო მათ ბიუჯეტებში. იგნორირებული იყო ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების მარეგულირებელი როლი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გრძელვადიანი ნორმატივები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა ტერიტორიული ერთეულების ნორმატივებისაგან. მას რჩებოდა გადასახადებისგან მიღებული შემოსავლების გაცილებით დიდი ნაწილი, ვიდრე საქართველოს სამხარეო მოწყობის ტერიტორიულ–ადმინისტრაციულ ერთეულებს (კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის, სამცხე–ჯავახეთის, რაჭა–ლეჩხუმის მხარეები). ეს გარემოება ხელს უშლიდა რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნასა და რეგიონული თანხმობის მიღწევას. დარღვეული იყო საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, რომლის მიხედვით მთლიანად უნდა ჩარიცხულიყო ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ისეთი ადგილობრივი ხასიათის გადასახადები, როგორიცაა მიწის გადასახადი, ქონების გადასახადი, გადასახადი ქონების გადაცემისთვის, გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისთვის. ეს გადასახადები კანონის დარღვევით თავმოყრილი იყო საერთო–სახელმწიფოებრივი გადასახადების ჯგუფში.

ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს ტრადიციები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის საგადასახადო უფლებამოსილების მინიჭებაში. კერძოდ, მათ არ ჰქონდათ უფლება თავად განესაზღვრათ საგადასახადო ბაზა, საგადასახადო განაკვეთები და გადახდის პირობები. მათთვის ამ უფლების მინიჭების მსოფლიო-

ში აპრობირებული პრაქტიკის იგნორირება ხელს უშლიდა ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ავტონომიურობის ამაღლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში. დარღვეული იყო ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის საგადასახადო შენატანების განაწილებაში წილობრივი მონაწილეობის პრინციპი, ასევე, ტრანსფერების გადაცემის პრაქტიკა. ტრანსფერებს მნიშვნელოვანწილად იმ ტერიტორიულ ერთეულებს კი არ გამოუყოფდნენ, რომლებიც განიცდიდნენ საბიუჯეტო უზრუნველყოფის დეფიციტს, არამედ კანონის იგნორირებით, სუბიექტური თვალსაზრისით წყვეტდნენ ამ პრობლემას.

საგადასახადო ფედერალიზმის ფორმირების პროცესში ნაკლები ყურადღება ექცეოდა რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების როლის განსაზღვრას მცირე ბიზნესის განვითარებაში, რაც აისახა კიდეც რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. შეიძლება ითქვას, პარალიზებული იქნა საქმიანი აქტიურობა.

2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით, შემცირდა ადგილობრივი გადასახადების რაოდენობა და მხოლოდ 2 გადასახადი – ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი – დაეკისრათ ტერიტორიულ ერთეულებს, ხოლო 2008 წელს, მასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე – მხოლოდ ქონების გადასახადი. გარკვეული თვალსაზრისით, ამ სფეროში ლიბერალური პოლიტიკის გატარების მიუხედავად, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამის შეუმუშავებლობის გამო ფისკალური ფედერალიზმი დარჩა პრიმიტიულ დონეზე და საათანადო როლი ვერ შეასრულა ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში. თავის მხრივ, ტერიტორიული მოწყობის ადეკვატური რეგიონული ფისკალური ფედერალიზმის უქონლობის გამო, ვერ მოხერხდა საგადასახადო ბაზის გაფართოება, ეკონომიკური პროპორციების დამყარება და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. ყოველივე

აღნიშნულმა განაპირობა ფისკალური ფედერალიზმის დაბალი მულტიპლიკაციური ეფექტი.

2009 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსმა“ ახლებურად დააყენა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მოწყობის პრინციპები, განსაზღვრა საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ნორმები, შემოსულობების განაწილება ბიუჯეტებს შორის, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის შედგენის (რომელსაც საფუძველი 2011 წლიდან ჩაეყარა), ბიუჯეტიდან სესხის გაცემის, შიდა და საგარეო ვალების ლიმიტირების წესები და ა.შ.[1]

საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში ერთიანი სტრატეგიის უქონლობის, მეცნიერულად დაუსაბუთებელი ფისკალური პოლიტიკის გამო პერმანენტულად გრძელდებოდა საბიუჯეტო დავალებების შეუსრულებლობა. საქართველო თანდათან მოექცა საგარეო-საკრედიტო პოლიტიკის გავლენის ქვეშ, გაიზარდა სახელმწიფო საგარეო ვალი. 2004 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 3,9 მლრდ ლარს შეადგენდა, ხოლო 2012 წლის 29 თებერვლის მონაცემებით, 6,1 მლრდ ლარი შეადგინა. ფაქტობრივად, 8 წლის განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა გაორმაგდა და მშპ-ის 39,1%-ს გაუტოლდა.[2] 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა საგარეო ვალმა 13,5 მლრდ დოლარს მიაღწია, ხოლო საგარეო და საშინაო ვალის წლიურმა მომსახურებამ 900 მლნ დოლარს გადააჭარბა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას. გაქრა შიდა საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობები. ამავე, 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის წილმა მშპ-ში 25,3%

1 საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. თბილისი, 2010.

2 **მესხია ი.** საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 63.

შეადგინა.[1] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის სალდო მკვეთრად უარყოფითია, საგარეო ვალის ასეთი ზრდა მძიმე ტვირთად დააწვება ეროვნულ ეკონომიკას. ამიტომ საქართველოში არსებული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა არ შეესაბამება არც ნეოლიბერალიზმისა და არც სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. არსებული სიტუაცია აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, **გამოუყენებელია რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს რეგიონული ეკონომიკა ერთ წერტილში გაიყინა.**

ქვეყანაში შექმნილმა არასახარბიელო ეკონომიკურმა გარემომ გამოიწვია სამეწარმეო საქმიანობის მკვეთრი დაქვეითება და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება. სახელდობრ, საქსტატის დაზუსტებული მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2011 წელს 2007 წლის 12,4%-დან 7,2%-მდე დაეცა, ხოლო 2012 წელს 6,2% შეადგინა (2013 წელს კიდევ უფრო დაეცა მშპ-ის ზრდის ტემპი და წინასწარი შეფასებით, 3,1% შეადგინა).[2] შევნიშნავთ, რომ ასეთ მკვეთრ ვარდნას ადგილი ჰქონდა ცნობილი მოვლენების დროს 2009 წელსაც, როდესაც მშპ 3,8%-ით შემცირდა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ჩართვა მშპ-ში ხელოვნურად ზრდიდა ეკონომიკური ზრდის ტემპებს.

საქართველოში, ასეთ მიწათმოქმედების ქვეყანაში, კვების პროდუქტების იმპორტმა 80%-ზე მეტი შეადგინა. ქართული ფირმების მარკით წარმოებული ზოგიერთი რძის, ხორცის, საკონდიტრო და ა.შ. ნაწარმი იმპორტირებული ნედლეულით, ნახევარფაბრიკატებითა და მასალებით იწარმოება. ოფიციალური სტატისტიკით (რომელიც ახლოსაც არ არის სინამდვილესთან) უმუშევრობა საქართველოში 15%-ია, ხოლო

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

2 http://geostat.ge/print.php?p_id=118%lang=geo

ექსპერტული შეფასებით – 71%. მოსახლეობის 53% თვითდასაქმებულია. შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/4 საზღვარგარეთაა გადახვეწილი (მათ შორის, გლეხობაც. ამ თოხითა და ბარით მომუშავე გაძვალტყავებულ კატეგორიას ფერმერებს ვერ ვუწოდებთ). ამასთან, მათ მნიშვნელოვან ნაწილს არარეგულარული შემოსავლები აქვთ.

დაბალია მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეები და შრომითი რესურსების გამოყენების დონე, ხოლო საწარმოთა დიდი ნაწილი უმოქმედოა. ქვეყანაში არსებობს გამოუყენებელი შრომითი პოტენციალი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას და მნიშვნელოვნად აფერხებს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებში მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების დანერგვას. ამას ხელი შეუწყო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმებამაც. სახელმწიფო და მუნიციპალური ტენდერები ამ პერიოდში აბსოლუტურად გაუმჭირვალე იყო. „თავისიანობის“ პრინციპით გამარჯვებული ფირმები კანონმდებლობის უხეში დარღვევითა და ხარჯების გაბერვით ასრულებდნენ სამუშაოს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მართალია საქართველოს, ბიზნესის კეთების მიხედვით, სახარბიელო პოზიცია უჭირავს, მაგრამ ფირმების დახურვის, მათი გაკოტრების მხრივ ქვეყანა 105-ე ადგილზეა. კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო 139 ქვეყნიდან 93-ე ადგილზეა, საკუთრების დაცვის კუთხით – 120-ე, ხოლო დემოკრატიის ინდექსის მიხედვით – 103-ე ადგილზე.[1]

მაგრამ ეს ყველაფერი და ბევრი კიდევ სხვა ართქმული (მაგალითად, ის რომ საბიუჯეტო ხარჯები აბსოლუტურად გაუმჭირვალე იყო და მასში არის მუხლი „სხვადასხვა“, რომელზედაც მიწერილი იყო 1 მლრდ ლარი ანუ ხარჯების 13,33%), წინა რეჟიმის თანმხლები იყო. მთავარია ახლა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ გამოვიდეს საქართველო ამ უაღრესად მძიმე მდგომარეობიდან.

---

1 **ასათიანი. რ.** კონკურენციის გლობალური ტენდენციები და კონკურენტუნარიანობა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2011, №5.

როგორც მეცნიერული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, აუცილებელია შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მკვეთრად განსაზღვრული პრინციპები, რომელთა გარეშე რეალური რეფორმების გატარება საქართველოში შეუძლებელია. სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს ტერიტორიული დისპროპორციების ლიკვიდაცია, ხელისუფლების ყველა დონის ეკონომიკური ინტერესების ოპტიმალური შეხამება. აუცილებელია ამაღლდეს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ე.წ. დეპრესიულ რეგიონებს, რომელთა საბიუჯეტო შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია;

2. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების პრინციპების რეალიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს დასავლეთში საკმაოდ აპრობირებული საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს საქართველოში. იგი ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სისტემის, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური დაბალანსების პრობლემების მოწესრიგებას, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ხასიათს;

3. აუცილებელია შეიქმნას სუბვენციის ფონდი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს იმას, თუ რამდენად მიზანდასახულად ხდება გაწეული ხარჯების გამოყენება;

4. რეგიონების ტრანსფერული დაფინანსების მოქმედი სისტემა დაფუძნებულია ძალზე მწირი საბიუჯეტო რესურსების გადანაწილებაზე, რომელიც რეგიონებს თავიანთი ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილის ფორმირების საშუალებასაც კი არ აძლევს. სამომავლოდ, რეგიონული ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, ტრანსფერები უნდა შემცირდეს, მათ არ უნდა ჰქონდეთ საყოველთაო ხასიათი, მაგრამ ამჟა-

მად, ამ კრიტიკულ სიტუაციაში, აუცილებელია გაიზარდოს სუბვენციური (მიზანდასახული) ტრანსფერების გაცემა;

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას რეგიონულ ჭრილში. ეს მოგვცემს საშუალებას ავითვისოთ საკმაოდ დიდი რაოდენობის გამოუყენებელი მატერიალური (წყლის რესურსები, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის წარმოებისთვის საჭირო ნოყიერი ნიადაგი და ა.შ.) და შრომითი (ადამიანისეული) რესურსები, დავუბრუნოთ მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, თავიანთ საცხოვრებელს, რაშიც, მნიშვნელოვანი როლი ინფრასტრუქტურის განვითარებამ უნდა შეასრულოს;

სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა შეადგინონ მცირე ბიზნესის დახმარების პროგრამები, რისთვისაც აუცილებელია გასცენ სესხები დაბალი პროცენტით, შეამცირონ გადასახადები (პირველ ეტაპზე გაანთავისუფლონ კიდეც მისგან), ხელი შეუწყონ სხვადასხვა სახის ტექნიკურ და საკონსულტაციო (ძირითადად უფასო) მომსახურების დანერგვასა და ა.შ.;

6. საქართველოში საგადასახადო უფლებამოსილების ტერიტორიული განაწილება და ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოებისთვის ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ანუ არ შეესაბამება „სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმის“ მოთხოვნებს. ეს პრობლემა მეტად საყურადღებოა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან და დროულად გადაჭრას მოითხოვს;

7. ქვეყნის ტერიტორიებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს კონკრეტული რეგიონული საინვესტიციო პროექტების შედგენაში, კომერციული ბანკების კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების მიცემაში და ა.შ.;

8. საბიუჯეტო ფედერალიზმის საქართველოსთვის მისაღები ოპტიმალური მოდელის შესამუშავებლად აუცილებელია ერთ ჭრილში განვიხილოთ არა მხოლოდ შემოსავლებ-

ის, არამედ ხარჯების სისტემაც. ამიტომ ბიუჯეტის შედგენა უნდა დაიწყოს შემოსავლების ოდენობის დადგენითა და არა ხარჯების ფორმირებით;

9. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია ფინანსების სფეროში მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების – საშუალოვადიანი (სამიდან ხუთ წლამდე) დაგეგმვის განხორციელება.[1]

საბაზრო მექანიზმის მოთხოვნათა გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ადეკვატური საბიუჯეტო ფედერალიზმი მნიშვნელოვანი სტიმული გახდება საქმიანი აქტიურობისა და საგადასახადო ბაზის გაფართოებისათვის. იგი მოგვცემს მაღალ მულტიპლიკაციურ ეფექტს, ხელს შეუწყობს საქართველოს მასშტაბით ეკონომიკური პროპორციების აღდგენასა და ეკონომიკურ ზრდას.

---

1 **ასათიანი რ.** ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება და საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარება. „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება“. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2013., გვ. 43-52.

V თავი

ფულად–საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში

V.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტი

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, ორგანულ კავშირშია ფულად-საკრედიტო სისტემასთან. ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – ფულად-საკრედიტო სისტემა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია. მის სიმყარეზე თანამედროვე პირობებში დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის დაცვა გარე უარყოფითი ეფექტებისგან, გლობალიზაციის ნეგატიური პროცესებისგან. ამასთან, ცნობილია, რომ არ არსებობს უფრო ქმედითი ხერხი არსებული ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესარყევად, ვიდრე ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლაა, რომელშიც განმსაზღვრელი როლი ფულს, როგორც ეკონომიკის უნივერსალურ ინსტრუმენტს, აკისრია. ამიტომ, სანამ უშუალოდ განვიხილავდეთ ამ სფეროში საქართველოში არსებულ პრობლემებს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ზოგად-თეორიულ ასპექტებში ფულის ფენომენთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური მეცნიერების მრავალი პრობლემა დაკავშირებულია ფულის,

როგორც ეკონომიკური კატეგორიის, განხილვასთან. დაწყებული ანტიკური სამყაროს უდიდესი მოაზროვნეებიდან (ქსენოფონტი, პლატონი, არისტოტელე...) ფულის ფენომენი ყველა დროის სწავლულთა ყურადღების ცენტრშია და დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ფულის შესახებ ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამს ინგლისელი ეკონომისტი ვ. კარლეილი. მისი აზრით, ფული ის ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ეკონომიკა.

ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი უ. ჯევონსი წერდა: ეკონომიკური მეცნიერებისათვის ფული იგივეა, რაც წრის კვადრატურა გეომეტრიისათვის.

დიდი ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიკური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ხელთ არ გვექნება უტყუარი ცნობები ფულის შესახებ.

გერმანელი ეკონომისტის ო. შტილიხის აზრით, ვარსკვლავების მოძრაობაში გაცილებით უკეთ ვართ გარკვეულნი, ვიდრე ფულის მიმოქცევაში; მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის ფულის არსი დღემდე ბნელით მოცულ „კონტინენტად“ რჩება.

ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი გლადსტონი წერდა: სიყვარულს არ გაუგიჟებია იმდენი ადამიანი, რამდენიც ფულის არსის გარკვევისთვის „ტვინის ჭყლეტას“.

ფული ევოლუციას განიცდის და მჭიდრო კავშირშია საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან, რომელიც მუდმივი „დუღილის“ პროცესშია და მისი ზეგავლენა ადეკვატურად აისახება ფულზე. თავის მხრივ, ფულის უაღრესად რთული ფენომენი უდიდეს გავლენას ახდენს მთელ საბიუჯეტო-საგადასახადო და საკრედიტო სისტემაზე. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაცია და სოციალური პროგრესი.

ფულის დიდ როლზე ეკონომიკაში მეტყველებს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის ფორმა – ფულადი სისტემა, რომელიც ქვეყნის აქტივების

ერთობლიობის გამომხატველია და მოიცავს: ნაღდ ფულს – ქაღალდისა (90–95%) და ლითონის (5–10%) ფულს (აქტივების პირველი სახე), საბანკო ფულის ერთ ნაწილს, რომელშიც შედის მიმდინარე ანგარიშებზე არსებული მთლიანი თანხა – ანაბარი მოკითხვამდე (აქტივების მეორე სახე) და საბანკო ფულის მეორე ნაწილს ე.წ. „თითქმის ფულს“, რომელშიც შედის ვადიანი ანაბრები, არასაჩეკო შემნახველი ანგარიშები და სახელმწიფო ობლიგაციები (აქტივების მესამე სახე). ასე, რომ ფულადი სისტემა ორგანულადაა დაკავშირებული საკრედიტო სისტემასთან, როგორც საკრედიტო ურთიერთობების ერთობლიობასთან და მთლიანობაში ფულად-საკრედიტო სისტემითაა წარმოდგენილი.

თანამედროვე ეკონომიკაში საკრედიტო ფულის განვითარებამ, ნაღდი ბრუნვის უნაღდოთი თანდათანობითმა შევიწროებამ და ამ სფეროში სახელმწიფო რეგულირების როლის გაზრდამ ხელი შეუწყო ფულის ანალიზისადმი ახლებური მიდგომის ფორმირებას.

თუ XIX საუკუნეში ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო ფულის წარმოშობის, მისი არსის, ფორმების, მსყიდველობითი უნარისა და სხვა საკითხებზე, თანამედროვე პირობებში წინა პლანზე დადგა ეკონომიკურ ზრდაზე ფულის ზემოქმედების პრობლემები.

საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია განვითარებული ფულად-საკრედიტო სისტემის გარეშე, რაც ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების გარანტია. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ფუნქციონირებადი ფულად-საკრედიტო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყნის განვითარებაში.

ეკონომიკის ადეკვატური, მისი განვითარების თავისებურებების შესაბამისი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად წარმართვის საფუძველია. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ავკარგიანობაზე, იმაზე თუ რამდენად არის იგი მისადაგებული ეროვნული ეკონომიკის განვითარებასთან და, აქედან გამომდინარე, რო-

გორ ასრულებს თავის ამოცანებს, ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიკური წესრიგის დამყარება ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით, ოპტიმალური შეხამების მიღწევის მეტად რთული პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ფულის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე „მგრძნობიარე“ ელემენტის, მიმოქცევის ეფექტიან რეგულირებასა და ბაზრის ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შექმნას ემსახურება ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, იგი ეკონომიკური კონიუნქტურის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის სწორად წარმართვით ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა: ფულზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, ფულის ბაზარზე წონასწორობის შენარჩუნება, მიმოქცევის სფეროში ფულადი მასის რეგულირება და კონტროლი, ეროვნული ვალუტის კურსისა და ეკონომიკური ციკლის რეგულირება, ინფლაციის დონის მინიმიზაცია, იაფი საკრედიტო რესურსებით ეკონომიკის რეალური სექტორის უზრუნველყოფა, ინვესტირების სტიმულირება და ა.შ. ამ ამოცანების რეალიზაციის გარეშე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწყვეტილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს და ეკონომიკის დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა.[1]

ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის მიღწევა. მის მიმდინარეობასა და ინფლაციის დინამიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ინფლაციური მოლოდინი, საინვესტიციო ნაკადები, შრომის მწარმოებლურობის ცვლილება, ეკონომიკის მონეტიზაციის დონე, გადასაცვლელი კურსის მოსალოდნელი

1 **ასათიანი რ.** მცდარი მონეტარისტული პოსტულატები და საქართველო ილუზიების ტყვეობაში. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2004.

დინამიკა, მშპ-ის ზრდის ტემპი და ა.შ. თავის მხრივ, ამ ფაქტორებზე გარკვეულ ზემოქმედებას ახორციელებს ცენტრალური ბანკი თავისი მონეტარული ინსტრუმენტებით. ამ მიზნით იგი იყენებს ისეთ არაპირდაპირ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები, და ისეთ პირდაპირ (ადმინისტრაციულ) ინსტრუმენტებს, როგორიცაა მიზნობრივი დაკრედიტება, „საკრედიტო ჭერი“, სარგებლის განაკვეთის დონისადმი პირდაპირი კონტროლი და ა.შ.

ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთით ფულად-საკრედიტო რეგულირება ანუ დისკონტის პოლიტიკა ინფლაციასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებაა. საქმე ისაა, რომ ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი არის პროცენტი იმ კრედიტზე, რომელსაც აძლევს ცენტრალური ბანკი ყველა სხვა ბანკს. თუკი ქვეყანაში შეიმჩნევა ინფლაციური პროცესების დაჩქარება. ცენტრალური ბანკი მაღლა სწევს ამ განაკვეთს, რის საფუძველზეც ეცემა ფულზე მოთხოვნა და შედარებით ნელა იზრდება მიმოქცევაში ფულადი მასა. მართალია იგი უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, მაგრამ სახელმწიფოს მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია თანმხლები ნეგატიური ეფექტების დაძლევა.

რაც შეეხება სავალდებულო რეზერვების ნორმას, იგი კომერციული ბანკების ფულადი თანხაა, რომლის სესხად გაცემის უფლება მათ არა აქვთ და ვალდებულნი არიან თავიანთ ანგარიშზე იქონიონ ცენტრალურ ბანკში. ეს უკანასკნელი კი სიტუაციის მიხედვით მოქმედებს: ფულადი მასის ზრდის შენელების საჭიროების შემთხვევაში ამაღლებს სავალდებულო რეზერვების ნორმას და, პირიქით, როცა არის იმის აუცილებლობა, რომ მიმოქცევაში გაიზარდოს ფულის რაოდენობა, მაშინ ცენტრალური ბანკი დაბლა წევს სავალდებულო რეზერვების ნორმას, რითაც შესაძლებლობას აძლევს კომერციულ ბანკებს თავიანთი სახსრების დროებით „გაყი-

ნული“ ნაწილი გადააქციონ კრედიტად.

ცენტრალური ბანკი ღია ბაზარზე აწარმოებს ოპერაციებს სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებებით, რომლებიც სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაა და მათი მეშვეობით, არაპირდაპირი გზით ხორციელდება ზემოქმედება ფულად-საკრედიტო ბაზარზე. ეს ვალდებულებები სახელმწიფო ვალია მოსახლეობისადმი, რომელიც იყოფა საბაზრო და არასაბაზრო კატეგორიებად. საბაზროს მიეკუთვნება სახაზინო თამასუქი (სამ და ექვსთვიანი, 91–დღიანი და წლიური დაფარვის ვადით), საშუალოვადიანი სახაზინო თამასუქი (ერთიდან 10 წლამდე დაფარვის ვადით) და სახაზინო ობლიგაცია. არასაბაზრო ფასიანი ქაღალდებიდან ყველაზე გავრცელებული ფორმაა შემნახველი ობლიგაცია. გარდა ამისა, მას მიეკუთვნება აგრეთვე სამთავრობო ანგარიშების სერიები, უცხოური სამთავრობო სერიები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სერიები და სხვ. ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა–გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციებით, ცენტრალური ბანკი ზემოქმედებს მიმოქცევაში არსებულ ფულად მასაზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ელასტიკურობა და ფუნქციონირების ხასიათი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს ცენტრალური ბანკი დისკონტის პოლიტიკას, ოპერაციებს ღია ბაზარზე და სავალდებულო რეზერვების პოლიტიკას. დისკონტის პოლიტიკის მიზანია საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირების (ძველი გრძელვადიანი ვალის დაფარვა ახალი გრძელვადიანი სესხით) პირობების ცვლილებებით გავლენა მოახდინოს ფულად-საკრედიტო ბაზარზე. ამასვე ემსახურება ოპერაციები ღია ბაზარზე, რომლის მექანიზმი დაფუძნებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, საბანკო აქცეპტებისა და სხვა საკრედიტო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვაზე.

ცივილიზებულ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების დონეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო რეგუ-

ლირების პირდაპირი ინსტრუმენტებიდან არაპირდაპირ ინ-სტრუმენტებზე გადასვლის ხანგრძლივობა. განვითარებულ ქვეყნებს პრაქტიკულად გაუქმებული აქვთ პირდაპირი რეგ-ულირების ფორმები, სხვა ქვეყნები კი მეტ-ნაკლებად ცდი-ლობენ მათ გაუქმებას.

V.2. ფულად-საკრედიტო სისტემის სტრუქტურული გარდაქმნები და მონეტარული პოლიტიკა

ფულად-საკრედიტო სისტემის სტრუქტურული რეფორ-მა საქართველოში ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებ-ში დაიწყო. აღმოსავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ეკონომიკის სტაბილიზაცია შედარებით სწრაფად მოხდა, სა-ქართველოში ეს პროცესი საკმაოდ ნელა და არაორდინარუ-ლად წარიმართა. ამ გარემოებამ შეაფერხა ლიკვიდური ფუ-ლის წარმოქმნა და საკრედიტო ბაზრების ჩამოყალიბება. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოს ეკონო-მიკის ისეთმა მძიმე „დაავადებამ“, როგორიც იყო რეფორმირე-ბის I ეტაპზე ინფლაციის მაღალი ტემპები და ჰიპერინფლა-ცია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1991 წლის 9 აპრილს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“ აქტის მიღების შემდეგ, პოზიტიური ნა-ბიჯები გადაიდგა ფულად–საკრედიტო სისტემის სტრუქ-ტურული გარდაქმნის თვალსაზრისით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა „ეროვნული ბანკის შესახებ“, „ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საფუძველი ჩაუყარა ახალი ეპოქის საქართველოში დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნას. ქვეყნის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს საკუთრებად გა-

მოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საკრედიტო სისტემის ყველა სტრუქტურა. საკავშირო სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური ბანკის ბაზაზე 1991 წელს დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, რომელსაც ქვეყნის ცენტრალური ბანკის ფუნქციები დაეკისრა.

საქართველოს ფულად–საკრედიტო სისტემაში ერთ-ერთი სიახლე და პოზიტიური ნაბიჯი იყო არასახელმწიფო ბანკების შექმნა. ეს პროცესი, მართალია, ჯერ კიდევ 1989 წლიდან დაიწყო, მაგრამ მაშინ მათ რეგისტრაციას საკავშირო სახელმწიფო ბანკი ახდენდა, რომლის ხელში მონოპოლიზებული იყო მთელი საბანკო სისტემა და იგი ცენტრალიზებულად წარმართავდა ფულად–საკრედიტო პოლიტიკას. ამიტომ ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა ქვეყანაში არსებული ყველა ბანკის ხელახალი რეგისტრაცია. ამასთან, ერთიარუსიანი საბანკო სისტემა, რომელიც ნიშანდობლივი იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკისათვის, სამიარუსიანი (სამსაფეხურიანი) საბანკო სისტემით შეიცვალა, სადაც პირველი იარუსი დაიკავა ეროვნულმა ბანკმა, მეორე – სახელმწიფო-კომერციულმა და მესამე – კომერციულმა ბანკებმა. სახელმწიფო-კომერციულ ბანკებად გარდაიქმნა „ინდუსტრიაბანკი“, „ბინსოცბანკი“, „შემნახველი ბანკი“, „ექსიმბანკი“ და „აგრომრეწვბანკი“. შემდეგ მოხდა მათი კომერციულ ბანკებად გარდაქმნა და ასეთმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობა საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული ორიარუსიანი საბანკო სისტემის შექმნა. ჩამოყალიბდა კომერციული ბანკების საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და შესაბამისი ნორმატიული აქტებით რეგლამენტირებულ იქნა კომერციული ბანკების საქმიანობა საქართველოში, საფუძველი ჩაეყარა საკრედიტო კავშირების ინტერნაციონალიზაციას, გაიხსნა საკრედიტო ხაზები.

1992 წლის ბოლოს რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ მანეთის მიწოდების საქართველოსთვის შეწყვეტის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა ითავა ქვეყნის მონეტარული და საკრედი-

ტო პოლიტიკის გატარება, მაგრამ იმდენად მიშვებული და აბსოლუტურად უმართავი იყო პროცესები (თანაც ადგილი ჰქონდა ეროვნული ბანკის საქმიანობაში ხელისუფლების პირდაპირ ჩარევას), რომ შეუძლებელი იყო ეფექტიანი პოლიტიკის გატარება. შედეგმაც არ დააყოვნა:

1992 წლის დამლევისათვის სახელმწიფოს დავალიანებამ მხოლოდ ხელფასებისა და პენსიების მხრივ 8 მლრდ რუბლი შეადგინა, ხოლო 1993 წლის მარტში – 30 მლრდ რუბლს გადააჭარბა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 1989-1993 წლებში წარმოების მოცულობა საქართველოში 75%-ით შემცირდა.[1] წარმოიქმნა ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი. 1993 წელს მან მშპ-ის 26% შეადგინა.[2] მოიშალა ფისკალური დისციპლინა, რასაც მოჰყვა ფინანსური ქაოსი. საქართველო სოციალური აფეთქების ზღვარზე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში ხელისუფლება იძულებული გახდა 1993 წლის 5 აპრილს მიმოქცევაში გამოეშვა დროებითი საგადამხდელო საშუალება, ფულის სუროგატი – კუპონი, უნაღდო ანგარიშსწორება კი კვლავ რუბლით ეწარმოებინა.

ხელისუფლების ზეწოლით ეროვნული ბანკი იძულებული იყო აღედგინა ბიუჯეტის დეფიციტის ემისიური დაკრედიტება, რაც კუპონის გაცვლითი კურსის ვარდნას იწვევდა. წლიურმა ინფლაციამ 1993-1994 წლებში, შესაბამისად, 7500 და 6500% შეადგინა. 1993 წლის აპრილიდან 1994 წლის აგვისტოს ჩათვლით, მიმოქცევაში არსებული ფულის მასა 150-ჯერ გაიზარდა, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის დაკრედიტება უწყობდა ხელს.[3]

1995 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო-

1 Georgia. Economic Undate and Strategies for Reform, Prepared by the World Bank for the Consultative Group Meeting for Georgia. Wash. DC: October 21, p. 2.

2 იქვე, გვ. 5.

3 საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები. პირველი გამოცემა. თბილისი, 2008, გვ. 20.

ში განხორციელდა ფულად-საკრედიტო რეფორმა და შემოღებულ იქნა ლარი, სიტუაცია შეიცვალა, შესაძლებელი გახდა ინფლაციის მნიშვნელოვანი შემცირება.

განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების საკითხები. ეროვნულმა ბანკმა საკორესპონდენტო ურთიერთობა დაამყარა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის ბანკებთან.

ეროვნული ბანკი წარმოდგენილია საკუთრივ ეროვნული ბანკის, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურით. ეროვნული ბანკის უმთავრესი ფუნქციაა მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ახორციელებს ქვეყნის ფინანსური სექტორის (კომერციული ბანკები, სადაზღვევო და საბროკერო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) რეგულირებას (ამასთან, იგი პასუხისმგებელია კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა მონაწილეთათვის ლიცენზიების გაცემაზე), ხოლო ფინანსური მონიტორინგის სამსახური – ძირითადად უკანონო შემოსავლის გამოაშკარავებას.

2007 წლამდე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, როგორც ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ერთიანი ორგანო, არ არსებობდა. 2008 წლის 14 მარტს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად (რაც, ფაქტობრივად, ახალი კანონის ტოლფასი იყო), სამი საზედამხედველო ორგანოს – ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ბაზაზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო. იგი სწავლობს ცალკეული

საფინანსო ორგანიზაციების რისკებს, მაშინ როდესაც ეროვნული ბანკის პრეროგატივაა მთლიანად საფინანსო სექტორის რისკების გამოკვლევა.

საბანკო სექტორის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ რეგულირდება და კონტროლდება იგი საზედამხედველო ორგანოების მიერ. „საქართველოში დღემდე განხორციელებულმა საზედამხედველო საქმიანობამ არსებითი პოზიტიური გავლენა ვერ იქონია საბანკო სექტორზე“.[1]

როგორც ყველა ცენტრალურ ბანკს, ეროვნულ ბანკსაც მინიჭებული აქვს ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია. მას უფლება აქვს კომერციულ ბანკს, ფინანსური სირთულეების პირობებში, გამოუყოს ბოლო ინსტანციის სესხი, მათ შორის გრძელვადიანიც და არაუზრუნველყოფილიც, რათა გადაარჩინოს იგი გაკოტრებისაგან.

ეროვნული ბანკი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული და უცხოური ვალუტების მთავარი ექსპერტი, ახორციელებს ფალსიფიცირებული, ყალბი ფულადი ნიშნების მიმოქცევიდან ამოღებას, საბანკო მომსახურებას უწევს საქართველოს მთავრობას და მისი ფისკალური აგენტია, ატარებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად აუქციონებს, აწარმოებს რეალიზებული ფასიანი ქაღალდების რეესტრს და სახაზინო სამსახურს უწევს სხვადასხვა სახის დახმარებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის უმთავრესი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა და არა მოგების მიღება. მის ძირითად აქტივებს წარმოადგენს სახაზინო ობლიგაციები და უცხოური ვალუტების (აშშ დოლარი და ევრო) რეზერვები, ხოლო ძირითად ვალდებულებებს – უმეტესწილად ლარით გამოხატული კომერციული ბანკების მიმართ დავალიანება და მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები.

1. **ელიავა ლ.** საბანკო კრიზისების პროგნოზირება. თბილისი, 2013, გვ. 317.

ეროვნული ბანკის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახაზინო ობლიგაციებზე მთავრობის მიერ გადახდილი პროცენტები და უცხოური ვალუტის რეზერვების მართვით მიღებული შემოსავლები, ხოლო ძირითადი ხარჯებია სესხების მომსახურებისა და ადმინისტრაციული ხარჯები.

ეროვნული ბანკი საქართველოს წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა სსფ, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი. ეს ურთიერთობები მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ხორციელდება.

საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თავისი ფისკალური პოლიტიკით და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომლის ძირითადი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა, სახელმწიფო ქონების მართვა, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის წახალისება, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების პროცესის უზრუნველყოფა.

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული, თუმცა, მან თავი ვერ დააღწია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ხელისუფლებისაგან ზეწოლას, რაც ნეგატიურად აისახა მის მიერ მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაზე.

ეროვნული ბანკი ეკონომიკურადაც დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს. ამასთან, მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა მთავრობის ვალდებულებებზე, თუმცა, საქართველოში კონსტიტუციის ეს მუხლიც ირღვეოდა. მაგალითად, არაერთხელ მომხდარა ეროვნული ბანკის ხარჯებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა, მთავრობის დაფინანსება და ა.შ.

ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პირდაპირი თუ არა-

პირდაპირი ინსტრუმენტების გამოყენებით მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე. მას ექსკლუზიური უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს ეროვნული ფულის ნიშნების ემისია, ასევე, სამახსოვრო მონეტების მოჭრა. იგი უფლებამოსილია მომსახურება გაუწიოს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა წევრიც საქართველოა, ან თვითონ არის, ან კიდევ, მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებსა და ფულად–საკრედიტო ორგანოებს.

1995 წელს ეროვნული ბანკის ინიციატივით დაარსდა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბანკო სისტემის განვითარებაში. ამასთან, ამ პროცესს ხელი შეუწყო სახაზინო ვალდებულებების ბაზრის ჩამოყალიბებამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1997 წლის მეორე ნახევარში, აგრეთვე საბანკო საქმის დივერსიფიკაციის განხორციელებამ. საკრედიტო ურთიერთობების მართვასთან ერთად, ბანკებმა დაიწყეს სადაზღვევო ოპერაციებისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა–გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება.

საქართველოში 1994 წლისთვის უკვე რეგისტრირებული იყო 200 ბანკი, 1995 წელს კი მათმა რაოდენობამ პიკს მიაღწია (229 ბანკი). ამ პერიოდიდან იწყება ბანკების რაოდენობის შემცირების პროცესი. 1996 წელს (1 იანვრის მდგომარეობით) მათი რაოდენობა 84-მდე დავიდა, 1997 წელს – 59-მდე, 1998 წელს – 52-მდე, 1999 წელს – 43-მდე, 2000 წელს – 36-მდე, ხოლო 2001 წლისათვის საქართველოში 27 კომერციული ბანკი და 2 უცხოური ბანკის ფილიალი იყო.[1] კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირების ტენდენცია შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა, მაგალითად, 2003 წლის ბოლოსათვის სულ 25 ბანკი იყო, 2004 წელს – 21, 2005 წელს – 19, 2006 წელს – 17, ხოლო 2007 წელს ისევ 19 გახდა.[2] 2008 წელს საქართვე-

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

2 საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2008. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2008, გვ. 253.

ლოს საბანკო სექტორს ახალი ბანკები შეუერთდნენ: ყაზახური „ხალიკბანკი საქართველო“ (რომელმაც იმავე წელს საქართველოში დაახლოებით 50 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა), „HSBC ბანკი“, „პირველი ბრიტანული ბანკი“ (რომელიც ჩამოყალიბდა ბანკი „თეთრის“ ბაზაზე). ამავე წელს „სტანდარტ ბანკი“ იყიდა „კორ ბანკმა“ 42 მლნ დოლარად და 2008 წლის ბოლოსათვის იგი „დაბი ჯგუფის“ საკუთრებაში გადავიდა. „ვითიბი ბანკში“ რუსული შესაბამისი ბანკის კაპიტალის წილი 7,13%-ით გაიზარდა და 84,7% გახდა.

2008 წლის ბოლოსათვის საქართველოში 20 კომერციული ბანკი დაფიქსირდა (აქედან, 17 ბანკი უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შეიქმნა), აქტივების მიხედვით კი პირველ და მეორე ადგილებს „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“ ინაწილებდნენ. შემდეგ ადგილებზე მოდიოდა „ბანკი რესპუბლიკა/ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი“, „პროკრედიტ ბანკი საქართველო“ და ბანკი „ქართუ“.

ამჟამად საქართველოში 21 ლიცენზირებული მოქმედი კომერციული ბანკია. ეს ბანკებია: „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „ბანკი რესპუბლიკა“, „პრივატბანკი“, ლიბერთი ბანკი“, „ბაზისბანკი“, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, „ბანკი ქართუ“, „პროკრედიტბანკი საქართველო“, ბითიეი ბანკი“, „ინვესტბანკი“, „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – „საქართველო“, „ზირაათ ბანკის“ თბილისის ფილიალი, „კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველო“, „თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი“, „პროგრესბანკი“, „კორ სტანდარტ ბანკი“, „ხალიკბანკი საქართველო“, „ბანკი კონსტანტა“, „პაშა ბანკი“, „ფინკა ბანკი საქართველო“.

ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, ძირითადად ფულის მიწოდებასა და კრედიტის მოცულობაზე ზემოქმედებით გამოიხატა. ბანკთაშორისი სარგებლის განაკვეთების აწევით, იგი, ფაქტობრივად, ზრდიდა საბანკო სესხებზე სარგებლის განაკვეთს, რითაც ამცირებდა ქვეყანაში ფულის მიწოდებას. ეს, მართალია, ანელებს ინფლაციის ტემპებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ეკონომიკის

ინვესტირებისა და საქმიანი აქტიურობის შეფერხებით, უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე. ამასთან, მონეტარული პოლიტიკით სარგებლის განაკვეთების ცვლილება ფასებზე მყისიერ გავლენას ვერ ახდენს. ამისათვის საჭიროა გარკვეული დრო, სანამ, ჯერ ერთი, ფირმები და შინამეურნეობები საინვესტიციო და სამომხმარებლო ქცევას შეცვლიან და, მეორე, მათი ქცევის ცვლილებები აისახება ფასებზე. ამიტომ მონეტარული პოლიტიკა გარკვეულწილად პროგნოზებზეა გათვლილი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მისი გამკაცრებით ან შემსუბუქებით სარგებლის განაკვეთების მანევრირება.

2009 წლიდან ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში შემდეგ მონეტარულ ინსტრუმენტებს იყენებს:

1. „რეფინანსირების სესხები. ასეთი სესხები გაიცემა აუქციონის გზით ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების, სახელმწიფო ობლიგაციებისა და უცხოური ვალუტის უზრუნველყოფის ქვეშ; 2. ერთდღიანი სესხები; 3. სადეპოზიტო სერტიფიკატები; 4. სახელმწიფო ობლიგაციები; 5. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მინიმალური სარეზერვო ნორმა 13%-დან 5%-მდე შემცირდა, რამაც ბანკებს მეტი თავისუფლება მისცა.[1]

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი 2009 წლის მაისამდე ბანკთაშორის ბაზარზე სავალუტო პოლიტიკას მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფარგლებში ახორციელებდა, ხოლო აღნიშნული წლიდან გადავიდა ფიქსირებულ საშუალო შეწონილ კურსზე, რომელიც 18 პუნქტით გაუფასურდა და 1,67 დოლარი შეადგინა.[2] ამას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ეროვნულ წარმოებაში არსებულმა მძიმე მდგომარეობამ, მაგრამ გარდა ამისა, ეს პროცესი მნიშვნელოვნად

1 **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, „ნეკერი“, 2011, გვ. 157.

2 საქართველოს ეროვნული ბანკი. http://www.hbg.gov.ge

დააჩქარა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივმა გამოყენებამ, უცხოური ინვესტიციების მკვეთრად შემცირებამ, უცხოური სესხების არაეფექტიანმა ხარჯვამ, საერთაშორისო სავალუტო რეზერვების არასათანადოდ წარმართვამ და ა.შ.

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, განსაკუთრებით 1998 წლიდან, დოლარიზაციის სწრაფი ზრდა გახდა.

თუ 1996 წლის დამლევს საბანკო დეპოზიტების მთლიან მოცულობაში დოლარში დენომინირებული დეპოზიტების წილი 44,3%-ს შეადგენდა, კრიზისული 1999 წლის ბოლოსათვის თითქმის 80% შეადგინა.[1] დოლარიზაციის პროცესმა მოიცვა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფერო – რეალური წარმოებით დაწყებული (რომლის თითქმის 40% აღურიცხავი იყო), ვაჭრობით დამთავრებული. ამით ლარის როგორც საგადამხდელო საშუალების გამოყენების არეალი შემცირდა და უმთავრესად სამომხმარებლო საქონლის ბაზრით შემოიფარგლა. უკვე 2001 წელს საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა 86%-ს მიაღწია.[2] ამ პერიოდში პარალელურად მძვინვარებდა საბიუჯეტო კრიზისი, ცხოვრების ნორმად იქცა კორუფცია, ფეხი მოიკიდა კონტრაბანდამ, რომელმაც დააკონსერვა ადგილობრივი წარმოება, ფართო მასშტაბებს მიაღწია ფარულმა ეკონომიკამ, რომელმაც 60%-ს გადააჭარბა, თუმცა, ზოგიერთ დარგში (მაგალითად, ჯანდაცვაში) 75%-საც კი მიაღწია.

2004 წლიდან მეტ-ნაკლებად დარეგულირდა ეს პროცესი. დოლარიზაციის დონე 12 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 74,5% შეადგინა, ხოლო 2010 წელს – 72,7%-მდე შემცირდა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ეროვნულმა ბანკმა მინიმალური რეზერვების ნორმა ლარებში მოზიდულ დეპოზიტებზე 2%-მდე შეამცირა, ხოლო

1 **კაკულია მ.** ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარება. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 79.

2 იქვე.

დოლარებით მოზიდულ დეპოზიტებზე მინიმალური რეზერვების ნორმამ 13% შეადგინა.[1]

2003 წელს საქართველოში ეკონომიკის მონეტიზაციის ინდიკატორი (ფართო ფულის მასის – M3 აგრეგატის შეფარდება მშპ-თან) მხოლოდ 12,5%-ს შეადგენდა, რაც ძალზე დაბალ მაჩვენებლად ითვლება (ამ პერიოდში ბალტიის ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 50%-ს აღწევდა), ხოლო 2006 წელს 19,5%-მდე გაიზარდა. ამის პარალელურად ამავე წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, 2005 წელთან შედარებით, 2-ჯერ და მეტად გაიზარდა და 1,2 მლრდ დოლარი შეადგინა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ლარის გამყარებას. 2008 წლისთვის, 2003 წელთან შედარებით, ლარის რეალური გაცვლითი კურსი 16,6%-ით გაიზარდა.[2]

კრიზისული 2009 წლის შემდეგ, 2012 წელს საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა თითქმის 16%-ით შემცირდა, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 6,2% შეადგინა. ეკონომიკის გამოცოცხლებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ერთი მხრივ, საერთაშორისო ფინანსურმა დახმარებებმა, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკის დაკრედიტების ზრდამ. ამ პროცესის პარალელურად, 2010 წელს აღმავალი ინფლაცია დაფიქსირდა (11,2%), რომლის მთავარ მიზეზად ეროვნული ბანკი სურსათზე ფასების მკვეთრ ზრდას მიიჩნევდა.[3] 2011 წელს სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა და 14%-ს მიაღწია. ინფლაციური ეფექტის განეიტრალების მიზნით ფართო ფულის მასის აგრეგატების ზრდის ტემპების მინიმუმამდე დაყვანა ეროვნული ბანკის ერთ-ერთ პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა. M3 აგრეგატის წლიური ზრდის

1 **კაკულია მ.** ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარება. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 80.

2 http://www.nbg.gov.ge/uploads/mpc/1211/mpc_18_01_11.pdf

3 საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის პრესრელიზი.

ტემპის შემცირებამ 29%-მდე, ხოლო M2 აგრეგატისა – 21%-მდე ნაწილობრივ გაანეიტრალა ინფლაციური ეფექტი და ინფლაციის მოთოკვას შეუწყო ხელი.[1] მიმოქცევაში ლარის მასის შემცირებას მოჰყვა ლარზე მოთხოვნის ზრდა, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიწვია ეროვნული ვალუტის ხელოვნური გამყარება. 2011 წლის იანვარში ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 7,5%-ით გამყარდა. ამ პროცესის შეჩერების მიზნით ეროვნულმა ბანკმა აპრილში 100 მლნ დოლარი შეიძინა, რაც მიმოქცევაში შესაბამისი რაოდენობის ლარის გაშვებას ნიშნავს. ამით ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოექცა მის ანტი-ინფლაციურ პოლიტიკასთან და ოპტიმიზაციის მხრივ გადახედვა მოითხოვა.

ეროვნული ბანკი ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე ახორციელებდა ვაშინგტონის კონსენსუსის მიერ თავსმოხვეულ „იაფი ფულის“ პოლიტიკას, II ეტაპზე – „ძვირი ფულის“ პოლიტიკას, ხოლო III ეტაპზე – ნეოლიბერალურ პოლიტიკას. საქართველოში არც ერთი ეტაპის პოლიტიკა არ განხორციელებულა კლასიკური მოდელის ჩარჩოებში და მათში ანარქიულობის ელემენტები ჭარბობდა.

V.3. საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები

საქართველოს საბანკო სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ბანკების შესახებ ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია აღმოსავლეთ ევროპაში, არ არსებობს შეზღუდვები საერთაშორისო გადარიცხვებზე და ა.შ.,[2]

1 **კაკულია მ.** ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარება. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 85.

2 http://www.coe.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=27

მრავალი შიგა თუ გარე ფაქტორების გავლენით, ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტად, რომელიც გაართმევდა თავს ქვეყანაში კაპიტალის ქრონიკულ უკმარისობასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ამოცანებს. ეს მოსაზრება არ არის მხოლოდ ავტორისეული, ასეთ დასკვნებს ადგილობრივი თუ უცხოელი ექსპერტებიც აკეთებენ.[1] 2009 წელს კომერციული ბანკების აქტივები, წინა წელთან შედარებით, 6,5%-ით შემცირდა და მათი სესხების 13,4%-იანი კლება დაფიქსირდა, რამაც დიდად შეუშალა ხელი კერძო სექტორის განვითარებას.

საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლით განიხილება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში.[2] ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო ეროვნული ეკონომიკის სესხებით უზრუნველყოფისათვის, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები ახერხებდნენ საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას. ამ კამპანიამ მასობრივი ხასიათი მიიღო, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალა.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელსაც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილმა ხელმძღვანელმა ალან გრინსპენმა უწოდა „კრიზისი, რომელიც 50 წელიწად-

1 **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 63-64; საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009, გვ. 12.

2 **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 62.

ში ერთხელ ან, შესაძლოა საუკუნეში ერთხელ მოხდეს",[1] საქართველოს საბანკო სისტემის ბზარი გააღრმავა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელის ცნობილ დონორთა კონფერენციაზე (2008 წლის 22 ოქტომბერი) საქართველოს საბანკო სექტორის მხარდასაჭერად, სესხებისა და გრანტების სახით, 850 მლნ დოლარი გამოიყო, 2009 წლის იანვარში კომერციული ბანკების აქტივები, წინა წელთან შედარებით, 319 მლნ ლარით შემცირდა.[2] ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა ქვეყნის რეალურ სექტორზე და განაპირობა საქართველოს საექსპორტო პოტენციალის საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვება.[3]

საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების დონის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია მშპ-თან საბანკო სესხების ოდენობის შეფარდების ინდიკატორის გამოყენება. ეს მაჩვენებელი 2008 წლის დასაწყისში აშშ-ში თითქმის 230%-ს აღწევდა, ხოლო საშუალო ევროპული მაჩვენებელი 200%-ის ფარგლებში მერყეობდა, მაშინ როდესაც საქართველოში მხოლოდ 31%-ს შეადგენდა, ანუ მშპ-თან მიმართებაში საკრედიტო პორტფელის ოდენობა კატასტროფულად დაბალი იყო.[4]

ცნობილია, რომ საქართველოში მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტება იმპორტის დაფინანსებას უწყობდა

1 საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს" ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009, გვ. 20.

2 www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets_liabilies_of_commercial_banks_totalgeo.xls

3 საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს" ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009.

4 „საქართველოს ეკონომიკა", №3 (136), 2009, გვ. 8.

ხელს და არა წარმოების განვითარებას.[1] გრძელვადიანი კრედიტების 20%-ზე მეტი იპოთეკურზე მოდიოდა. 2007 წელს იპოთეკური სესხების მოცულობა, 2006 წელთან შედარებით, 50%-ით, ანუ 600 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან, სამშენებლო კომპანიების საკუთრებაში არსებული (ან ჯერ მხოლოდ „ჰაერში" არსებული) ბინების უმეტესობა კრედიტით იყიდებოდა. დეველოპერების უმრავლესობა ფულს ბანკებიდან სესხულობდა. ბანკებს, სადაზღვეო და სამშენებლო კომპანიებს შორის ძლიერი ურთიერთდამოკიდებულება ჩამოყალიბდა. სამომხმარებლო ბაზარზე საბანკო სექტორის მზარდი აქტიურობა მათი მხრიდან სერიოზულ რისკებს უკავშირდებოდა, რასაც უმთავრესად მოსახლეობის არასტაბილური და დაბალი შემოსავალი განაპირობებდა. ამასთან, მაღალი იყო ბანკების ლიკვიდურობის რისკი. მის გადაფარვას ბანკები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო ხაზების მეშვეობით ცდილობდნენ. 2007 წელს მათი მოცულობა 127%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც დეპოზიტების მოცულობამ მხოლოდ 55%-ით იმატა. ჩამოყალიბდა ლიკვიდურობის კრიზისი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საკრედიტო რესურსების შემდგომ მოზიდვას ართულებდა. ამასთან, ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, ანუ კაპიტალის შეფარდება რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან, 2008 წლის ბოლოსთვის 14%-ზე მეტი იყო, რაც საქართველოს საბანკო სექტორში დადგენილ ნორმატივზე (12%) მაღალია.[2] ეს, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა საბანკო რისკების შემცირებას.

იპოთეკური დაკრედიტების მიხედვით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძვირ ქვეყანას წარმოადგენს. 2012 წელს საპროცენტო განაკვეთი 12%-დან 22%-მდე მერყეობდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი

1 **ასათიანი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი", 2009, №4.

2 http://www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets_liabilies_of_commercial_banks_totalgeo.xls

გამოწვეულია იმით, რომ საკმაოდ მაღალია საქართველოს ბანკების უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებზე დამოკიდებულების ხარისხი. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით უცხოური საფინანსო ინსტიტუტები ნაწილობრივ შეზღუდულია, ეს აიძულებს საქართველოს საბანკო სექტორს, მაღალი საპროცენტო განაკვეთის შეთავაზებით, მოიზიდოს დეპოზიტები შიდა ბაზარზე, რასაც, ბუნებრივია, ავტომატურად მოჰყვება სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად კომერციული ბანკები თანდათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოვიდნენ. ამით ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის სფერო შეიზღუდა. 2008 წლის ბოლოსთვის გამოიკვეთა ბანკების სამი ჯგუფი: 1. მსხვილი ბანკები („საქართველოს ბანკი“, „თი-ბი-სი ბანკი“, „რესპუბლიკა ბანკი/ჯგუფი სოსიეტე ჯენერალი“), რომლებმაც უცხოური სახსრები მოიზიდეს და კვლავ ლიდერ-ბანკებად დარჩნენ; 2. სამშენებლო და სამთომომპოვებელ ბიზნესთან მჭიდროდ დაკავშირებული (მიბმული) ბანკები, რომლებსაც ნაკლებად დივერსიფიცირებული აქტივები ჰქონდათ და კლიენტებიც არც თუ ისე ბევრი ჰყავდათ („სახალხო ბანკი“...); 3. დივერსიფიცირებული აქტივების მქონე, მაგრამ სამშენებლო და სამთომომპოვებელ ბიზნესთან ნაკლებად დაკავშირებული ბანკები („პროკრედიტ ბანკი საქართველო“, ბანკი „ქართუ“).

აღსანიშნავია, რომ ბანკებს 2008 წლის აგვისტოს ომამდე შეექმნათ სერიოზული პრობლემები. არ გაამართლა იმ ვარაუდმა, რომ მსოფლიო ბაზარზე დაწყებული საბინაო სექტორის დამანგრეველი ტალღა საქართველომდე ვერ მოაღწევდა და უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდებოდა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ბანკებს ლიკვიდურობის მხრივ დიდი პრობლემები შეექმნათ. 2008 წლის 1 აგვისტოსთვის საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა 3,1 მლრდ ლარი იყო, ხოლო 1

თვეში იგი 2,7 მლრდ ლარამდე შემცირდა. აგვისტოს ომის შემდეგ ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობამ 268 მლნ ლარი შეადგინა. 2008 წლის პირველი 11 თვის მონაცემებით, საბანკო სექტორმა მთლიანად 158 მლნ ლარის ზარალი განიცადა. ამასთან, საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნა მკვეთრად დაეცა. ამ პერიოდისთვის კვლავ მაღალი იყო უცხოური ვალუტის წილი დეპოზიტების მთლიან მოცულობაში და 84,8%-ს შეადგენდა. აგვისტოში საქართველოს ბანკებმა დიდი ზარალი ინვესტირების მხრივაც განიცადეს. ეროვნული ბანკის 2008 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით, საქართველოს საბანკო სექტორში, გასულ 2007 წელთან შედარებით, მთლიანი ინვესტიციების მოცულობა 37%-ით ნაკლები იყო და მან მხოლოდ 73,6 მლნ დოლარი შეადგინა.[1]

2007 წელთან შედარებით, 2008 წელს საქართველოს საბანკო სექტორის ლიკვიდურობის დონემ საგრძნობლად დაიწია. საბანკო სექტორის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტმა 2008 წლის ივნისის მდგომარეობით 32,9% შეადგინა, მაშინ როდესაც 2007 წლის ივნისში 40,6% იყო.[2]

2008 წლის დასასრულისთვის საგრძნობლად იკლო საქართველოს საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ.

საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებზე საერთაშორისო საბანკო რეიტინგებიც მეტყველებს. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა „საქართველოს ბანკსა“ და „თი ბი სი ბანკს“ რეიტინგები შეუმცირა. ორივე ბანკის დეპოზიტების რეიტინგი (ეროვნულ ვალუტაში) „B1“-დან „B3“-მდე შემცირდა, ხოლო ვადაგადაცილებული ვალების რეიტინგი – „B2“-მდე. უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობაც უარყოფითი პროგნოზით ხასიათდებოდა. ამასთან, „საქართველოს ბანკის“ აქციები ლონ-

1 http://www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets_liabilies_of_commercial_banks_totalgeo.xls

2 http://www.nbg.gov.ge/nbg.new.geo/banking_system/consept

დონის საფონდო ბირჟაზე ვარდნით დაფიქსირდა.[1]

საბანკო პანიკა, რომელსაც სპეციალისტები „დაიმონდ-დიბვიგის“ მოდელით აღწერენ, განსაკუთრებით ისეთი საბანკო სისტემისთვისაა ნიშანდობლივი, რომელშიც დეპოზიტებსა და სესხებს შორის ვადიანობის მნიშვნელოვანი დისბალანსია. ეს თვალშისაცემი ნაკლოვანება საქართველოს საბანკო სისტემისთვისაც იყო დამახასიათებელი, რაც, „დაიმონდ-დიბვიგის“ მოდელიდან გამომდინარე, საქართველოს ბანკებს იძულებულს ხდიდა გამოეცხადებინათ საბანკო არდადეგები ან მეანაბრეებისთვის შეეზღუდათ დეპოზიტების უკან გამოთხოვა.

2008 წლის ბოლოსათვის საქართველოში პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი. ქვეყანაში დაახლოებით 2170 ათასი ფიზიკური და იურიდიული პირის დეპოზიტი ირიცხებოდა, რომელთაგან ერთ თვემდე დეპოზიტების რაოდენობა დეპოზიტების მთლიანი რაოდენობის 99%-ს შეადგენდა. განსაკუთრებით დიდი შეუსაბამობა იყო დეპოზიტებისა და სესხების საშუალო სიდიდეებს შორის. საშუალო სესხი საშუალო დეპოზიტს თითქმის სამჯერ აღემატებოდა და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, საბანკო პანიკის გავრცელების შემთხვევაში, საქართველოს საბანკო სისტემა, ფაქტობრივად, მოზიდული თანხების გარეშე დარჩებოდა.[2]

საქართველოს საბანკო სისტემაში 2008 წლის ბოლოსათვის ჩამოყალიბებულ მძიმე ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა №3 ცხრილი.

საბანკო სისტემაში შექმნილ რთულ მდგომარეობას ხელი შეუწყო მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. ამასთან დაკავში-

1 **ღანიაშვილი მ.** როგორ ებრძვის ფინანსურ კრიზისს საქართველოს საბანკო სისტემა? „საქართველოს ეკონომიკა“, №3, 2009, გვ. 6.

2 საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009, გვ. 20.

რებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა არაერთი რეკომენდაცია მისცეს საქართველოს. საერთშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ედვარდ გარდნერი ურჩევდა მთავრობას, რომ შემოეღო საბანკო დეპოზიტების დაზღვევა, როგორც ბანკებისადმი ნდობის აღდგენის ერთ-ერთი საშუალება. ამიტომ, ბუნებრივია, ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამაში იგი სათანადოდ უნდა ასახულიყო. მითუმეტეს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს მოსახლეობის ნდობა ბანკების მიმართ მკვეთრად დაეცა და საბანკო ოპერაციების უმეტესობა უცხოური ვალუტით ხორციელდება.

№3 ცხრილი

დეპოზიტებსა და სესხებს შორის სხვაობა ვადიანობის მიხედვით 2008 წლის ბოლოსათვის (ათასი ლარი)[1]

ვადიანობის ხანგრძლივობა	სხვაობა გაცემულ სესხებსა და დეპოზიტებს შორის	დეპოზიტების საშუალო სიდიდე	სესხების საშუალო სიდიდე
1 თვემდე ვადიანობის	1.993,650	0,97	0,60
1 თვიდან 3 თვის ჩათვლით	82,000	17,95	0,97
3 თვიდან 6 თვის ჩათვლით	-25,840	7,47	4,23
6 თვიდან 12 თვის ჩათვლით	-316,557	12,10	2,10
12 თვეზე მეტი	-3.881,310	5,22	11,91
სულ	-2.148,056	1,61	4,75

შექმნილ არაორდინარულ სიტუაციაში, 2008 წლის ბოლოსათვის, საქართველოს ბანკებში რისკმენეჯმენტისა და სტრატეგიული მენეჯმენტის შეცვლის აუცილებლობა დადგა, რისთვისაც მათ ახალი სტრატეგიის შემუშავება დაიწყეს.

1 http://www.mbg.ge/uploads_depositarycorporeshenqartulad/assets_liabilies_of_commercial_banks_totalgeo.xls

ზოგიერთმა მათგანმა გლობალური ფინანსური კრიზისის წინ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან თანხების მოზიდვაც კი შეძლეს, რითაც ლიკვიდურობის მწვავე პრობლემა დაძლიეს. მაგალითად, „საქართველოს ბანკმა“ 200 მლნ დოლარი მიიღო „საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან“.

V.4. მცდარი მონეტარული პოსტულატები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში

ღრმა ნეგატიური ეკონომიკური პროცესები, რომლებმაც თავი იჩინა ეკონომიკის რეფორმირების წლებში დამოუკიდებელ საქართველოში და გადაიზარდა ყოვლისმომცველ, სისტემურ კრიზისში, ძირითადად ქვეყნის განვითარების დონისა და თავისებურებების, არსებული რეალიების არაადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს არა მხოლოდ საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ის თეორიული მემკვიდრეობა, რომელმაც აპრობაცია წარმატებით გაიარა დასავლეთში და ახლა ცივილიზებულ ქვეყნებში „ეკონომიკური სასწაულის“ ათვლის წერტილადაა აღიარებული.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია დებულება იმის შესახებ, რომ თეორია, რომელიც ორიენტირებულია წონასწორობით მდგომარეობაზე, შეუძლებელია ქმედუნარიანი იყოს და სარგებლობა მოუტანოს უწონასწორობის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას რადიკალური ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **არ შეიძლება ქვეყნის წონასწორობის მდგომარეობაზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორია საფუძვლად დაედოს უწონასწორობის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.**

ეს აქსიომური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. მეცნიერულად დაუსაბუთებელი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში კი ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილი რეფორმა იმთავითვე განწირული იყო მარცხისათვის და ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული მრავალი ნეგატიური მოვლენის წარმოქმნის მიზეზი გახდა. ამიტომაცაა, რომ **გარდამავალმა პერიოდმა საქართველოში საკმაოდ ბევრი პრობლემა წარმოშვა. რაც დრო გადიოდა, ქვეყანა სულ უფრო სცილდებოდა დასახულ მიზანს – სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რამაც სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა იგი.**

ვარაუდი, რომ ტრანსფორმაციული დაცემის მოკლე პერიოდის შემდეგ, ახალი სისტემის პირობებში, სწრაფად აღდგებოდა ეკონომიკა და მიღწეული იქნებოდა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, არ გამართლდა. ტრანსფორმაციული დაცემა გაცილებით დიდხანს გაგრძელდა და ბევრად უფრო ღრმა აღმოჩნდა, ხოლო ეკონომიკის აღდგენის პროცესი არც ისე უმტკივნეულოდ წარიმართა, როგორც ამას დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული ქვეყნების მთავრობები და ამ პროგრამაში ჩართული მეცნიერები ვარაუდობდნენ. ტარნსფორმაციული დაცემა გადაიზარდა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში, რომელმაც თანდათან სისტემური კრიზისის სახე მიიღო. **ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ნაცვლად, მივიღეთ ნახევრად რეფორმირებული, კლანურ ინტერესებზე აგებული არაეფექტიანი ეკონომიკა, რომელმაც მოსახლეობის ბიოლოგიური არსებობის ფუნქციაც კი ვერ იკისრა.**

აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ასეთი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი დაკავშირებული იყო ქვეყანაში გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რომელსაც არასწორად შერჩეული ეკონომიკური თეორია დაედო საფუძვლად, ანუ უკიდურესი უწონასწორობის მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის, უკიდურესად არაეფექტიანი აღმოჩნდა წონასწორო-

ბითი მდგომარეობისათვის მისადაგებული ეკონომიკური პოლიტიკა. ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებულია უხეში შეცდომები, რომელთა უმთავრესი მიზეზი ის არასწორად შერჩეული მოდელია, რომელიც პროამერიკული უფროა, ვიდრე პროქართული, თუმცა, იგი არც პროამერიკულია, ვინაიდან ამ მოდელს სწორად მუშაობის საშუალებას არ აძლევს საქართველოს ეკონომიკური განვითარების არსებული დონე და არაორდინარული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

საქართველოში მიმდინარე რადიკალურ ეკონომიკურ ცვლილებებს, არსებულ რეალიებს არ იქნა მორგებული ისეთი ეკონომიკური თეორია, რომლის საფუძველზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას გამოიყვანდა ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან. არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ არ არსებობს ისეთი ცივილიზებული ქვეყანა, რომლის ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად არ დაედოს ესა თუ ის ეკონომიკური თეორია და ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელსაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით დაეღწია თავი ისეთი ღრმა კრიზისიდან, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა.

თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის – დაგლას ნორფის აზრს, „ნეოკლასიკური თეორია არ არის მისაღები იარაღი ეკონომიკური განვითარების სწორი პოლიტიკის შესაქმნელად. ამასთან, **ნეოკლასიკური თეორია წარმატებულია მაშინ, როდესაც ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ბაზრის შექმნა და განვითარება“.**[1] (ხაზგასმა ჩვენია რ. ა.).

საქართველომ თავი ვერ დააღწია შეზღუდულ მენტალურ აზროვნებას. საქართველოს სჭირდებოდა არა ნეოკლასიკურ თეორიაზე აგებული მკაცრი ფისკალური და ფულადსაკრედიტო პოლიტიკა (ისიც თავისებური შოკია), არამედ

1 **North D.** Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge, "Cambridge University Press", 1990, p. 17.

ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ეტაპობრივად, ევოლუციური განვითარების გზით, ენდოგენური ფაქტორების ეფექტიანი გამოყენებით მიგვაახლოებდა ცივილიზებულ ქვეყნებს.

საქართველოში „ძვირი ფულის“ პოლიტიკა, რომელიც საბაზრო ურთიერთობების არარსებობის პირობებში ვერ ახდენს ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას, გამიზნული იყო მხოლოდ ინფლაციის დათრგუნვისა და ლარის სიმყარის შენარჩუნებისათვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით, ქვეყნის ეკონომიკის ინტერესების უგულვებელყოფის გზით, ლარის კურსის ხელოვნურმა შენარჩუნებამ განაპირობა ლარის დეფიციტი, მწვავე ფულადი „შიმშილი“ და ეროვნულ ბანკს მკვეთრად შეუზღუდა ფულად-საკრედიტო რეგულირების ფუნქცია. მყარი ინსტიტუციური ბაზის არარსებობის პირობებში არასწორად გატარებულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ ინფლაციის „დირექტიულ“ შემცირებას, შეამცირა რეალური მშპ-ის ზრდის ტემპები და სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.[1]

ასეთი პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი, რაც განსაკუთრებით საბიუჯეტო დაფინანსების მთელი სისტემის ნეგატიურ პროცესებში აისახა, ეროვნული ეკონომიკის არასტაბილურობისა და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა. თანდათან ჩამოყალიბდა სისტემური კრიზისი, რომელშიც დომინირებული როლი საბიუჯეტო-საგადასახადო, საანგარიშსწორებო-საგადამხდელო კრიზისმა დაიკავა. ამას დაემატა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის კრედიტით დაფინანსების მავნე პარქტიკა, სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებების იგნორირება, გადაუხდელობის კრიზისი და ბიუჯეტის სეკვესტრირება, რამაც კიდევ უფრო დასცა მოთხოვნა და უკიდურესად გაამ-

1 **ასათიანი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა და გლობალური ფინანსური კრიზისი. „ეკონომისტი“, 2009, №4.

წვავა სოციალური პრობლემები.[1]

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეკონომიკის დესტაბილიზაციის პირობებში შეუძლებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირი ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება.

ღია ეკონომიკაზე გადასვლამ ვერ აამაღლა ჩვენი სამეურნეო კულტურა. დაბალი მოთხოვნისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა ფაქტობრივად იზოლირებული აღმოჩნდა საინვესტიციო საქმიანობისაგან. ამასთან, კაპიტალმა ეროვნული წარმოების ამოქმედების ნაცვლად გეზი საზღვარგარეთისკენ აიღო, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება არ შეიქმნა საიმედო და მომგებიანი მაღალი სამეწარმეო რისკისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების გამო.

ცხოვრების ნორმად იქცა კორუფცია, მათ შორის სახელისუფლებო ეშელონებში. შეიძლება ითქვას, დაკონსერვდა ადგილობრივი წარმოება, ჩიხში მოექცა ხელისუფლება, რომელმაც არა თუ ვერ დაიცვა, არამედ ვერც კი შექმნა სრულყოფილი კანონები. კანონგარეშე ეკონომიკამ წარმოქმნა არაჯანსაღი გარემო, გამოიწვია საზოგადოების ერთი ნაწილის ზნეობის დეგრადაცია, სამაგიეროდ, დანაშაული აქცია ქცევის ნორმად. გამოიკვეთა ნეგატიური ფორმით საზოგადოებრივ ფასეულობათა გადაფასება, წინა პლანზე დადგა კერძო ინტერესები. იგი მკვეთრად გაემიჯნა საზოგადოებრივს, მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ ევროობლიგაციები გამოუშვა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ამის საჭიროება არ იყო, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში იზრდებოდა. ევროობლიგაციების გამოშვებით საგარეო ვალი 500 მლნ დოლარით გაიზარდა. შევნიშნავთ, რომ ამ

1 **ასათიანი რ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში. „სოციალური ეკონომიკა“, 2009, №6.

სესხს ყოველწლიურად 7,5%-ის გადახდაც ემატებოდა.[1]

ასეთი რეპრესიული რეჟიმის პირობებში საგრძნობლად გაიზარდა ხელისუფლებისადმი უნდობლობა, რაც მრავალი პოზიტიური პროცესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდა, სამაგიეროდ, გზა გაეხსნა ისეთ ნეგატიურ პროცესებს, როგორიცაა დოლარიზაციის მასშტაბების გაფართოება, ექსპორტის მკვეთრი დაცემა, უარყოფითი საგადასახდელო ბალანსის ჩამოყალიბება, საგარეო ვალის მნიშვნელოვანი გადიდება, რომლის მოცულობის ზრდამ ქვეყნის დაკაბალების საფრთხე შექმნა და ა.შ.

ამრიგად, საქართველო მცდარ მონეტარულ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა.

არსებული არაორდინარული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება იყო საჭირო ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისთვის და არა კოსმეტიკური ღონისძიებების გატარება.

1929–1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გამოააშკარავა თვითრეგულირებადი ბაზრის ნაკლოვანებები. იმ პერიოდში, კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა კეინზიანურ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკით რომ არ შეცვლილიყო, აშშ–იც კი ვერ დააღწევდა თავს ღრმა ეკონომიკურ კრიზისს. მართალია, დღეს საქართველოში დიდია ლაგის გავლენა და იგი უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფომ უნდა იკისროს ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების საპასუხისმგებლო ფუნქცია. ამაში არ ვგულისხმობთ მხოლოდ ფასადის შეცვლას. აუცილებელია მკაცრად განისაზღვროს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, რადიკალურად შეიცვალოს ქვეყნის მართვის მეთოდები და წინა პლანზე დადგეს ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობები. ამასთან, უნდა ვიზრუნოთ საბაზრო

1 http://www.civil.ge/geo/article.php?id=17997&search; **პაპავა ვ.** არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, გვ. 376-377.

სისტემის ფუნქციონირების ხელშემწყობი ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის, რისთვისაც გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია განხორციელდეს ინსტიტუციური რეფორმა მარეგულირებელ ორგანოებში.

საქართველო თვითმყოფადობასა და სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებს თუ გადაიქცევა სხვა ქვეყნებში შექმნილი სიმდიდრის პასიურ მომხმარებლად. **ქვეყნის აღმშენებლობის ათვლის წერტილი უნდა იყოს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა. ეს აქსიომური ჭეშმარიტებაა! ამის გარეშე ვერ გამოცოცხლდება ბაზარი, რომელიც წარმოების განვითარებისა და რეალური ეკონომიკური ზრდის საფუძველთა საფუძველია.**

სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზერული შემოსავლების ხარჯზე არარეალურიცაა და, რბილად რომ ვთქვათ, არალოგიკურიც, მითუმეტეს ბიზნესის რეკეტირებით მისი შევსება, რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით ეკონომიკის რეფორმირების III ეტაპზე. საქართველოში იყო პერიოდი, როდესაც კონტრაბანდაც კი გამოიყენებოდა სოციალურად დაუცავი ფენების მსყიდველობითი უნარის ასამაღლებლად (იგი ხომ დაბლა სცემს ფასებს). ეროვნული წარმოების განვითარების მიზნით ზოგიერთ სამომხმარებლო პროდუქციაზე აუცილებელია პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება.

უკანასკნელ პერიოდამდე, ეკონომიკური თეორია კვალიფიციურ სამუშაო ძალაში განივთებულ ცოდნას განიხილავდა მხოლოდ როგორც წარმოების დანახარჯს, XXI საუკუნეში კი იგი განიხილება როგორც პრიორიტეტული წარმოების ფაქტორი. ეს მეტად მნიშვნელოვანი რესურსია, რომლის პოტენციალი საკმაოდ არის ქართულ გენში, ოღონდ საჭიროა მისი გამოვლენა და განვითარება. **სხვაგვარად ვერ შედგება ქართული სახელმწიფო და ვერ შეექმნით ისეთ ეკონომიკას, რასაც დღეს ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვარს უწოდებენ.** ეს არის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა, რომლის გარეშე მხოლოდ საუკუნისწინანდელ „ველურ“ კაპიტალიზმში დავრჩებით.

VI თავი

მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება პოსტკომუნისტურ საქართველოში

ძნელია ელოდო პოლიტიკური თავისუფლების სიცოცხლისუნარიანობას თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენტული ბაზრის გარეშე.

მილთონ ფრიდმენი

VI.1. სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების აუცილებლობა

მართლაც, „პოლიტიკური თავისუფლების სიცოცხლისუნარიანობა“ მიუღწევადია კონკურენციაზე დაფუძნებული მეწარმეობის გარეშე. იგი ამ უმნიშვნელოვანესი ფასეულობის საფუძველთა საფუძველია. ამიტომ იმისათვის, რომ ქვეყანაში რეალურად ჩამოყალიბდეს კონკურენტული ბაზარი და გასაქანი მიეცეს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, აუცილებელია სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება. ამ სფეროში არსებული მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მეწარმეობის განვითარება და ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცება.

სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის რეგულირების დონე და ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა ეპოქასა და ეკონომიკურ სისტემაში. მეტიც, ქვეყნების მხრივაც შეუძლებელია რეგულირების ერთიანი ფორმებისა და მეთოდების გამო-

ყენება. მათ მოცემული ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსაზღვრავს. ამასთან, ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებას ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ ჯანსაღი სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფასა და კონკურენციის დაცვაში ვლინდება. სახელმწიფო რეგულირების ეს იმანენტური ინსტრუმენტები განსაზღვრავენ თამაშის წესებს და, აქედან გამომდინარე, აყალიბებენ ურთიერთობებს ეკონომიკურ აგენტებს შორის.

მართალია ბაზარი თვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ თანამედროვე ეკონომიკის, როგორც საბაზრო კავშირებისა და მათი ურთერთგანპირობებულობის რთული სისტემის, რეგულირება ობიექტური აუცილებლობაა. ჯ. გელბრეითის აზრით, ბაზარს ახასიათებს უამრავი დეფექტი და ნაკლოვანება, რომლებიც სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს.[1]

სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება სხვადასხვა ბერკეტებითა და, პირველ ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ადეკვატური, სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებული სამართლებრივ-საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით ხორციელდება. სამართლებრივი რეგულირების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი **ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას** უჭირავს, ანუ იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების სისტემას, რომელიც ითვალისწინებს ბაზარზე ცალკეული კომპანიების მიერ მონოპოლიური მდგომარეობის (კონკურენტებზე ზეწოლა არაკეთილსინდისიერი საშუალებებით, მომხმარებლებისათვის საქონლის გაყიდვის პირობების, მონოპოლიური ფასების თავსმოხვევა და ა.შ.) აღკვეთასა და კონკურენციის, როგორც ეკონომიკის წამყვანი მექანიზმის, დამკვიდრებას.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სამშობლო აშშ-ია. პირველი ანტიმონოპოლიური კანონი, რომელიც **შერმანის ანტიმონოპოლიური კანონის** სახელითაა ცნობილი, 1890

1 **Гэлбрейт Дж. К.** Экономические теории и цели общества. Перевод с английского. М., "Прогресс", 1979, с. 74.

წელს შეიქმნა აშშ-ში. იგი მოიცავს სამართლებრივი ნორმების ძალზე რთულ განშტოებას და აშშ-ის ეკონომიკურ საქმიანობაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საყრდენს წარმოადგენდა.

თავისუფალი კონკურენციის ფილოსოფიით გამსჭვალული ამერიკა ეჭვით უყურებდა ქვეყანაში ტრესტების აღმოცენებასა და განვითარებას. როგორც ფერმერები და წვრილი მეწარმეები, ისე მომხმარებლები, აღშფოთებას ვერ მალავდნენ მონოპოლიების მიერ დათრგუნული ბაზრით შექმნილი რთული სიტუაციის გამო, რასაც მოჰყვა ხელისუფლების ადეკვატური რეაქცია: წარმოქმნილი წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით გამოიცა შერმანის ანტიტრესტული კანონი. მის მიხედვით, ნებისმიერი მონოპოლიური გაერთიანება, ტრესტის თუ სხვა ფორმით, რომელიც შეზღუდავდა წარმოებას ან ვაჭრობას, უკანონოდ ჩაითვლებოდა, ხოლო ის, ვინც დაარღვევდა კანონის ამ მოთხოვნებს – დამნაშავედ. შემდგომში ამ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევა კვალიფიცირებულ იქნა როგორც მძიმე დანაშაული და სასამართლოს, გარდა იმისა, რომ შეეძლო დამნაშავისათვის დაეკისრებინა სამჯერადი კომპენსაცია დაზარალებული მხარის სასარგებლოდ, ასევე, მის მიმართ დეცენტრალიზაციის განაჩენის გამოტანის უფლებაც ჰქონდა.*

1914 წელს, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, აშშ-ში მიიღეს **კლეიტონის კანონი.** მაშინ როდესაც შერმანის კანონი ითვალისწინებდა არსებული მონოპოლიების საქმიანობის დაბლოკვასა და მათ დასჯას, კლეიტონის კანონი ზღუდავდა და კანონგარეშე აცხადებდა ყველა იმ წამოწყებასა და საქმიანობას, რომლებიც მონოპოლიების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.[1]

თანამედროვე ცივილიზებულ ეკონომიკაში სამართლე-

* ასეთი განაჩენი, მაგალითად, გამოუტანეს კონცერნ – „ამერიკან ტელეფონ ენდ ტელეგრაფს“ (ATT).

1 ვრცლად იხ.: **კახნიაშვილი ჯ.** მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 1997, გვ. 95-106.

ბრივი ბაზა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ კანონებს, განსაზღვრავს ადმინისტრაციის ვალდებულებებს, საკუთრების ფორმებსა და უფლებებს, სხვადასხვა ტიპის საწარმოთა ფუნქციონირების პირობებს, ბიზნესის წარმოების შესაძლებლობებსა და სანქციებს. ერთი მხრივ, კანონი იცავს ბიზნესს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ნებისმიერ სამეურნეო სუბიექტს.

საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების ცვლილებების კვალობაზე იცვლება კანონები, რის გამოც მათ აქვთ ნორმატიული ხასიათი.

ამრიგად, ეკონომიკური საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჯანსაღი სამართლებრივი ბაზით განმტკიცებულ ბიზნესის ხელშეწყობასა და კონკურენციის დაცვის სახელმწიფო მექანიზმზე. გარდა ამისა, ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერაში (სესხების, სუბსიდიების, გრანტების გაცემა, ინფორმაციით უზრუნველყოფა, კადრების მომზადება და ა.შ.), ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარებით ეკონომიკური ზრდის წახალისებაში, საბაზრო ინფრასტრუქტურის (საქონლისა და საფონდო ბირჟები, ბანკები, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიები, სარეკლამო სააგენტოები, სერვისის სამსახურები, ბროკერთა ინსტიტუტები და ა.შ.) განვითარებაში და სხვ.

ეკონომიკური საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური რეგულირება, პირველ ყოვლისა, გადასახადებს, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ შეღავათებსა და სანქციებს უკავშირდება. სახელმწიფო, კანონმდებლობის სრულყოფის გზით, ახდენს საკრედიტო განაკვეთებით მანევრირებას, აწესებს დაბეგვრის დიფერერენცირებულ პირობებს (მაგალითად, ის ფირმები, რომლებიც მონაწილეობენ ტექნოლოგიური და ეკოლოგიური პროგრამების განხორციელებაში საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ), ამარტივებს საგადასახადო ადმინისტრირე-

ბას, ახორციელებს ინდიკატურ დაგეგმვასა* და ა.შ.

სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ბევრი ტექნოლოგიური პროგრამა განუხორციელებელი რჩება. მეცნიერული გამოკვლევებისა და პროექტების მაღალი კაპიტალტევადობა, მოსალოდნელი შედეგების სავარაუდო ხასიათი, ზოგიერთი პროექტის განხორციელების ვადის ხანგრძლივობა მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას მათ რეალიზაციაში სახელმწიფო დაფინანსების, გარანტიების, შეკვეთებისა და ა.შ. გზით. სახელმწიფო, წარმოებრივი ინფრასტრუქტურის (გზების მშენებლობით, კავშირგაბმულობის ხაზების გაყვანით, ელექტრო-, წყალ-, გაზმომარაგებისა და სხვა კომუნიკაციების სრულყოფით) განვითარებით ხელს უწყობს არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებას, არამედ, ასევე, ქვეყნის ჩამორჩენილ რეგიონებში კაპიტალის დაბანდებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებასა და ა.შ.

ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ერთ-ერთი ფორმაა სოციალური რეგულირება – სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სოციალური დაცვა, მათი უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით, ღონისძიებების გატარება შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების გაზრდისა და უმუშევრობის დასაშვებ საზღვრამდე შემცირების მიზნით და ა.შ.

---

* ჯერ კიდევ 1951 წელს ცნობილი შვედი ეკონომისტი **გ. მიურდალი** ნაშრომში „ტენდენცია ეკონომიკური დაგეგმვისაკენ“ ამტკიცებდა ინდიკატური დაგეგმვის აუცილებლობას. ეს საკითხი, რომელიც 50-იან წლებში თეორიულად მომწიფდა, 60-იანი წლებიდან მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში დაინერგა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კაპიტალისტური ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადაზრდაში.

აღსანიშნავია მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია: მიუხედავად იმისა, რომ გ. მიურდალი თვით იყო ნობელის პრემიის ლაურეატი, მოითხოვდა მის გაუქმებას იმის გამო, რომ თვლიდა ნობელის პრემია მინიჭებული ჰქონდათ ისეთ რეაქციონერ ეკონომისტებს, როგორებიც იყვნენ **ფრიდრიხ ჰაიეკი** და **მილთონ ფრიდმენი**.
http://en.wikipedia.org/wiki/GunnarMyrdal

იმის გამო, რომ საბაზრო სიტუაცია გამუდმებით მერყეობს, სამეწარმეო საქმიანობის შეუფერხებელი და სტაბილური ზრდა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც წინ აღუდგება სტიქიურობასა და აღკვეთავს ეკონომიკის მდგრადი განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაში დიდი მნიშვნელობა ადმინისტრაციულ რეგულირებას ენიჭება. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ იურიდიული და სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული ფიზიკური პირების რეგისტრაციის წესების დადგენას გულისხმობს, არამედ ფასების მოძრაობისადმი კონტროლსაც. განვითარებულ ქვეყნებში ფასების რეგულირებას სახელმწიფო ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რიგ სახეობებზე, სატრანსპორტო მომსახურებაზე, ელექტრო-, წყალ-, გაზ- და თბომომარაგების ტარიფებზე. ცნობილია, რომ პირდაპირი კონტროლი ფასების 20%-ზე ზემოქმედებას ახდენს მის 60%-ზე, ვინაიდან ერთი სახეობის საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების რეგულირება გავლენას ახდენს მინიმუმ 2-3 სახეობის საქონლის ფასზე. ამასთან, სახელმწიფოს პრერეგატივაა თვალყური ადევნოს, რომ ფასების რეგულირებამ არ შეაფერხოს კონკურენცია და ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის უპირატესობათა მაქსიმალურ რეალიზაციას თავისუფალი მეწარმეობის განვითარების გზით.

ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ფორმები აისახება ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომლის სწორად წარმართვაზე დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა და ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ამიტომ საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება და მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება რეფორმირების საწყის ეტაპზე პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა, თუმცა, ამ პროცესს ხელს უშლიდა რიგი ფაქტორებისა, რომლებიც განხილული იქნება ქვემოთ.

VI.2. მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება-განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივი აღდგენა და სრული ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევა შეუძლებელი იყო პარალიზებული სამამულო წარმოებისა და დეფიციტური ეკონომიკის პირობებში. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში ეროვნულმა ეკონომიკამ ასეთი უპრეცენდენტო ფორმით დაიწყო ფუნქციონირება. არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა არა მხოლოდ ადმინისტრაციული მმართველობის შედეგებთან დაკავშირებული სიძნელეები, არა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებული ფსიქოლოგიური სტერეოტიპები, არამედ ტოტალიტარული რეჟიმიდან გამომდინარე, საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაციაც. ეს უკანასკნელი აისახა ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავებასა და საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ საშემსრულებლო დისციპლინის აბუჩად აგდებაში, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფიზიკურ განადგურებასა და ა.შ.

როგორ უნდა დაეძლია საქართველოს ეს სიძნელეები? ადმინისტრირებით ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლება მიუღებელი იყო. იგი საზოგადოებამ დაგმო. მისი დაძლევა მხოლოდ ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით უნდა განხორციელებულიყო. საქართველოში მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირების სასტარტო პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა ერთობლივი მოთხოვნის დაბალი დონე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების გზით საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირებას საქართველოში. თუმცა ახალშემოღებული საკუთრების სხვადასხვა ფორმა არ იყო განმტკიცებული ჯანსაღი კანონმდებლობით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებდა სამეურნეო სუბიექტებს და გარკვეულ ბარიერებს უქმნიდა მეწარ-

მეობის განვითარებას. ყოველივე ეს კი ხელს უშლიდა ქვეყანაში საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებას. არადა, **საბაზრო ეკონომიკა ექვემდებარება განსაზღვრულ კანონზომიერებებს, რომელთა დაუცველობა ქვეყნის მიერ არჩეული სტრატეგიული კურსიდან გადახვევას ნიშნავს.**

საბაზრო ეკონომიკისთვის, პირველ ყოვლისა, დამახასიათებელია საკუთრების პლურალიზმი და მეურნეობრიობის მრავალფეროვნება. ბაზრის განუყოფელ ატრიბუტებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მწარმოებელთა დამოუკიდებლობა და, მეორე მხრივ, მომხმარებელთა სუვერენიტეტი. ეკონომიკური პლურალიზმი სამართლებრივი საზოგადოების შექმნის საწინდარია. იგი აყალიბებს სოციალურ, კულტურულ და ინსტიტუციურ პლურალიზმებს, რომელთა გარეშე საზოგადოება ვერ განვითარდება. სხვაგვარად, ქვეყნის ნორმალური განვითარება და მისი ურთიერთობა გარე სამყაროსთან შეუძლებელია. საქართველოს ისტორია ინახავს კულტურის უდიდეს ტრადიციებს, რომელთა ნაწილი რენესანსისა და მისი წინა პერიოდის დროინდელია. კულტურის პლურალიზმი გავლენას ახდენს საზოგადოებრივ განვითარებასა და თვით პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ამჟამად ცივილიზებულ ქვეყნებში დამკვიდრებული საკუთრების პლურალიზმი, კერძო საკუთრების წამყვანი როლითა და ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფით, განაპირობებს პოლიტიკურ დემოკრატიას.

ეკონომიკური თავისუფლება, პირველ ყოვლისა, თავისუფალ მეწარმეობასთან ასოცირდება. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ მეწარმეობის ფორმების შერჩევა სახელმწიფოს მიერ კი არ უნდა იყოს დეტერმინირებული, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე კანონმდებლობის საფუძველზე. კანონი უნდა იცავდეს მეწარმეობას და ხელს უწყობდეს მის განვითარებას.

საბჭოთა კავშირში და, აქედან გამომდინარე, საქართველოში, სახელმწიფო საკუთრების ბატონობამ წარმოქმნა ვერტიკალური და არსებითად გამორიცხა ჰორიზონტალური ეკონო-

მიკური ურთიერთობები. ამ გარემოებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, განაპირობა სახელმწიფოსა და წარმოების მუშაკთა შორის ინტერესების დაპირისპირება და საქმიანი აქტიურობის მკვეთრი დაცემა.

საქართველოს გადასვლა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მოითხოვდა ახალი ტიპის მეწარმეობის ფორმირება-განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორებიცაა: კონკურენციის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება, შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ. ეს ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა და საბაზრო ეკონომიკის იმანენტური თავისებურებებიდან გამომდინარეობდა. ის გარემოება, რომ თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში ბაზარი კვლავწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენია, რომელიც ჰორიზონტალური კავშირების განვითარების საფუძველზე გამორიცხავს ადმინისტრაციულ ჩარევას ფასწარმოქმნასა და რესურსების განაწილებაში (რითაც საგრძნობლად ამარტივებს მმართველობის ვერტიკალურ სტრუქტურას), ამით ფართო შესაძლებლობებს ქმნის სამეწარმეო საქმიანობისათვის, აყალიბებს შრომითი მოტივაციის ეფექტიან სისტემას და განაპირობებს ყველაზე, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტური რესურსის – მეწარმის სიუხვეს, რაც ქვეყნის აღმავლობისა და ეკონომიკური ზრდის საწინდარია. ბაზარი კონკურენციისა და ფასწარმოქმნის საფუძველზე ქმნის წარმოების დანახარჯების შემცირებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების სტიმულირების ეფექტიან მექანიზმს. სახელდობრ, საბაზრო კონკურენცია ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებას, აიძულებს მეწარმეებს გამოიყენონ უახლესი ტექნოლოგია, რაციონალურად ხარჯონ რესურსები, თავიდან მოიცილონ ეკონომიკურად არაეფექტიანი

სტრუქტურები, მოძველებული ტექნოლოგიები და ა.შ. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ბაზარს მიიჩნევენ ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე შეიმუშავა და ამიტომაც იყო, რომ საქართველომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაისახა მიზნად. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავდა თავისუფალ ბაზარზე გადასვლას. თავისუფალი მეწარმეობა დიამეტრალურად განსხვავდება თავისუფალი ბაზრისაგან. ეს უკანასკნელი არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა და, ალბათ, არც არასოდეს იქნება.

თავისუფალი ბაზარი (ამ სიტყვის ზუსტი გაგებით) მხოლოდ აბსტრაქციაა და შეიძლება მხოლოდ მისი იდეალურად წარმოდგენა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ფორმულირებულია თავისუფალი ბაზრის ნიშნები, რომლებიც განასხვავებს მას რეგულირებადი ბაზრისაგან. თავისუფალი ბაზრის სისტემაში არ რჩება ადგილი მონოპოლიის ნებისმიერი ტიპისთვის, გამორიცხულია ინფლაცია, უმუშევრობა, კრიზისები. მისთვის დამახასიათებელია საკუთრების ნებისმიერი ფორმა, გარდა სახელმწიფო საკუთრებისა. თავისუფალი ბაზრის არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა მონაწილეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ფასწარმოქმნაში სუფევს სრული თავისუფლება. ამ ფენომენისთვის დამახასიათებელია კონკურენციის მონაწილეთა შეუზღუდავი რაოდენობა, მათი თავისუფალი შეღწევა ბაზარზე, ბაზრის თითოეული მონაწილისათვის კომერციული ინფორმაციის სრულად მიწოდება, სავაჭრო მარკების არარსებობა და ა.შ. ნებისმიერ რეალურ, კონკურენტუნარიან ბაზარს ახასიათებს თავისუფლების ელემენტები, მაგრამ იგი სრულყოფილებას ვერასდროს ვერ აღწევს და ძნელია ისეთი ბაზრის წარმოდგენა, სადაც დაცული იყოს თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელი ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი. ამრიგად, თანამედროვე ბაზრისთვის დამახასიათებელია რიგი ნაკლოვანებებისა, რომელ-

თა დასაძლევად ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები. სახელმწიფო მაშინ „გამოდის ავანსცენაზე“, როცა საბაზრო ძალები ვერ უმკლავდებიან ქვეყანაში წარმოქმნილ წინააღმდეგობებს, რომელთა დაძლევა მხოლოდ მათი ერთობლივი მოქმედებითაა შესაძლებელი. ამაში გამოიხატება სახელმწიფოსა და მეწარმეობის, ბიზნესის ერთიანობა, რაც ქვეყნის წარმატების საწინდარია.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ჰარმონიულობის მიღწევის რთული ამოცანის წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი წლებიდანვე. ქვეყანაში „მეწარმეობის შესახებ კანონის“, სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე, შეფერხებებითა და ნელა, მაგრამ მაინც ჩამოყალიბდა მეწარმეობის ახალი ტიპი, სამეწარმეო საქმიანობის ისეთი სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმები, როგორიცაა: ინდივიდუალური და ერთპიროვნული მეწარმეობა*, პარტნიორობა, ამხანაგობა (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ჩამოყალიბდა სრული და შერეული ანუ კომანდიტური ამხანაგობები) და კორპორაცია (აქციონერული საზოგადოება, სახელმწიფო საწარმო).

მეწარმეობის ამ ფორმების ჩამოყალიბებით საქართველოში

---

* **ინდივიდუალური მეწარმეობა** სამეწარმეო საქმიანობის უმარტივესი ფორმაა. ამ შემთხვევაში ინდივიდის საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური ფირმა არ არის იურიდიული პირი, ხოლო მეწარმე, როგორც ფიზიკური პირი, სამართალურთიერთობის მონაწილეა. **ერთპიროვნული მეწარმეობა,** წინასგან განსხვავებით, უფრო განვითარებული ფორმაა. ამ შემთხვევაში ერთი პირის საწარმო იურიდიული პირია. იგი კანონით ითვლება სამოქალაქო სამართლისა და ვალდებულების სუბიექტად, აქვს წესდება და თავისი სახელწოდება. მეწარმე სარგებლობს ერთი პირის უფლებით, თუმცა, საქმიანობას მარტო არ ეწევა, მაგრამ მესაკუთრე და მმართველი მხოლოდ ის არის. მეწარმეობის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობდა ერთი პირის საწარმო, მაგრამ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იგი **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (შპს)** გარდაიქმნა.

ფაქტობრივად შეიქმნა მეწარმეობის ახალი ტიპი, რომელმაც საფუძველი დაუდო ქვეყანაში საბაზრო სისტემისთვის დამახასიათებელი შერეული ეკონომიკის ფორმირებას. მაგრამ არასტაბილურმა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემომ, დათრგუნულმა მონოპოლიურმა ბაზარმა, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მათი სუსტი განვითარება განაპირობა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოიკვლია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც რანჟირებულ იქნა შემდეგნაირად: **პირველი რიგის ფაქტორები:** საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში; **მეორე რიგის ფაქტორები:** ხელისუფლების მხრივ ადგილობრივი მეწარმეობის ინტერესების დაუცველობა, მოსახლეობის დაუსაქმებლობა; **მესამე რიგის ფაქტორები:** ენერგეტიკული კრიზისი, მმართველობისა და კონტროლის ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევა, საბანკო სისტემის არასაიმედოობა. ამ ფაქტორებს შეიძლება დაემატოს სახელმწიფო რეკეტი, ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი წარმოების განადგურება და უცხოური საქონლის იმპორტის ხელშეწყობა, კონტრაბანდისთვის მწვანე შუქის მიცემა, რაც გამოიხატებოდა ბაზრის გაჯერებით იაფფასიანი პროდუქციით, განუბაჟებელი საქონლის შემოსვლით (განსაკუთრებით რეფორმირების II ეტაპზე) და ა.შ.

საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე მენეჯმენტის დაბალი დონე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის არარსებობა, ინვესტიციების სამართლებრივი დაცვის დაბალი ხარისხი, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, საგადასახადო კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაბალი დონე, სამამულო წარმოების დაუცველობა განურჩევლად ნებისმიერი დარგის პროდუქციის მიმართ, ხელისუფლების მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკის უგულვებელყოფის გზით და ა.შ. მაგალითად, 2000 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა,

რომ ქართულ-ამერიკული ნავთობგადამმუშავებელი საწარმო „გაორი“ დაიხურა იმის გამო, რომ მას ერთი თვის მანძილზე 700 ტონა ნედლი ნავთობის გადასამუშავებლად უნდა დაეხარჯა 659 ათასი ლარი, ხოლო გადასახადების მთლიანი თანხა შეადგენდა 743800 ლარს. აქედან გამომდინარე, საწარმოს თავისი პროდუქცია უნდა გაეყიდა თვითღირებულებაზე 112,8%-ით მეტად, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

საქართველოში მეწარმეობის განვითარებას, მეტ-ნაკლები ზომით, ეკონომიკის რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე, დიდ პრობლემებს უქმნიდა არასტაბილური საგადასახადო სისტემა. განუწყვეტელი ცვლილებები და დამატებები საგადასახადო კანონმდებლობაში გარკვეულწილად ხელს უწყობდა ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლების მიხედვით საწარმოთა გეგმების შეუსრულებლობას, გადასახადების გადახდის დაგვიანებისთვის სანქციების დაწესებას, რასაც ზოგჯერ განაპირობებდა ინსტრუქციების წინა რიცხვით ძალაში შესვლა და ა.შ. მოკლედ, ავტორიტარული მმართველობის სისტემის არსებობამ დაღი დაასვა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას საქართველოში, უარყოფითი გავლენა მოახდინა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

VI.3. მცირე ბიზნესის განვითარების თავისებურებები

საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლების, მეწარმეობის განვითარებისა და კრიზისისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ რეალურ გზას საქართველოში მცირე ბიზნესის დანერგვა-განვითარება წარმოადგენს, რასაც თვით განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს. იგი ეკონომიკის ტრანსფორმაციის შემადგენელი ნაწილია და მასზე ბევრადაა დამოკიდებული სამეწარმეო საქმიანობის წარმატება.

გასული საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიოში მცირე

ბიზნესი ეკონომიკის უპერსპექტივო სექტორად ითვლებოდა, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, პირიქით, წვრილმა მეწარმეობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი და, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან განვითარდა.

ამჟამად ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში სულ უფრო მეტ როლს მცირე და საშუალო ბიზნესს ანიჭებენ. ხშირად იაპონიის წარმატებებს ეროვნული ხასიათის თავისებურებებს, ტრადიციებსა და კულტურას უკავშირებენ. მათ შორის კავშირი, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ „იაპონური სასწაულის“ საფუძველში მცირე ბიზნესის წახალისებაც დევს. „ამომავალი მზის ქვეყანაში“ მთელი ფირმების 85% მცირეა. მეწარმეობის ამ ფორმით დაკავებულია დასაქმებულთა 3/4. აშშ-ში მცირე ფირმების საერთო რაოდენობამ 20 მლნ-ს გადააჭარბა, რომელთა წილად მთლიანი ეროვნული პროდუქტის 40%-ზე მეტი მოდის. მცირე ბიზნესის ცნობილი ამერიკელი მკვლევარის დევიდ ბიორჩის აზრით, აშშ-ში ყოველწლიურად 700 ათასი ახალი ფირმა იქმნება, აქედან, ყველაზე მეტი უმცირესი საწარმოებია. ნიშანდობლივია, რომ აშშ-ში მცირე ბიზნესს ეწევა ფირმების 99%.[1] საფრანგეთში სულ უმცირესი (10 კაცამდე დასაქმებული) და მცირე (50 კაცამდე დასაქმებული) ფირმები საწარმოთა 96,6%-ს შეადგენენ. იტალიაში ყოველ 15 კაცზე მოდის ერთი მცირე ან უმცირესი ფირმა. გაერთიანებული სამეფო ხასიათდება მიკრობიზნესის სწრაფი განვითარებით, სადაც ერთკაციანი ფირმა საკმაოდ გავრცელებულია დასაქმების სტრუქტურაში. ეს თავისებურება დამახასიათებელია შვედეთისთვისაც. გერმანიაში მცირე ბიზნესის განვითარება ეკონომიკის სტაბილიზაციისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი გზაა. ასევე სწრაფი ტემპით ვითარდება მცირე ბიზნესი ახალინდუსტრიულ ქვეყნებში. მაგალითად, სამხრეთ კორეაში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ქვეყანა მოიცვა მცირე ბიზნესის სწრაფმა განვითარებამ. ამ

1 **Разумнова И.** Мелкий бизнес и эффективность американской экономики. М., "Наука", 2005, с. 10, 19.

ტიპის საწარმოთა რაოდენობა ფირმების საერთო რაოდენობაში 9-დან 62%-მდე გაიზარდა.[1]

ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვანიშნებს მცირე ბიზნესის დიდ როლზე ეკონომიკის აღმავლობაში. ჩვენი ტრადიციული შეხედულებიდან გამომდინარე, შეიძლება პარადოქსულადაც კი მოგვეჩვენოს, რომ ხშირ შემთხვევაში მცირე საწარმოების შესაძლებლობები ახალი სახეობის პროდუქციის წარმოებასა და მომსახურების დანერგვაში გაცილებით დიდია, ვიდრე მსხვილი საწარმოებისა. ისინი ხელს უწყობენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, შესწევთ უნარი ყველა სახეობის რესურსის, მათ შორის შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა. მცირე ბიზნესი კონკურენციული საბაზრო გარემოს ჩამოყალიბების კატალიზატორია. ამასთან, მის საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიკური აგენტების სიმრავლე მოსახლეობისათვის რამდენადმე ხელმისაწვდომს ხდის სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას. ამიტომ არის, რომ მცირე ბიზნესი მთელ მსოფლიოში სწრაფად ვითარდება, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ არ შეიძლება მისი აბსოლუტიზება და პანაცეად მიჩნევა: მას არ ძალუძს ძვირადღირებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვა, ბევრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა. მცირე ბიზნესი ძალზე მგრძნობიარეა ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებისადმი. ზოგჯერ მასზე გამანადგურებელ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი. ამასთან, მცირე ბიზნესის წარმართვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა კრედიტზე სარგებლის განაკვეთის დონე. საქმე ის არის, რომ მცირე საწარმოები განუწყვეტლივ განიცდიან კაპიტალის ნაკლებობას და მსხვილ კომპანიებზე მეტად არიან დამოკიდებული მიმდინარე ბრუნვის დაკრედიტებაზე, ბანკები კი გაურბიან მცირე ფირმების დაკრედიტებას ან ცდილობენ გაწეული რისკისთვის მათგან, როგორც ნაკლებსაიმედო მსესხებლებისგან, ჩვეულებრივზე მაღალი პროცენტის დაწესებით მიიღონ კომპენსა-

1 **Дрожин В.** Малые предприятия. М., ШУМКЦ, 1999.

ცია. ბიზნესის მცირე მასშტაბი წვრილ საწარმოებს არ აძლევს საშუალებას, გამოიყენონ კაპიტალის მოზიდვის სხვა წყაროები, მაგალითად, გამოუშვან აქციები. მათ უჭირთ ისეთი ინვესტორების მოძებნა, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან თავიანთი სახსრების ამ ფირმების საქმეში დაბანდებით. მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემებს უფრო ართულებს ინფლაციური პროცესების გაძლიერება. სახელდობრ, ფასების მატების გამო იზრდება მათი საჭიროება ფულადი სახსრებისადმი. ინფლაციის დროს მათ არ შეუძლიათ თავიანთ პროდუქციაზე საბაზრო ფასებისა და დანახარჯების დონის კონტროლირება, რაც გაცილებით ადვილია მსხვილი ფირმებისთვის. ყოველივე ამის გამო მცირე საწარმოები ხშირად ვერ უძლებენ კონკურენციას და კოტრდებიან. მცირე ფირმების „სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა“ 7 წელია.

ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, მცირე ბიზნესის უარყოფით მხარეებს უდავოდ ფარავს დადებითი, რამაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში კანონზომიერი გახადა გიგანტებთან მათი თანაარსებობა. ამიტომ მცირე ბიზნესის განვითარების მიმართ საქართველოში რეფორმირების დაწყებისთანავე დადგა ეს საკითხი. ამას ალტერნატივა არ ჰქონდა. მაგრამ როგორ დანერგილიყო იგი ახალფეხადგმულ ეკონომიკაში?

მცირე ფირმების ავტონომიური სისტემა იქმნება არა „ზემოდან“, სამინისტროს მითითებით, არამედ „ქვემოდან“, საზოგადოების წიაღში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მის განვითარებაში არ უნდა მონაწილეობდნენ სახელმწიფო ინსტიტუტები. როგორც საზღვარგარეთული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ისინი ხელს უწყობენ მცირე ფირმების განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას. დასავლეთში მცირე ფირმების სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. რაში გამოიხატება იგი? მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პარლამენტში არის მცირე ბიზნესის კვლევის კომიტეტი (ბოლტონის კომიტეტი); აშშ-ში მცირე ბიზნესის საქმიანობას არეგულირებს სახელმწიფო, რომლის მექანიზმში შედის მცირე ბიზნესის

ადმინისტრაცია, ამ საქმეთა კვლევის კომიტეტი კონგრესში, სპეციალური მუდმივი ქვედანაყოფები სამინისტროებსა და უწყებებში, რომლებიც ახორციელებენ დახმარების პროგრამებს.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ საქართველოშიც გათვალისწინებულიყო ეს მოწინავე გამოცდილება და მცირე ბიზნესის განვითარება არ მომხდარიყო თვითდინებით, სახელმწიფო რეგულირების გარეშე.

მაინც რა სახის დახმარებას უწევენ მთავრობები მცირე საწარმოებს? უწინარეს ყოვლისა, ფინანსურს, რაც გამოიხატება გარანტირებული მცირეპროცენტიანი სესხების მიწოდებაში, საგადასახადო შეღავათების გაწევაში და ა.შ. ამის გარდა მცირე ფირმებს სახელმწიფო უწევს ტექნიკურ და საკონსულტაციო დახმარებას, რომელთა უმეტესობა უფასოა. სამთავრობო ღონისძიებების გატარების საფუძველზე წვრილი კაპიტალისათვის ხელმისაწვდომია მოწინავე ტექნოლოგია. სახელმწიფო სუბსიდიების ხარჯზე მცირე ფირმებისათვის მზადდება კადრები, საგარეო ბაზარზე მათი გასვლისათვის იქმნება ხელსაყრელი პირობები. ბევრ ქვეყანაში მიღებულია ანტიტრესტული კანონები, რომლებიც ზღუდავენ მსხვილი ფირმების კარტელიზაციას, ხოლო მცირე ფირმებს უქმნიან ფართო შესაძლებლობას.

მცირე ფირმების სიცოცხლისუნარიანობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: 1) საბაზრო კონიუნქტურის მდგომარეობა; 2) კრედიტზე სარგებლის განაკვეთის დონე; 3) კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობები; 4) ინფლაციის ტემპები; 5) ბიზნესის სამთავრობო რეგლამენტაცია.

რა მდგომარეობა იყო მცირე ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში? არსებული საბაზრო კონიუნქტურა და ინფლაციის მაღალი ტემპი აფერხებდა მის სტარტს. თუ გადავხედავთ განვლილ წლებს, საბაზრო ურთიერთობების შექმნის თვალსაზრისით, საქართველო ნაკლებად მიუახლოვდა მას, გარკვეული თვალსაზრისით დაშორდა კიდ-

ეც. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 2012 წელს, 2003 წელთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი სამეწარმეო სექტორის მთლიან გამოშვებასა და ბრუნვაში, მსხვილი ბიზნესის უპირატესი განვითარების ხარჯზე, 9 პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, ბიზნესსექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის 82,3% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 7,5% – საშუალოზე, ხოლო 10,2% – მცირე ბიზნესზე. ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით (დარგობრივ ჭრილში) პროცენტულ თანაფარდობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა №4 ცხრილი.

№4 ცხრილი

ბიზნესსექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, 2012 წელი[1]

	წილი, %		
	მსხვილი	საშუალო	მცირე
სოფლის მეურნეობა. წადირობა და სატყეო მეურნეობა	68,1	14,7	17,2
თევზჭერა, მეთევზეობა	_	70,5	29,5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	75,4	10,8	13,8
დამმუშავებელი მრეწველობა	86,4	6,2	7,4
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	98,7	0,9	0,4
მშენებლობა	85,3	6,4	8,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	77,8	9,6	12,5
სასტუმროები და რესტორნები	52,0	15,4	32,6
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	90,1	4,1	5,8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	55,7	16,3	28,0
განათლება	59,8	26,2	14,1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	87,1	7,6	5,3
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	88,0	5,0	7,0

1 www.geostat.ge

საქსტატის ბოლო მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 400 ათასი მცირე და საშუალო ფირმა, აქედან, მოქმედია მხოლოდ 60 ათასი.*

საქართველოში მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება ჭეშმარიტი საბაზრო ურთიერთობები, როდესაც არსებული ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენებით მივაღწევთ ეკონომიკურ ზრდას, ცხოვრების დონის ამაღლებასა და საშუალო ფენის რეალურად ჩამოყალიბებას. ამაში კი მნიშვნელოვანი ფუნქცია მცირე ბიზნესს აკისრია.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში მცირე ბიზნესმა ფართო გავრცელება პოვა როგორც მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების, ისე მომსახურების სფეროებში. მან ყველაზე მეტად მოიკიდა ფეხი ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, სასასტუმრო ბიზნესში, საინფორმაციო მომსახურებაში, აგრეთვე საქმიან და პროფესიულ მომსახურებაში, სადაც სპეციალიზებული საწარმოები მომხმარებელს სთავაზობენ მომსახურების ფართო სპექტრს: ტექნიკურს, ფინანსურს, იურიდიულს, ადმინისტრაციულს და სხვ. მეწარმეთა ფანტაზია გამოიხატება სხვადასხვა მიმართულებით. ესაა საანგარიშო-საბუღალტრო მომსახურება, დახმარება წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციაში, კადრების შერჩევასა და მომზადებაში, კომპანიის საფინანსო ანგარიშგების შედგენაში, გადასახადების გამოთვლაში და ა.შ. მრავალი ფირმა ეწევა კონსულტაციებს მმართველობის სფეროში, ატარებს ლაბორატორიულ შემოწმებებს, მონაწილეობს ახალი ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებაში. მცირე ფირმების სახით ფუნქციონირებს მრავალი სარეკლამო სააგენტო და იურიდ-

* საქართველოში მცირეს მიეკუთვნება ფირმა, რომელშიც 20-მდე კაცია დასაქმებული და საშუალო წლიური ბრუნვა 500 ათას ლარამდეა; საშუალოს მიეკუთვნება ფირმა, რომელშიც 20-დან 100-მდე კაცია დასაქმებული (საშუალო წლიური ბრუნვა 500 ათასიდან 1,5 მლნ ლარამდე), მსხვილს მიეკუთვნება ფირმა, რომელშიც 100 და მეტი კაცია დასაქმებული, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვა 1,5 მლნ ლარი და მეტია.

იული კონსულტაცია, დოკუმენტების სალიკვიდაციო კომპანიაც კი. საერთოდ, საქმიანი მომსახურების დარგები (წარმოების მომსახურე დარგები) – ლიზინგი (მანქანა-მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, წარმოებრივი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი არენდა), ინჟინერინგი (საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება), მარკეტინგი და ა.შ. მცირე ფირმებითაა წარმოდგენილი. მოკლედ, მთელ მსოფლიოში შეინიშნება მცირე ბიზნესის აყვავება.

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით არც საქართველო იქნებოდა გამონაკლისი. მცირე ბიზნესის განვითარებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამდით არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, არამედ მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებასა და, აქედან გამომდინარე, მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მცირე ფირმებისთვის უნდა დაწესებულიყო შეღავათიანი კრედიტები, რაზეც მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც მიგვანიშნებს. მაგალითად, იაპონიაში, 1975-1985 წლებში, როდესაც ფეხს იდგამდა მცირე მეწარმეობა, საქმიანი მომსახურების მწარმოებელი ფირმებისთვის კრედიტზე სარგებლის განაკვეთის დონე შემცირდა 31,9%-ით, რამაც სტიმული მისცა მცირე ფირმების განვითარებას ამ სფეროში.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების სტარტი დაიწყო თვითდინებით, სახელმწიფო რეგულირების გარეშე. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეკონომიკის რეფორმირების საწყის ეტაპზე, მცირე ფირმები უნდა გათავისუფლებულიყო გადასახადებისგან. აუცილებელი იყო სახელმწიფო დონეზე შექმნილიყო სპეციალური უწყება, რომელიც მოწოდებული იქნებოდა გადაეწყვიტა მცირე საწარმოების პრობლემები, წვრილ ბიზნესმენთა ცალკეული ჯგუფებისათვის შეედგინა ვიწრომიზნობრივი, მათი პროფილის შესაბამისი დახმარების პროგრამები. მცირე ფირმებისთვის სახელმწიფოს უნდა შეექმნა თანაბარი პირობები კონკურენციულ ბრძოლაში, მოეხდინა სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკის არსებითი მოდიფიკაცია. სამთავრობო დად-

გენილების საფუძველზე სესხების ერთი მესამედი ბანკებს უნდა მიეცათ მცირე ფირმებისათვის. აუცილებელი იყო ისეთი სამსახურის შექმნა, რომელიც მცირე ფირმებს კონსულტაციას გაუწევდა მარკეტინგის, საპატენტო საქმის, ახალი ტექნოლოგიის დანერგვის ორგანიზაციასა და სხვა საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა მცირე საწარმოთა განვითარებას საოჯახო და ინდივიდუალური მეწარმეობის საფუძველზე და ა.შ.[1]

საქართველოში, მცირე ბიზნესის განვითარებისთვის, სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერასთან ერთად, აუცილებელი იყო მეწარმეთა ეკონომიკური თავისუფლების დამკვიდრება, რაც მეწარმეობის თვალსაზრისით დაკარგული უფლება-მოვალეობების აღდგენის ერთ-ერთი გზა იქნებოდა. აუცილებელი იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება. მცირე საბითუმო ბირჟები, ბანკები შეღავათიანი რეჟიმით, სალიზინგო კომპანიები, საბროკერო ორგანიზაციები, სავალუტო და საფონდო ბირჟები, საინფორმაციო-საკონსულტაციო და აუდიტორული ფირმები, დამოუკიდებელი იურიდიული კანტორები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ. ის ატრიბუტებია, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ მცირე ბიზნესის განვითარებაში. ეს პრობლემა უაღრესად აქტუალურია საქართველოში ეკონომიკის რეფორმირე-

1 ამ პრობლემას ფართოდ ვაშუქებდით იმდროინდელ პრესაში: მცირე ბიზნესი და ეკონომიკური კრიზისი. გაზ. „თბილისი“, 1992 წლის 16 ოქტომბერი; საიდან იწყება ბაზარი? გაზ. „ბანკი“, 1992 წლის 12 იანვარი; როგორი ბაზარი გვსურს. „საქართველოს რესპუბლიკს“, 1992 წელი, №50 (323); მთავარია შეიქმნას კონკურენტუნარიანი ბაზარი. გაზ. „რეფორმა“, 1994 წლის დეკემბერი; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რადიკალური რეფორმების გარეშე?! „ჯორჯიან თაიმსი“, 1994 წელი, № 006; პრივატიზაციის ქართული ვარიანტი: მითი თუ სინამდვილე. „შანსი“, 1994 წლის 16 აგვისტო; მთავარია შეიქმნას შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმი. გაზ. „მშვიდობა ყოველთა“, 1994 წლის ნოემბერ-დეკემბერი და ა.შ. იხ.: **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005.

ბის ნებისმიერ ეტაპზე, მეწარმეობის განვითარების მთავარი გზა კი სახელმწიფო (არა ბუნებრივი) და კერძო მონოპოლიებისაგან თავის დაღწევაა.

როგორც წინა თავებში იქნა აღნიშნული, საქართველოში, სავსებით სამართლიანად, ახალი ტიპის მეწარმეობის განვითარებისა და საბაზრო სისტემაზე გადასვლის ძირითად მიმართულებად საკუთრების დერეგულირება და, უპირველეს ყოვლისა, პრივატიზაცია იქნა აღიარებული. ამ პროცესს, რომელიც ქვეყანაში მოუმზადებლად და არსებითი ხარვეზებით დაიწყო, ხელს უშლიდა სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზისა და კანონის დიქტატურის არარსებობა.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნისათვის, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, აუცილებელია საბაზრო ურთიერთობების სრულფასოვანი სუბიექტების – მეწარმეთა საშუალო ფენის ჩამოყალიბება და სამეურნეო საქმიანობის შერეული ფორმების დანერგვა. შერეულ მეწარმეობას ფართოდ უნდა მოეკიდა ფეხი ჯანდაცვაში, განათლებაში, საფინანსო-საკრედიტო სფეროში, კომუნალური მეურნეობის სამსახურში, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებაში, საქალაქო ტრანსპორტის ექსპლუატაციაში, უშიშროების სამსახურში, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებაში და სხვ.

მოწინავე უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთობლივი მეწარმეობის სტრუქტურაში ადმინისტრაციული რეგულირებისა და კონტროლის ფუნქცია ეკისრება სახელმწიფოს, ხოლო ამა თუ იმ სოციალური ან კომუნალური მომსახურების წარმოება – კერძო კაპიტალს. ამ მოდელში მესაკუთრედ რჩება სახელმწიფო, რომელიც კერძო ფირმებს არენდით აძლევს საჭირო შენობა-ნაგებობებს, მანქანა-დანადგარებსა და ა.შ. თავის მხრივ, კერძო კონტრაჰენტები კისრულობენ სათანადო ხარისხის მომსახურებას, რომლის ტარიფები არ უნდა აღემატებოდეს კონტრაქტით გათვალისწინებულს. სამმართველო, საექსპლუატაციო, სამუშაო ძალის დასაქირავებლად გაწეულ ხარჯებს კერძო ფირმები თვით

ფარავენ. შერეულ საწარმოში შექმნილი მოგების ნაწილი კი ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი საქართველოს ეკონომიკაში მონოპოლიზმის დაძლევა და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციის სფეროში.

მცირე საწარმოებისთვის დამახასიათებელი კაპიტალის სწრაფი ბრუნვა და საქმის ორგანიზაციისათვის საჭირო თავდაპირველი მცირე თანხის საკმარისობა ხელსაყრელ გარემოს შექმნიდა საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. ხელისუფლებას უნდა ეცადა მცირე ფირმების განვითარების ხელშეწყობისათვის მთავარი ყურადღება მიექცია არა დამსჯელი, არამედ წამახალისებელი ღონისძიებებისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, საქართველოში, შეიძლება ითქვას, ინერციითა და ხელისუფლებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით, აგრეთვე იმ მოზღვავებული სამეწარმეო უნარით, რომელიც არსებობს ქართულ გენში და, საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობაში, მცირე (ასევე, საშუალო) ბიზნესმა შეფერხებებით, მაგრამ მაინც დაიწყო განვითარება, ოღონდ ძირითადად მომსახურების სფეროს ისეთ დარგებში, როგორიცაა ვაჭრობა, სასასტუმრო მეურნეობა და რესტორნები, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საზოგადოებრივი კვება, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა.შ.

ბოლო პერიოდში საქართველოში გააქტიურდა სამშენებლო ბიზნესი (თუმცა ამჟამად ამ სფეროში მძიმე მდგომარეობაა), მაგრამ ეს პოზიტიური ძვრები, ნაკლებად შეეხო სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას, რაც მნიშვნელოვნად დაეტყო ქვეყნის რეალური სექტორის განვითარებას. 2012 წლის მონაცემებით, მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობას უჭირავს მხოლოდ 16,7%, სოფლის მეურნეობას – 8,6%, ვაჭრობას – 16,7%; შემდეგ მოდის სახელმწიფო მმართველობა (11,2%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,6%), მშენებლობა (7,8%), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (6,1%).[1]

1 http://gepstat.ge/?action=page%p_id=11=118&lang=geo

საქართველოში მცირე ბიზნესის გეოგრაფიული მასშტაბების სივიწროვე, განვითარების დაბალი დონე და სახელმწიფო პოლიტიკის უსუსურობა არის ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ხელი ვერ შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას. კერძოდ, საგრძნობლად იკლო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობამ რიგ პროდუქციაზე. მაგალითად, თუ 2001 წელს ერთი ჰექტარიდან იწარმოებოდა 26,9 ცენტნერი ხორბალი, 2007 წელს მან შეადგინა 16,7 ცენტნერი, ქერი, შესაბამისად – 22,0 და 15,0 ცენტნერი, მზესუმზირა – 9,7 და 7,2, კარტოფილი – 115,6 და 108,2, ბოსტნეული – 102,0 და 61,3, შაქრის ჭარხალი პირუტყვის საკვებად – 209,8 და 200,8 ცენტნერი, ხოლო 1990-2012 წლებში, საქსტატის მონაცემებით, ჩაის ფოთლის წარმოება შემცირდა 143-ჯერ, ყურძნისა – 4,3-ჯერ, ხილისა – 3,1-ჯერ, ციტრუსების – 5,2-ჯერ, ბოსტნეულისა – 2,4-ჯერ, ხორცისა – 3,4-ჯერ, რძისა – 1,2-ჯერ, კვერცხისა – 1,2-ჯერ. ასევე შემცირდა მეცხოველეობის სულადობა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა – 1,4-ჯერ, ღორისა – 10-ჯერ, ცხვრისა და თხისა – 3-ჯერ, ფრინველისა – 4-ჯერ.

თუ 2005 წელს საქართველოში სულ 34934 საწარმო იყო, 2007 წელს მათმა რაოდენობამ იკლო და შეადგინა 23137, აქედან, სოფლის მეურნეობაში (ნადირობასა და ტყის მეურნეობასთან ერთად) შესაბამისად – 378 და 293, სამთომოპოვებით მრეწველობაში – 148 და 117, დამმუშავებელ მრეწველობაში – 4306 და 2920, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილებაში – 178 და 169, მშენებლობაში – 1232 და 1248 საწარმო და ა.შ. (მათში არ არის ასახული დაუკვირვებადი, აღურიცხავი ეკონომიკის მაჩვენებლები).[1]

წვრილი მეწარმეობის პრინციპებზე დაფუძნებული მცირე ბიზნესის, როგორც საბაზრო სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტისა და სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე დინამიკური

1 საქართველოს წელიწდეული – 2008. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2008, გვ. 152.

ფორმის, განვითარება ჯანსაღი საბაზრო გარემოს ფორმირების აუცილებელი პირობაა. იგი, როგორც ქალაქში, ისე სოფლად თანამედროვე სტანდარტებისა და ცხოვრების სტილის გავრცელების მოქნილი საშუალებაა, რაც, საბოლოო ანგარიშით, მსხვილი საქალაქო აგლომერაციის ზრდის შეზღუდვას განაპირობებს. საქართველოს სინამდვილეში სწორედ მცირე ბიზნესის განვითარებას უნდა დავუკავშიროთ მრავალი მივიწყებული სოფლის აღდგენა-განვითარება.

VI.4. გარე ეფექტები და „გადასხმის“ ხარჯები

ადამიანთა საქმიანობას ახლავს თანამდევი გარე ეფექტები (ექსტერნალიები), რომლებიც არ აისახება ფასების სისტემაში. ისინი ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის საბოლოო შედეგების გარკვეული მხარეა, რომელთა ღირებულებითი ფორმით გამოხატვა შეუძლებელია. გარე ეფექტების გაზომვისათვის ფართოდ გამოიყენება ნატურალური მაჩვენებლები.

გარე ეფექტების მრავალფეროვანი ხასიათი და სპეციფიკა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ეკონომიკური საქმიანობის რიგ სფეროებში საბაზრო ეკონომიკის იმ ძირითადი პრინციპების გამოყენებას, რომლებიც დანახარჯებისა და კომერციული ეფექტის შედარებას გულისხმობს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარე ეფექტების სწორ შეფასებასა და, აქედან გამომდინარე, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.

გარე ეფექტებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოხატულება. დადებითი დაკავშირებულია სარგებლობასთან, სარგებლიანობასთან, ხოლო უარყოფითი – ხარჯთან. ეს არის ფასში აუსახველი ხელსაყრელობა ან ხარჯი და „გარე“ ეწოდება იმიტომ, რომ ეხება არა მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს (სამეურნეო სუბიექტებს), არამედ ვლინდება მათ გარეთ მიმდინარე პროცესებშიც. გარე ეფექტების გამოვ-

ლენის არეალი ზოგჯერ ძალზე მასშტაბურია და ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე. ისინი თანამდევი ხარჯია, „გადასხმის“ ხარჯია. მათ მიეკუთვნება თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები, რომლებიც გამოვლინდება კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის გარეთ და აისახება შრომის როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებში.

ბაზარს არ შეუძლია მისთვის ნიშანდობლივი ფასწარმოქმნის მექანიზმის მეშვეობით შეაფასოს ადამიანთა საქმიანობის გარე ეფექტები, რომლებიც იმის მიხედვით, დადებითია თუ უარყოფითი, შესაბამისად, გამოიხატება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვასა თუ დარღვევაში, ესთეტიკურ ფასეულობათა, კულტურის ძეგლთა, ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებასა თუ ნგრევაში, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და აქტიური საქმიანობის პერიოდის გადიდებასა თუ შემოკლებაში, დაავადებათა შემცირებასა თუ გაზრდაში, პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის ზრდასა თუ დაქვეითებაში, მოსახლეობის ფიზიკური განვითარების დონის, მოქალაქეობრივი კულტურის ამაღლებასა თუ დაცემაში და ა.შ. მაგალითად, გარემოს დაცვას, ან კიდევ, ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით სასმელი წყლის სანაციის პროგრამის განხორციელებას თან ახლავს უაღრესად დადებითი გარე ეფექტი – ეკოლოგიური და სანიტარიული ნორმების დარღვევისა და მისგან გამოწვეული მრავალმხრივი ზარალის თავიდან აცილება, ხოლო გარემოს გაჭუჭყიანება წარმოშობს უაღრესად უარყოფით გარე ეფექტებს, რაც განაპირობებს გარეშე პირების ან, შესაძლოა, მთელი მოსახლეობის ხარჯების ზრდას. კერძოდ, თუ ეკონომიკური საქმიანობით რომელიმე სამეურნეო სუბიექტი აჭუჭყიანებს მდინარეს, მაშინ „გადასხმის“ ხარჯი აწვება ტვირთად ამ მდინარით მოსარგებლე პირებს ან, ზოგჯერ, მთელ საზოგადოებასაც (თუ ამ მდინარის წყალი სასმელად გამოიყენება). ამრიგად, ეკონომიკური საქმიანობის საფუძველზე გარემოს გაჭუჭყიანების შედეგად წარმოიშობა ხარჯი, რომელსაც ფარავს არა თვით მწარმოებელი, არამედ მოცემულ წარმოე-

ბასთან დაუკავშირებელი სხვა პირი ან მთელი საზოგადოება. ამის გამო, გარემოს გამჭუჭყიანებელ-მწარმოებლის პროდუქციის ფასში გაცილებით ნაკლები ხარჯია ასახული, ვიდრე სინამდვილეში იქნა გაწეული.

გარე ეფექტების საილუსტრაციოდ არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს ბოლოდროინდელი მოვლენებიდან.

ცნობილია, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე, საქართველოში შემოდიოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლები ფულადი გზავნილების სახით, რომელსაც მრავალი ასეული ათასი მიგრანტი აგზავნიდა საზღვარგარეთიდან. ამ გზავნილებმა 2008 წელს დაახლოებით 800 მლნ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-ს შეადგენდა და 16-ჯერ აღემატებოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან მიღებულ შემოსავლებს. 2012 წლის მონაცემებით, საზღვარგარეთულმა ფულადმა გზავნილებმა 1334 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო 2013 წელს – 1477 მლნ დოლარი (თვეში საშუალოდ 120 მლნ დოლარზე მეტია).[1] ამას ემატებოდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების კრედიტები, დონორების დახმარებები და სხვ. ბუნებრივია, ყველა ეს შემოსავალი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და არსებული სუსტი ეკონომიკის პირობებში, მას საქართველოსთვის უდიდესი პოზიტიური დატვირთვა აქვს. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ემიგრანტები არაპირდაპირი გზით დადებით გავლენას ახდენენ შრომის ბაზარზე, ვინაიდან მათი ქვეყნიდან გადინებით მცირდება უმუშევრობა, ამასთან, გარკვეულწილად, სიღარიბის დონეც ეცემა. მაგრამ ამ პროცესს თან ახლავს პოზიტიურთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი ნეგატიური გარე ეფექტები, რაც გამოიხატება შემდეგში: ყოველივე ამან, სხვა მიზეზებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკა წარმოებაზე ორიენტირებულის ნაცვლად, შემოსავალზე ორიენტირებულ ეკონომიკად აქცია, ხოლო

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

საზოგადოება – არა მწარმოებელ, არამედ მომხმარებელ საზოგადოებად. ისმის კითხვა: **ხელსაყრელია კი ქვეყნისთვის „განვითარების“ ეს კურსი?** ანდა, **რა შედეგებს მოუტანს მცირერიცხოვან საქართველოს შრომითი რესურსების ქვეყნიდან გადინება?**

ემიგრანტები ძირითადად ახალგაზრდა ასაკის ადამიანები არიან, ამიტომ ისინი დანაკარგებად ითვლებიან მშობლიური ქვეყნისთვის. უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური ადამიანების ემიგრაცია უცხო ქვეყნებში ინტელექტის გადინებას ნიშნავს. მშობლიურმა ქვეყანამ მათ აღზრდასა და განათლებაზე გარკვეული სოლიდური ხარჯი გასწია, სხვა ქვეყანამ კი მათი გამოყენებით, ყოველგვარი ხარჯის გაწევის გარეშე, მოგება მიიღო. ამრიგად, ამ თვალსაზრისით, მიგრაცია დანაკარგად ითვლება ემიგრანტის მშობლიური ქვეყნისთვის და უდიდესი უარყოფითი გარე ეფექტის მატარებელია.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის (განსაკუთრებით რეფორმირების II ეტაპის ბოლო წლებიდან) ერთ-ერთ მთავარ მიზნად უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა აღიარებული, მაშინ როდესაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა მთავრობის მთელი ძალისხმევა მიმართულიყო ქვეყნის შიგნით დანაზოგებისა და კაპიტალის მობილიზების ალტერნატიული საშუალებების მოძიებასა და შექმნაზე. როგორც „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ ექსპერტები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, „უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო და არა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა“.[1] ასეთმა პოლიტიკამ დადებითთან ერთად, გამოავლინა უაღრესად უარყოფითი

1 საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009, გვ. 12.

გარე ეფექტი, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა საქართველოს შიგა დანაზოგების დეფიციტში. ამასთან, საბანკო სისტემა, რომელიც დამოკიდებულია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების დინამიკაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შიგა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საკმარისი რაოდენობის სასესხო კაპიტალს არ ფლობს. ბუნებრივია, ეს ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ საქმიანობაზე, ქვეყნის რეალურ სექტორზე და, მრავალ სხვა უარყოფით გარე ეფექტთან ერთად, განაპირობებს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის (მაგალითად, სოფლის მეურნეობის) საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვებას. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც: სოფლის მეურნეობის საბანკო სესხით დაფარვის მაჩვენებელი 2003 წელს იყო 0,96%, 2004 წელს – 0,85, 2005 წელს – 0,76, 2006 წელს – 1,32 და 2007 წელს – 5,14%. 2012 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობა 59,2 მლნ ლარი იყო, რაც სოფლად შექმნილი დამატებული ღირებულების 3,1%-ს შეადგენდა.[1]

გარე ეფექტების არსებობა განაპირობებს კერძო და სოციალური დანახარჯებისა და შედეგების გამიჯვნის აუცილებლობას. კერძო დანახარჯები და შედეგები ასახავენ საბაზრო ურთიერთობას, ხოლო მათი ცვლილება – საბაზრო წონასწორობას. სოციალური დანახარჯები და შედეგები შეიძლება იყოს კერძოზე მეტი ან ნაკლები. ამას განსაზღვრავს გარე ეფექტის ხასიათი – დადებითია ის თუ უარყოფითი. მათი ტოლობა გამოხატავს ფსევდოსაბაზრო წონასწორობას. მხოლოდ ბაზარს არ შეუძლია ფსევდოსაბაზრო წონასწორობის დამყარება. იგი დგინდება სახელმწიფოსა და მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ერთობლივი ძალისხმევით. იქ, სადაც უძლურია ბაზარი, ბაზრის ჩავარდნებით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად აუცი-

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები; http://www.georgia.gov.ge

ლებელია სახელმწიფოს ჩარევა. სახელმწიფო თავის თავზე იღებს გარე ეფექტების გაზომვასა და სახელმწიფო ბიუჯეტის მექანიზმის მეშვეობით შემოსავლების გადანაწილების ორგანიზაციას, რაც კონკრეტულ გამოხატულებას სპეციალურ დაბეგვრაში პოვებს. უარყოფითი გარე ეფექტების ნეიტრალიზაცია, განვითარებული ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკაში, როგორც ცნობილია, „პიგუს გადასახადის“ გამოყენებას უკავშირდება.

კემბრიჯის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი არტურ პიგუ მოითხოვდა უარყოფითი ექსტერნალიების გამომწვევ საქმიანობაზე ექსტერნალური დანახარჯების სიდიდის ტოლი ჯარიმების დაწესებას, ხოლო დადებითი ექსტერნალიების გამომწვევი საქმიანობის წახალისებას ექსტერნალური სარგებლის ტოლი სიდიდის სუბსიდიებით.[1]

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა გარე ეფექტების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის აღიარების შესახებ. მუდმივად მზარდ მოთხოვნასა და მოგებაზე ორიენტირებული საბაზრო ძალები, როგორც ცნობილია, სულ უფრო მეტ ბუნებრივ რესურსს აქცევენ ეკონომიკურ ბრუნვაში, რაც ზიანს აყენებს გარე ბუნებას, განაპირობებს რეგიონულ დისპროპორციებსა და დიდი ქალაქების პრობლემების გამწვავებას. განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ეკოლოგიური სიტუაციის სერიოზულმა გაუარესებამ გამოიწვია საბაზრო კონკურენციის ნეგატიური სოციალური „ამონაბოლქვების“ ლიკვიდაციის სპეციალური სახელმწიფო რეგულატორების შექმნა. ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ფართოდ გავრცელდა საინვესტიციო პროექტების წინასწარი სახელმწიფო ექსპერტიზა და „პიგუს გადასახადის“ ტიპის საბიუჯეტო პროცედურები.[1] უარყოფითი გარე ეფექტების მქონე ეკონომიკური საქმიანობის შესაზღუდად და დადებითი გარე

1 **Pigou A.** A study in public finance. London, 1949.

ეფექტების მატარებელი წარმოების გასაფართოებლად აუცილებელი გახდა მათი გარდაქმნა შიგა ეფექტებად, როდესაც უკვე ხორციელდება ზღვრული კერძო ხარჯის დაახლოება ზღვრულ სოციალურ ხარჯთან. ა. პიგუმ ამ პრობლემის გადასაწყვეტად დაასაბუთა **კორექტირებადი გადასახადისა** და **კორექტირებადი სუბსიდიის** გამოყენების აუცილებლობა. კორექტირებად გადასახადს იხდის უარყოფითი გარე ეფექტის მქონე წარმოება, რომლის მიზანია ზღვრული კერძო ხარჯის გაზრდა ზღვრული საზოგადოებრივი ხარჯის დონემდე. კორექტირებადი სუბსიდია არის დადებითი გარე ეფექტის მქონე წარმოების სტიმულირებისათვის გამიზნული სუბსიდია. მისი მიზანია ზღვრული კერძო სარგებლიანობის მიახლოება საზოგადოებრივ ზღვრულ სარგებლიანობასთან.

კორექტირებადი გადასახადები და სუბსიდიები ნაწილობრივ წყვეტენ გარე ეფექტებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც აიხსნება იმით, რომ, ჯერ ერთი, პრაქტიკაში ძალზე ძნელია ზღვრული ხარჯისა და სარგებლიანობის ზუსტი გაანგარიშება და, მეორე, კორექტირებადი გადასახადი ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს. ამ გარემოებამ განაპირობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ახალი გზების ძიება.

ამასთან დაკავშირებით, ინგლისელმა ეკონომისტმა, 1991 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა რონალდ ქოუზმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით უარყოფითი გარე ეფექტები არ იწვევს რესურსების არარაციონალურ ალოკაციას, თუკი არ არსებობს ტრანსაქციული ხარჯები – შეთანხმების დადებისა და მისი განხორციელების პროცესში წარმოქმნილი (ინფორმაციის მოპოვების, მოლაპარაკებისა და კონტრაქტების დადების, საკუთრების უფლებისა და ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკის და ა.შ.) ხარჯები,

1 **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993, გვ. 41.

გაწეული მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა მიერ.[1]

რ. ქოუზის აზრით, თუ ტრანსაქციული ხარჯები, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ფაქტობრივად, მიზერული ან ნულის ტოლია, მაშინ ეკონომიკური აგენტების შეთანხმების საფუძველზე კერძო და სოციალური ხარჯები ერთმანეთს უტოლდება და მაქსიმალურად ხელსაყრელი შედეგი მიიღწევა. არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში ბაზარზე წარმოიქმნება ძლიერი ეკონომიკური ძალა – მონოპოლია, რომელიც მონოპოლიური ფასის შედეგად არღვევს რესურსების სწორად გადანაწილების მექანიზმს, მაგრამ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ბაზრის ფიასკოს ნაწილობრივად დაძლევის საშუალებას იძლევა.

რ. ქოუზის აზრით, რომელიც მან განავითარა სტატიაში „სოციალური დანახარჯების პრობლემა“, ექსტერნალიებს აქვთ ურთიერთგანმაპირობებელი ანუ სიმეტრიული ბუნება. თუ A-ს საქმიანობა ზიანს აყენებს B-ს, მაშინ შემდგომი შეზღუდვები A-ს საქმიანობაში, B-ს დაცვის მიზნით, ავნებს A-ს. ამიტომ სოციალური პრობლემა სიტუაციის ოპტიმალურ გადაწყვეტაში მდგომარეობს.

ამრიგად, ასეთ სიტუაციაში არჩევანი უნდა გადაიხაროს იმ გადაწყვეტილებისაკენ, რომელიც საზოგადოებისათვის უმცირეს დანახარჯებს გამოიწვევს. პარეტოს ოპტიმუმი კი მიიღწევა სახელმწიფოს ჩაურევლად, მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე საკუთრების უფლების მყარი გარანტიების პირობებში.[1]

ჩვენი აზრით, საქართველოში მოჭარბებული უარყოფითი გარე ეფექტების პირობებში გასათვალისწინებელია კეთილდღეობის ახალი ეკონომიკური თეორიის (პარეტოს თეორია) ძირითადი პოსტულატები.

1 **Coase R.** The problem of social cost. "Journal of Law and Economics". Vol. 3, 1996, p. 15.

VII თავი

ეკონომიკური ზრდა და საქართველოს ეკონომიკური განვითარება

VII.1. ეკონომიკური ზრდის თეორიები და მოდელები

„არავის არ შესწევს იმის ძალა შეცვალოს კონკურენციის ბუნებაში ჩადებული მასტიმულირებელი მექანიზმები“.[1] ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკის ამ გამონათქვამს, ჩვენი აზრით, საგულისხმო თეორიული დატვირთვა აქვს და ღრმად გაანალიზებას მოითხოვს, და აი რატომ: ალბათ, სადავო არ უნდა იყოს ის, რომ პირდაპირი გაგებით, მართლაც არავის არ შეუძლია შეცვალოს კონკურენციის ბუნებაში ჩადებული მასტიმულირებელი მექანიზმები, მაგრამ თუ ამ მოსაზრების სიღრმისეულ არსს ჩავწვდებით, „კონკურენციის მასტიმულირებელ მექანიზმებს“ საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდამდე მივყავართ.

მაგრამ რა არის ეკონომიკური ზრდა? ეს მხოლოდ სიტყვათა შეთანხმებაა, რომელსაც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან აიგივებენ, თუ უფრო ღრმა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი კატეგორიაა? ან რა განსხვავებაა ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის? რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ცნობილია ეკონომიკის დარგის პროფესიონალებისთვის, სპეციალისტებისთვის, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, არც თუ დიდია საქართველოში, მაგრამ წინამდებარე ნაშრომი ხომ ფართო მკითხველის-

1 **Хайек Ф.А.** Частные деньги. М., ИНМЭ, 1996.

თვისაცაა განკუთვნილი. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე ეკონომიკური ზრდის თეორიებისა და მოდელების განხილვა. მათ ხომ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ეკონომიკურ განვითარებაში და არ არსებობს ცივილიზებული ქვეყანა, რომელსაც თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში მიეღწიოს წარმატებისთვის ეკონომიკური ზრდის თეორიისა და შესაბამისი მოდელის გამოყენების გარეშე. ამიტომ მომიტევოს მკითხველმა, ამ თავის პირველი პარაგრაფი არ ჩამითვალოს კონტექსტიდან ამოვარდნილად.

* * *

ეკონომიკური ზრდის თეორიების განვითარებაში გადამწყვეტი როლი ინგლისელ და ამერიკელ ეკონომისტებს ეკუთვნით. თანამედროვე პირობებში ანგლო-ამერიკული სკოლა განაგრძობს წინამორბედთა მიერ გაკვალულ გზას – საბაზრო ეკონომიკის აბსტრაქტულ-თეორიულ ანალიზს, რომლის ფუნქციონირებასაც მაკროეკონომიკური კატეგორიებით განსაზღვრავს.

ეკონომიკური ზრდა, როგორც მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის ამსახველი კატეგორია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი მხარის გამომხატველია. გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემით წარმოდგენილი საერთაშორისო სტატისტიკა ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების დახასიათებისათვის იყენებს ეკონომიკური ზრდის ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, წმინდა ეროვნული შემოსავალი, განკარგვითი შემოსავალი, განკარგვითი ეროვნული შემოსავალი, განკარგვითი მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ეკონომიკის მთლიანი მოგება, ეკონომიკის წმინდა მოგება, მთლიანი დანაზოგი, მთლიანი ეროვნული დანაზოგი, წმინდა ეროვნული დანაზოგი და ა.შ.* თუმცა, თანამედროვე ეკონო-

* ეკონომიკური ზრდის ზემოაღნიშნულ ინდიკატორთა შესახებ იხ.: **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

მიკურ თეორიასა და პრაქტიკაში, ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით, უპირატესობას ეკონომიკურ განვითარებას ანიჭებენ და მისი მნიშვნელობა წინა პლანზეა წამოწეული.

ეკონომიკური ზრდა განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით: ვიწრო გაგებით – როგორც საბოლოო პროდუქტის* ზრდა და მასთან დაკავშირებული ცვლილებები მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში, ფართო გაგებით – როგორც საკუთრების სტრუქტურაში, სოციალურ ინსტიტუტებში ცვლილებების პროცესი, რომელიც ზრდის ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლას მოასწავებს. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება, მაგალითად, უ. როსტოუს ცნობილი თეორია ეკონომიკური განვითარების სტადიების შესახებ, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მარქსისტული თეორიის ანტიპოდია. ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკურ ზრდას ვიწრო გაგებით განიხილავს.

შემთხვევით არ არის ჯონ მეინარდ კეინზი აღიარებული მაკროეკონომიკური ანალიზის ფუძემდებლად, ხოლო **კეინზიანური მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორია** – ეკონომიკური ზრდის თეორიად.

კეინზმა თავისი არგუმენტები და დასკვნები დაუპირისპირა კლასიკური თეორიის არგუმენტებსა და დასკვნებს. მისი აზრით, კლასიკურ-ლიბერალურმა ეკონომიკურმა თეორიამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მისი ძირითადი პოსტულატები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევამდე, სანამ ეკონომიკური მდგომარეობა გამოხატავს წონასწორობის უკიდურეს შესაძლებლობას.[1] ჯ. კეინზის თეორია კი სწორედ ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებსა და ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზს ეძღვნება. ამიტომ მას ხშირად „დეპრესიული“, ან კიდევ, „სტაგნაციური“

* დროის გარკვეულ მონაკვეთში მთლიანი ეროვნული პროდუქტი ან მთლიანი შიდა პროდუქტი (მათ შორის სხვაობა 1%-ს არ აღემატება პირველის სასარგებლოდ).

1 **Кейнс Дж. М.** Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., "Прогресс", 1978, с. 55.

ეკონომიკის თეორიასაც კი უწოდებენ.

კეინზის თეორია თავისებური რეაქცია იყო არა მხოლოდ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე, არამედ მისი შემდგომი პერიოდის დეპრესიაზეც, როდესაც არა მხოლოდ ახალი ინვესტიციებისათვის, არამედ კაპიტალის განახლებისათვისაც კი არ არსებობდა სტიმულები. ჯ. კეინზის აზრით, საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტის გზა უნდა მოიძებნოს არა რესურსების მიწოდებაში, არამედ მოთხოვნაში, რომელიც უზრუნველყოფს ამ რესურსების რეალიზაციას. მან პირველმა განიხილა უმუშევრობა, როგორც „ეფექტიანი მოთხოვნის“ უკმარისობის შედეგი, ეკონომიკურ მეცნიერებაში პირველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ „ეფექტიანი მოთხოვნის“ შექმნისათვის აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, რომ სახელმწიფომ უნდა იკისროს მაკროპროპორციების დაცვა, ბაზრის „შეცდომების გამოსწორებისათვის“ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი ეკონომიკის მასშტაბით დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ბალანსირების უზრუნველყოფა.

ჯ. მ. კეინზის ვარაუდით, სახელმწიფო, სოციალური დანახარჯების გაზრდით ან გადასახადების შემცირებით, ან ორივე ღონისძიების შერწყმით, შეძლებდა ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებას და ამით გააფართოებდა წარმოებას, რომელიც ეკონომიკას დაუბრუნებდა სრულ დასაქმებას. ამაში მდგომარეობდა „კეინზიანური რევოლუციის“ მთავარი იდეა. ამასთან, **კეინზი მიუთითებდა ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ამ რეკომენდაციების აუცილებლობას მხოლოდ კრიზისის დროს, ხოლო როდესაც ეკონომიკა შეძლებდა მისგან თავის დაღწევას, მაშინ სახელმწიფოს დახმარება აღარ იქნებოდა საჭირო და მთელი ძალით ამოქმედდებოდა საბაზრო რეგულირების ტრადიციული მეთოდები.**

ეკონომიკური ზრდის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის კეინზის მულტიპლიკატორის თეორიას, რომელიც ხსნის ურთიერთდამოკიდებულებას ეროვნული

შემოსავლის მატებასა და ინვესტიციების განსაზღვრულ სიდიდეს შორის.*

მულტიპლიკატორის თეორია, რომელიც თავდაპირველად ეხებოდა უმუშევრობის პრობლემას და ჩამოყალიბდა რ. კანის მიერ კონცეფციის სახით, შემდგომში განვითარდა კეინზის ნაშრომებში დასაქმების მულტიპლიკატორის, ინვესტიციების მულტიპლიკატორისა და შემოსავლების მულტიპლიკატორის სახით.

ჯ. კეინზის თეორიის მიხედვით, დასაქმების მულტიპლიკატორი გვიჩვენებს იმას, რომ პირველადი დასაქმების მატება, რომელსაც ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში განაპირობებს ინვესტიციები, მოცემულ დარგსა და სხვა დარგებს შორის ჯაჭვური კავშირის არსებობის წყალობით ამ დარგებში იწვევს დასაქმების გადიდებას პირველად დასაქმებასთან განსაზღვრული თანაფარდობით. დასაქმების მულტიპლიკატორს (**K'**) ჯ. კეინზი უწოდებს ერთობლივი დასაქმების მატების (**ΔN**) შეფარდებას ინვესტიციებთან უშუალოდ დაკავშირებულ პირველადი დასაქმების მატებასთან (**ΔN_2**). იგი ფორმულით ასე გამოისახება:

$$K' = \frac{\Delta N}{\Delta N_2}$$

ჯ. კეინზი დასაქმების მულტიპლიკატორში გულისხმობს არა მხოლოდ სრულ დასაქმებასა და პირველად დასაქმებას შორის რაოდენობრივი დამოკიდებულების გამომხატველ კოე-

* ტერმინი „მულტიპლიკატორი“ ლათინური წარმოშობისაა და მამრავლს ნიშნავს. ეკონომიკურ თეორიაში იგი კოეფიციენტია, რომელიც გამოხატავს განსაზღვრულ რაოდენობრივ თანაფარდობას ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში მყოფ ორ ან მეტ ცვალებად ეკონომიკურ სიდიდეს შორის. მულტიპლიკატორის ცნება პირველად შემოიღო ინგლისელმა ეკონომისტმა **რ. კანმა**, რომელიც მიზნად ისახავდა დაედგინა ზოგადი პრინციპები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა ინვესტიციების ზრდასა და მისგან გამოწვეულ ერთობლივი დასაქმების მატებას შორის რაოდენობრივი თანაფარდობის გამოთვლა.

ფიციენტს, არამედ ინვესტიციების მოცულობაზე შემოსავლებისა და, აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო მოთხოვნის რაოდენობრივი დამოკიდებულების განმსაზღვრელ კოეფიციენტსაც. ჯ. კეინზის აზრით, დასაქმების მულტიპლიკატორი გამოხატავს თანაფარდობას შემოსავლებსა და ინვესტიციებს შორის.[1]

დასაქმების მულტიპლიკატორსა (**K'**) და ინვესტიციის მულტიპლიკატორს (**K**) შორის ჯ. კეინზმა დაადგინა განსაზღვრული კავშირი: თუ დასაქმების მულტიპლიკატორი (**K'**) გვიჩვენებს რაოდენობრივ თანაფარდობას დასაქმების საერთო მოცულობის ნამატსა (**ΔN**) და ინვესტიციების ნამატს ($\mathbf{\Delta I_W}$) შორის, ინვესტიციის მულტიპლიკატორი (**K**) რაოდენობრივი თანაფარდობის გამომხატველია შემოსავლების ნამატსა ($\mathbf{\Delta Y_W}$) და ინვესტიციების ნამატს ($\mathbf{\Delta I_W}$) შორის. კეინზის თეორიის მიხედვით, ამ ორ კოეფიციენტს შორის ურთიერთკავშირი განისაზღვრება იმით, რომ დასაქმების მატება ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია ინვესტიციების მატებასთან, ხოლო შემოსავლების მატება – დასაქმების მატებასთან. ამიტომ მულტიპლიკატორის თეორიას საფუძვლად უდევს შემოსავლებსა ($\mathbf{Y_W}$) და დასაქმებას (**N**) შორის ფუნქციონალური ურთიერთკავშირი.

შემოსავლის მულტიპლიკატორის თეორიის შესაბამისად, ეროვნულ შემოსავალს წარმოქმნის ინვესტიციები, რომლებიც ამ უკანასკნელთან რაოდენობრივ დამოკიდებულებაშია. ეროვნული შემოსავლის გადიდება და, აქედან გამომდინარე, ერთობლივი მოთხოვნის ნამატი – წერს ჯ. კეინზი – ინვესტიციების საერთო თანხის გადიდების ტოლია, გამრავლებული მულტიპლიკატორზე.[2] ე.ი. შემოსავლების ნამატი ($\mathbf{\Delta Y_W}$) ტოლია ინვესტიციების ნამატი ($\mathbf{\Delta I_W}$) გამრავლებული მულტიპლიკატორზე (**K**). ფორმულით ასე გამოიხატება:

$$\Delta Y_W = \Delta I_W \cdot K$$

1 **Кейнс Дж. М.** Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М.,"Прогресс", 1978, с. 177.

2 იქვე, გვ. 189.

ჯ. კეინზის მულტიპლიკატორის თეორია აგებულია შემდეგ მსჯელობაზე: ინვესტიციების გადიდება იწვევს ჯერ დასაქმების, ხოლო შემდეგ საზოგადოების შემოსავლების ზრდას. შესაბამისად იზრდება მოხმარებისათვის განკუთვნილი დანახარჯები. სამომხმარებლო მოთხოვნა მით უფრო მაღლდება, შემოსავლების რაც უფრო მეტი ხვედრითი წონა იხარჯება მოხმარებაზე და ნაკლები – დანაზოგზე. თავის მხრივ, რაც უფრო მაღალია სამომხმარებლო მოთხოვნა, მით უფრო დიდია ბაზრის ტევადობა და, მაშასადამე, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდისათვის. ამრიგად, მულტიპლიკატორი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მოხმარებასთან და უკუპროპორციულში – დანაზოგებთან. ჯ. კეინზის აზრით, რაც უფრო მაღალია „მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება“, მით უფრო დიდია მულტიპლიკატორის სიდიდე და მაშასადამე, მით უფრო მეტი წინსვლაა დასაქმებაში, რაც გამოწვეულია ცვლილებებით ინვესტიციებში.[1]

ამრიგად, მულტიპლიკატორის თეორია გამოხატავს მეურნეობის დარგებს შორის ჯაჭვური კავშირების არსებობას და წინა პლანზე აყენებს გარკვეულ ეკონომიკურ კატეგორიებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის განსაზღვრის საკითხს.

ჯ.მ. კეინზის მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიამ ხელი შეუწყო XX საუკუნის 50-იან წლებში ეკონომიკური ზრდის **ნეოკეინზიანური ეკონომიკური თეორიის** წარმოშობას, რომელიც სრულებითაც არ იყო მისი იდენტური. ნეოკეინზიანელებმა (დომარი, ჰაროდი, ფელნერი, ჰამბერგი, რობინსონი და სხვ.) კეინზის თეორია გამოიყენეს როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი ახალი პროცესების ანალიზისათვის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების დასაბუთებისათვის. ჯ. კეინზის თეორიაზე დაყრდნობითა და მისი კრიტიკით, მათ სრულიად ახალი კონცე-

1 **Кейнс Дж. М.** Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М.,"Прогресс", 1978, с. 191.

ფცია შექმნეს. ნეოკეინზიანელები ასაბუთებენ იმ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ცენტრალიზებული კოორდინაციის აუცილებლობას, რომლებიც ეკონომიკის გრძელვადიანი დაგეგმვის საფუძველზე ზემოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ისინი გაურბოდნენ ტერმინ „დაგეგმვის“ გამოყენებას, ვინაიდან მასში ხედავდნენ თავისუფალი მეწარმეობის სისტემის დასასრულს. მიუხედავად ამისა, 1975 წელს აშშ-ში გამოჩენილ ეკონომისტთა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება, პრეზიდენტთან შექმნილიყო ცენტრალიზებული მაკოორდინირებელი ორგანო, რომელსაც „ეკონომიკის დაგეგმვის საბჭო“ უწოდეს. რა თქმა უნდა, საქმე ეხებოდა ინდიკატურ დაგეგმვას, რომელიც არ ზღუდავდა კერძო კაპიტალის სუვერენულ უფლებებს. მის ფუნქციებში შედიოდა ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეკრება, რესურსებისა და მოთხოვნის გამოვლენა, განვითარების გრძელვადიანი (5 და 15 წლით) გეგმების შედგენა, განცალკევებულად და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოქმედი ფუნქციონირებადი მრავალრიცხოვანი ორგანოების კოორდინირება და ა.შ.

ნეოკეინზიანელები ეკონომიკის დინამიკური წონასწორობის პირობად ეროვნული შემოსავლის მატების მყარ ტემპს მიიჩნევდნენ, ხოლო ეროვნული შემოსავლის ზრდას მხოლოდ კაპიტალის დაგროვების ფუნქციას უკავშირებდნენ. დანარჩენ ფაქტორებს (დასაქმების დონეს, მოწყობილობათა გამოყენების ხარისხს, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას და ა.შ.) ისინი მთლიანად გამორიცხავდნენ.

კეინზიანური თეორიის მოდერნიზაცია შემდგომშიც გაგრძელდა. მემარცხენე კეინზიანელობის წარმომადგენლები – პოსტკეინზიანელები – „ეფექტიანი მოთხოვნის“ პრობლემას გარკვეული სოციალური რეფორმების განხორციელებას უკავშირებდნენ. მათ შექმნეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფისკალური და საკრედიტო ღონისძიებების ფართო პროგრამა.

70-იანი წლების შუახანებიდან ეკონომიკური ზრდის თეო-

რიაში არსებითი ძვრები მოხდა. შესუსტდა ყურადღება დინამიკური წონასწორობის პრობლემის მიმართ და წინა პლანზე წამოიწია პოტენციური შესაძლებლობების ზრდის ტემპებისა და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების პრობლემა. კეინზიანურ და ნეოკეინზიანურ კონცეფციებს დაუპირისპირდა ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია.

ნეოკლასიკურმა მიმართულებამ, რომლის სათავეებთან იდგნენ კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი (ავსტრიული სკოლა), უ. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ვ. პარეტო (მათემატიკური სკოლა), ჯ. კლარკი (ზღვრული მწარმოებლურობის ამერიკული სკოლა) დასრულებული სახე ა. მარშალის (კემბრიჯის სკოლა) ნაშრომებში მიიღო, ხოლო თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი (დიდი ბრიტანეთი), რ. სოლოუ, მ. ბრაუნი (აშშ) და სხვ. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია მ. ფრიდმენიც (ჩიკაგოს სკოლა).

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ეყრდნობა XX საუკუნის **მარჟინალიზმის** ძირითად მეთოდებს. იგი წარმოიშვა, პირველ ყოვლისა, შრომითი ღირებულების თეორიის კრიტიკული გადასინჯვის საფუძველზე. ავსტრიული და მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ჯ. კლარკმა, დასაბამი მისცეს **ზღვრული სარგებლიანობის თეორიას**. პირველი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელშიც ზღვრული სარგებლიანობა ფასის ერთადერთ საფუძვლად არის მიჩნეული, შექმნა ჯევონსმა. მოგვიანებით ეს კონცეფცია განავითარა ვალრასმა საყოველთაო ეკონომიკური წონასწორობის მოდელის ასაგებად. ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ზოგადმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება პოვა კლარკის **ზღვრული მწარმოებლურობის თეორიაში**.

ნეოკლასიკურ თეორიას სერიოზული დარტყმა მიაყენა კეინზიანური მიმართულების წარმოშობამ. კეინზიანელების კრიტიკისა და ეკონომიკაში წარმოქმნილი ახალი მოთხოვნების გავლენით, ნეოკლასიკური მიმართულების მიმდევრებმა გადასინჯეს ზოგიერთი ძველი კონცეფცია და ნაწილობრივ შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოს

მიმართ. ისინი აღიარებდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას საბაზრო ძალების თავისუფალი მოქმედების უზრუნველყოფისათვის.

არსებითი ევოლუცია განიცადა ზღვრული სარგებლიანობის თეორიამ. ფასწარმოქმნის პროცესების ანალიზის აუცილებლობამ მის წარმომადგენლებს უკარნახა უარეყოთ ამ პროცესების ახსნა მხოლოდ სარგებლიანობის სუბიექტური ფაქტორის საფუძველზე. ამის შედეგად ყურადღების ცენტრმა სარგებლიანობიდან ფასწარმოქმნის ფაქტორების კომპლექსზე გადაინაცვლა, რასაც თავის დროზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ა. მარშალმა. მან კვლევის ცენტრში მოაქცია ფასების ფორმირება სხვადასხვა ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების გავლენით. ამასთან, ა. მარშალის აზრით, სარგებლიანობა ფასების განსაზღვრაში შეიძლება მთავარ როლს ასრულებდეს დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ ხანგრძლივი პერიოდისათვის უპირველეს მნიშვნელობას იძენს წარმოების დანახარჯები.

მარშალის მოძღვრებიდან სათავეს იღებს აგრეთვე თანამედროვე ნეოკლასიკური მიმართულების ორი განშტოება – **ფირმის თეორია და კეთილდღეობის თეორია**. ზღვრული სარგებლიანობის თეორია არსებითად გადაიზარდა **სამომხმარებლო არჩევნის თეორიაში**, რომელშიც ამოსავალმა დებულებებმა კარდინალური ცვლილებები განიცადა.

ნეოკლასიკური მიმართულების **ზღვრული მწარმოებლურობის თეორიამ,** რომელიც თავდაპირველად წარმოიშვა როგორც ღირებულების შექმნისა და განაწილების თეორია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბიძგი მისცა ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის განვითარებას, ყურადღება გაამახვილა მაკროეკონომიკური მეთოდების ანალიზზე. ამ თეორიის წარმომადგენლების მთავარ მიზნად იქცა ეკონომიკის ბალანსირებული ზრდის პირობების ანალიზი, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ცალკეული ფაქტორების როლის შეფასება, რამაც საწარმოო ფუნქციების კვლევის განვითარება განაპირობა.

ნეოკლასიკური პრინციპების რეალიზაციის ახალი სფერო ტექნოლოგიური ცვლილებების, **ტექნიკური პროგრესის თეორია** გახდა, რომლის მიმდევარნი ეკონომიკაში მიმდინარე ტექნიკურ ცვლილებებს საწარმოო ფუნქციების პარამეტრების ცვლილებებს უკავშირებენ.

ნეოკლასიკური მიმართულების თანამედროვე წარმომადგენლები, კეინზიანელებისაგან განსხვავებით, უარყოფენ სახელმწიფო კონტროლს კვლავწარმოების პროცესებისადმი, განსაკუთრებით სახელმწიფო ხარჯების ზრდისადმი და მოითხოვენ ეკონომიკაში ჩარევის შემოფარგვლას რეგულირების ფულად-საკრედიტო ფორმებით.

მაშინ როდესაც კეინზიანური მიმართულებისათვის რეალიზაციის პრობლემა ცენტრალური იყო, ნეოკლასიკოსები მას მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ, ცენტრალურ პრობლემას მათთვის შეზღუდული რესურსების მიწოდება, მათი გამოყენების ეფექტიანობა და წარმოების პოტენციური დონის განსაზღვრა წარმოადგენდა. ეკონომიკის დინამიკური წონასწორობის დარღვევის მიზეზებს კეინზიანელები თუ მოთხოვნის ნაკლებობასა ან სიჭარბეში ხედავდნენ, ნეოკლასიკოსები, პირიქით, დინამიკური წონასწორობის შენარჩუნებაში გადამწყვეტ როლს წარმოებისა და რესურსების მიწოდებას ანიჭებდნენ. კეინზიანელების აზრით, კერძო კაპიტალდაბანდებების ზრდის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ტექნიკური პროგრესის სტიმულირებისა და ახალი ინვესტიციების წარმოშობისათვის **სახელმწიფოს უნდა გაეზარდა ხარჯები სამეცნიერო გამოკვლევებსა და ადამიანისეულ კაპიტალზე, ე.ი. განათლებაზე, კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა.შ.** ამასთან, კეინზიანელები მოთხოვნისა და წარმოების გადიდებაში სახელმწიფო ხარჯების ზრდას მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე გადასახადების შემცირებას, ვინაიდან პირველს მიიჩნევდნენ უფრო ეფექტიან საშუალებად. ნეოკეინზიანელები გრძელვადიანი არაინფლაციური ზრდის აუცილებელ პირობას გადასახადების შემცირებაში ხედავდნენ. ისინი ფისკალური

პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტის როლს გადასახადებს აკისრებდნენ. ეს პრინციპი საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.

XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე ცივილიზებულ ქვეყნებში საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტიმულირების მთავარი ინსტრუმენტი იყო. მის დამახასიათებელ თვისებას დაბეგვრის განაკვეთის დიფერენცირებული შემცირება (უპირველეს ყოვლისა, მოგებიდან) წარმოადგენდა. ამ პერიოდში სახელმწიფოები ცდილობდნენ ისე აეგოთ საგადასახადო პოლიტიკა, რომ წაეხალისებინათ კორპორაციები დაბანდებისათვის დანაზოგების წარმოებაში, რაც, თავის მხრივ, ერთობლივი ინვესტიციების ზრდას განაპირობებდა.

მართალია ლიბერალიზაცია მოკლევადიან პერსპექტივაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას იწვევს, მაგრამ მისი გრძელვადიანი შედეგები სრულიად განსხვავებულია. იგი ზრდის ბიუჯეტში შენატანებს და, მაშასადამე, ამუხრუჭებს ინფლაციას, ამცირებს დეფიციტს. საგადასახადო განაკვეთის შემცირება, საბოლოო ანგარიშით, იწვევს საერთო საგადასახადო შენატანების არა შეკვეცას, არამედ გადიდებას. ამრიგად, საგადასახადო ტვირთის რადიკალური შემსუბუქება, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასთან ერთად, ფედერალური შემოსავლების პრობლემებსაც წყვეტს.

ეკონომიკის ზრდის ტემპების ამაღლების სავსებით განსხვავებულ ფაქტორებს ასახელებდნენ ნეოკლასიკოსები. მათი პოზიცია საკმაოდ მკაფიოდ გამოხატა ამერიკელმა ეკონომისტმა ა. ბერნსმა. მან ნეოკეინზიანურ კონცეფციას „სტაგნაციის ახალი თეორია“ უწოდა. ა. ბერნსი და ნეოკლასიკური მიმართულების სხვა წარმომადგენლები ეკონომიკური ზრდის ჯანსაღ საფუძვლად ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, გადაჭარბებული სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, მოგების ზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის პროპორციების მკაცრი რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას თვლიდნენ. ა. ბერნსის აზრით,

ეკონომიკური ზრდის კეინზიანური პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებისათვის სახელმწიფოს დანახარჯების გადიდებას, არავითარი კავშირი არა აქვს ეკონომიკურ ზრდასთან, მთავარია ამაღლდეს კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა და არა დანახარჯების საერთო მოცულობა.

ამრიგად, ეკონომიკური ზრდის თეორიაში წარმოიშვა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება: პირველი ყურადღებას ამახვილებდა მოთხოვნაზე, მეორე – მიწოდებაზე. კეინზიანელები მოითხოვდნენ, სახელმწიფოს დანახარჯების გადიდების საფუძველზე ზრდის ექსტენსიური ფაქტორების სტიმულირებას, ხოლო ნეოკლასიკოსები, პირიქით, სახელმწიფოს სახსრების ეკონომიაზე მიუთითებდნენ და ხაზს უსვამდნენ ინტენსიური ფაქტორების მნიშვნელობას ეკონომიკის ზრდის ტემპების ამაღლებაში. მიწოდების თეორია (უფრო ზუსტად, ეკონომიკური თეორია, რომელიც ორიენტირებულია მიწოდებაზე) და ნეოკლასიკურ მიმართულებაზე დაფუძნებული სხვა კონსერვატიული მიმდინარეობები, სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკურ გამოკვლევათა დაფინანსებაში, სამრეწველო საწარმოთა სუბსიდირებაში, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხარჯების გადიდებასა და სამთავრობო გარანტირებული კრედიტების გაცემაში ხედავდნენ.

60-იანი წლებიდან ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენელთა წინააღმდეგობამ რამდენადმე იკლო, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდამ და შედარებით „სრული დასაქმების“ მიღწევამ (ჯ. მ. კეინზის თეორიის თანახმად, ასეთ პირობებში შესაძლებელი იყო ეკონომიკური განვითარების „ნეოკლასიკური კანონების“ ამოქმედება).

ომის შემდგომ წლებში, ვიდრე 70-იანი წლების შუა ხანებამდე, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოიყენებოდა საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელი. მისი ყველაზე დიდი მიმდევრები იყვნენ დასავლეთევროპული ქვეყნების ხელისუფლების სათავეში

მდგომი სოციალ-დემოკრატიული მთავრობები. კეინზიანური მოდელის რეალური განსახიერებაა შერეული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა გფრ-ში, სკანდინავიისა და დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ეს მოდელი აშშ-ში ფართოდ დაინერგა 60-იანი წლების შუა ხანებში. სწორედ ამ პერიოდში ამერიკაში გაატარეს სიღარიბესთან ბრძოლის ფართომასშტაბური ღონისძიებები, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიიღეს ისეთი ცნობილი პროგრამები, როგორიცაა „მედიკერი“ – პენსიონერებისა და ინვალიდებისათვის სამედიცინო დახმარების სახელმწიფო სოციალური პროგრამა და „მედიკეიდი“ – მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების დაცვის სოციალური პროგრამა. მაგრამ, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. „სახელმწიფო ინტერვენცია“ გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის ზრდაში, სახელმწიფო აპარატის გაბერვაში და, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო გადასახადების რეკორდულ გადიდებაში. ამან გამოიწვია საბაზრო ეკონომიკის სტიმულების დაჩლუნგება, რის შედეგადაც დაიწყო ეკონომიკური ზრდის შენელება.

1974-1975 წლების კრიზისმა ნათელი გახადა, რომ სახელმწიფო არ იყო ყოვლისშემძლე ეკონომიკური ზრდის პრობლემების გადაჭრაში. დაიწყო ეკონომიკური ზრდის კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა თავისებური რენესანსი, ხელშემწყობი პირობები შეიქმნა „სახელმწიფო მინიმუმის“ კლასიკური თეორიის აღორძინებისათვის, რომლის იდეებმა პრაქტიკული გამოყენება პოვა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაგალითად, ნეოკლასიკური თეორიების და, უპირველეს ყოვლისა, მიწოდების თეორიისა და მონეტარიზმის ძირითადი დებულებები აისახა აშშ-ის პრეზიდენტ რ. რეიგანის პოლიტიკაში, რომელსაც „რეიგანომიკა“ ეწოდა, ხოლო დიდ ბრიტანეთში – მ. ტეტჩერის მთავრობის პოლიტიკაში („ტეტჩერიზმი“).

80-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე თითქმის ახალი ათასწლეულის დაწყებამდე (90-იანი წლების მეორე ნახევრამდე), ნეოკლასიკურმა მიმართულებამ, კეინზიანელობასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური ზრდის ახალ თეორიას **„ნეოკლასიკური სინთეზის“** სახით. ეს პერიოდი ეკონომიკურ თეორიაში ამ სიახლის მთავარი შემოქმედის – პოლ სამუელსონის სახელთან არის დაკავშირებული და **სამუელსონის ეპოქის** სახელწოდებითაა ცნობილი.

ეს თეორია კეინზიანური და ნეოკლასიკური შეხედულებების თავისებური სინთეზია, რომელიც გულისხმობს **ეკონომიკური დაცემის პირობებში მოთხოვნის რეგულირების კეინზიანური მეთოდების გამოყენებას და, პირიქით, საწარმოო სიმძლავრეებისა და სამუშაო ძალის არსებული რეზერვების ამოწურვისას წარმოებითი პოტენციალის ზრდის ყოველმხრივ სტიმულირებას.**

აღნიშნულ პერიოდში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად შემცირდა ინფლაცია, უმუშევრობა და მიღწეულ იქნა მყარი ეკონომიკური ზრდა. მართალია, ნეოკონსერვატიული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ აშშ-სა და ინგლისში გამოიწვია სოციალური დანახარჯების გარკვეული შემცირება, მაგრამ არსებული შესაბამისი პროგრამების მნიშვნელოვანი შეკვეცა არ მომხდარა. აშშ-ში შენარჩუნებულ იქნა სახელმწიფო პროგრამები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, რომელთა განხორციელებისათვის მილიარდები იყო გამოყოფილი. მოსახლეობის ღარიბი ფენები სახელმწიფო დახმარებას იღებდნენ სხვადასხვა სახით. სოციალური დაცვის ეს ფორმა დღესაც გამოიყენება აშშ-ში.

გფრ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელსაც „ნეოლიბერალიზმის პოლიტიკა“ ეწოდა, ფართოდ აისახა „მიწოდების თეორიის“ ბევრი იდეა. საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ პოლიტიკაში შეტანილი იქნა პრინციპული კორექტივები. საბაზრო ბერკეტების ამოქმედებამ და, უპირველეს ყოვლისა, სამეწარმეო საქმიანო-

ბის სტიმულირებამ დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. გფრ-ის ეკონომიკა დაეყრდნო „ორივე ხელის სტრატეგიას“ ანუ როგორც კეინზიანური, ისე ნეოკონსერვატიული მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტების გათვალისწინებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში.

XX საუკუნის ბოლო პერიოდამდე დასავლეთ ევროპაში საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური თეორიის პრაქტიკული გამოყენების უკანასკნელი ბასტიონი შვედეთი იყო. მაგრამ იქაც დაიწყო ბრძოლა კეინზიანური მოდელის წინააღმდეგ და გადაიდგა ნაბიჯები მისი რეფორმირებისათვის.

„მიწოდების თეორიის“ პოსტულატების ჩართვა ეკონომიკურ პოლიტიკაში აუცილებელ მოთხოვნად იქცა. ამით ცივილიზებულ ქვეყნებში მაკროეკონომიკური რეგულირების „ტრადიციულმა მოდელმა“ და, აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ, არსებითი ცვლილებები განიცადა. დღის წესრიგში დადგა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. გამოიკვეთა საბაზრო სისტემის განვითარების ახალი მიმართულებები, რომლებიც ატარებენ არა კონიუნქტურულ, არამედ გრძელვადიანი ტენდენციების ხასიათს. ეკონომიკის ახალი თვისებრივი ზრდა თანამედროვე საბაზრო მეურნეობის მნიშვნელოვან თავისებურებად იქცა.

ეკონომიკური რეგულირების კეინზიანური მეთოდების წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ გაილაშქრა ნეოკლასიკური მიმართულების ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ნაირსახეობამ – **მონეტარიზმმა**, რომლის მთავარ წარმომადგენლად ამერიკელი ეკონომისტი მილთონ ფრიდმენია მიჩნეული. ამ მიმდინარეობას „ფრიდმენის ანტიკეინზიანურ რევოლუციასაც“ კი უწოდებენ დასავლეთში. მონეტარისტები ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ფულად სფეროს ანიჭებენ, მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარ პირობად თვლიან მიმოქცევაში ფულადი მასის

ზრდას წლიურად 3-5%-ის ფარგლებში და მოითხოვენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ყველა ფორმის მკვეთრ შეზღუდვას.

ამრიგად, **ეკონომიკური ზრდის მოდელი, რა ფორმითაც უნდა იყოს წარმოდგენილი – კეინზიანური, ნეოკეინზიანური, ნეოკლასიკური, „ნეოკლასიკური სინთეზის“ თუ მონეტარიზმის სახით, წინა პლანზე აყენებს პრობლემათა ორ ჯგუფს: ეკონომიკის დინამიკური (მდგრადი) წონასწორობისა და ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობების ზრდის პრობლემებს**.

მ. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის უმთავრესი მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების შესუსტებაში მდგომარეობს. ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და მსოფლიოს ღრმა ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა. ამაში ფრიდმენისა და, საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულმა პოლიტიკამ უდიდესი როლი შეასრულა. 2008 წელი შევიდა ისტორიაში „ჩიკაგოს სკოლის“ „ინტელექტუალური კოლაფსის“ წლად.[1]

მსოფლიო ფინანსური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ნებისმიერ ქვეყანაში, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. ასეთ სიტუაციაში, სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატები წამოიწია. ეს გამოიხატა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის

1 **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10 (**Krugman P.** How did economists get it so wrong? “New York Times”, September 2, 2009).

გააქტიურებაში, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდასა და გადასახადების შემცირებაში, ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერაში, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებასა და ა.შ.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში, საანალიზო პერიოდის არც ერთ ეტაპზე, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში ფართოდ აპრობირებული გამოცდილებები. კლასიკური ფორმით ეკონომიკური ზრდის არც ერთი მოდელი არ გამოუყენებია საქართველოს. ქვეყნის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ.

საქართველო ისევ ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტის მსხვერპლი გახდა. ამიტომაცაა, რომ ორ ათეულ წელზე მეტია ეროვნული ეკონომიკა „ბუქსაობს“, სულ უფრო და უფრო იღებს დეფორმირებულ ფორმას და ქვეყანა ნელ-ნელა კარგავს ოდითგან უფლისგან მინიჭებულ მეწარმეობის დიდ უნარსა და გამოცდილებას. არადა, ერის მამა ილია ჭავჭავაძე გვახსენებს: „...აქამომდე მივიწყებულ ეკონომიკურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა...“ ეს შეგონება დღესაც აქტუალურია.

VII.2. საქართველოს ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკური განვითარება მრავალწახნაგოვანია თავისი შინაარსით, გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ეკონომიკურ ზრდას. ეს უკანასკნელი მისი ერთ-ერთი მახასიათებელია.[1] **ეკონომიკური განვითარება აქცენტს ეკონომიკის თვისებ-**

1 **ბერიძე თ.** ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა. „შრომები“. X ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

რივ მხარეზე აკეთებს და თანამედროვე პირობებში გამოხატავს ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის დონეს. იგი ქვეყანაში მიმდინარე ინსტიტუციური და სტრუქტურული ძვრების გრძელვადიან პერიოდში, რაოდენობრივთან ერთად, ეკონომიკური საქმიანობის ხარისხობრივი ცვლილებების ამსახველია. ამასთან, შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების ერთმნიშვნელოვნად შეფასება მისი მხოლოდ ერთი რომელიმე მახასიათებლის შესწავლის საფუძველზე. მაგალითად, ცხოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების განვითარების დონის მიხედვით ქვეყნების რანჟირებისას ითვლიან ცხოვრების ხარისხის კრებსით ინდექსს, რომელიც მშპ-თან ერთად მოიცავს: ინფლაციის საშუალოწლიურ ნორმას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალოწლიურ ზრდას, ბავშვთა მოკვდაობის დონეს, კალორიის მოხმარებას, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობას, ენერგიის მოხმარებას მოსახლეობის ერთ სულზე, სრულ პირად თავისუფლებასა და ა.შ.[1] კონკურენტუნარიანობის დონის მიხედვით ქვეყნების რანჟირებისას ითვლიან კონკურენტუნარიანობის კრებსით ინდექსს ისეთი მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა: ადამიანის განვითარების ინდექსი, ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ხარისხი, ქვეყნის ინოვაციური და საექსპორტო ორიენტაცია, ბაზრის დინამიკა, ფინანსური მდგომარეობა, შრომის მწარმოებლურობის დონე, სტაბილურობა და საზოგადოებრივი თანხმობა, სანედლეულო რესურსებით უზრუნველყოფა და ა.შ.

თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურების – ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლის შეფასებაში ჩართულია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებიც.[2] მაგალითად, საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყე-

1 ვრცლად იხ.: **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993, გვ. 127.

2 **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2008.

ბული ეკონომიკის კონვერსია, რაც გამოიხატა სისტემურ გარდაქმნებში, ინსტიტუციურ, სტრუქტურულ და ა.შ. ცვლილებებში და გარკვეული დოზით გამოიწვია ეკონომიკის ლიბერალიზაცია, საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრება და სხვ., უდავოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია. გარკვეულ პერიოდებში, მაგალითად, **1991-1995 წლებში საქართველოში ეკონომიკური განვითარება დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის გარეშე.** ეკონომიკის კონვერსიამ, სასიკეთო ძვრებთან ერთად, მშპ-ის მკვეთრი შემცირება, ინფლაციისა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა განაპირობა. თუმცა, რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების პარალელურად, საქართველოში (ისე როგორც მრავალ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში), გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, პოეზიის ორფეოსის ვაჟა-ფშაველას გამონათქვამს მოვიშველიებდი: **„უხეირო დეცენტრალიზაცია სჯობია საუკეთესოდ მოწყობილ ცენტრალიზაციას“.**[1]

პრივატიზაცია, მიუხედავად დაშვებული უხეში შეცდომებისა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობიდან საქართველოს გამოსვლისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ათვლის წერტილია, ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ის კაპიტალიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში, სწორედ ქვეყანაში გატარებული პრივატიზაციის შედეგებით იშვა, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს დემოკრატიის განვითარებას,* ეფექტიანი ეკონომიკის შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას.

ასეთი პრივატიზაციის შედეგია ის, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა, ვერ ვითარდება ბიზნესი. მცირე პრივატიზაციამ ისევ წამოატივ-

1 **ვაჟა-ფშაველა.** თხზ. X ტომი. თბილისი, 1964, გვ. 117-118.

* „ველური“ კაპიტალიზმი და დემოკრატიის განვითარება სრულიად შეუთავსებელი ცნებებია, ამიტომ ასეთ პირობებში საქართველო დემოკრატიული ვერასდროს გახდება.

ტივა „მეჯღანუაშვილები“ საქართველოში, ხოლო მასობრივი პრივატიზაცია მხოლოდ დაცინვა იყო საზოგადოების მიმართ.

როგორ ნაწილდება ქონების რეალიზაციიდან აღებული თანხა? რა მდგომარეობაშია პრივატიზებული საწარმოები? პრივატიზაცია თვითმიზანი ხომ არ გახდა? ასეთი გზით შევძლებთ კი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას? ეს კითხვები მეტად აქტუალურია დღევანდელ საქართველოში.

ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ რყევადობას შორის მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობაა. **ეკონომიკურ ზრდას თუ არ ახლავს ეკონომიკური განვითარება ან, პირიქით, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარი პოზიტიური ძვრები თუ არ აისახება ეკონომიკურ ზრდაში და რაც მთავარია, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში, მაშინ ორივეს ექნება მოკლევადიანი ეფექტი და ქვეყანა მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ვერასდროს მიაღწევს, მისი ეკონომიკის მკვეთრი რყევადობა გარდაუვალია.**

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და ხარისხს დიდად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპები, რომელშიც ფოკუსირდება ეკონომიკური განვითარების შედეგები და მისგან მიღებული ისეთი სიკეთეები, როგორებიცაა: ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების ზრდა, ინფლაციის მოთოკვა და უმუშევრობის შემცირება, გარემო ბუნების გაჯანსაღება და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლება, პიროვნების რეალური თავისუფლების მიღწევა, სპორტის, კულტურისა და ხელოვნების განვითარება, რომლებშიც, როგორც სარკეში, აირეკლება ქვეყნის ეკონომიკურ (და არა მხოლოდ ეკონომიკურ) ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები, მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, რომელიც გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკურ ტერი-

ტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივ საბაზრო ღირებულებას და ეკონომიკის ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელია, ან მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ყოველთვის როდი ასახავენ რეალურ სურათს, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. ზოგჯერ ეს მაჩვენებლები საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების დონის შეფასებას ვერ იძლევიან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას გამოხატავენ განურჩევლად მათი ხარისხისა და დანიშნულებისა. აქედან გამომდინარე, ამ ინდიკატორებში ღირებულებით ფორმაში, ხარისხთან ერთად, აისახება უხარისხო, ან დაბალი ხარისხის ან, საერთოდ, საზოგადოებისთვის მავნე პროდუქცია, რომელზეც, მოსახლეობის ფართო ფენების მხრივაც ძალზე დაბალია მოთხოვნა, რაც საზოგადოების კეთილდღეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ან კიდევ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის არაადეკვატურია სამხედრო შეიარაღება, რომელსაც ზოგჯერ ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტადაც კი მიიჩნევენ, სინამდვილეში კი, საზოგადოებისთვის ნაკლებადაა სიკეთის მომტანი და ხელს უშლის კეთილდეობის ამაღლებას. მაგალითად, საქართველოში, მიუხედავად მაკროეკონომიკური განვითარების დაბალი დონისა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა სამხედრო ხარჯები, მაგრამ ომი რუსეთთან ხუთ დღეში სამარცხვინოდ წავაგეთ. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით 80-იან წლებში, იცავდა სამხედრო პარიტეტს აშშ-თან და ამისთვის უზარმაზარ ხარჯს ეწეოდა, იგი, მართალია სხვა გზით, მაგრამ, არსებულ ეკონომიკურ სისტემასთან ერთად, მაინც დაინგრა, მაშინ როდესაც მას, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, – არასახარბიელო.

ამრიგად, **საზოგადოებრივი ფასეულობა აქვს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში გამოიხატება ანუ საზოგადოებრივი ფასეულობა აქვს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.**

ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ენიჭება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს, რომელიც საყურადღებოა საქართველოსთვის.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაჩინო ნიმუშია ნორვეგია, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა ნავთობის საბადო ჩრდილოეთის ზღვაში. 1963 წელს მან მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც ნავთობის მარაგები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. 1990 წელს ნორვეგიაში შეიქმნა სახელმწიფო ნავთობის ფონდი, რომელსაც „მომავალი თაობების ფონდი“ ეწოდა. ნორვეგიელები თვლიან, რომ არა აქვთ უფლება მთლიანად მოიხმარონ ნავთობიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან იგი მომავალ თაობებსაც ეკუთვნის. ამიტომ ნორვეგიაში, კანონის თანახმად, მიმდინარე სახელმწიფო საჭიროებებზე იხარჯება ფონდის მხოლოდ 4%, დანარჩენი კი ინახება თაობათა ფონდში, რომლის დაგროვებამ უკვე საკმაოდ სოლიდურ თანხას მიაღწია. მაგალითად, დანაზოგმა 2005 წელს 182 მლრდ დოლარი შეადგინა. 2012 წლის ექსპერტული შეფასებითა და სხვადასხვა პუბლიკაციების შეჯერებით ამ დანაზოგმა მშპ-ის 2/3 შეადგინა. იგი განთავსებულია საზღვარგარეთის ფასიან ქაღალდებში და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაში, არამედ მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაშიც. ნორვეგია რომ დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი ქვეყანაა, ამაში ლომის წილი მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას მიუძღვის, რაც

მრავალი სხვა პრობლემის, მათ შორის სოციალური პრობლემის გადაჭრის გასაღებიცაა. ამრიგად, „მომუშავე“ დანაზოგები, რომლებიც, ეროვნულ მოტივთან ერთად, მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზეცაა გათვლილი, ნორვეგიის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

საქართველოში სავსებით საწინააღმდეგო სურათია. ყველაფერი იყიდება (განსაკუთრებით იყიდებოდა რეფორმირების III ეტაპზე) მათ შორის ბუნებრივი რესურსებიც, ყოველგვარი სამომავლო შესაძლებლობების თუ უარყოფითი გარე ეფექტების გაუთვალისწინებლად, რასაც არაფერი აქვს საერთო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. ეს პროცესი გარკვეულწილად დღესაც მიმდინარეობს, თუმცა შეზღუდული ფორმით.

საქართველოში პრივატიზაცია ქვეყნის ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ინფლაცია კი შთანთქავს მშპ-ის გარკვეულ ნაწილს, იზრდება უმუშევრობა, ღატაკდება მოსახლეობა, დაბალშემოსავლიან ადამიანთა რაოდენობამ 2,4 მლნ-ს მიაღწია. **სულ უფრო იკვეთება სხვა ქვეყნების სანედლეულო პერიფერიად საქართველოს გადაქცევის ტენდენცია.** ეკონომიკის სტრუქტურული დაუბალანსებლობის გაღრმავება თავს იჩენს მასშტაბურ დისბალანსში მოხმარებასა და წარმოებას შორის, რომელიც სამომხმარებლო იმპორტით კომპენსირდება და აღრმავებს მაკროსტრუქტურულ უწონასწორობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. მაშინ როდესაც ქვეყნიდან გარბის უპირატესად შრომისუნარიან ასაკში მყოფი სამუშაო ძალა, სსფ-ის მისიის აზრით, საქართველომ წარმატებით შეასრულა სიღარიბის დაძლევის პროგრამა. ალბათ, ასეთი არაადეკვატური დასკვნების გაკეთებას საფუძვლად უდევს არაჯანსაღი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. სავსებით ვეთანხმებით ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თუ კარგად არ ჩავუღრმავდებით ამ მაჩვენებლებს (იგულისხმება ზოგიერთი ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებელი – რ. ა.), მაშინ იმ მანიპულატორთა გავლენაში მოვექცევით, რომლებიც ქოთანს

ყურს საიდანაც უნდათ, იქიდან აბამენ."[1] ამ გამონათქვამს მხოლოდ იმას დავუმატებდით, რომ საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, **საბაზრო ეკონომიკას იმგვარად ვერ ავაშენებთ, როგორადაც სოციალიზმს ვაშენებდით.** თუმცა ყველას უნდა გვახსოვდეს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვები: „შეიძლება ერი მცირე იყოს, შეიძლება სახელმწიფო არ იყოს დიდი, მაგრამ სულიერად ძლიერი იყოს და დაძლიოს ის გაჭირვება და ავბედითობა, რომელიც შეხვდება მას ისტორიის მანძილზე. აი, სწორედ ასეთი ერია ჩვენი ერი და ასეთი სახელმწიფოა საქართველო: მან ყველა გაჭირვება და ავბედითობა დასძლია და ღვთის მადლით, კვლავაც დაძლევს. იგი იარსებებს, სანამ არსებობს დედამიწა."[2]

გვახსოვდეს, ღმერთმა მიწისგან შექმნა ადამიანი და ისევ მიწას უბრუნებს. ქრისტიანულ რელიგიას ჰეგელი ზნეობის რელიგიას უწოდებს, ხოლო ქრისტიანული ზნეობის უმაღლესი პრინციპია ადამიანის მიერ ადამიანის დახმარება. ჭეშმარიტი სიყვარულით გვიყვარდეთ ჩვენი სამშობლო, გვიყვარდეს ერთმანეთი და საქართველო აყვავდება. ამასთან, როგორც უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავს „საოცარი ტენდენცია შეინიშნება დღეს... ერთის მხრივ ხდება წინსვლა, მეორეს მხრივ – უკან დახევა, წინასვლა მეცნიერებასა და ტექნიკაში და ამასთან რეგრესი სულიერებაში".[3] ამიტომ „თუ ჭეშმარიტად გვსურს წინსვლა, სულიერი ღირებულებანი უნდა მოვიპოვოთ. ყველა სხვა მცდელობა უკან სვლას ნიშნავს".[4]

1 **იაკობიძე დ.** საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბილისი, „კამერტონი", 2009, გვ. 59.

2 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. თბილისი, „გეოკერია", 2004, გვ. 90.

3 საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქრი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი, 2004, გვ. 90.

4 იქვე, გვ. 193.

VIII თავი

გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე

VIII.1. გლობალიზაცია – მსოფლიო პროცესების გამოძახილი

თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი ღრმა სისტემური ცვლილებები, რომლებიც თანმხლები პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს მომცველ გლობალიზაციას უკავშირდება, პირველ ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში აისახება და თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებში გაანალიზებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გლობალიზაციის არსის, მისი რაობის განსაზღვრა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავარკვიოთ რა ფენომენთან გვაქვს საქმე, რამდენად მართულია იგი და რა გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს განვითარებაზე. XX საუკუნის ეს ერთ-ერთი უდიდესი სასწაული წმინდა ეკონომიკური ხასიათის მოვლენაა, რომელიც 80-იან წლებში პირველად განიხილა ამერიკელმა თეოდორ ლევიტმა ცალკეული ბაზრების შერწყმის პროცესის ასახსნელად[1], თუ უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, მსოფლიოს ქვეყნებსა და ხალხებს.

1 **Lewitt T.** International Business, the Challenge of Global Competition. “Harward Business Review”, McGraw-Hill, 2008, p. 13.

1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში – „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“, ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა მსოფლიოს ქვეყნების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და კულტურის ერთობლიობის გამოსახატავად.[1] ამავე წელს, ფართო გაგებით, „გლობალიზაცია“ გამოიყენა იაპონელმა კ. ომემ[2], ხოლო 1999 წელს დავოსში გამართული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მთავარი თემა სწორედ გლობალიზაცია იყო.[3] დღეს გლობალიზაცია ფართოდ განიხილება პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში. ამ უნივერსალურმა ფენომენმა სათანადო ადგილი დაიკავა არა მხოლოდ უცხოურ[4], არამედ

1 Globalization: Knowledge and Society. London, “Sage”, 1990.

2 **Ohmae K.** The Borderless World; Power and Strategy in the Interlinked Economy. London: “Fontana”, 1990.

3 http://globalization.kof.cthz.ch/

4 **Harris R.L., Seid M.J.** Critical Perspectives on Globalization and Neoliberalism in Developing Countries. Boston, 2000; **Abdelal R.**, **Segal A.** Has Globalization Passed its Peak? “Foreign Affairs”, January/Fabruary, 2007; **Papava V., Chocheli V.** Financial Globalization and Post-Communist Georgia. New-York, “iUniverse”, 2003; **Asatiani R.** The Phenomenon of Globalization and its Influence on National Economics (A Case Study of Georgia). “The Caucasus & Globalization”. Vol. 1(3), Sweden, 2007; **Asatiani R.** Globalization and Economic Theory. “The Caucasus & Globalization”. Vol. 2(1), Sweden, 2008; **Бек У.** Что такое глобализация? Ошибки глобализма - ответы на глобализацию. Перевод с немецкого. М., “Прогресс-традиция”, 2001; **Стиглиц Дж.** Глобализация: тревожные тенденции. М., “Мысль”, 2003; **Быков А.Н.** Глобализация и либерализация. “Проблемы прогнозирования”, № 5, 2000; **Галкин А.** Глобализация и политические потресения XX века. М., 2005; **Зевин Л.** Проблемы регулирования глобальных экономических процессов. “МЭ и МО”, № 7, 2002; **Колодко Г.** Глобализация и сближение уровней экономического развития: от спада к росту в странах с переходной экономикой. “Вопросы экономики”, № 10, 2000; **Мартин Г., Шуман Х.** Западня глобализации: атака на процветание и демократию. М., Издательский дом “Альпина”, 2001; **Перегудов С.** Неолиберальная глобализация: есть ли альтернатива. «МЭиМо», №4, 2002; **Тураев В.** Глобальные вызовы человечеству. М., 2002; **Яковец Ю.В.** Глобализация и взаимодеиствие цивилизации. М., “Экономика”, 2001.

ქართულ[1] სამეცნიერო ლიტერატურაშიც, თუმცა, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი შეხედულება მის შესახებ.

გლობალიზაცია, ეს საერთაშორისო რეზონანსის მოვლე-

1 **აბრალავა ა.** ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, „ინოვაცია“, 2005; **აბრალავა ა.** გლობალიზაციის ლიდერი ქვეყნების სტრატეგია. „სოციალური ეკონომიკა“, №5, 2005; **ასათიანი რ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი. თსუ შრომები. „ეკონომიკა“, №3-4, 2003; **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010; **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012; **ბარათაშვილი ე.** გლობალიზაცია და საქართველო. „პოლიტიკა“, №1-3, 2003; **მელიქიძე ვ.** მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბილისი, 2006; **მესხია ი., კვარაცხელია ვ.** გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის. „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2003; **მექვაბიშვილი ე.** ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბილისი, „ინოვაცია“, 2009; **სართანია ვ.** გლობალიზაცია, უმაღლესი განათლება და სამოქალაქო საზოგადოება. „სოციალური ეკონომიკა“, №5-6, 2001; **ჩიქავა ლ.** გლობალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება. „მოამბე“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. X ტომი, თბილისი, 2003; **ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. VI ტომი. თბილისი, სესესპკი, 2002; **ჭითანავა ნ.** ეკონომიკა – სახელმწიფო – გლობალიზაცია. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №10, 2004; **გველესიანი მ.** გლობალიზაციის პრობლემები: საერთაშორისო დისკუსია და ქართული ხედვა. „კომენტარი“, 2003, №1; **ვეშაპიძე შ.** დიდი ქართველი მოაზროვნეები გლობალიზაციისა და ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების შესახებ. „ახალი ეკონომისტი“, №2, 2009; **ემირია ე.** გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბილისი, „უნივერსალი“, 2009; გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები. შრომების კრებული. საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008 და ა.შ.

ნა, ითვალისწინებს მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაციას (ერთიან სისტემაში მოქცევას), მის საფუძველზე **ახალი მსოფლიო წესრიგის** განსაზღვრას, რომელშიც დომინირებული პოზიცია აშშ-ს უჭირავს, თუმცა, 1997 წლიდან ამ პროცესში მონაწილეობს ნატოს სტრუქტურაში არსებული „ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს“ გაფართოების საფუძველზე შექმნილი „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს“ სხვა უმსხვილესი ქვეყნებიც.

VIII.2. გლობალიზაცია, ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველო

ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების ობიექტური წანამძღვრები XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი გლობალიზაციის წარმოშობას უკავშირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც გამოიკვეთა პროგრესული ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ეს პროცესი, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვნად დააჩქარა „კეინზიანურმა რევოლუციამ“ და, შეიძლება ითქვას, მისი განმაპირობებელი ფაქტორიც კი გახდა. **შემთხვევითი არ არის, რომ თუ ადამ სმითი ითვლება XVIII საუკუნის უდიდეს ეკონომისტად, კარლ მარქსი – XIX საუკუნისა, XX საუკუნის პალმა ჯონ მეინარდ კეინზს ეკუთვნის.** „კეინზიანურმა რევოლუციამ“ საბაზრო რეგულირებადი ეკონომიკის ჩამოყალიბებით ხელი შეუწყო კაპიტალიზმის ახალ თვისებრიობაში გადაზრდასა და მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებას ახალი მიმართულება შესძინა.

პოზიტიურმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა დასაბამი მისცა საზოგადოებრივ წარმოებაში პროგრესულ სტრუქტურულ ცვლილებებს. ამ პროცესს ხელი შეუწყო XX საუკუნის შუა ხანებში დაწყებულმა სამეცნიერო–ტექნიკურმა

რევოლუციამ. 60–იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულზე გადასვლის თეორიული საფუძვლები[1], რომლის მნიშვნელოვანი მახასიათებელი მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა იყო დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით. მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ეს გადასვლა იქნებოდა წინგადადგმული ნაბიჯი უფრო მაღალი სოციალური წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურმა ტენდენციებმა რეალური ასახვა პოვა გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის (სსდკ) პროექტზე (1948) დაყრდნობით, პირველად მსოფლიო ისტორიაში შექმნილ ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში (ეას), რომელიც საფუძვლად დაედო მოცემული ქვეყნის ეკონომიკის დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური კავშირების შესწავლას.[2] თუ ეას-ის I ვარიანტში (1953) მომსახურების დარგებს მოკრძალებული ადგილი ეკავათ, მის II ვარიანტში (1968) გაცილებით ფართოდ იქნა წარმოდგენილი „სერვისული“ წარმოება, ხოლო III ვარიანტსა (1989) და 2008 წელს მიღებულ და ახლაც მოქმედ IV ვარიანტში მომსახურების სექტორს სოლიდური ადგილი უჭირავს. განვითარებულ ქვეყნებში მომსახურების სფერო თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრებით რეალურ სექტორთან მიზეზშედეგობრივ კავშირურთიერთობაში აღმოჩნდა. ამ პროგრესულმა მოვლენამ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ვექტორი შეცვალა. საქმე ისაა, რომ კომპიუტერულმა ავტომატიზაციამ, უნივერსალური ეგმ-ებისა და ახალი თაობის პერსონალური კომპიუტერების დანერგვამ ინფორმაციის სწრაფად გადამუშავებამ და, საერთოდ, ინფორმატიზაციის განვითარებამ, ენერგიის ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყ-

1 **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М., “Academia”, 1999.

2 ვრცლად იხ.: **ასათიანი რ.** ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, №6.

ენებამ, ამასთან, სამრეწველო წარმოებაში ერთეული პროდუქციის ენერგო- და მასალატევადობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ (რაც რესურსდამზოგველი ეკონომიკის სწრაფი განვითარების მაჩვენებელია), ეკონომიკის რეალურ სექტორს იერსახე შეუცვალა. მასალატევადი სანედლეულო ტიპის დარგების (შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიურის და ა.შ.) ადგილი მეცნიერებატევადმა დარგებმა დაიკავა, რომელთა პროდუქციისა და უახლეს ტექნოლოგიებს (სამრეწველო ელექტრონიკას, რობოტექნიკას, ლაზერულ ტექნიკას, ბიოტექნოლოგიას, მიკროელექტრონიკასა და ა.შ.) არსებითი ცვლილებები შეაქვთ წარმოების ციკლში. ეკონომიკის რეალურ სექტორზე უშუალო გავლენა მოახდინა და მასში მეტ-ნაკლებად აისახა დივერსიფიცირებული სპექტრით წარმოდგენილი მომსახურება.

საერთაშორისო კლასიფიკაციის შექმნამ და ეროვნულ წარმოებაში მომსახურების სექტორის წილის ზრდის ობიექტურმა პროცესმა ახალი თვისებრივობა შესძინა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას.[1] ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისითაც. ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა, რომლის გარეშე შეუძლებელია ბაზრის პრინციპების რეალიზაცია.

განვითარებული ქვეყნების მოხმარების სტრუქტურაში დაიწყო საქონლის წილის ინტენსიური შემცირება და მომსახურების წილის გადიდება. საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი სოციალურ ინფრასტრუქტურას დაეკისრა. ამის პარალელურად წარმოებრივი მოხმარების სტრუქტურაში საგრძნობლად იმატა წარმოებრივი ინფრასტრუქტურის წილმა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობამ განაპირობა ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარება. ტექნოლოგიურმა ბუმმა აუცილებელი

1 **ასათიანი რ.** ეკონომიკის სერვიზაცია – საზოგადოების პოსტინდუსტრიული განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელი. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“. ეკონომიკის სერია. I ტომი, 1993, №2, გვ. 69-70.

გახადა ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებაც. საბაზრო ურთიერთობების რთულმა სისტემამ მოითხოვა აგრეთვე საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩამოყალიბდა სხვადასხვა ორგანიზებული ბაზრები – საქონლის, ვალუტის, შრომის, აგრეთვე საფონდო ბირჟების სახით. მომსახურების მწარმოებელი დარგების ინტეგრირების საფუძველზე შექმნილი ინფრასტრუქტურა საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახდა. ეკონომიკის „სერვიზაციამ“ მოიცვა ცივილიზებული სამყარო. მატერიალურ–ნივთობრივი წარმოების სფერო (რეალური სექტორი) მიზეზ–შედეგობრივ კავშირურთიერთობაში აღმოჩნდა მასთან. მეტიც, ამ პროცესმა თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნა საწარმოო ძალების განვითარებაში, რეალობად აქცია ინდუსტრიული საზოგადოების ტრანსფორმაცია უფრო მაღალ ისტორიულ ფაზაში – დასაბამი მისცა პოსტინდუსტრიულ ერას.[1] რაც მთავარია, ამ გადასვლამ საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში დაიწყო მაღალი მასობრივი მოხმარების ხანა, რაც გამოიხატა შემდეგში: ა) მკვეთრად გაიზარდა იმ უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების მასობრივი მოხმარება, რომლებიც წინათ ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილისათვის; ბ) საგრძნობლად შემცირდა სიღარიბე; გ) მოსახ-

1 **Toffler A.** Future Shock. New York, 1970, p. 434. დ. ბელის მიერ (**Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английиского. М., “Academia”, 1999, с. 429.) ბესტსელერად აღიარებულ ცნობილი ამერიკელი ფუტუროლოგის ალვინ ტოფლერის აღნიშნულ ნაშრომში განხილულია 1850-1940 წლებში მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი კოლოსალური ცვლილებები – რკინიგზის, ელექტროობის, ტელეგრაფის, ავტომობილის, რადიოს, თვითმფრინავის, კინემატოგრაფიის მიღწევებისა და ა.შ. შეჭრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამაც, ჩვენს მიერ წინა თავებში განხილულ მრავალ მიზეზთან ერთად, 60-იანი წლებიდან გამოიწვია ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდა „სუპერინდუსტრიულ“ (ა. ტოფლერი) საზოგადოებაში.

ლეობის 10%–მა ფუფუნების დონეს მიაღწია (წინათ იგი ხელმისაწვდომი იყო ერთეულებისთვის).

ამ გარემოებამ წინა პლანზე წამოსწია საზოგადოებრივი ინტერესები და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდაზე. ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, რომელიც საფუძვლად დაედო ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებით სახელმწიფომ „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნები შეიძინა. საზოგადოების სოციალური დაცვა, ანუ კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქნა აღიარებული. მას შეუერთდა ქრისტიანულ მორალსა და ეთიკაზე დაფუძნებული კერძო ქველმოქმედება.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა, რაც პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას უკავშირდება, პოზიტიური მიმართულებით შეცვალა მსოფლიო რუკა. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლიო, რასაც გლობალური პროცესების გაღრმავება მოჰყვა. გლობალიზაციამ დააჩქარა ცალკეულ, მათ შორის, ტრანზიტულ ქვეყნებში ღია საზოგადოების* ჩამოყალიბება, ინტერნეტული ქსელისა

* ტერმინი „ღია საზოგადოება“ პირველად გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა **ანრი ბერგსონმა** წიგნში – „რელიგიისა და მორალის ორი წყარო“ (1932). ღია საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა შემდეგ განავითარა ცნობილმა ავსტრო-ინგლისელმა ფილოსოფოსმა **კარლ პოპერმა** წიგნში – „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (1966).

ანრი ბერგსონი ცნობდა ორი ტიპის საზოგადოებას: „ჩაკეტილსა“ და „ღიას“. მისი აზრით, პირველი აკმაყოფილებს სოციალური ინსტინქტის მოთხოვნილებებს და მიზნად ისახავს მოდგმის გადარჩენას, რომლის პირობებშიც პიროვნება არის კოლექტივის მსხვერპლი, მეორე კი უკავშირდება ზნეობრივ ფასეულობებს, რომელიც მოდგმის გადარჩენის, მისი შენარჩუნების ინტერესებზე მაღლაა. კარლ პოპერმა ღია, ჰუმანური საზოგადოება დაუპირ-

და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა და განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის მობილურობის არნახული ზრდა. დღის წესრიგში დადგა **გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებლის შემუშავება.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) საინფორმაციო მასალებზე დაყრდნობით, 2002 წელს შემოღებულ იქნა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებელი – **გლობალიზაციის KOF-ინდექსი**, რომლის მიხედვით ყოველწლიურად განისაზღვრება მსოფლიოს 158 ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციის ხარისხი.[1] ამ მაჩვენებლის გამოთვლა ეყრდნობა აგრეთვე ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო კავშირისა და საფოსტო სტატისტიკის საინფორმაციო მასალებს.

2012 წლის მონაცემებით, **გლობალიზაციის KOF-ინდექსის ზოგადი მაჩვენებლის** მიხედვით ლიდერობენ და პირველ ათეულში შედიან: ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდი, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, დანია, კანადა, ლუქსემბურგი და უნგრეთი. **ამ მაჩვენებლით საქართველო 60,57%-ით 69-ე ადგილზეა.**

პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსით განისაზღვრება სამთავრობო პოლიტიკის გავრცელების ხარისხი. იგი გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, ქვეყანაში საელჩოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მისიის წევრობა და ა.შ. პოლი-

---

ისპირა ჩაკეტილ, ტოტალიტარულ საზოგადოებას. ამ უკანასკნელს, ანტიკომუნისტური პოზიციებიდან, იგი მიაკუთვნებდა სოციალისტურ საზოგადოებას (**Конфорт М.** Открытая философия и открытое общество. Перевод с английского. М., «Наука», 1972.).

1 http://globalization.kof.ethz.ch/

ტიკურ გლობალიზაციაში, საერთაშორისო წესრიგის დამყარების მიზნით, წამყვანი როლი გაეროს აკისრია.

პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულში შედიან: საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ავსტრია, შვედეთი, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა, აშშ და პოლონეთი. ამ ქვეყნებში პოლიტიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,88%-სა და 89,03%-ს შორის ფიქსირდება. **საქართველო 52,05%-ით 139-ე ადგილზეა.**

ეკონომიკური გლობალიზაცია გამოხატავს მსოფლიო ეკონომიკაში, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მოცემული ქვეყნის ინტეგრირების ხარისხს და გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ტექნოლოგიური პროგრესის დონე და ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის ტემპი, კაპიტალის, საქონლის (მომსახურების) საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, ინფორმაციის ნაკადების შორ მანძილზე გავრცელების ხარისხი, ქვეყნის გახსნილობისა და ინტეგრირების ტენდენციები, უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის მოთხოვნათა დაცვის ხარისხი და ა.შ. ეკონომიკურ გლობალიზაციაში მნიშვნელოვან როლს ტრანსეროვნული კორპორაციები (ტნკ-ები) ასრულებენ.[1]

ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებლით, პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდი, ესტონეთი, უნგრეთი, ბახრეინი, შვედეთი. ამ ქვეყნებში ეკონომიკური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 96,67%-სა და 88,11%-ს შორის ფიქსირდება, ხოლო **საქართველო 76,72%-ით 29-ე ადგილზეა.**

სოციალური გლობალიზაცია განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა საერთაშორისო ტურიზმის განვითარე-

1 **ჭითანავა ნ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, გვ. 91.

ბის დონე, საერთაშორისო სატელეფონო კავშირებისა და წერილების რაოდენობა, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში უცხოელთა წილი, ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომსახურეთა რაოდენობა, მთლიან შიდა პროდუქტში წიგნებისა და გაზეთების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილი და ა.შ. იგი, კულტურის უნივერსალიზაციის საფუძველზე, ხელს უწყობს ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების წესში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყანათა ცხოვრების წესის დაახლოებაში.[1]

სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით პირველ ათეულშია: ლუქსემბურგი, შვეიცარია, ირლანდია, ანტიგუა და ბარბუდა, კვიპროსი, პუერტო რიკო, სინგაპური, ავსტრია, გრენადა და ბელგია. ამ ქვეყნებში სოციალური გლობალიზაციის KOF-ინდექსი 93,87%-სა და 88,12%-ს შორის ფარგლებშია. **საქართველოს ამ მაჩვენებლით 50,79%-ით 88-ე ადგილი უჭირავს.**

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაცია მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში გამოვლინდება. ამიტომ გართულებულია განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება. განსაკუთრებით ნაკლებად ავტონომიურია ტრანზიტული, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მათ შორის საქართველოც. **საქართველოს სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვს საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რის გამოც შეზღუდულია მისი ეკონომიკური სუვერენიტეტი, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო „გრილდება“, ხოლო ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობები მცირდება.**

წამყვან განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზი-

1 **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010. გვ. 9-11.

ცია უკავიათ ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრაში, მაშინ როდესაც მცირე, განსაკუთრებით ტრანზიტულ ქვეყნებს გლობალური სისტემის მუნიციპალიტეტებად აღიქვამენ. აღნიშნულმა ტენდენციამ უკვე კანონზომიერი ხასიათი მიიღო, რაზეც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. საერთაშორისო დონეზე მართული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ლიდერ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით კონტროლდება.

ცნობილია, რომ აშშ-ს მსოფლიოში თანაბარი სიძლიერის კონკურენტები არა ჰყავს. ამიტომ მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ეკონომიკური პოლიტიკა და, აქედან გამომდინარე, მათი ეკონომიკური განვითარება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილი ამერიკული დოქტრინა – „ნეოგლობალიზმი“ (რომელიც ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით) ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში აშშ-ში წარმოშობილმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც გადაიზარდა ჯერ მსოფლიო ფინანსურ, ხოლო შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში და მწვავედ აისახა როგორც განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების, ისე განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, ერთხელ კიდევ დაადასტურა ნეოგლობალიზმის სიძლიერე და მასშტაბურობა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გლობალიზაციისგან გვერდზე გადგომა დღეს შეუძლებელიცაა და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს, ნეგატიურთან ერთად, აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთ-

იერთობებს, სწრაფი ტემპით ახდენს ბიზნესსაქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აყალიბებს ისეთ ბიზნესგარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები, ბიზნესს სულ უფრო მეტად ათავისუფლებს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან, რითაც მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბაზრებს და ა.შ.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც წამყვან როლს ინტელექტუალური კაპიტალი, ინტერნეტული ქსელი და, საერთოდ, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ. ამიტომ დღეს აქცენტი კეთდება ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობაზე[1], რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა.შ. დღეს საერთაშორისო საბაზრო ქსელი არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისათვის თავისებურ კომპასს წარმოადგენს: რა გზას დაადგეს, რომელი დარების განვითარებას მიანიჭოს უპირატესობა, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია და ა.შ.

ამრიგად, გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია. მისი მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, **მნიშვნელოვანია რამდენად მართული იქნება ეს მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. წი-**

1 **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2006; **ასათიანი რ.** ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია. „შრომები“. V ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005; **ასათიანი რ.** საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008 და სხვ.

ნაადმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.

საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ინტერესები ვერ მოარგო გლობალიზაციის მსოფლიო პროცესს, რომლის გაუთვალისწინებლობა, რბილად რომ ვთქვათ, სიბრმავეა. იმაზე, თუ რამდენად გახდება საქართველო ერთიანი გლობალური სამყაროს ნაწილი და როგორ მოერგება ამ უკუქცევად პროცესს, ბევრად არის დამოკიდებული მისი მომავალი. ვგულისხმობთ ქვეყნის მართვის ისეთ მოდელს, რომელიც ხელისუფლებას მისცემს საშუალებას მაქსიმალურად და რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენოს გლობალიზაციის პოზიტიური მხარეები, მინიმალურად შეამციროს მისი ნეგატიური გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე და თავიდან აიცილოს შოკების წარმოქმნის საშიშროება. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია დასავლური დემოკრატიული სისტემების ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინება საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში.

VIII. 3. დასავლური დემოკრატიული სისტემა და ეკონომიკური წესრიგი – საქართველოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევები

დასავლური დემოკრატია არის თუ არა ჩვენი სოციოკულტურული რეალობის ადეკვატური მოდელი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია დემოკრატიული სისტემა განვიხილოთ ეკონომიკურ წესრიგთან ურთიერთგანპირობებულობის ჭრილში.

დემოკრატიული სისტემა ორგანულ კავშირშია ეკონომიკური წესრიგის განვითარების დონესთან. მეტიც, ეს უკანასკნელი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოკრატიულ სისტემაზე და, გარკვეული თვალსაზრისით, განსაზღვრავს კიდეც რეალური დემოკრატიის განვითარების მიმართულებებს. ამასთან, დასავლური დემოკრატია ის ფენომენია, რომლისკენაც მიჰყრო-

ბილია მსოფლიოს ყურადღება და იგი დასავლეთის ქვეყნებში სოციო-კულტურული რეალობის ადეკვატური მოდელია. მაგრამ რამდენად მისაღებია ეს მოდელი საქართველოსთვის?

ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა ერთმანეთს ავსებენ, რაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში პოვებს ასახვას.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის თეორიული ასპექტების ჩამოყალიბებასა და, საერთოდ, ამ ფენომენის კვლევაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ეკონომიკური წესრიგის თეორიის ფუძემდებელს, გერმანელ ეკონომისტ ვალტერ ოიკენსა[1] და ეკონომიკის დარგში 1969 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს, ჰოლანდიელ იან ტინბერგენს.[2] მათ წინა პლანზე წამოსწიეს წესრიგის პოლიტიკის ეკონომიკური მიზნები და ის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მიზნების განხორციელებას.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ანუ ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკის მართვის ღონისძიებათა სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც, ძირითადად, აისახება ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში და მოიცავს ფისკალურ, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, ინსტიტუციურ, სტრუქტურულ, საინვესტიციო, საგარეო-ეკონომიკურ, სოციალურ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ა.შ. პოლიტიკას.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების სოციო-კულტურულ მოდელზე – საზოგადოების განვითარების დონის ამსახველ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებზე, ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ მდგომარეობაზე, ეკონომიკური ურთიერთობების და, საერთოდ, საზოგადოებაში ადამიანთა

1 **Ойкен В.** Основные принципы экономической политики. Перевод с немецкого. М., “Прогресс”, 1995.

2 **Tinbergen J.** On the Theory of Economic Policy. Amsterdam, 1952; **Тинберген Я.** Пересмотр международного порядка. Перевод с английского. М., “Наука”, 1980.

ინტეგრირების ხარისხზე, საზოგადოების სტრუქტურაზე, საზოგადოების ფენებად დაყოფის წილობრივ თანაფარდობაზე და ა.შ. მისი ამოცანაა როგორც კერძო (შინამეურნეობები და ფირმები), ისე სახელმწიფო სექტორებისთვის სპეციალური ჩარჩო-პირობების დადგენა, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემების შესაბამისობაში მოყვანა.

ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობები არსებითად ეკონომიკური მიზნების სამ ძირითად ასპექტს აერთიანებს. ესენია: **კონკურენციის წესრიგი (ანუ საბაზრო ეკონომიკური წესრიგი), სოციალური წესრიგი და ინსტიტუციური წესრიგი.** აქედან განმსაზღვრელია საბაზრო ეკონომიკური წესრიგი, რომლის ამოსავალი კონკურენციაში წესრიგის დაცვაა. ეს უკანასკნელი განაპირობებს როგორც სოციალური, ისე ინსტიტუციური წესრიგის დონესა და ხარისხს.[1]

ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობების რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს ეროვნული იდეოლოგია, მისი სწორად შემუშავება და გატარება ასრულებს. მაგრამ თუ ამ უკანასკნელისთვის ადგილი არ რჩება, მოვწყდით ეროვნულ ფესვებს და ქრისტიანულ იდეოლოგიას, მაშინ ზედმეტია საუბარი არა მხოლოდ კონკურენციის წესრიგზე, ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასა თუ ინსტიტუციურ მოწყობაზე, არამედ, საერთოდ, ქვეყნის დამოუკიდებლობაზე.

შემდეგი წინაპირობა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის გატარებაში უკავშირდება სასამართლო სისტემის გამჭირვალობას, რომელიც გამოიხატება სამართლებრივი სისტემის სანდოობის ხარისხით. **შერჩევითი სამართალი ანგრევს არა მხოლოდ მართლმსაჯულების სისტემას, არამედ მთელ ეკონომიკას. საზოგადოება, რომელიც არ არის ორიენტირებული სამართლიანობაზე და არ მიილტვის აქეთკენ, ასეთ საზოგადოებას არა აქვს მომავალი. ქვეყანა, რო-**

1 **ასათიანი რ.** თეორიული ცოდნა როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №3.

მელიც არ ატარებს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკას (ე.ი. ამ ქვეყანაში არ არსებობს კონკურენციის წესრიგი, სოციალური წესრიგი და ინსტიტუციური წესრიგი), ვერასდროს ვერ იქნება განვითარებული და განწირულია ქრონიკული ჩამორჩენილობისთვის.

ზოგჯერ ამბობენ, რომ საქართველოს ეკონომიკა არ გააჩნია, მაგრამ ეს არ არის სწორი, თუმცა, ქვეყანა ძალზე სერიოზული პრობლემების წინაშეა[1].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2010 წლის მონაცემებით, 183 ქვეყნიდან საქართველო, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, 120-ე ადგილზე იყო (11,665 მლნ აშშ დოლარი) და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან უსწრებდა მხოლოდ სომხეთს, მოლდოვასა და ტაჯიკეთს.*

2013 წლის მონაცემებით, **საქართველოს წილი მსოფ-**

1 საქართველოს ეკონომიკა. მთავარი რედაქტორი **რ. ასათიანი.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

* ამავე წელს მსოფლიო მშპ 62.911,253 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, აქედან, ევროკავშირზე მოდიოდა 16.242,256 მლნ აშშ დოლარი. ამ მაჩვენებლით პირველ ათეულში შედიან: აშშ – 14.526,550 მლნ დოლარი, ჩინეთი – 5.878,257, იაპონია – 5.458,797, გერმანია – 3.286,451, საფრანგეთი – 2.562,742, გაერთიანებული სამეფო – 2.562,742, ბრაზილია – 2.090,314, იტალია – 2.055,114, ინდოეთი – 1.631,970, კანადა – 1.577,040 მლნ დოლარი. მეთერთმეტე ადგილზეა რუსეთი – 1.479,825 მლნ დოლარი.

აშშ-ის (19,8%), ჩინეთის (13,6%), იაპონიის (5,9%), გერმანიის (4%) და ინდოეთის (5,4%) წილად მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარი, ევროკავშირზე – 20,55%; ბრაზილიის ეკონომიკა შეადგენს მთელი სამხრეთ ამერიკის ნახევარს (3%). რუსეთს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა СНГ-ს რეგიონულ ეკონომიკაში (3%) და მის წილად მოდის მთელი რეგიონული ეკონომიკის და ინვესტიციების 2/3. აფრიკის ეკონომიკაში დომინირებს სუდანი (1,2%), სამხრეთ აფრიკა (0,7%), ეგვიპტე (0,7%), მაროკო (0,2%), რომელთა ერთობლივი წილი რეგიონულ მშპ-ში თითმის 2/3-ს შეადგენს.

მსოფლიოში ყველაზე ძვირი ქვეყანა ისლანდიაა (154% აშშ-ის ფასების დონიდან), შემდეგ მოდის დანია (142%), შვეიცარია

ლიო მთლიან შიდა პროდუქტში 0,33%-ია (მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე მოდის მსოფლიო ეკონომიკის 0,2%-ზე ნაკლები (0,172%). ამ მაჩვენებლით პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან (გარდა რუსეთისა) საქართველოს უსწრებს ყაზახეთი (0,26%), შემდეგ მოდის ბელორუსი (0,18%), აზერბაიჯანი (0,12%), უზბეკეთი (0,11%), თურქმენეთი (0,05%), ლატვია (0,4%), ესტონეთი (0,033%).[1]

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგები აღნიშნულ ინდიკატორზეც აისახა: 2005 წელთან შედარებით, 2010 წელს აშშ-ის წილი მსოფლიო მშპ-ში დაეცა 23%-დან 19,8%-მდე, იაპონიის – 7%-დან 5,8%-მდე, გერმანიის – 5%-დან 3,95%-მდე, საფრანგეთის – 3,4%-დან 2,9%-მდე, გართიანებული სამეფოს – 3,45%-დან 2,9%-მდე და ა.შ.[2]

2003 წელს სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური განვითარების დონით პირველ ადგილზე იყო საქართველო: მოსახლეობის ერთ სულზე მშპ შეადგენდა სამხრეთ კავკასიის საშუალო მაჩვენებლის 104,3%-ს (919 დოლარს), მაშინ როდესაც სომხეთის ანალოგიური მაჩვენებელი იყო 99,2% (864 დოლარი), ხოლო აზერბაიჯანის – 98% (864 დოლარი). იგივე მაჩვენე-

(140%), ნორვეგია (137%), ირლანდია (127%). აშშ, ამ მხრივ, 20-ე ადგილზეა მსოფლიოში, ე.ი. მას შედარებით ფასების დაბალი ინდექსი აქვს, ვიდრე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების უმრავლესაობას, მათ შორის საფრანგეთს (115), გერმანიას (111), გაერთიანებულ სამეფოს (118).

მშპ მოსახელობის ერთ სულზე მსოფლიოში ყველაზე მაღალი ლუქსემბურგშია და შეადგენს 70 ათას დოლარს, ყატარში – 68,7, ნორვეგიაში – 47,5, ქუვეითში – 45 ათას დოლარს, ამასთან, მათი წილი მსოფლიო გამოშვებაში 1%-ზე ნაკლებია. აშშ-ში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 41,6 ათასი დოლარია, რუსეთში – 11,8 ათასი დოლარი (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი СНГ-ში) და 51-ე ადგილზეა მსოფლიოში. http://www.economywatch.com/economic-statistics/economicindicators/GDP_share_share_of_world_totalPPP/

1 http://www.economywatch.com/economic-statistics/economicindicators/GDP_share_share_of_world_totalPPP/

2 იქვე.

ბელი სომხეთში შეადგენდა საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 95,1%-ს, აზერბაიჯანში – 94,0%-ს. 2011 წლისათვის ეს თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა: სამხრეთ კავკასიის მასშტაბით სომხეთში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 55,8%-ს (3040 დოლარი), აზერბაიჯანში – 137,4%-ს (7510 დოლარი), ხოლო საქართველოში – 56,8%-ს (3200 დოლარი). საქართველოსთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი სომხეთში 98%-ია, ხოლო აზერბაიჯანში – 242,4%. ამრიგად, 2003-2011 წლებში სომხეთმა დაძლია არსებითი ჩამორჩენა საქართველოსთან მიმართებაში, ხოლო აზერბაიჯანმა არა მარტო დაძლია, არამედ მნიშვნელოვნად გაუსწრო საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონით. 2011 წელს, 2003 წელთან შედარებით, მშპ აზერბაიჯანში გაიზარდა 198%-ით, სომხეთში – 59, ხოლო საქართველოში – 58%-ით. მთლიანად სამხრეთ კავკასიის მშპ 2011 წელს, 2003 წელთან შედარებით, გაიზარდა 162%-ით, აქედან, ეკონომიკური ზრდის 78% აზერბაიჯანზე მოდის, საქართველოზე – მხოლოდ 12%, ხოლო სომხეთზე – 10%. ამრიგად, ამ პერიოდში საქართველოს მშპ-ის წილი სამხრეთ კავკასიაში თითქმის განახევრდა, ხოლო აზერბაიჯანის წილი თითქმის 1,5-ჯერ გაიზარდა. ამჟამად აზერბაიჯანის მშპ თითქმის 3-ჯერ აღემატება საქართველოსა და სომხეთის ჯამურ მაჩვენებელს, მაშინ როდესაც 2003 წელს მხოლოდ უმნიშვნელოდ (7,0%-მდე) აღემატებოდა.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგომარეობა შედარებით უკეთესად გამოიყურება: მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში იწარმოება მშპ-ის საშუალო მსოფლიო დონის 52%, სომხეთში – 51%, ხოლო აზერბაიჯანში – 130%[1].

ასეთია თანამედროვე პირობებში მსოფლიო ეკონომიკის ზოგადი სურათი და საქართველოს ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

---

1 **არჩვაძე ი.** თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა: განვითარების დონისა და მოწყვლადობის ზოგიერთი ასპექტი. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2012, გვ. 12-14.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობების მკაცრად დაცვა, რაც საფუძველს შექმნის რეალური დემოკრატიული სისტემის დამკვიდრებისთვის. ამ მხრივ, დღეს ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაა. **„კეთილდღეობა კონკურენციის გზით“** – ეს თეზა საკმაოდ აპრობირებულია ცივილიზებულ სამყაროში. ამასთან, ცნობილია, რომ კონკურენციის დაცვა ორგანულ კავშირშია ანტიმონოპოლიურ რეგულირებასთან, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ტრანზიტულ ქვეყნებში საუკეთესო გადაწყვეტილებად იქნა მიჩნეული. იგი მიზნის მიღწევის საშუალებაა, საკმაოდ ფეხმოკიდებულია როგორც აშშ-ში (150-წლიანი ისტორია აქვს), ისე, ევროპასა და წარმატებულ აზიურ ქვეყნებშიც.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა საქართველოში 2006 წელს გაუქმდა. იგი შეიცვალა კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბიზნესი არ იყო თავისუფალი ხელისუფლების ზეწოლისაგან. მათ შორის კავშირი არ იყო აგებული ცივილიზებულ ურთიერთობებზე, პირიქით, ბიზნესი პოლიტიკის წნეხის ქვეშ იყო. მაკონტროლებელი ორგანოები პოლიტიზირებული, მესაკუთრეთა უფლებები შელახული იყო. უდანაშაულო და პოლიტპატიმართა რიცხოვნობა ძალზე დიდი იყო (განსაკუთრებით მაღალი იყო ეს მაჩვენებლები რეფორმირების III ეტაპზე).

მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სისტემა ნაკლებად კონკურენტუნარიანია, კრედიტი, შეიძლება ითქვას, ხელმიუწვდომელია განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. სამაგიეროდ, საბანკო სექტორი ხელს უწყობს ე.წ. ფინანსური პირამიდების წარმოქმნას, ამასთან, აქტიურად მუშაობს უცხოური ქვეყნების ეკონომიკის დაკრედიტებაზე. ფინანსური პირამიდები განსაკუთრებით ჩამოყალიბდა სამშენებლო ბიზნესში, სადაც ძველი ვალდებულებების შესრულებისთვის ახალ ვალდებულებებს იღებდნენ, ახალს კი

ვერ ასრულებდნენ.

საქართველო ერთ-ერთი წარუმატებელი ქვეყანაა, სადაც სპრედი მაღალია. ამას მნიშვნელოვანწილად მაღალი რისკები და არასწორი მენეჯმენტი განაპირობებს, რასაც ყურადღებას არ აქცევს ეროვნული ბანკი. აქედან გამომდინარე, საბანკო სისტემა „სისხლის მიწოდებით“ ვერ ახდენს ეკონომიკური ორგანიზმის კვებას.

მიზანთა კონფლიქტი არსებობს დახმარების გამწევ და დახმარების მიმღებ ქვეყნებს შორის. სხვადასხვა ფორმით დახმარების გაწევა საქართველოს ახალი მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას აიძულებს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში რეალური ეკონომიკის, განსაკუთრებით ქვეყნის ტრადიციული დარგების (სოფლის მეურნეობა, ტყის მეურნეობა, მრეწველობა) ადგილი საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებმა დაიკავა. შესაბამისად დაეცა ამ დარგების მწარმოებლურობა, მომრავლდა ფინანსისტი-სპეკულანტები, რომლებიც შემოსავალს ვალუტების კურსებს შორის სხვაობით იღებენ. ასეთ სიტუაციაში ქვეყანაში ვერც რეალური სექტორი განვითარდა და ვერც – ფინანსური ბაზარი.

თუ 2003 წელს მცირე ბიზნესის წილი საქართველოს სამეწარმეო სექტორის მთლიან გამოშვებაში 9,4%-ს შეადგენდა, 2010 წელს 6,6% შეადგინა, რითაც ქვეყანა 6-ჯერ ჩამორჩა შესაბამის ევროპულ მაჩვენებელს (40%). საშუალო ბიზნესის წილი აღნიშნულ წლებში, შესაბამისად, შეადგენდა 11,2 და 9,2%-ს. შედარებისთვის ევროკავშირში არის 18%. სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი 2003-2010 წლებში 79,4%-დან 84,3%-მდე გაიზარდა და ამ ინდიკატორით საქართველო 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს (42%)[1].

საქართველოში აგრობიზნესის განვითარების მიმართ არ არსებობს სტიმული, შრომის ბაზარზე ყველაზე დაბალი ხელფასი სოფლის მეურნეობაშია – 353 ლარი (საშუალო

1 www.statistics.ge (სექცია „სამეწარემო სფერო“); Eurostat Newsrelease 47.

თვიური ხელფასი), ხოლო ყველაზე მაღალი – საფინანსო სექტორში (1367 ლარი).

საქსტატის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების 90%-ზე მეტი საკუთარი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი (და იგი მოსახლეობის არსებობის, თვითგადარჩენის მნიშვნელოვანი წყაროა).[1] სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების მთლიან შემოსავლებში მხოლოდ 7%-ს შეადგენს.[2]

საქართველოში მოცდენილი, დაუმუშავებელია მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი შიდა გზების მოუწესრიგებლობისა და, საერთოდ, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის გამო. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ნოვაციების დანერგვა არარენტაბელურია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მიხედვით ბოლო ადგილზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. სამინისტროების სამივლინებო ხარჯები გაცილებით მეტია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი სახსრები.

ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 8%-ს ოდნავ აჭარბებს.[3] ყოველწლიურად იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი, რომელიც მნიშვნელოვნად აჭარბებს ექსპორტს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა აგრობიზნესი, მინიმუმამდეა დაყვანილი ამ დარგის განვითრების სახელმწიფო რეგულაცია. ამას ადასტურებს თუნდაც ისიც, რომ არ ხდება დარგის შესაბამისი პროფილის კვალიფიციური კადრების მომზადება. საგრძნობლადაა შემცირებული სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი პროფესიული სასწავლებლები, დაბალია მათი ტექნოლოგიური აღჭურვილობის დონე.

---

1 **ლალიაშვილი ა.** აგროსექტორი – თვითგადარჩენის საშუალება და არა ბიზნესი. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №3.

2 www.statistics.ge (სექცია „შინამეურნეობები“).

3 იქვე.

საქართველოში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც ხელს უშლის სურსათის ეროვნული ბაზრის ფორმირებასა და კონიუნქტურის განსაზღვრას.

რამდენად გამართლებულია მიწის ფართობების უცხოელებზე მასობრივი პრივატიზაცია? ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი აბსოლუტურად გაუმჭირვალეა. რა პირობით იყიდებოდა მიწები ძირითადად ჩინელებზე, ინდოელებზე, ბულგარელებზე, ბურებზე, არაბებზე? სახნავ-სათესი მიწების გასხვისება ხომ პერსპექტივაში კიდევ უფრო გაამწვავებს საქართველოში სასურსათო პრობლემას. ამასთან, უცხოელები თავიანთი ქვეყნიდან საქართველოში ჩამოყვანილ სამუშაო ძალას ასაქმებენ. მოკლედ, **მიწების საპრივატიზაციო პოლიტიკა მხოლოდ უცხოელებზეა მორგებული**. ჩვენი აზრით, მიწების მასობრივი პრივატიზაცია უცხოელებზე უნდა აიკრძალოს, ნაწილობრივ, დასაშვებია არენდით გადაცემა.

ყოველივე ეს მეტყველებს თუ არა იმაზე, რომ საქართველოში არ არსებობს აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში არ არის სისტემური მიდგომა?

ასეთ სიტუაციაში საქართველოში კონკურენციის წესრიგის არსებობაზე საუბარი აზრს მოკლებულია. არადა, კონკურენციის საკითხს ქვეყანაში რამდენიმე ნორმატიული აქტი არეგულირებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“.

საქართველოს საგარეო ვალი ქვეყნის მშპ-ის 75%-ია, აქედან, 45% სახელმწიფოს წილად მოდის, დანარჩენი – კერძო სექტორის ვალია.

რამდენად რეალურია, რომ „პარიზის კლუბი“ ჩამოგვაწერს ვალს? ასეთ გართულებულ სიტუაციაში (აქეთ საბერძნეთი, იქეთ ევროს ციებ-ცხელება), საეჭვოა. ევროლიდერე-

ბი ვერ ახერხებენ ბევრ საკითხში შეთანხმებას, ამასთან, სამომხმარებლო ფასების ინდექსი ევროზონაში იზრდება (2012 წლის იანვარში 2,7%-ით გაიზარდა) და ა.შ.

საქართველოში უკიდურესად გამწვავებული სოციალური პრობლემის პირობებში არ არსებობს სოციალური წესრიგი.[1] საბაზრო ეკონომიკისთვის იმანენტურია სოციალური ფუნქცია, რომელშიც, როგორც სარკეში, აისახება ქვეყნის კონკურენციის განვითარების დონე და ინსტიტუციური წესრიგი (უპირველეს ყოვლისა, წესრიგი საკუთრებით ურთიერთობებში).

საქართველოში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშორებულია მოქალაქეობრივ აქტიურობას, უმუშევრობის პრობლემა კი იმდენად მწვავე და ღრმაა, რომ ფაქტობრივი მონაცემებით უკვე არ მოითხოვს დეტალურ განხილვას. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საქართველოში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველი მე-6 ადამიანი (მსოფლიოში – მე-16) უმუშევარია. დაქირავებით დასაქმებულთა წილი (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 21%-ია[2].

უმუშევრობა კრიმინალური სფეროს რეზერვიცაა. ამიტომ აუცილებელია უმუშევართა შემწეობის კანონის მიღება. იგი, როგორც წესი, გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც გარკვეულწილად აიძულებს ხელისუფლებას აქტიურად იზრუნოს უმუშევრობის შემცირებაზე. აუცილებელია აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების გადამზადების საკითხის მოწესრიგება. ამ შემთხვევაში, სუბიექტი არ მიიღებს შემწეობას, მაგრამ მიიღებს სტიპენდიას, რომელიც, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა. ამიტომ გადამზა-

1 **ასათიანი რ.** ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია – ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორი. „სოციალური ეკონომიკა“, 2012, №3.

2 **არჩვაძე ი.** საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №1.

დების პროგრამაც სახელმწიფო რეგულაციას ექვემდებარება.

კანონი უნდა იყოს დაცვის და არა გამოძალვის საშუალება. **არ ხორციელდება გუნდური პრინციპით ეკონომიკის მართვა. ამ მხრივ, არ არის გათვალისწინებული მსოფლიოში აპრობირებული დასავლური გამოცდილება.** პიარის ტიპის ეფექტის მომტანი ღონისძიებების გატარება (მაგ., ვაუჩერიზაცია, მხოლოდ ფასების ზრდას იწვევს და ანტიინფლაციური პოლიტიკის საწინააღმდეგო ქმედებაა მთავრობის მხრიდან) მხოლოდ ანაგვიანებს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. თუმცა, შეიძლება ითქვას, სისტემური სახით იგი არც არსებობს საქართველოში და მას მხოლოდ „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის", როგორც ინსტიტუციური ერთეულის, არსებობა და ფრაგმენტული ღონისძიებები არ შველის.[1]

სახტადაა დარჩენილი საქართველო – ეს დიდი კულტურისა და ლამაზი ტრადიციების მქონე ქვეყანა. XIX საუკუნის გადმონაშთი – ექსტრემისტული, ველური კაპიტალიზმი XXI საუკუნეში ანგრევს მის ეკონომიკას.[2]

დღეს, ინტელექტუალური ტექნოლოგიების ეპოქაში, როდესაც ფუნდამენტური მეცნიერებები უკანა პლანზე გადადის და წინა პლანზე საბუნებისმეტყველო-ტექნიკური მეცნიერებები გადმოდის, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. 22 წლის წინანდელი რიტორიკით შორს ვერ წავალთ. **მოუფიქრებელმა, თავსმოხვეულმა განათლების რეფორმამ გაცილებით მეტი პრობლემა წარმოქმნა, ვიდრე გადაჭრა.**

საქართველოში ხარისხთან ერთად, მწვავედ დგას განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი. **განათლების სისტემა არ უნდა ემსახურებოდეს „ტვინების ჩარეცხვას" ან**

1 **პაპავა ვ.** ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბილისი. „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა", 2010.

2 **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. "The Caucasus Region Economic and Political Developments". New York. Nava Science Publications, Inc, 2011.

„ქვეყნიდან ტვინების გადინებას“. ეს ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ქვეყანაში და იგი, შეიძლება ითქვას, კულტურული ექსპანსიის ნაწილიცაა.

„მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმის“ 2012 წლის რეიტინგში საქართველო 144 ქვეყანას შორის ბიზნესის განვითარების მიხედვით 113-ე ადგილზეა, ინოვაციების მხრივ – 126-ზე, ხოლო უმაღლესი განათლებისა და პროფესიული გადამზადების მიხედვით – 93-ე ადგილზე[1].

განათლებისკენ სწრაფვა, ეროვნული კულტურის შენარჩუნება, მიმდინარე და სტრატეგიული ინტერესების სწორად განსაზღვრა, კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების დაცვა, სოლიდარობა, ადამიანისთვის თავისუფალი არჩევანის უფლების მინიჭება, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა – ეს ის ფასეულობებია, რომლებზეც დღეს დგას ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყნები. ამ გზით უნდა განვითარდეს საქართველოც. გლობალურ სივრცეში იგი ევროკავშირისკენ მიმავალი გზაა, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს შექმნის ევროპული იდეაა.

დღეს ევროკავშირის ბაზარი ყველაზე ორგანიზებულია მსოფლიოში. ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია, რომლისთვისაც მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მწარმოებლურობაა დამახასიათებელი; ამიტომ ეკონომიკური განვითარების ვექტორი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. საქართველოს ჯერ კიდევ აქვს ამის პერსპექტივა, ამიტომ შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ფსევდოდემოკრატია უნდა შეიცვალოს რეალური დემოკრატიით, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო-პირობების შესრულებას ენიჭება.

1 საქართველო „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ რეიტინგში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9, გვ. 45.

VIII.4. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ეკონომიკური ასპექტები

ახალი დრო ყოველთვის წარმოქმნის თავის პრიორიტეტებს. თანამედროვეობის ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტი **სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაა.** საქართველოში იგი დღეს, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ, ფორმირების პროცესშია, არადა, მის გარეშე თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება და დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება.

სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას საფუძველი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, მისი უკანასკნელი პერიოდიდან ჩაეყარა, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებლობა წარმოიქმნა.[1] დღის წესრიგში „ახალი სოციალური საკითხი“ დადგა როგორც ადამიანური ღირსებისა და სახელმწიფოებრივობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა.[2] იგი თანამედროვე საზოგადოებრივი პროგრესის გამოძახილია, ითვალისწინებს ახალი პოლიტიკური კულტურის წარმოშობის საფუძველზე დემოკრატიის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან. ისინი ერთმანეთს ავსებენ, რაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკითაა განმტკიცებული.[3]

საბაზრო ეკონომიკამ, როგორც „ველური“ კაპიტალიზ-

1 **ასათიანი რ.** ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4.

2 **ასათიანი რ.** „ახალი სოციალური საკითხი“ და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. „შრომები“. II ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2001, გვ. 60-83.

3 **ასათიანი რ.** ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9.

მის წიაღიდან აღმოცენებულმა მისმა ახალმა ფორმამ, საკუთრების პლურალიზმით ექსპლუატაციურ ურთიერთობებზე დამყარებულ კაპიტალიზმს ტრაექტორია შეუცვალა და მისი ახალ თვისებრიობაში გადაზრდა დააჩქარა. კაცობრიობის განვითარების ამ უდიდეს ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან სამუშაო ძალას ეკონომიკური თავისუფლება მიანიჭა და ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა. ამ გარემოებამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს ახალ ამპლუაში და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდაზე. ყურადღება გამახვილდა **ახალი საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე**, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, ეს იყო ახალი სიტყვა უფრო მაღალი სოციალური წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

აღნიშნულ პროცესს მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მძლავრმა პროგრესულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა და, პირველ ყოვლისა, მომსახურების სფეროს, განსაკუთრებით კი განათლებისა და, ინფორმაციული ინდუსტრიის პრიორიტეტულმა განვითარებამ. „ჩვენ მოწმენი ვართ დასავლეთში მიმდინარე მასშტაბური ისტორიული პროცესებისა, როდესაც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობები, სახელისუფლებო სტრუქტურები და ბურჟუაზიული კულტურა სწრაფ ეროზიას განიცდის. ახალ საზოგადოებაში, სადაც სოციალური პრობლემები უკეთესად წყდება, მთავარია არა ძლიერი კუნთები, არამედ ცოდნა და ინფორმაცია“.[1] პარალელურად საფუძველი ჩაეყარა მასშტაბურ საზოგადოებრივ გარდაქმნებს, რამაც ხელი შეუწყო ზნეობრივი ფასეულობების წინა პლანზე წამოწევასა და ჰუმანიზა-

1 **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М., “Academia”, 1999, с. 113.

ციის პროცესების გაღრმავებას.[1] განსაკუთრებული ყურადღება **სოციალური წესრიგის** დამყარებაზე გამახვილდა. პრიორიტეტებად სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა (რომ იგი სოციალურად ასატანი იყოს) გამოცხადდა.*

ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამების ფართო მასშტაბით გატარებაზე.[2] სახელმწიფოს მხარდაჭერის (უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო შეღავათებით) პარალელურად დაიწყო კერძო წყაროებიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამების განხორციელება. ამის პიონერი ამერიკის კონტინენტზე თუ ამერიკის შეერთებული შტატები იყო, დასავლეთ ევროპაში სოციალურობის ტენდენციის გაძლიერებაში დიდი წვლილი გერმანიას და, კერძოდ, ბისმარკის სოციალურ რეფორმებს მიუძღვის.

ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებში მნიშვნელოვანი თეორიული პარადიგმების რეალურად ასახვამ უდიდესი როლი შეასრულა ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თეორიების ჩამოყალიბებაში, მეტიც, ხელი შეუწყო საზოგადოებრივი სექტორის ფორმირებას, რომლის განვითარების კვალდაკვალ, საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკური

1 **ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ.** სოციალური ეკონომიკა. ფორმირება და განვითარება. I ნაწილი. თბილისი, „ინოვაცია“, 2008, გვ. 8.

* **ა. სენ-სიმონმა**, რომელიც აღიარებულია სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად, ჯერ კიდევ 1816 წელს დააარსა ჟურნალი „L'industire“. იგი იკვლევდა ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების, მასთან კავშირში კი – **სოციალური წესრიგისა და მომავლის სოციუმის** საკითხებს; საგულისხმოა, რომ ახალი ინდუსტრიული საზოგადოების საფუძვლად აღიარებდა რა მეწარმოების განვითარებას, მასში განსაკუთრებულ როლს **ინჟინრებს** (მისი სიტყვებით – „**მომავლის ხალხს**“), და დასაქმების სტრუქტურაში პროფესიულ-ტექნიკური პერსონალის უპირატეს ზრდას ანიჭებდა, ამასთან, მკაცრად აკრიტიკებდა სიმდიდრის ფუჭად მომხმარებელ პარაზიტულ კლასს.

2 Social Economics. Eds. **Entvell I**, **Milgate M**., **Newman P.** London, Macmillan press LTD, 1989, p. 277.

მეცნიერების ახალ დარგს – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას.[1] სახელმწიფოს მიერ ბაზრის „შეცდომების“, ნაკლოვანებების გამოსწორების თეორიული განზოგადების რთული და, ამავე დროს, საპატიო მისია ეკონომიკური თეორიის ამ განშტოებას – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკას დაეკისრა. მისი კვლევის სფეროში, გარდა ეკონომიკის არასაბაზრო სექტორის განვითარების, საზოგადოებრივი საქონლის წარმოების (**სახელმწიფოს ალოკაციის ფუნქცია**), უარყოფითი ექსტერნალიების ნიველირებისა და ა.შ. პრობლემებისა, შემოსავლების გადანაწილების (საზოგადოებაში არსებული ქონებრივი უთანასწორობის შემცირება ეკონომიკურ აგენტთა მკვეთრად განსხვავებული შემოსავლების გადანაწილებით – **სახელმწიფოს გადამანაწილებელი ფუნქცია**), სიღარიბისა და მინიმალური სოციალური გარანტიების, ქველმოქმედებისა და მეცენატობის, განათლების სახელმწიფო დაფინანსებისა და სახელმწიფოს მიერ მეცნიერების სტიმულირების აუცილებლობის პრობლემებიც შევიდა.

ამერიკელი ეკონომისტის რ. მიუსგრავის ტიპოლოგიით, ზემოთ აღნიშნულ ალოკაციისა და გადამანაწილებელ ფუნ-

1 **Stiglitz J.E.** Economics of the public sector. Second Edition. New-York-London. “W.W. Nortonn&Company”, 1988; **Atkinson A.B., Stiglitz J.E.** Lectures on public economics. London, 1980; **Рингвист М.** Об общественном секторе: что дает и что берет. Стокгольм, 1995; **Asatiani R.** Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. “Bulletin of the Georgian Academy of Sciences”. Volume 169, number 2, 2004; **ასათიანი რ.** საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და სოციალური პრობლემები. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. გამომცემლობა „სიახლე“, 2008; **ასათიანი რ.** საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და მისი განვითარების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 28-29 ივნისი. თბილისი, 2013.

ქციებთან ერთად, სახელმწიფოს დაეკისრა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ფუნქციაც, რომლის გარეშე ინსტიტუციური (საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრება, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, რესურსების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ფორმირება, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სხვ.), მიკროეკონომიკური (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, გადასახადების ოპტიმიზაცია და სხვ.) და მეგაეკონომიკური (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია, ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლა და სხვ.) პროცესები აშკარა დენორმირებულ ხასიათს იღებს.

სოციალურ სფეროში სახელმწიფოს როლის გააქტიურებამ და მისთვის დაკისრებული ეკონომიკური ფუნქციების პრაქტიკაში რეალიზაციამ გამოიწვია მოსახლეობაში საშუალო ფენის წილის გადიდება, რამაც, თავის მხრივ, ლობიზმის ნეგატიური შედეგების მასშტაბები შეამცირა, დააჩქარა ეკონომიკის ინსტიტუციონალიზმის პროცესი, გაზარდა კერძო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, სამოქალაქო თვითშეგნება, გააფართოვა თვითმმართველობითი სტრუქტურები და, რაც მთავარია, **სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი გახადა.** ამასთან, ჰუმანიზაციის პროცესის გაღრმავებით, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებით სახელმწიფომ **კეთილდღეობის სახელმწიფოს*** ნიშნები შეიძინა.

კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქნა აღიარებული. განვითარებულ ქვეყნებში მაკროეკონომიკური რეგულირების ისეთი მექანიზმები წამოიწია, როგორიცაა სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდა, გადასახადების შემ-

* ტერმინი – „კეთილდღეობის სახელმწიფო“ (welfare state) პირველად 1941 წელს გამოიყენა ინგლისელმა მოაზროვნემ და საეკლესიო მოღვაწემ **უ. ტემპლმა**, როგორც ფაშისტური, „ომის სახელმწიფოს“ (warfare state) ალტერნატივა.

ცირება, უმცირესი, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოება, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურება, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერება, საზოგადოებრივი სექტორის გაფართოვება, ჰორიზონტალური ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, საშუალო ფენის შენარჩუნების მიზნით მათი შემოსავლების გაზრდა, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები უარყოფითი სოციალური შედეგების კორექტირება ანუ პარეტოს მიხედვით გაუმჯობესების მიღწევა რესურსების გადანაწილების გზით, როდესაც ერთი ინდივიდის მდგომარეობა უმჯობესდება მეორე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობის გაუარესების გარეშე და ა.შ. მაგრამ, ასეთი „შემობრუნება“ მხოლოდ ცივილიზებულ სამყაროში მიმდინარეობს, „მესამე სამყაროსთვის“ კი, აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეს სიკეთეები, შეიძლება ითქვას, უცხოა, მიუღწევადია. პირიქით, **განვითარებადი ქვეყნების ცაზე ისევ შავი ღრუბელია ჩამოწოლილი, ღრმავდება დისპროპორციები, მათთვის ხელმიუწვდომელია ჭეშმარიტი ფასეულობები. რაც შეეხება ტრანზიტულ ქვეყნებს (მათ შორის საქართველოსაც), მაკროეკონომიკური წონასწორობა მეტნაკლები ზომით ყველგან დარღვეულია, თუმცა, სურათი განსხვავებულია.**

ცნობილია, რომ ეროვნული სახელმწიფოს აღორძინება შეუძლებელია ეკონომიკის აღორძინების გარეშე. ვერც ერთი სახელმწიფო ვერავითარ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მათ შორის ვერც სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას შეძლებს, თუ იგი ეკონომიკურად სუსტია. ეკონომიკა ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია. თუ ცხოვრების ეკონომიკური მხარე არ იწვევს დაძაბულობას საზოგადოებაში, მაშინ განვითარებისა და უკონფლიქტო თანაარსებობისათვის გასაქანი ეძლევა მის ყველა მხარეს – ზნეობრივს, კულტურულს, ეროვნულ-ეთიკურს, საგანმანათლებლოს, სამეცნიერო-ინოვაციურსა და ა.შ. მაგრამ, ყოველი ჩავარდნა ეკონომიკაში საზოგადოების ბედსა და მის განვითარებაზე მწვავედ აისახება. თუნდაც ეკონომიკური განვითარების ერთი რგოლი ამოვა-

რდეს, ვექტორი მაშინვე იცვლის მიმართულებას და წარმოიქმნება მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, კორუფცია (მათ შორის, ელიტარულიც), ზნეობრივი დეგრადაცია და ა.შ. ამიტომ, ეს მრავალწახნაგოვანი პროცესი მოითხოვს თეორიულ განზოგადებას. **მართალია, მოცემული საკითხი განიხილება, როგორც ზოგადსაკაცობრიო ტენდენცია, მაგრამ ყველა მისი ასპექტი აისახება იმ ეროვნული პრობლემების პრიზმაში, რომლებიც არსებობს დღეს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც.** ამიტომ როგორი სახელმწიფო იქნება საქართველო, მომავალში, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორი ეკონომიკა ჩამოყალიბდება დღეს. ეს უკანასკნელი კი ორგანულად არის დაკავშირებული, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ მექანიზმებზე დაფუძნებულ, ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა სისტემაზე არა მხოლოდ საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ, საგარეოეკონომიკურ და ა.შ. სფეროებში, არამედ სოციალურ სფეროშიც.

ქვეყნების რანჟირებასთან მიმართებაში დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურება სოციალური დიფერენციაციის მოდელები. არსებობს შემოსავლების დიფერენციის ოპტიმალური და ზღვრული დონეები. ამასთან დაკავშირებით გამოყოფენ ოთხ მოდელს: ზეპოლარულს, ზომიერად პოლარულს, ზომიერსა და ეგალიტარულს (არასაბაზროს).

ზეპოლარული მოდელისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის დაბალი დონე, დამქირავებელთა და დაქირავებულთა ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება, მოსახლეობის უმრავლესობის უკიდურესი სიღარიბე, ქონებრივი დიფრენციის მაღალი დონე. ასეთი საზოგადოებისათვის შემოსავლების დიფერენციის დონე უკიდურესად დეცილურ ჯგუფებს შორის შეადგენს არანაკლებ 20-30 : 1-თან.

ზეპოლარული მოდელი უნივერსალური იყო მხოლოდ ინდუსტრიულამდელ საზოგადოებასა და ინდუსტრიული სა-

ზოგადოების პირველ ეტაპზე. მან ნოყიერი ნიადაგი შექმნა კომუნისტური მოძრაობის ფართოდ გაშლისთვის. ამჟამად ეს მოდელი ძირითადად დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ზომიერად პოლარული მოდელი წარმოიშვა XX საუკუნის პირველ ნახევარში და უკავშირდება სოციალური რეგულირების ელემენტების შემოტანას საზოგადოების განვითარებაში. მისი მიზანია შემოსავლების გადანაწილებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. ასეთი მოდელისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციანტი არის 10-15 : 1-თან. ზომიერად პოლარული მოდელი არსებობდა ინდუსტრიულ საზოგადოებაში და ამჟამად იგი დამახასიათებელია ახალინდუსტრიული ქვეყნებისათვის.

განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად არსებობს **ზომიერი მოდელი**, რომლისთვისაც ნიშანდობლივია საერთო კეთილდღეობის ზრდა და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება. ამასთან, ჩვენი აზრით, ამ მოდელის მქონე ქვეყნები ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის მიხედვით. სახელდობრ, **ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით უნდა განვასხვავოთ საკუთრივ სოციალური საბაზრო ეკონომიკისგან.** პირველს მიეკუთვნება ლიბერალური საზოგადოებები, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აშშ (აგრეთვე კანადა). ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები მიმართულია სოციალური თანხმობის

მიღწევისა და მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან. თვით ამ სახელმწიფოს ლომის წილი ეკუთვნის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში. **მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება როგორც პროგრესის, სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი.**

სოციალური დიფერენციაციის მეოთხე მოდელი – არასაბაზრო, **ეგალიტარული მოდელი** არსებობდა ექსკომუნისტურ ქვეყნებში, რეფორმამდელ ჩინეთში, ხოლო ამჟამად არსებობს კუბასა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს მოდელი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა მისთვის დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მიმზიდველი დონე – 4:1-თან.

დღეს მსოფლიოში წარმატებულია და, შეიძლება ითქვას, გაბატონებულიც სოციალური დიფერენციაციის ზომიერი მოდელი. მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მისთვის დამახასაიათებელმა **სოციალურობის გაძლიერების ტენდენციამ** კანონზომიერი ხასიათი მიიღო, თუმცა ამერიკულ საბაზრო ეკონომიკას განასხვავებს გერმანული (და არა მხოლოდ გერმანულ, იგი დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც აერთიანებს) საბაზრო ეკონომიკისაგან, ანუ სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას განასხვავებს სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის რეალურ შესაძლებლობას სპეციალისტები სოციალური საბაზრო ეკონომიკის შექმნაში ხედავენ, ხოლო სოციალური საბაზრო ეკონომიკის გასაღებს – კონკურენციის დაცვაში.

ამ მოდელების მოკლე მიმოხილვა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: **საქართველოსთვის, სამწუხაროდ, დღეს დამახასიათებელია ზეპოლარული მოდელი. იგი ძირითადი პარამეტრებით ამ მოდელში თავსდება. ქვეყანაში ძალზე მაღალია შემოსავლების უთანაბრობის, სოციალური დიფერენციაციის ხარისხი.** მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილი რეფორმების მესამე ათეული

წლის მეოთხე წელი დაიწყო, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და, თუ გნებავთ, პოლიტიკური მდგომარეობა მძიმეა. ფულადი შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი შეადგენს 33:1-თან. საქართველოში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სიღარიბის რაოდენობრივი პარამეტრები.

შემოსავლების განაწილებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით (ჯინის ინდექსი) საქართველოს არა აქვს სახარბიელო მდგომარეობა: შემოსავლების განაწილების მიხედვით უთანასწორობის მაჩვენებელი 0,53-ია, ხოლო მოხმარებაში უთანსაწორობის მაჩვენებელი – 0,40. ქვეყანაში სწორად არ არის გათვლილი სამომხმარებლო კალათა და სწორად დადგენილი – საარსებო მინიმუმი, მინიმალური და საშუალო ხელფასები.

საქართველოში მეწარმეობის განვითარების მიზნით სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა კერძო საკუთრებაში, მაგრამ ამ პროცესს, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, წარმატება არ მოჰყოლია. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოში წინა პლანზე დადგა კერძო ინტერესები, წარმოჩნდა მისი უპირატესობა, მისი პრიორიტეტი საზოგადოებრივთან შედარებით (რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განვლილი ეტაპია ცივილიზაციის ისტორიაში და იგი კაპიტალიზმის განვითარებას უკავშირდება). აქედან გამომდინარე, **ადამიანი დღეს ჩვენში განიხილება არა როგორც წარმოების მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება. ამ გარემოებამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა კორუფციის ზრდისა და სხვა ანტისოციალური მოვლენების გაძლიერებისთვის.**

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება წითელ ზოლად უნდა გასდევდეს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს სახელმწიფოს უხეშ ჩარევას ეკონომიკაში, პოლიტიკისა და ბიზნესის შერწყმას, რაც საქართველოში ხდება. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს უპირველესი ფუნქციაა კონკურენციული გარემოს შექმნა და შემდეგ კონკურენციის დაცვა. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს ცივილი-

ზებულ სამყაროში **საუკეთესო სოციალურ პოლიტიკად კონკურენციული პოლიტიკაა აღიარებული.**

ცივილიზებულ სამყაროში საკმაოდ აპრობირებული თეზა – „კეთილდღეობა კონკურენციის გზით“ – უცხოა ჩვენი ქვეყნისთვის. კონკურენცია სხვა ფაქტორებთან ერთად, ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ არსებობს, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გარკვეული დროის განმავლობაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და, აქედან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობამ.

მართალია, დღეს მსოფლიოში არ არის დემოკრატიის ტრიუმფი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დემოკრატიის განვითარებისათვის, საქართველო კი დღესაც თავისებურ რეპრესიულ რეჟიმშია.[1] **ნაკლებადაა გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები.** ამის ნათელი მაგალითია ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა: საქართველოში რეგისტრირებულია დაახლოებით 10 ათასი არასამთავრობო და 62 საქველმოქმედო ორგანიზაცია, თუმცა, მათი მეათედიც კი არ ფუნქციონირებს. ეს ორგანიზაციები ოფიციალურ დოკუმენტებში „სამოქალაქო საზოგადოებად“ და მესამე სექტორად მოიხსენიება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს გააქტიურდნენ, ჯერ კიდევ სუსტია მათი კავშირი საზოგადოებასთან, რაც გარკვეულწილად ამცირებს ამ ორგანიზაციების ლეგიტიმურობის დონეს. ამასთან, უმრავლესობის მართვის სისტემა სპონტანური და არათანმიმდევრულია, არ არსებობს ამ ორგანიზაციების ქცევის კოდექსი ან სხვა თვითრეგულირების მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი აქვთ, არ ეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობა, ამასთან, მათზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმიც კი ვრცელდება.

ჩვენი აზრით, სამოქალაქო საზოგადოება გაცილებით ფართო ცნებაა, შინაარსობრივად მას დიდი დატვირთვა აქვს

[1] **Papava V.** Anatomical Pathology of Georgia's Rose Revolution. "The Caucasus Region: Economic and Political Developments." New York. Nova Science Publications, Inc, 2011.

და არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებით.

მიმდინარე და სტრატეგიული ინტერესების სწორად განსაზღვრა, ეროვნული კულტურის შენარჩუნება, ტრადიციების დაცვა, ადამიანისთვის თავისუფალი არჩევანის უფლების მინიჭება, განათლებისკენ სწრაფვა, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ის ფასეულობებია, რომლებზეც დღეს დგას დემოკრატიული ქვეყნები და მათში არსებული სამოქალაქო საზოგადოებები. ამ გზით უნდა განვითარდეს საქართველოც.

ეკონომიკური აზროვნების წესის შეცვლით, თანამედროვე მეცნიერული მიღწევების, ინტელექტუალური ტექნოლოგიების გამოყენებით, ქვეყნის უპირატესობების წინა პლანზე წამოწევით შესაძლებელია სოციალური ჰარმონიის, თანხმობის მიღწევა, რაც ეროვნული ეკონომიკის აყვავებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საწინდარია.

IX თავი

კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა – „ეროვნული მუნდირის“ შენარჩუნების გარანტი

IX.1. კონკურენციის გლობალური ტენდენციები და კონკურენტუნარიანობა

ჩვენ გვჭირდება ახალი პერსპექტივა და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული მიდგომა, დაფუძნებული უშუალოდ იმ დარგების ანალიზზე, რომლებმაც საერთაშორისო მასშტაბით მიაღწიეს წარმატებას და არ ითვალისწინებს ტრადიციულ იდეოლოგიას თუ თანამედროვე ინტელექტუალურ მოდას. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ იმის ცოდნა გვჭირდება, თუ რა მუშაობს და რატომ, და შემდეგ – ამ ცოდნის გამოყენება.

მაიკლ პორტერი

ცალკეულ კომპანიებში, ისე როგორც მთელ ეკონომიკაში მიმდინარე რთული პროცესების შესწავლა ხელს უწყობს კონკურენციის თეორიის განვითარებასა და პრაქტიკაში გამოყენებას, რაც მათ შორის არსებული უფსკრულის ამოვსების საშუალებას იძლევა. ეს სიტყვებიც ეკუთვნის კონკურენტული სტრატეგიისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის კონცეფციების მსოფლიოში აღიარებულ ავტორს მაიკლ პორტერს.[1]

1 **Porter M.** The Competitivite Advantages of Nations. “Harvard Business Review”, 1990, №2, p. 18.

კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემებზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ აგრეთვე ე. ჩემბერლინს, ჯ. რობინსონს, ფ. ეჯოურტს, ბ. ოლინს, ე. ჰექშერს, გ. ჰოტელინგს, მ. ერლიხსა და ა.შ.*

ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრაქტიკულ ამოცანათა გადასაწყვეტად ეკონომიკური თეორია ყოველთვის იმპულსს იძლეოდა. ამის ნათელი მაგალითი მრავლადაა ეკონომიკური თეორიის, როგორც მეცნიერების, გენეზისში. „არაფერია კარგ თეორიაზე უფრო პრაქტიკული“ (ე. ჰექშერი). ჩვენც შევეცადეთ ძირითადად თეორიულ ასპექტში გაგვეშუქებინა კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის აქტუალური პრობლემები. ამ მიზნით კონკურენციის გლობალური ტენდენციების, კონკურენციის გლობალიზაციის გაძლიერების ჭრილში განვიხილავთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საკვანძო კომპეტენტურობის თეორია და მასთან დაკავშირებული „ქრეათიული ქსელი“, კონკურენტული უპირატესობის თეორია, ლოკალური და გლობალური კონკურენტუნარიანობა, რეგიონების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ფაქტორები, ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი (მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი) და გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი. **განსახილველ თემასთან დაკავშირებული თეორიული მემკვიდრეობის გამოყენება საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულ ამოცანათა გადასაწყვეტად ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას, რაც, ჩვენი აზრით, „ეროვნული მუნდირის“ შენარჩუნების გარანტია.**

დღეს ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები აღწევენ, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებს. **საქართველომაც, ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოს გლობალიზაციის მოთხოვნები, ამასთან, საკუთარი**

* მაგალითად, არასრულყოფილი კონკურენციის ფორმად აღიარებული მონოპოლიური კონკურენციის მოდელი 1933 წელს შექმნეს **ე. ჩემბერლინმა** („მონოპოლიური კონკურენციის თეორია“) და **ჯ. რობინსონმა** („არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“).

ეკონომიკის განვითარების, ტრადიციებისა და ისტორიული ფასეულობების შენარჩუნების საფუძველზე, ააშენოს ევროპული ცივილიზაცია.

კონკურენცია, როგორც ეკონომიკური ზრდისა (ქვეყნის მასშტაბით) და ეკონომიკური ეფექტიანობის (კომპანიის, დარგის, სექტორის) ამაღლების საფუძველი, საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა სწორედ მათი სიმბიოზით მიიღწევა. კონკურენცია არ ასახავს მხოლოდ ისეთ საბაზრო სიტუაციას, როდესაც ბაზარზე მრავალი მწარმოებელი (გამყიდველი) და მრავალი მომხმარებელია (მყიდველი). კონკურენცია, პირველ ყოვლისა, მეტოქეობაა, ლეგალიზებული, ცივილიზებული ბრძოლის ფორმაა კონტრაჰენტებს, კონკურენტებს (ცალკეულ პირებს, გარკვეულ ჯგუფებს, კომპანიებსა და ა.შ.) შორის საუკეთესო შედეგების (მაღალი მოგებისა და სხვა სარგებლობის) მიღწევისათვის, რაც, საბოლოო ანგარიშით, კონკურენტულ უპირატესობაში აისახება.

იყო პერიოდი, როცა კონკურენცია, მცირე გამონაკლისის გარდა, კლასიკური ფორმით, ფაქტობრივად, არ არსებობდა, აქედან გამომდინარე, ბაზრებზე დომინირებული პოზიციები მკვეთრად გამოხატული იყო. ამასთან, იქ, სადაც იგი არსებობდა, არ იყო ისეთი მწვავე, როგორიც დღესაა. კონკურენციის რეგულირებაში მონაწილეობას ღებულობდნენ მთავრობები და მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებები. აშშ-შიც კი, ეკონომიკის მსხვილი სექტორები ახლო წარსულამდე მკაცრ რეგულირებას ექვემდებარებოდა.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 60-70-იანი წლებიდან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები განვითარდნენ შიგა კონკურენციის გაძლიერების საფუძველზე. ამას კი ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ და განვითარებამ ამ ქვეყნებში. ეს პერიოდი ხომ გლობალიზაციის წარმოშობასაც უკავშირდება. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ **გლობალიზაციის ერთ-ერთ თავისებურებად კონკურენციის გლობალური ტენდენციების გაძლიერებაა აღიარებული.**

მზარდი გლობალური ეკონომიკის სამყაროში კონკურენ-

ციის ხელოვნების დაუფლება როგორც შიგა, ისე საგარეო სფეროში ქვეყნის წარმატების საფუძველია.

კონკურენტული უპირატესობა ყველაზე პროგრესულ, დინამიკურ და გამომწვევ დარგებში მიიღწევა. მათი წარმატება დიდად არის დამოკიდებული ისეთი ბიზნეს-გარემოს შექმნაზე, რომელიც კომპანიებს არ მისცემს მოდუნების საშუალებას. „კომპანიებისათვის ხელსაყრელია, რომ თავიანთ ქვეყნებში ძლიერი მეტოქეები, ენერგიული მომწოდებლები და მომთხოვნი მომხმარებლები ჰყავდეთ“[1]. კონკურენტული კომპანიები იბრძვიან წარმოების მუდმივი განახლებისა და განვითარებისათვის, ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად დანერგონ სიახლეები თავიანთ წარმოებაში და ამით მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას.

ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ყურადღების ცენტრშია კონკურენციისადმი გლობალური მიდგომის საკითხი. კონკურენციის გლობალიზაცია კომპანიებისაგან ახლებურ აზროვნებას, ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას მოითხოვს. ამიტომ კონკურენცია არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ დინამიკური და ცვალებადი პროცესია.

დღეს კონკურენციული ბრძოლის მეთოდები სულ უფრო და უფრო არაფასისმიერ კონკურენციაში აისახება, რაც მაღალი ხარისხის, ტექნოლოგიურად სრულყოფილი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე მიწოდებაში გამოიხატება.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე გამოკვლევებში წინა პლანზე კონკურენციის თეორიამ წამოიწია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **საკვანძო კომპეტენტურობის** (core competence)* თეორია. იგი ასახავს იმ ახალ ტენდენციას, რომელიც ყალიბდება კომპანიაში კოლექტიური ცოდ-

1 **Porter M.** The Competitivite Advantages of Nations. “Harvard Business Review”, 1990, №2, p. 19.

* ეს ტერმინი პირველად გამოყენებულ იქნა ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის წარმომადგენლების **ს. პრაჰალადისა** და **მ. ჰამელის** სტატიაში – „საკვანძო კომპეტენტურობა და ორგანიზაცია“, რომელიც გამოქვეყნდა 1990 წელს „Harvard Business Review“-ში.

ნის სახით. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე აგებული საკვანძო კომპეტენტურობა ეხმარება კომპანიებს არსებული სამეწარმეო თვისებების კოორდინირებასა და განვითარებაში, ინოვაციებზე ორიენტირებული, მუდმივად ცვალებადი ტექნოლოგიური ნაკადების ინტეგრირებაში.

იმის გამო, რომ თანამედროვე ბიზნესმა განიცადა დივერსიფიკაცია, შეუძლებელი ხდება ცენტრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელება. ეს ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ამიტომ დღეს დიდი ყურადღება ექცევა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენს „ქრეათიული ქსელი". მასში შემავალი კორპორაციები ერთმანეთზეა დამოკიდებული, რომელთა წარმატება ურთიერთთანამშრომლობაზეა აგებული. „ქრეათიული ქსელი" ახდენს მასში შემავალი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას. დიდი კომპანიები (ტრადიციული იერარქიული პირამიდისგან განსხვავებით) სულ უფრო მეტად აკისრებენ პასუხისმგებლობას მცირე კომპანიებს გადაწყვეტილების მიღებაში, გადასცემენ მათ პროდუქციის ცალკეულ დეტალებს დასამზადებლად და ა.შ. მენეჯმენტში განხორციელებული ეს ახალი მიდგომა სტიმულს აძლევს კომპანიათა ცალკეულ ჯგუფებს სიახლეების დანერგვისთვის, ახალი პროდუქციის, მომსახურების ახალი სახეობების წარმოებისთვის და სხვ. ამიტომ XXI საუკუნეში „ქრეათიული ქსელის" განვითარებაზე დიდად იქნება დამოკიდებული მენეჯმენტის წარმატება.

კონკურენციის განვითარებაში ასახული პოზიტიური ცვლილებები უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე.

რა არის კონკურენტუნარიანობა? ჩვენი აზრით, ეს საკითხი ორ დონეზე უნდა განვიხილოთ:

პირველი. კონკურენტუნარიანობა მიკრო- და მეზოდონეზე. ეს არის ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების, საქონლისა და მომსახურების თვისება კონკურენცია გაუწიონ ქვეყნის შიგა ბაზარზე ანალოგიური თვისებების მქონე

ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს, საქონელსა და მომსახურებას. ამ თვისების შეფასება დაბალი, საშუალო და მაღალი ლოკალური კონკურენტუნარიანობის განსხვავების საშუალებას იძლევა;

მეორე. კონკურენტუნარიანობა მაკრო- და მეგადონეზე. ეს არის ქვეყნის უნარი კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების ანალოგიური თვისებების მქონე ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს, საქონელსა და მომსახურებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ამ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაში აისახება. აქედან გამომდინარე, **გლობალური კონკურენტუნარიანობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია, რომელიც განსაზღვრავს მის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში**. ამიტომ იგი ყოველი სახელმწიფოს მიზანი და მისი განვითარების დონის ამსახველია, რაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონეში აისახება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, „კონკურენტუნარიანობა არის კომპანიის, დარგის, რეგიონისა და ერის უნარი უზრუნველყოს სხვებთან შედარებით შემოსავლისა და ხელფასის მაღალი დონე, დარჩეს რა ღიად საერთაშორისო კონკურენციისთვის“.[1]

დღეს კონკურენციის გლობალიზაციის ფონზე შეიცვალა ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის საფუძველი. შემთხვევით არაა, რომ თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის თეორია თანდათან ადგილს უთმობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის თეორიას. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეს ახალი თეორია გასცდა წარმოების ხარჯების ანალიზს და აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორიცაა ხარისხი, „ნოუ-ჰაუ“, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა და ა.შ.

მიუხედავად კონკურენტუნარიანობის ამაღლების საერთო ნიშნებისა, დიდი სხვაობაა ქვეყანათა კონკურენტუნარ-

1 The OECD observer. 1996, №97 (January).

იანობის მოდელებს შორის. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ეკონომიკის ყველა დარგში, არც ცალკეული სექტორების უმეტეს დარგებში. ქვეყნები წარმატებას აღწევენ მხოლოდ კონკურენტულ დარგებში. მაგალითად, ცნობილია, რომ აშშ-მა კონკურენტუნარიანობის ზრდის საკმაოდ მაღალ ტემპებს მიაღწია ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციებში, ავიაკოსმოსური ტექნიკის წარმოებაში და ა.შ. იაპონია, როგორც ერთ-ერთი ძლიერი კონკურენტუნარიანი ქვეყანა, მსოფლიოში წარმოდგენილია ისეთი დარგებით, როგორიცაა ელექტრონიკა, მანქანათმშენებლობა და ა.შ.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიებმა წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სტრატეგიით მიაღწიეს (თუმცა ამ სტრატეგიათა განვითარების გზა ზოგადად ერთი და იგივეა).

მაგრამ რა არის სტრატეგია? იგი კომპრომისების გადაჭრის ხელოვნებაა კონკურენციაში.[1] ცნობილია, რომ კომპანიები ზემოგებას ორი გზით აღწევენ: კონკურენტებთან შედარებით მაღალი ფასების დაწესებით ან წარმოების დანახარჯების შემცირებით. პირველი განპირობებულია **ოპერაციულ ეფექტიანობაში** განსხვავებით, რაც გამოიხატება წარმოების ორგანიზაციის უკეთესი მეთოდების მიღწევაში, ხოლო მეორე – **პოზიციურ სტრატეგიაში** განსხვავებით. **კონკურენტული** (ცალკეული ბიზნესის) და **კორპორატიული** (მთლიანად კორპორაციის) სტრატეგიის ეს ორი ფორმა მართალია ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ მათ შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაც კონკურენტულ უპირატესობაში აისახება. კორპორატიულ დონეზე კონკურენტული უპირატესობის მიღწევა ბიზნესის ცალკეული მიმართულებების წარმატების გარეშე შეუძლებელია.

დღეს კომპანიები კონკურენტუნარიანობის ასამაღლე-

1 **Porter M.** The Competitivite Advantages of Nations. “Harvard Business Review”, 1990, №2, p. 69.

ბლად, ან მიღწეული დონის შესანარჩუნებლად არა მხოლოდ ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, არამედ აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ეუფლებიან საერთაშორისო სტანდარტებს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტრენინგს, ინვესტიციებს დებენ ახალი უნარ-ჩვევების ათვისებასა და ცოდნის განახლებაში. მაიკლ პორტერის მთავარი თეზაა ის, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა იქმნება არა გარე, არამედ შიგა ბაზრებზე. მისი აზრით, არასწორი იქნება, თუ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის გასაღებს გლობალურ მასშტაბებში დავუწყებთ ძებნას.[1]

ტელეკომუნიკაციის სფეროში მომხდარმა რევოლუციამ არსებითად შეამცირა დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებული იყო ფირმებს შორის ხელშეკრულების გაფორმებასთან. ტრანსპორტის სფეროში მომხდარმა კოლოსალურმა პროგრესმა ძალზე შეამცირა გადაზიდვებთან დაკავშირებული დანახარჯები. ასეთი ტრანსფორმაციის პირობებში შეიცვალა თავად წარმოების მასშტაბის ეფექტიც.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტენსიური და არა ექსტენსიური წარმოება. დღეს განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75%-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა.[2]

მსოფლიო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ინოვაციური ბიზნესის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს მცირე საწარმოები ასრულებენ. ეს ტენდენცია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო და XXI საუკუნის დასაწყისში კანონზომ-

1 **Портер М.** Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев. Издательский дом «Вильямс», 2000, с. 218.

2 http://www.clelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html

იერი ხასიათი მიიღო. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მცირე მეწარმეობის სფეროში მეცნიერებატევადი ბიზნესის განვითარებისათვის ქვეყნების მთავრობათა მიზანმიმართულმა პოლიტიკამ, რაც გამოიხატა სამართლებრივი რეგულირების სრულყოფაში, შედავათიანი სესხების გაცემაში, კონტრაქტების დადებაში და ა.შ.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური პროცესების სტიმულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტები გახდა. მაგალითად, აშშ-ში ფუნქციონირებს 5 ათასზე მეტი ვენჩურული ფირმა, რომელთა კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ. ვენჩურული კაპიტალი, რომელიც ხასიათდება რისკის მაღალი დონით, გამოიყენება სამეცნიერო-ტექნოლოგიური დამუშავებებისა და გამოგონებების დაფინანსების მიზნით. ამასთან, ინოვაციური პრიორიტეტები მეტწილად მიმართულია ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებისა და საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. დასავლეთში ფართოდ არის გავრცელებული დევიზი – „hi-tech“ ინდუსტრიიდან „hi-hum“ ინდუსტრიისაკენ, რაც ინტელექტუალურ კაპიტალსა და ინოვაციურ ბიზნესში ცვლილებების ტენდენციას ასახავს.

დღეს კონკურენტული უპირატესობის თეორიაში განსაკუთრებული ადგილი კლასტერის ფენომენს უჭირავს. კლასტერი, პირველ ყოვლისა, სტრატეგიული დაჯგუფებაა. იგი ურთიერთდამოკიდებული კომპანიების (მწარმოებლები, მიმწოდებლები და ა.შ.) ჯგუფი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციებია (სახელმწიფო მართვის ორგანოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ინფრასტრუქტურის კომპანიები და ა.შ.), რომლებიც მართალია ფუნქციონირებენ სხვადასხვა სფეროში, მაგრამ სიმბიოზურ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. კლასტერები ტექნოლოგიური პარკებია, რომლებსაც შესწევთ უნარი ეფექტიანად გამოიყენონ რესურსები, რითაც დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში.[1]

კლასტერების საწყისად აღიარებულია XX საუკუნის 50-იანი წლები, როდესაც აშშ-ში, კალიფორნიის შტატში სტენფორდის უნივერსიტეტთან შეიქმნა სამეცნიერო პარკი და საფუძველი ჩაეყარა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამჟამად აშშ-ში 170-მდე კლასტერია, რაც მსოფლიოში არსებული კლასტერების 30%-ზე მეტს შეადგენს. ევროპაში კლასტერები შეიქმნა 70-იანი წლების დასაწყისში, 80-იანი წლებიდან კი კანადაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, სინგაპურში, ბრაზილიაში, მალაიზიასა და ჩინეთში.

დღეს მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოებით პირველ ათეულშია ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი და ინდოეთი. რაც შეეხება რუსეთს, სამეცნიერო პოტენციალის საკმაოდ მაღალი დონის მიუხედავად, მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 10% უჭირავს.

ტექნიკურ მიღწევათა ინდექსისა და ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის მიხედვით, საქართველო ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია.[2] მრავალ სხვა მიზეზთან ერთად, ამის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების ძალზე დაბალი დონეა.

გლობალურ ეკონომიკაში რეგიონების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ფაქტორების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დღეს ქვეყნის რეგიონებს კონკურენციის დამოუკიდებელ სუბიექტებად განიხილავენ.[3] იგი თანამედროვეობის ერთ-ერთ ტენდენციადაცაა აღიარებ-

1 **ასათიანი რ.** ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია. „შრომები“. V ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ. 50.

2 **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2006.

3 **Кетелс К., Портер М.** Конкурентоспособность: экономике нужны ясные цели; www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711

ული. ამის საფუძველს უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში რეგიონებს შორის კონკურენციის ზრდის სულ უფრო მაღალი ტემპები წარმოადგენს. დინამიკური კონკურენტული საბაზრო გარემო ხელს უწყობს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.[1] ეს კი ინოვაციური სამრეწველო კლასტერების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ერთ ტერიტორიაზე ტექნოლოგიური ნიშნით რამდენიმე კომპანიის ინფრასტრუქტურის კონცენტრაცია კლასტერების სახით არა მხოლოდ აძლიერებს მათ შორის კონკურენციას, საინვესტიციო რესურსების მოზიდვასა და ამის საფუძველზე წარმოების მოდერნიზაციას, არამედ ხელს უწყობს ინოვაციების სფეროში მათი საქმიანობის კოორდინაციასა და, საბოლოო ანგარიშით, ბაზრებზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას. ამიტომაცაა აღიარებული აზრი იმის შესახებ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება – კონკურენტული უპირატესობის მოპოვება დიდადაა განპირობებული კლასტერების ადგილმდებარეობით.

რეგიონები, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები, კონკურენტულ ბაზრებზე ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკური, ინფორმაციული, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, კულტურული და ინსტიტუციური პირობებით, განვითარების სტრატეგიითა და ზოგჯერ ეკონომიკური პოლიტიკითაც კი. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი განსხვავებული კონკურენტუნარიანობით ხასიათდებიან.

გასაღების ბაზრებზე რეგიონების კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: განვითარების პრიორიტეტების სწორად შერჩევა; საინვესტიციო პოტენციალი; მეურნეობის დივერსიფიცირების დონე და სტრუქტურა; ინოვაციური პოტენციალი; ენერგეტიკული ბაზა; სამრეწველო პოტენციალი, განსაკუთრებით გადამმუშავებელი

1 **Портер М.** Международная конкуренция. М., «Международные отношения», 1993.

დარგების განვითარება; რეგიონული კლასტერების ფორმირება; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მასშტაბები; მაღალკვალიფიციური კადრები; ინფორმაციული მომსახურების განვითარების დონე და ტემპი; ეკონომიკაში მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგების მაღალი ხვედრითი წონა.

დაბოლოს, რეგიონების კონკურენტულ უპირატესობას დიდად უწყობს ხელს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტუნარიანი რეგიონები მეტად მგრძნობიარეა საბაზრო კონიუნქტურის მიმართ, ისინი, ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქმნიან თავიანთი ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობებს, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველია.

დღეს ბევრი ქვეყანა დიდ ყურადღებას უთმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) განვითარებასა და ცდილობს ამ ახალი საექსპორტო დარგის IT სერვისების (პროგრამული უზრუნველყოფის სერვისების) გლობალურ ბიზნესში ინტეგრირებას.

საქართველო ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით და ამ მხრივ საგრძნობლად ჩამოვრჩებით მეზობელ ქვეყნებს – სომხეთს, თურქეთსა და რუსეთს, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიური კლასტერების ფორმირებაში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ამჟამად IT სერვისების ბაზარზე საქართველოში სულ რაღაც 60-მდე მიკრო-, მცირე და საშუალო ზომის საწარმო და დაახლოებით 1000-მდე პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტია.[1] არადა, თანამედროვე პირობებში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

[1] **ადეიშვილი ნ.** დარგობრივი კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი ასათიანი რ. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012, გვ. 283.

IX.2. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი (მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი)

როგორ იქმნება ქვეყნის კეთილდღეობა, თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში რა ფაქტორები განსაზღვრავს მას? ეს საკითხი გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მეტად აქტუალურია მსოფლიოში, განსაკუთრებით ინტენსიური განხილვის თემაა დღეს და ორგანულად უკავშირდება კონკურენციის გლობალიზაციის პრობლემას. დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია განვიხილოთ ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი (მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი), რაც საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ დღევანდელ პირობებში ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებებში.

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი კონკურენციის გაძლიერების ტენდენცია დემოკრატიული საზოგადოების განვითარების გარანტია, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების უპირველესი ფასეულობაა. **ჯერჯერობით კაცობრიობას უფრო ეფექტიანი მექანიზმი არ შეუმუშავებია**. ამიტომაცაა, რომ კონკურენციას დომინირებული მდგომარეობა უჭირავს ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში. ამასთან, იგი გასცდა ცალკეულ სახელმწიფოთა საზღვრებს და გლობალური მასშტაბები შეიძინა. დღეს წინა პლანზე კონკურენციისადმი გლობალური მიდგომის, კონკურენციის გლობალიზაციის საკითხმა წამოიწია.

გლობალიზაცია არ იძლევა განვითარების გარანტიას. იგი მხოლოდ ამის შესაძლებლობებს ქმნის. ის გარემოება, რომ გლობალიზაცია აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებს, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერული მიღ-

წევების მოკლე დროში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდასა და ა.შ., **ახალი დროის დადგომის მაუწყებელია.** შემთხვევითი არ არის, რომ XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითრების ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც მთავარ როლს ინტელექტუალური კაპიტალი, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ, აქედან გამომდინარე, XXI საუკუნეში ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება რადიკალურად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს.

უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავდნენ ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა: მდიდარი ბუნებრივი რესურსები, დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ვალუტის კურსის სიმყარე, შრომითი რეზერვებისა და, აქედან გამომდინარე, იაფი სამუშაო ძალის სიჭარბე, ბიუჯეტის დეფიციტის არარსებობა და ა.შ., მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკამ არ დაადასტურა ასეთი მიდგომების უტყუარობა. ქვეყნის ეს ფასეულობები მნიშვნელოვან, მაგრამ არა მთავარ, არსებით გავლენას ახდენენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე. მაგალითად, როგორ შეიძლება აიხსნას ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რუსეთის წარუმატებლობა, ხოლო იაპონიის, სამხრეთ კორეისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმატება, რომლებიც ბუნებრივი რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდიან? ან კიდევ, შვეიცარია, შვედეთი და მრავალი სხვა ქვეყანა განვითარდა მუშახელის სიმცირისა და მაღალი ხელფასების პირობებში. ასევე, სწრაფად განვითარდა იტალია, მიუხედავად მაღალი საპროცენტო განაკვეთის და ძვირი ენერგიისა, ხოლო გერმანია – მიუხედავად ვალუტის არამყარი კურსისა.

კონკურენციის ცნობილი მკვლევარი მაიკლ პორტერი სვამს ასეთ კითხვას: რატომ ხდება, რომ რიგი ქვეყნების

ზოგიერთი კომპანია გამუდმებით ეძებს კონკურენტული უპირატესობის სულ უფრო და უფრო რთულ წყაროებს და შესწევს ინოვაციების დანერგვის უნარი? მისი აზრით, ამ კითხვაზე პასუხი ქვეყნის ლოკალური კონკურენტული უპირატესობის ოთხ დეტერმინატში უნდა ვეძიოთ, რომლებიც ერთობლიობაში ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბს (მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი) წარმოქმნიან, ანუ იმ სათამაშო მოედანს, რომელსაც კონკურენტუნარიანი ქვეყანა ქმნის საკუთარი ინდუსტრიის განვითარებისათვის. ეს დეტერმინატებია:

1. **ფაქტორული პირობები.** ქვეყნის პოზიცია იმ წარმოების ფაქტორებთან (კვალიფიციური სამუშაო ძალა, ტექნოლოგიური, ადმინისტრაციული და ფიზიკური ინფრასტრუქტურა, კაპიტალის ბაზრები, მიწოდების პირობები) მიმართებაში, რომლებიც აუცილებელია მოცემული დარგის კონკურენტუნარიანობისათვის. ძალზე მნიშვნელოვანია თუ რა ტემპით და რამდენად ეფექტიანად ქმნის და განაახლებს ქვეყანა ამ ფაქტორებს კონკურენტულ დარგებში. მაგალითად, კოლეჯდამთავრებული მუშახელი არ განაპირობებს კონკურენტულ უპირატესობას თანამედროვე პირობებში. ამისათვის იგი სპეციალიზებული უნდა იყოს დარგის კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ვენჩურულ კაპიტალსა და სტაბილურ ინვესტიციებს მოითხოვს. კონკურენტული უპირატესობა უკავშირდება მსოფლიო კლასის მოდერნიზებული ინსტიტუტების შექმნასა და მათ მიერ წარმოებული ბრენდის შედეგია. მაგ., დანია მსოფლიო ლიდერია დიაბეტის კვლევასა და ინსულინის ექსპორტში, ხოლო ნიდერლანდი მსოფლიო ლიდერია ყვავილების კულტივირების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების სფეროში.

2. **მოთხოვნის პირობები.** ქვეყნის შიდა ბაზარზე მოცემული დარგის პროდუქციაზე მოთხოვნის ხარისხობრივი, თვისებრივი დეტერმინატი, რომელშიც რაოდენობრივიც აისახება;

3. **ქვეყანაში ერთმანეთთან დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი დარგებისა და დამხ-**

მარე სფეროების არსებობა;

4. **კომპანიის მყარი სტრატეგია და კონკურენტული გარემო,** ქვეყანაში არსებული პირობები, რომლებიც წარმართავენ კომპანიების შექმნა-ორგანიზებასა და მართვას, აგრეთვე მეტოქეობასა და კონკურენციის ხასიათს.[1]

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მოდელი, როგორც სისტემა, გავლენას ახდენს კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა: რესურსების ხელმისაწვდომობა, დასაბუთებული უახლესი ინფორმაციის მოპოვება, უნარ-ჩვევების აკუმულირება, რომელთა საფუძველზე კომპანიები აცნობიერებენ რა მიმართულებით წარმართონ თავიანთი ბიზნესი და მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას. პორტერის აზრით, კომპანიებზე განხორციელებული სხვადასხვა სახის ზეწოლა აიძულებს მათ მოიზიდონ ინვესტიციები და განახორციელონ ინოვაციები.[2] მაგალითად, იაპონელთა ცნობილმა განცხადებამ "ჩვენ ვართ კუნძულისახელმწიფო ბუნებრივი რესურსების გარეშე" – კარგი სამსახური გაუწია მათ ქვეყანას ამ ნაკლოვანებით გამოწვეული არახელსაყრელი მდგომარეობა კონკურენტული ინოვაციების განხორცილებითა და ინფორმაციის სწრაფი მოპოვების გზით ბაზრის უფრო მდგრადი სეგმენტების მოძიებაში უცხოელი მეტოქეებისათვის დასწრებით გადაეფარათ.

ამრიგად, ქვეყანაში ჩამოყალიბებული კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების გარემო დროთა განმავლობაში განამტკიცებს მათ კონკურენტულ უპირატესობას. როდესაც კომპანიები არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ნედლეულის სიმცირის, მიწის მაღალი ფასის, მუშახელის დეფიციტის გამო, იმისათვის რომ გაუძლონ კონკურენციას, ისინი ადეკვატურად რეაგირებენ ბაზრის მოთხოვნებზე, ქმნიან ახალ ბაზარს და არაფასისმიერი კონკურენციით

1 **Портер М.** Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев. Издательский дом «Вильямс», 2000, с. 73-75.

2 იქვე, გვ. 80.

აღწევენ წარმატებას.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის თითქმის ყველა დეტერმინატზე ვრცელდება ქვეყნის შიგა მოთხოვნა კვალიფიციური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე კადრების მიმართ. მათ მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ არახელსაყრელი გარემოს უპირატესობად გარდაქმნასა და ინოვაციის სტიმულირებაში.

რაც შეეხება ქვეყნის შიგნით არსებულ მოთხოვნის პირობებს (ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის მეორე დეტერმინატი), ქვეყნის კომპანიებმა კონკურენტული უპირატესობა შეიძლება იმ შემთხვევაში მოიპოვონ, თუ ადგილობრივი მყიდველების მოთხოვნის ხარისხი წინ უსწრებს და ზოგ შემთხვევაში აყალიბებს კიდეც სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს უბიძგებს კომპანიებს მოდერნიზაციისკენ, ინოვაციისკენ და ამით აიძულებს მათ გამოეხმაურონ მწვავე გამოწვევებს, დააკმაყოფილონ მაღალი სტანდარტები. რომბის ამ დეტერმინატის ახსნისათვის პორტერს მოჰყავს საინტერესო მაგალითები: იაპონიაში ცხელი ნესტიანი ზაფხული და ძვირი ელექტროენერგია განსაკუთრებით პატარა სახლებსა და მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ქმნიდა რთულ ვითარებას. ამის საპასუხოდ იაპონურმა კომპანიებმა დაიწყეს კომპაქტური, უხმაურო და ენერგიის დამზოგავი მბრუნავი კომპრესორებიანი კონდენციონერების წარმოება. ამით მათ განახორციელეს ინოვაცია და შექმნეს მსუბუქი, თხელი და მცირე ზომის ახალი პროდუქტი, რომელმაც შემდგომში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. დანიაში გარემოს დაცვაზე ზრუნვამ წარმატება და, აქედან გამომდინარე, კონკურენტული უპირატესობა მოუტანა წყლის დაბინძურების მაკონტროლებელ ორგანიზაციებს, ასევე, ხელსაწყოებისა და ქარის ენერგიაზე მომუშავე წისქვილების მწარმოებელ კომპანიებს.[1]

1 **Портер М.** Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев. Издательский дом «Вильямс», 2000, с. 84-85.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის მესამე მნიშვნელოვანი დეტერმინატი – ერთმანეთთან დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე კონკურენტული დარგებისა და დამხმარე სფეროების ქვეყანაში არსებობა ეფექტიანი, სწრაფი და შედავათიანი გზით ხელსაყრელ პირობებს ქმნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. მაგალითად, ოქროსა და ვერცხლის სამკაულების მწარმოებელმა იტალიურმა კომპანიებმა კონკურენტული უპირატესობა მოიპოვეს იმით, რომ იტალიის სხვა კომპანიები ამარაგებდნენ მათ (და არა მხოლოდ მათ, ეს "სხვა კომპანიები" მსოფლიოს ორ მესამედს ამარაგებდნენ) ძვირფასი ლითონების გადამუშავებისა და სამკაულების წარმოებისათვის საჭირო მანქანებით. ამასთან, რომბის ამ დეტერმინატს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი (ადგილმდებარეობიდან გამომდინარე) განაპირობებს წარმოების ხარჯების (ტრანსპორტირების, კავშირგაბმულობის, ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული და ა.შ.) შემცირებას. გარდა ამისა, ინოვაციის ნაკადი და ადგილობრივ ერთმანეთთან დაკავშირებულ სფეროებში ტექნიკური საკითხების გაცვლა-გამოცვლა აჩქარებს ინოვაციისა და განახლების ტემპებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის მეოთხე დეტერმინატი – კომპანიების მყარი სტრატეგია, სტრუქტურა და მეტოქეობა ქმნის იმ კონკურენტულ გარემოს, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიათა ჩამოყალიბებაზე, ორგანიზებასა და მართვაზე და გარკვეულწილად წარმართავს მენეჯერულ სისტემასაც. ადგილობრივ კომპანიებს შორის კონკურენციის არსებობა კონკურენტული უპირატესობის შექმნის ძლიერი სტიმულია საერთაშორისო არენაზე. მაგალითად, შვეიცარიაში ფარმაკოლოგიურ კომპანიებს შორის მეტოქეობამ უდიდესი როლი შეასრულა იმაში, რომ ამ სფეროში ქვეყანას ერთ-ერთი წამყვანი მდგომარეობა ჰქონდა მსოფლიოში. იაპონიაში გააფთრებულმა კონკურენციამ ელექტრონიკაში, მანქანათმშენებლობაში, ნახევარგამტარების, აუდიოდან-

ადგარების, ფოტოაპარატებისა და ა.შ. წარმოებაში განამტკიცა ამ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო არენაზე. ასევე, აშშ-ში ძლიერმა მეტოქეობამ ტელეკომუნიკაციების მწარმოებელ კომპნიებში განაპირობა კონკურენტუნარიანობის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი მსოფლიოში.

ზემოთ განხილული ოთხი დეტერმინატი მთლიანობაში ქმნის ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბს, რომელიც ხელს უწყობს კონკურენტულ სფეროებში კლასტერების წარმოშობას. კლასტერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დღეს მსოფლიოში ძალზე პოპულარული მოწოდების – "დღევანდელი ინოვაციებით მოაძველეთ თქვენი გუშინდელი პროდუქცია" – რეალიზაციაში.

საქართველოში ეკონომიკის სწრაფი მოდერნიზაციისთვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კონკურენციის გლობალიზაციისა და ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის დეტერმინატების მოთხოვნებს როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვან მიმართულებებს.

IX.3. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი და საქართველო

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF)* ანალიტიკური ჯგუფი ორ ათეულ წელზე მეტია ყოველწლიურად აქვეყნებს სახელმწიფოთა **გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგს**, რომელიც გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, ეფუძნება მრავალი კომპანიის ლიდერთა გამოკითხვის

* მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი **ევროპული მენეჯმენტის ფორუმის** სახელწოდებით ჩამოყალიბდა 1971 წელს. მისი ძირითადი მიზანი იყო ამერიკული მენეჯმენტის მეთოდების დამკვიდრება ევროპულ კომპანიებში, ხოლო 1987 წელს, ფუნქციების გაფართოებასთან დაკავშირებით, მას სახელწოდება შეეცვალა და ეწოდა **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.**

შედეგებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ამ მასშტაბურ გამოკვლევას აწარმოებს პარტნიორული ორგანიზაციების (წამყვანი კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების) ქსელთან ერთად. ანკეტა მოიცავს ბიზნეს-გარემოზე მოქმედ ფაქტორთა ფართო წრეს, რომელშიც, თავის მხრივ, გათვალისწინებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ასეთი მიდგომა ეკონომიკის რეფორმირების პროცესში პრიორიტეტული სფეროების სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი ეყრდნობა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსსა (Global Competitivess Index, GCI) და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსს (Business Competitiveness Index, BCI).

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დადგენისათვის, პირველ ყოვლისა, ხორციელდება როგორც აგრარული, ისე ინდუსტრიული და მომსახურების სექტორების დიდ კომპანიათა გამოკითხვა-გამოკვლევა, რასაც ემატება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები. ამის შემდეგ ხდება მიღებული მონაცემების პრეზენტაცია. ქვეყნის ეკონომიკური პროფილის დადგენისათვის ხორციელდება ყველა სიდიდის კომპანიის, ყველაზე მეტად კი მცირე კომპანიების (100-დან 20 ათასამდე) გამოკითხვა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების განზოგადებული მაჩვენებელია. იგი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისთვის შეიმუშავა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ხავიერ სალარი-მარტინმა და პირველად გამოქვეყნდა 2004 წელს. GCI შედგება 3 განყოფილებისა და 12 სვეტისგან (შესაკრებისგან), რომელთა დეტალური გაანალიზება ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შეფასების შესაძლებლობას ქმნის[1].

GCI-ის პირველი განყოფილება – **ძირითადი მოთხოვნები**

1 BusinessForecast.by; http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf

მოიცავს შემდეგ ოთხ სვეტს: I – ქვეყნის ინსტიტუციონალური მშენებლობა; II – ინფრასტრუქტურა, III – მაკროეკონომიკური სტაბილურობა; IV – ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება.

GCI-ის მეორე განყოფილება – **ეფექტიანობის საყრდენები** მოიცავს შემდეგ ექვს სვეტს: V – უმაღლესი განათლება და ტრენინგი; VI – ბაზრის ეფექტიანობა; VII – შრომის ბაზრის ეფექტიანობა; VIII – ფინანსური ბაზრის მოქნილობა; IX – ტექნოლოგიური მზადყოფნა; X – ბაზრის სიდიდე.

GCI-ის მესამე განყოფილება – **ინოვაცია და დახვეწილობის ფაქტორები** – მოიცავს დანარჩენ ორ სვეტს: XI – ბიზნესის დახვეწილობა; XII – ინოვაცია.

GCI-ის თითოეული სვეტი დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:

GCI-ის I სვეტი – **ინსტიტუციონალური მშენებლობა**, თავის მხრივ, იყოფა**A. საზოგადოებრივ (სახელმწიფო)** და **B. კერძო ინსტიტუტებად. საზოგადოებრივ ინსტიტუტებში** შედის: 1. **ქონების უფლება:** 1.1. ქონების დაცვა; 1.2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. 2. **ეთიკა და კორუფცია:** 2.1. საზოგადოებრივი ფონდების გამოყენების მიზნობრიობა; 2.2. საზოგადოებრივი ნდობა პოლიტიკოსების მიმართ. 3. **გადაჭარბებული გავლენები:** 3.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის შეზღუდვა; 3.2. არაობიექტურობა მთავრობის გადაწყვეტილებების მიღებისას. 4. **მთავრობის საქმიანობის არაეფექტიანობა:** 4.1. სახელმწიფო ფინანსების არაეფექტიანი ხარჯვა; 4.2. სახელმწიფო რეგულირების სიმძიმე; 4.3. კანონმდებლობის არაეფექტიანობა; 4.4. კანონმდებლობის არაეფექტიანობა დავების გადაჭრისას; 4.5. მთავრობის საქმიანობის გამჭირვალობის სისუსტე. **5. უსაფრთხოება:** 5.1. ტერორიზმისაგან ბიზნესის დაცვის ხარჯები; 5.2. კრიმინალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯები; 5.3. ორგანიზაციული დანაშაულის – მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯები; 5.4. პოლიციის სანდოობა. **კერძო ინსტიტუტებში შედის:** 1. **კორპორაციული ეთიკა.** 2. **აღრიცხვიანობა:** 2.1. ბუღალტრული და აუდიტორული სტანდარტების სიძლიერე; 2.2. კორპორაციული მმართველობის

ეფექტიანობა; 2.3. უმცირესობის (აქციათა მფლობელთა) ინტერესების დაცვა.

GCI-ის II სვეტი – **ინფრასტრუქტურა** მოიცავს: A. **ზოგადად ინფრასტრუქტურის შეფასება.** B. **კონკრეტულად:** 1.1. გზების ხარისხი; 1.2. სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ხარისხი; 1.3. პორტი; 1.4. საჰაერო ინფრასტრუქტურის ხარისხი; 1.5. ელექტროენერგია; 1.6. კავშირგაბმულობის განვითარების ხარისხი.

GCI-ის III სვეტი – **მაკროეკონომიკური სტაბილურობა** მოიცავს: 3.1. სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი; 3.2. ეროვნული დანაზოგების კოეფიციენტი; 3.3. ინფლაციის დონე; 3.4. საპროცენტო განაკვეთის ამპლიტუდა; 3.5. სახელმწიფო ვალი.

GCI-ის IV სვეტი – **ჯანმრთელობის დაცვა და დაწყებითი განათლება** მოიცავს: A. **ჯანმრთელობის დაცვა:** 4.1. მალარიის გავლენა ბიზნესზე; 4.2. მალარიის შემთხვევები; 4.3. ტებერკულიოზის გავლენა ბიზნესზე; 4.4. ტუბერკულიოზის შემთხვევები; 4.5. შიდსი; 4.6. ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი; 4.7. სიცოცხლის ხანგრძლივობა. B. **დაწყებითი განათლება:** 4.8. დაწყებითი განათლების ხარისხი; 4.9. სკოლაში შემსვლელ ბავშვთა პროცენტული რაოდენობა; 4.10. სამთავრობო ხარჯები.

GCI-ის V სვეტი – **უმაღლესი განათლება და ტრენინგი** მოიცავს: A. **რაოდენობრივი მაჩვენებლები:** საშუალო განათლების ხარჯები. B. **ხარისხობრივი მაჩვენებლები:** 5.1. განათლების სისტემის ხარისხი; 5.2. მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განათლების ხარისხი; 5.3. მენეჯმენტის სკოლების ხარისხი; 5.4. სკოლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. C. **მუშაობის პროცესში სწავლება:** 5.5. ტრენინგ-კურსების ხელმისაწვდომობა და სპეციალიზებული კვლევები; 5.6. თანამშრომელთა ტრენინგისათვის დახარჯული დრო და სახსრები.

GCI-ის VI სვეტი – **ბაზრის ეფექტიანობა** მოიცავს:

A. **კონკურენციის დონე.** 1. **შიგა ბაზარზე კონკურენცია:** 6.1. შიგა კონკურენციის ინტენსივობა; .2. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა; 6.3. საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა კონკურენციაზე ზემოქმედების თვალსაზრისით; 6.4. მთლიანი

გადასახადის კოეფიციენტი; 6.5. ბიზნესის დაწყების პროცედურების რაოდენობა; 6.6. საჭირო დრო ბიზნესის დაწყებისათვის; 6.7. სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გატარების ხარჯები. 2. **საგარეო ბაზარზე კონკურენცია:** 6.8. სავაჭრო ბარიერები; 6.9. უცხოური კაპიტალის დომინირება; 6.10. უცხოური ინვესტიციების კანონების ზემოქმედება ბიზნესზე; 6.11. საბაჟო პროცედურების სიმძიმე; 6.12. იმპორტის ხვედრითი წონა მშპ-ში. B. **შიგა ბაზარზე მოთხოვნის ხარისხი:** 6.12. მომხმარებლის ორიენტაციის ხარისხი ბაზარზე; 6.13. მომხმარებლის დახვეწილობის დონე.

GCI-ის VII სვეტი – **შრომის ბაზრის ეფექტიანობა** მოიცავს: 7.1. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის კოოპერაცია; 7.2. მოქნილობის ხარისხი ხელფასის განსაზღვრის დროს; 7.3. შრომის ბაზრის მოქნილობა; 7.4. დაქირავების და განთავისუფლების პრაქტიკა; 7.5. სამსახურიდან განთავისუფლების ხარჯები; 7.6. შრომის ანაზღაურება და შრომის მწარმოებლურობა; 7.7. პროფესიულ მენეჯმენტზე დაყრდნობა; 7.8. „ტვინების“ გადინება ქვეყნიდან; 7.9. ქალთა წილი სამუშაო ძალაში.

GCI-ის VIII სვეტი – **ფინანსური ბაზრის მოქნილობა** მოიცავს: 8.1. ფინანსური ბაზრის დახვეწილობა; 8.2. საფონდო ბირჟების ჩართულობა დაფინანსებაში; 8.3. სესხის აღების სიადვილე; 8.4. ვენჩურული კაპიტალის არსებობა/ხელმისაწვდომობა; 8.5. შეზღუდვები კაპიტალის მოძრაობაზე; 8.6. ინვესტორთა დაცვის დონე; 8.7. ბანკების სიძლიერე; 8.8. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება; 8.9. იურიდიული უფლებების ინდექსი.

GCI-ის IX სვეტი – **ტექნოლოგიური მზადყოფნა** მოიცავს: 9.1. უახლოესი ტექნოლოგიებისათვის ხელმისაწვდომობა; 9.2. ტექნოლოგიების ათვისება ფირმის დონეზე; 9.3. კანონმდებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების შესახებ; 9.4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიური ტრანსფერები; 9.5. მობილური ტელეფონების აბონენტთა რაოდენობა; 9.6. ინტერნეტის მოხმარების ინდექსი; 9.7.

პერსონალური კომპიუტერები; 9.8. ფართოზოლიანი ინტერნეტის მომხმარებლები.

GCI-ის X სვეტი – **ბაზრის სიდიდე** მოიცავს: 10.1. შიგა ბაზრის სიდიდის ინდექსი; 10.2. საგარეო ბაზრის სიდიდის ინდექსი.

GCI-ის XI სვეტი – **ბიზნესის დახვეწილობა** მოიცავს: 11.1. შიგა ბაზრის მომწოდებელთა რაოდენობა; 11.2. შიგა ბაზრის მომწოდებელთა ხარისხი; 11.3. კლასტერული განვითარების მდგომარეობა; 11.4. კონკურენტული უპირატესობის ხასიათი; 11.5. ღირებულებათა ჯაჭვის სიდიდე; 11.6. საერთაშორისო დისტრიბუციის კონტროლი; 11.7. წარმოების პროცესის დახვეწილობა; 11.8. მარკეტინგის გამოყენების ხარისხი; 11.9. კომპანიის მართვაში გადაწყვეტილებების მიღების დელეგირების სურვილი.

GCI-ის XII სვეტი – **ინოვაცია** მოიცავს: 12.1. ქვეყანაში ინოვაციური პროცესების არსებობის შესაძლებლობები და უნარი; 12.2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი; 12.3. კომპანიების სამეცნიერო კვლევებსა და ახალი პროდუქტების წარმოებაზე (R&D) დანახარჯები; 12.4. R&D-ის მიზნით კოოპერირების ხარისხი უნივერსიტეტებსა და კომპანიებს შორის: 12.5. მოწინავე ტექნოლოგიური პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები; 12.6. მეცნიერებისა და ინჟინრების რიცხოვნობა; 12.7. პატენტები (სტატისტიკური სამსახურების ინფორმაცია)[1].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ 2010-2011 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით 139 ქვეყნიდან პირველ ათეულში, ყველაზე კონკურენტუნარიანი სახელმწიფოების რიცხვში შევიდა შემდეგი ქვეყნები: შვეიცარია, შვედეთი, სინგაპური, აშშ, გერმანია, იაპონია, ფინეთი, ნიდერლანდი, დანია, კანადა. შემდეგ მოდის ჰონკონგი, დიდი ბრიტანეთი, ტაივანი, ნორვეგია, საფრანგეთი,

1 BusinessForecast.by; http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf

ავსტრალია, ყატარი, ავსტრია, ბელგია, ლუქსემბურგი და ა.შ.

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ყველაზე წარმატებულია ესტონეთი (33-ე ადგილი), ლიტვას უჭირავს 47-ე ადგილი, აზერბაიჯანს – 57-ე, რუსეთს – 63-ე, ლატვიას – 70-ე, ყაზახეთს – 72-ე, უკრაინას – 89-ე ადგილი.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს უკავია 93-ე ადგილი, სომხეთს – 98-ე, ტაჯიკეთს – 116-ე, ხოლო ყირგიზეთს – 121-ე ადგილი. ამათ გარდა, ბოლო ადგილები გაინაწილეს ყველაზე ჩამორჩენილმა განვითარებადმა ქვეყნებმა. 139 ქვეყანას შორის ვერ მოხვდნენ სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნები: ბელორუსი, მოლდოვა, უზბეკეთი, თურქმენეთი.

საგულისხმოა, რომ საქართველო ამ გლობალური ინდიკატორით როგორც 2009-2010, ისე 2010-2011 წლებში 90-ე ადგილზე იყო, მაშინ როდესაც აზერბაიჯანს 2009-2010 წლებში 69-ე ადგილი ეკავა, ხოლო 2010-2011 წლებში გადმოინაცვლა 57-ე ადგილზე (12 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა)[1].

როგორ უნდა ამაღლდეს კონკურენტუნარიანობა საქართველოში? ამის ორიენტირს თვით გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მოთხოვნები იძლევა. პირველ ყოვლისა, აუცილებელია გავაანალიზოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება, მიღწეული პოზიტიური შედეგები და დაშვებული შეცდომები, გავერკვეთ, საით მიდის საქართველო, რა მიზნებს ემსახურება არსებული ეკონომიკური პოლიტიკა, რამდენად არის გამოყენებული კონკურენტუნარიანი რესურსები, მათ შორის მაღალკვალიფიციური კადრები.[2]

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული

1 BusinessForecast.by; http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf

2 **ასათიანი რ.** გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და ეკონომიკური თეორია ახალი გამოწვევების წინაშე. „ახალი ეკონომისტი“, 2010, №3.

მდგომარეობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა.

ამასთან დაკავშირებით ობიექტურად ისმება კითხვა: **როგორ შეიძლება ქართული სასურსათო ბაზარი გენური ინჟინერიით წარმოებული და ფალსიფიცირებული უცხოური პროდუქციით იყოს მონოპოლიზებული?! სად არის ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომლითაც ყოველთვის ამაყობდა საქართველო და იგი ეროვნული ფასეულობის შემადგენელ ნაწილსაც კი წარმოადგენდა.**

იმის გამო, რომ არ არის დაცული ბაზარი და ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებას, სოფლად ჩამკვდარია საბაზრო მოტივაცია, ნელ-ნელა იცლება საქართველოს სოფლები. დარჩენილ მოსახლეობას აკლია შინაგანი სიმშვიდე, სოფლის გადარჩენის რეალური ნაბიჯები კი ნაკლებად ჩანს.

თუ ქართული სოფელი დაცარიელდება, ამით ჩვენს მტრებს თავის საქმეს ჩვენივე ხელით გავაკეთებინებთ. ამიტომ დროა რეალურად ყურადღება მივაქციოთ სოფლის მეურნეობის განვითარებას. იგი ხომ მრავალ სხვა დადებით შედეგთან ერთად, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობის სწორ მიმართულებად მიგვაჩნია[1]. მაგრამ მედალს მეორე მხარეც ხომ აქვს: გასათვალისწინებელია უარყოფითი გარე ეფექტებიც. ისეთი აწონ-დაწონილი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს ნეგატიურ ექსტერნალიებს. „საქართველოს მოსახლეობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, უწინარეს ყოვლისა ელის მა-

1 **ასათიანი რ.** საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების პერსპექტივები. „ეკონომიკური რეფორმა და საქართველოს მომავალი“. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი., საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, 1999, 7-8 მაისი; **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects: “Current Politics and Economics of the Caucasus Region. Vol. 2, issue 4. New-York, 2009.

ღალპროფესიულ დახმარებას და არა წაყრუებას მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომ არაფერი ვთქვათ არსებული სიტუაციის შელამაზებაზე".[1]

წარმატებები საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში უნდა აისახოს. თუ ასე არ არის, მაშინ ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ სერიოზული შეცდომებია დაშვებული ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმირების გზაზე, რაც დაფიქრებას საჭიროებს.

დღეს დასავლეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა SWOT ანალიზს – ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს[2], რომლის გათვალისწინება გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ეროვნული ეკონომიკის რეფორმირებაში.

1 **პაპავა ვ.** არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, გვ. 378.

2 **Кетелс К., Портер М.** Конкурентноспособность: экономике нужны ясные цели; www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711

X თავი

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკურ პოლიტიკას უდიდესი როლი აკისრია ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და, აქედან გამომდინარე, კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ა.შ. ფასეულობათა დამკვიდრებაში. ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ხარისხზე სახელმწიფოა პასუხისმგებელი. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოა იმის გარანტი თუ არსებული ეკონომიკური პოლიტიკა რამდენად ადეკვატურია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა და თავისებურებების, რამდენად წარმატებულად იმართება იგი. რეალურად არსებობს კი ასეთი პოლიტიკა, თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა?

აღნიშნულ პრობლემას სანამ განვიხილავდეთ ეროვნული ეკონომიკის ჭრილში – საქართველოსთან მიმართებაში, მიზანშეწონილია მოკლედ გავაშუქოთ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ის ეტაპები, რომლებმაც უშუალოდ წარმოაჩინა ეკონომიკური პოლიტიკის განსაკუთრებული როლი კაცობრიობის პროგრესში.

სხვადასხვა კრიტერიუმით სხვადასხვა ეტაპებად შეიძლება დაიყოს მსოფლიო ეკონომიკური განვითარება. მაგალითად, საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ტექნიკურ ასპექტებთან მიმართებაში მსოფლიო ეკონომიკური განვითარება სამ ძირითად ეტაპად იყოფა და ინდუსტრიულამდელ

(აგრარულ), ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებად არის ცნობილი. ეს ეტაპები სხვადასხვა კუთხით ასახავს საზოგადოების რეალური განვითარების გზას, წამყვანი ადგილი კი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებულ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას უჭირავს, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაზე და სისტემური ცვლილებები გამოიწვია მასში.[1]

ამავე საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, „ინტელექტუალური“ ტექნოლოგიების შექმნას, შესაბამისად, დასაქმების სტრუქტურაში პროფესიულ-ტექნიკური პერსონალის უპირატეს ზრდას, მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციასა და მომსახურების ეკონომიკის განსაკუთრებული როლის წარმოჩენას.[2]

ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში*, ჩვენი აზრით, მსოფლიო ეკონომიკური განვითარება შეიძლება დაიყოს ოთხ ეტაპად: **I ეტაპი** იწყება XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან – კლასიკური ეკონომიკური თეორიის (რომელიც პოლიტიკური ეკონომიის სახელწოდებით დამკვიდრდა) წარმოშობიდან, შესაბამისად, ინგლისური კლასიკური სკოლის აღმოცენებიდან (რაც დასავლეთში კაპიტალიზმის განვითარე-

1 **Белл Д.** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М., “Academia”, 1999.

2 **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993; **ასათიანი რ.** სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებული ფორმა. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2012, №4.

* ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათს განსაზღვრავს ხელისუფლების ქცევა ეკონომიკაში. ეს შეიძლება იყოს აბსოლუტურად ჩაურევლობა ეკონომიკაში (Laissez-faires), რომელიც ეყრდნობა კლასიკურ-ლიბერალურ თეორიაზე აგებულ „უხილავი ხელის“ პოლიტიკას ან უხეში ჩარევა მასში (ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვა), ან კიდევ, ხელისუფლების მიერ შუალედური პოზიციის დაკავება და მაკროეკონომიკური რეგულირების მკაცრად განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

ბის პარალელურად მოხდა) და გრძელდება XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ადამ სმითის პერიოდიდან მოყოლებული კლასიკურ-ლიბერალურმა ეკონომიკურმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას, რომელსაც მანამდე სპონტანური ხასიათი ჰქონდა. **ადამ სმითის ნაშრომის – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ – გამოსვლიდან იწყება არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიაც.**

ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც თითქმის 160 წლის მანძილზე საფუძვლად ედო წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, უდიდესი როლი შეასრულა არა მხოლოდ „ველური“ კაპიტალიზმის, არამედ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკა ღრმა დეპრესიამ მოიცვა, თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა უცვლელი რჩებოდა. სმითისეული „უხილავი ხელის“ თეორიაზე აგებული დრომოჭმული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა კვლავინდებურად „აზრთა კონვერგენციის“ გამოხატულებას წარმოადგენდა.

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების **II ეტაპი** იწყება XX საუკუნი 40-იანი წლებიდან და გრძელდება 1974-1975 წლების ეკონომიკურ კრიზისამდე. ჯონ მეინარდ კეინზის მიერ წარმოდგენილმა მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიამ მთვლემარე მდგომარეობაში მყოფ ლიდერი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკაში განმსაზღვრელი ადგილი დაიკავა და ჩაანაცვლა კლასიკურ-ლიბერალური თეორია.*

* მეცნიერება პარაზიტის მსგავსია: რაც უფრო მეტია ავადმყოფების რიცხვი, მით უფრო მეტია მიღწევები ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში, პათოლოგიიდან კი აღმოცენდება თერაპია. 1929 წელი იყო დიდი დეპრესიის ძირი და მისი ჭუჭყიანი ნიადაგიდან მოგვიანებით აღმოცენდა ახალი საგანი, რომესაც დღეს მაკროეკონომიკას ვუწოდებთ (**პოლ სამუელსონი**).

ჯერ კიდევ 1950 წელს ვალტერ ოიკენი წერდა: „საათმა დაჰკრა, **ეკონომიკურმა პოლიტიკამ ახალი შინაარსი შეიძინა...** უნდა ვიჩქაროთ, თორემ სამრეწველო აპარატი მას გაჭყლეტს“.[1]

„კეინზიანური რევოლუციით“ დასავლეთის ქვეყნები ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადაერთო. დაძლეულ იქნა „დიდი დეპრესია“, მოხდა ეკონომიკის სტაბილიზაცია. მაკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანურმა მოდელმა და მასზე აგებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია კაპიტალიზმის ახალ თვისებრიობაში გადაზრდა: „ველური“ კაპიტალიზმი ევოლუციური გზით გარდაიქმნა საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემად. „მოთხოვნის თეორიის“ საფუძველზე შექმნილმა კეინზიანურმა მოდელმა უარყო მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში გაბატონებული სმითისეული კონცეფცია და ადგილი სოციალურ ორიენტაციაზე აგებულ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტს დაუთმო. **ეს არის რაციონალური ქცევის თეორია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისთვისაა ანგარიშგასაწევი. მასზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა სიდუხჭირიდან ქვეყნის გამოყვანის მსოფლიოში აპრობირებულ მიმართულებადაა აღიარებული.**[2]

70-იანი წლებიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. „სახელმწიფო ინტერვენცია“ გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის ზრდაში, სახელმწიფო აპარატის გაბერვაში, საბოლოო ანგარიშით, გადასახადების გადიდებაში. ამან გამოიწვია ეკონომიკის სტიმულირების შესუსტება, რასაც მოჰყვა ეკონომიკური ზრდის შენელება.

---

1 Ойкен В. Основные принципы экономической политики. Перевод с немецкого. М., 1995, с. 68.

2 **ასათიანი რ.** ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013.

1974-1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ყველაზე ღრმა იყო 1929-1933 წლების კრიზისის შემდეგ, ხელშემწყობი პირობები შექმნა „სახელმწიფო მინიმუმის“ თეორიის აღორძინებისათვის. მართალია, 1974–1975 წლების კრიზისთან დაკავშირებით საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში, ნეგატიური ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების აღკვეთის მიზნით, პრინციპული კორექტივები იქნა შეტანილი, მაგრამ კეინზიანური მოდელის მოწინააღმდეგეთა შეხედულებების რენესანსი მაინც ვერ მოხერხდა. საქმე ისაა, რომ ნეოკონსერვატული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ გამოიწვია სოციალური ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება და სერიოზული პრობლემები წარმოქმნა სოციალური დაცვის სფეროში. გამოიკვეთა საბაზრო ეკონომიკის განვითარების ახალი მიმართულების შექმნის აუცილებლობა. 80–იანი წლებიდან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, ნეოკლასიკურთან ერთად, სათანადო ადგილი დაიკავა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურმა მოდელმაც, რაც „ნეოკლასიკურ სინთეზში“ აისახა.

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების **III ეტაპი** იწყება XX საუკუნის 80-იანი წლებიდან და გრძელდება 90-იანი წლების II ნახევრამდე. ამ პერიოდში **„ნეოკლასიკური სინთეზი“ საფუძვლად დაედო ამ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას.** იგი ეყრდნობოდა „ორივე ხელის სტრატეგიას“ ანუ როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგომების მნიშვნელოვანი პოსტულატების გათვალისწინებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში. ეს პერიოდი – **XX საუკუნის ბოლო ორი ათწლეული განვითარებული ქვეყნებისთვის იყო ეკონომიკის სტაბილურობისა და აღმასვლის პერიოდი.** ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად შემცირდა ინფლაცია, უმუშევრობა და მიღწეულ იქნა მყარი ეკონომიკური ზრდა. **ამ გარემოებამ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლასა და, მრავალი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, განვითარების ახალი გზის არჩევაში.** მაგრამ 90-იანი წლების II ნახ-

ევრიდან სრულიად საწინააღმდეგო პროცესები განვითარდა.

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების **IV ეტაპიც** სწორედ გასული საუკუნის 90-იანი წლების II ნახევრიდან დაიწყო და „დაგვირგვინდა“ 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით. ეს პერიოდი უკავშირდება „ანტიკეინზიანურ რევოლუციას“, რომელმაც არსებითი გარდატეხა შეიტანა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. „ნეოკლასიკური სინთეზის“ ადგილი მონეტარულმა თეორიამ დაიკავა.

თავდაპირველად მონეტარიზმი მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა. **„ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა** სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების გარანტად იყო აღიარებული. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვის“, პროფკავშირების როლის შესუსტების გზით. „ოქროს წლებად“ მონათლულ ამ პერიოდში აღზევებული მონეტარიზმი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა. მონეტარისტები ვერ ეგუებოდნენ კეინზიანური თეორიის მომხიბვლელობას და მისი შეჯერება მონეტარიზმთან წარმოუდგენლად მიაჩნდათ. მათი აზრით, ფისკალური პოლიტიკა (სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდა და გადასახადების შემცირება) რეცესიასთან ბრძოლაში საჭირო არ იყო. „ჩიკაგოს სკოლამ“ მაკროეკონომიკური რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ბერკეტები, როგორიცაა საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირება უკანა პლანზე გადასწია და წამყვანი როლი ფულად-საკრედიტო რეგულირებას მიანიჭა. ამასთან, მონეტარისტებმა, „სახელმწიფო მინიმუმის“ დოქტრინაზე დაყრდნობით, განმსაზღვრელი როლი ფულად რეგულირებას დააკისრეს, რითაც საკრედიტო ბერკეტები შეასუსტეს. მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“

ზეიმობდა, ხოლო მილთონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ „დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2006 წლიდან, ნელნელა იკვეთებოდა. ფინანსურ ბაზრებზე მოკლევადიანმა სპეკულაციურმა გარიგებებმა გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას. ფულით ფულის კეთებამ უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით რეალურ სექტორზე მოახდინა, რადგან ფულმა ეკონომიკისათვის ვერ იმუშავა. ყოველივე ეს ეკონომიკის მკვეთრ ვარდნაში გამოიხატა. ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც მოწყდა რეალურ ეკონომიკას, მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რომელიც შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა. მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“. ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში საფრანგეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზმა განაცხადა, რომ „ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრახი განიცადა და აუცილებელია იგი შეიცვალოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელით.[1] ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიოს ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება.[2]

ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მისაღწევად, საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოებაა. ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულ-

1 The Economist. October 11, 2008, p. 12.

2 http://ictsd.org/i/news/bridges-russiandigest/69878

ის კეთების ხელოვნებამ, რომელსაც არისტოტელემ ქრემატისტიკა უწოდა, დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა), შედეგად კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ამაში ეკონომიკურ პოლიტიკაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა. თანამედროვე მონეტარიზმის მოდელი საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკურ პოლიტიკას. ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მეტნაკლები ზომით ნებისმიერ ქვეყანაში აისახა, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. სსფ-ის ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მშპ-ის ზრდის ტემპი 2008 წლის 0,44%-დან 2009 წელს მინუს 2,44%-მდე დაეცა, ხოლო მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტისა – 3,02%-დან 0,60%-მდე.[1]

როგორც პოლ კრუგმანი აღნიშნავს, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“ და თვით აშშ-ში – საბაზრო ფუნდამენტალიზმის ამ ციტადელშიც კი კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა.[2]

ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა. კეინზის მაკროეკონომიკურმა მოდელმა, განსაკუთრებით იმან, რომ ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით იწყება, რასაც ბაზრის ტევადობის გაზრდა, წარმოების გაფართოება და უმუშევრობის შემცირება მოჰყვება, ყოველივე ეს კი, წარმოქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახ-

1 http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878

2 **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10 (**Krugman P.** How did economists get it so wrong? “New York Times”, September 2, 2009).

ება, ისევ მიიპყრო ყურადღება.

დღის წესრიგში ეკონომიკური პოლიტიკის მეინსტრიმის საკითხი დადგა. თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო ისევ კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნებულიყო. წინა პლანზე ისევ ეკონომიკურ პოლიტიკაში და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში ჩაშენებული სტაბილიზატორის, როლის გააქტიურებამ (**სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდამ, გადასახადების შემცირებამ, კერძო სექტორის სუბსიდირებამ, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ, საშუალო ფენის შენარჩუნების მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ, საზოგადოებრივი სექტორის განმტკიცებამ** და ა.შ.) წამოიწია.

მსოფლიოში ტომის მიმცემი ლიდერი ქვეყნების „საჭეთმპყრობელნი“ დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში ამ მიმართულებით არსებითი ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა.

ამრიგად, დღეს მსოფლიო, ახალი გლობალური კრიზისის პირობებში, „ფრიდმენის ფილოსოფიის“ შეცვლის პროცესშია.

საყურადღებოა ეკონომიკურ პოლიტიკაში მონეტარული თეორიის როლის შესახებ პ. კრუგმანის მოსაზრება. მისი აზრით, ჩიკაგოელი ეკონომისტების კომენტარები არის „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტი, სადაც რთულად მოპოვებული ცოდნა დავიწყებული იქნა, ხოლო უცნაური განტოლებებით გამოპრანჭული ირაციონალური და არაპროგნოზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდნენ რეალობისაგან.[1]

1 **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10 (**Krugman P.** How did economists get it so wrong? “New York Times”, September 2, 2009).

„კეინზიანური რევოლუციიდან“ მოყოლებული, არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციაში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო ჯონ მეინარდ კეინზის თეორია. მაგრამ ეს „ფუფუნება“ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს ერგოთ წილად, რომელთა რიცხვი მსოფლიოში არც თუ ისე დიდია. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით, ამ ქვეყნების რაოდენობა განსხვავებულია, მაგრამ არის 22 ქვეყანა, რომელიც ნებისმიერ კლასიფიკაციაშია ასახული. მათ წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის 2/3. საშუალო განვითარების – ახალინდუსტრიული ქვეყნების რიცხვი 10-ია, განვითარებადია 137 ქვეყანა, აქედან, ყველაზე ნაკლებად განვითარებული და ღარიბი 50 ქვეყანაა, რომელთა წილად მოდის მსოფლიო მშპ-ის მხოლოდ 0,6%. ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი 27 პოსტკომუნისტური ქვეყანა.[1]

განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკურ პოლიტიკას სპონტანური ხასიათი აქვს და კლასიკური ფორმით არც ერთი თეორია არ ყოფილა გათვალისწინებული მათ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამ ქვეყნებმა როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით, ვერ გამოიყენეს მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება, ამიტომ ვერ შეძლეს ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებში არიან მოქცეულნი.

საქართველოც, სამწუხაროდ, იგივე მდგომარეობაშია; გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში საქართველოს კლასიკური ფორმით არც ერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია, მითუმეტეს კეინზიანური მოდელი. ამიტომ ქვეყანაში იგნორირებულია ეკონომიკური პოლიტიკისადმი წაყენებული მოთხოვნები, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები,

[1] World Population Data Sheet Population Rederence Bureu-2009. Washington, 2009.

დაბალია ცხოვრების დონე, მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მიზერულია საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დაწყებულმა უდიდესმა სისტემურმა გარდაქმნებმა და უსისტემოდ განხორციელებულმა რეფორმებმა გაცილებით მეტი პრობლემა წარმოქმნა, ვიდრე გადაჭრა. ქვეყნის ბედსა და მის მომავალზე დაფიქრების საფუძველს იძლევა დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, გაუსაძლისი სოციალური ფონი, მწვავე სოციალური სტრატიფიკაცია და დაძაბული პოლიტიკური ვითარება. **ქვეყნის ეკონომიკის (და არა მხოლოდ ეკონომიკის) არასწორმა მართვამ, გარედან თავს მოხვეულმა და ხელისუფლების მიერ გაუაზრებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ეკონომიკის მოშლა გამოიწვია და ქვეყანა ჩიხში მოაქცია.**[1] კვაზიდემოკრატია აფერხებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. **დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვნას? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას?** არადა, დღეს ამის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივი აღდგენა და სრული ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო პარალიზებული სამამულო წარმოების, დეფიციტური ეკონომიკის პირობებში. არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა არა მხოლოდ ადმინისტრაციული მმართველობის შედეგებთან დაკავშირებული სიძნელეები, არა მხოლოდ საზოგადოების ცნობირებაში დამკვიდრებული ფსიქოლოგიური სტერეოტიპები, არამედ საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაციაც. ეს უკანასკნელი აისახა ეროვნებათაშორისი ურთიერთობების გამწვავებასა და საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ საშემსრულებლო დისციპლინის აბუჩად

1 **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი ასათიანი რ. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

აგდებაში, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფიზიკურ განადგურებაში და ა.შ.

მართალია საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან (ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება). 1989 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა 21%-ით შემცირდა და 2012 წელს 4497,6 ათასი კაცი შეადგინა.[1] დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობა. 1990 წელთან შედარებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა. ამჟამად სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის პროპორცია 1:100-ზე და მეტია.[2]

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ჰარმონიულობის მიღწევის რთული ამოცანის წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ. ეკონომიკის სუსტი განვითარება განაპირობა არასტაბილურმა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემომ, ფაქტობრივად, დათრგუნულმა მონოპოლიურმა ბაზარმა, საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობამ, კორუფციამ სახელმწიფო სტრუქტურებში, ხელისუფლების მხრივ ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დაუცველობამ, ენერგეტიკულმა კრიზისმა, მმართველობისა და კონტროლის ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევამ, საბანკო სისტემის არასაიმედოობამ, უცხოური საქონლის იმპორტის ხელშეწყობამ და ბაზრის გაჯერებამ იაფფასიანი პროდუქციით, კონტრაბანდისთვის მწვანე შუქის მიცემამ (რაც გამოიხატებოდა განუბაჟებელი საქონლის შემოსვლით) და ა.შ. ყოველივე ამას დაემატა მენეჯმენტის დაბალი დონე, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, საგადასახადო კულტურის მოუწესრიგებლობა და სხვ. აქედან გამომდინარე, საქართველოში, ძირითადად ენდოგენური ფაქტორების გავლენით, მათ შორის არასწორად განხორციელებული ე.წ. მცირე პრივატიზაციის გამო, სათანადოდ ვერ განვითარდა

1 www.statistics.ge (სექცია „მოსახლეობა“).

2 **არჩვაძე ი.** საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №1.

მცირე და საშუალო ბიზნესი. ამისთვის არ შეიქმნა ჯანსაღი ბიზნესგარემო.

მეწარმეობის განვითარებას ხელს უშლიდა არასტაბილური საგადასახადო სისტემა, განუწყვეტელი ცვლილებები კანონმდებლობაში კი ხელს უწყობდა საწარმოთა გეგმების შეუსრულებლობას, გადასახადების გადახდის დაგვიანებისთვის სანქციების დაწესებას და ა.შ. მოკლედ, **არა ევროპულმა, არამედ, ჯერ კიდევ, საბჭოურმა ორიენტაციამ დაღი დაასვა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას საქართველოში**, უარყოფითი გავლენა მოახდინა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

2012 წლის მონაცემებით, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია ქვეყნის ყოველი ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 77, ანუ მხოლოდ ყოველი მეცამეტე, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე დაახლოებით 5,5-ჯერ ნაკლებია. საქართველო მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე 3-ჯერ ჩამორჩება EU-27-ს მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების რაოდენობით.[1] მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო საქმიანობის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს.[2]

როგორც საერთაშორისო გამოცდილებიდან ჩანს, მცირე ბიზნესის განვითარებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამდით არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისითაც.

---

1 **არჩვაძე ი., ქურხული ლ.** სახელფასო მოტივაციის „ნაციონალური“ თავისებურებანი (ხელფასის ფორმირების ზოგიერთი ასპექტი 2003-2012 წლების საქართველოს მაგალითზე). „სოციალური ეკონომიკა“, 2012, №5.

2 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo; Human Development Report - 2010. New York, 2010.

თავიდან ვერ მოვიცილეთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას. დასავლეთის საკრედიტო „ინიექციებმა“ სწრაფად გაზარდა საქართველოს საგარეო ვალი და უდიდესი ღილემის წინაშე დააყენა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების მხრივ. 2013 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალმა 13,5 მლრდ დოლარს მიაღწია, ხოლო საგარეო და საშინაო ვალის მომსახურების წლიურმა ღირებულებამ 900 მლნ დოლარს გადააჭარბა. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის წილი მშპ-ში 25,3%-ია.[1]

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა №5 ცხრილი.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკური ქვეყანაა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ქვეყანაში შექმნილია „მანკიერი წრე“, რომლისგანაც თავის დაღწევა გართულებულია.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.[2]

---

1 http://www.mof.ge/Default.aspx?sec_id=5145&lang=1; „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9, გვ. 3.

2 **პაპავა ვ.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“, 2000; **Папава В.** О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. «Вопросы экономики, 2002, №3; **Папава В.** «Розовые» ошибки МВФ и Всемирного Банка в Грузии. «Вопросы экономики», 2009, №3; საერთაშორისო სავალუტო ფონდი: სიკეთე თუ ბოროტება? საქართველოს ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხე ემუქრება. თბილისი, საქართველოს მრეწველთა კავშირი, 1998.

№5 ცხრილი

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა (2013 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით)[1]

	ათასი	
	დოლარი	**ლარი**
სახელმწიფო საგარეო ვალი მათ შორის:	**4,202,026**	**7,295,978**
მთავრობის საგარეო ვალი	**4,086,353**	**7,095,134**
მრავალმხრივი კრედიტორები	2,789,898	4,844,100
მსოფლიო ბანკი — განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	1,347,321	2,339,354
მსოფლიო ბანკი — რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	396,813	688,986
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	26,118	45,348
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	243,108	422,109
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	106,337	184,633
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	366,388	636,159
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	197,229	342,570
ორმხრივი კრედიტორები	**793,419**	**1,377,614**
ავსტრია	15,039	26,113
აზერბაიჯანი	12,266	21,297
თურქმენეთი	211	366
თურქეთი	23,456	40,727
ირანი	9,565	16,607
რუსეთი	100,426	174,370
სომხეთი	14,462	25,110
უზბეკეთი	293	509
უკრაინა	268	465
ყაზახეთი	27,774	48,224
ჩინეთი	4,454	7,734
გერმანია	347,703	603,716
იაპონია	109,547	190,206
კუვეიტი	21,360	37,088
ნიდერლანდი	1,959	3,401
ამერიკა	30,539	53,025
საფრანგეთი	74,098	128,656
ფასიანი ქაღალდები	**500,000**	**868,150**
ევროობლიგაცია	500,000	868,150
გარანტირებული კრედიტები	**3,036**	**5,271**
გერმანია	3,036	5,271
ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**115,673**	**200,843**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	115,673	200,843

1 http://www.mof.ge/Default.aspx?sec_id=5145&lang=1

მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში ქვეყანაში დაწყებულმა როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა (სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაცია და საკუთრების მრავალფორმიანობის ჩამოყალიბება, ახალი საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნა, წარმოების ფაქტორთა, საქონლის და მომსახურების ბაზრების, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ა.შ.), ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება, საგარეო ვაჭრობისა და, საერთოდ, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია და ა.შ.) აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო: **ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე (1991-1995 წლები)** „შოკური თერაპიის“ პირობებში ფასების მოუმზადებელი ლიბერალიზაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, ახალფორმირებულმა საბაზრო ინსფრასტრუქტურის ინსტიტუტებმა სპეკულაციური ორიენტაცია შეიძინა. ამას მოჰყვა საქმიანი აქტიურობის დაცემა და ეროვნული წარმოების პარალიზება.

ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელსაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით დაეღწიოს თავი ეკონომიკური კრიზისისგან. საქართველოში ეკონომიკის შოკირების დამანგრეველი ეფექტების შემდეგ, **რეფორმირების II ეტაპზე (1996-2003 წლები)** „ძვირი ფულის“ პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი ეკონომიკის არასტაბილურობისა და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა. მისი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა იყო. ლარის ხელოვნურმა გამყარებამ და მისი დეფიციტის შექმნამ გამოიწვია დოლარიზაციის სწრაფი ზრდა და ნეგატიური ტენდენციები წარმოქნა როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში, რაც უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე. „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ მხოლოდ „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი გამოიწვია და კიდევ უფრო დაამუხრუჭა ეროვნული ეკონომიკის განვითარება. ჩამოყალიბდა საბი-

უჯეტო-საგადასახადო კრიზისი, რამაც დასცა ერთობლივი მოთხოვნა და გაამწვავა სოციალური პრობლემები. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია, რის გარეშეც ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური სისტემა პოლიტიკურად ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გახდა.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ეს ორთოდოქსული მოდელი, ისე როგორც „შოკური თერაპია“ და **რეფორმირების III ეტაპზე (2003-2012 წლები)** „ანტიკეინზიანურ რევოლუციად“ მონათლული მონეტარიზმის პოსტულატებზე მორგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა (რომლისთვისაც უცხოა ჭეშმარიტი ლიბერალური ფასეულობები) გარედან თავსმოხვეული იყო და საქართველოს წარუმატებლობის ათვლის წერტილი და მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ.[1] განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-შიც კი (თანაც, უფრო დახვეწილი ფორმით) არ გამოდგა ეს მოდელი და საქართველოში „იმუშავებდა“?

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო, რის შედეგად საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები დაიძლია. 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით, საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო პროცედურები არსებითად გამარტივდა, ძალაში ახალი შრომითი კანონმდებლობა შევიდა, რომელმაც დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა. ამან საქართველოს ნეოლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი შეუქმნა. ამავდროულად, საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა, მსხვილი ბიზნესი მთლიანად მთავრობის მიერ კონტროლირებადი გახდა; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისი სამსახურის გაუქმებამ ეკონომიკის მძლავრი მონოპოლიზაცია გამოიწვია, ხოლო

1 **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009.

მასობრივი კორუფციის გაქრობას, რაც ძირითადად მექრთამეობაში გამოიხატებოდა, ელიტარული კორუფციის შემაშფოთებელი მასშტაბები მოჰყვა. თავისი ხასიათით ეს დარღვევები ნეობოლშევიზმის სადარია, რის შედეგადაც თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზს წარმოადგენს".[1]

2012 წელს საქართველოში მოსახლეობის 1 სულზე 3523,4 დოლარი* ანუ 5818 ლარი შეადგინა. ამავე, 2012 წელს მშპ, დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე ფასებში, 15846,8 მლნ დოლარი (26167,3 მლნ ლარი) იყო, რაც 9,8%-ით აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მშპ-ის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 6,2%-ით, ხოლო დეფლატორის – 1,2%-ით განიხაზღვრა.[2] ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩენა საშუალო მსოფლიო დონისგან ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის უაღრესად დაბალ დონეზე.

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჩანდეს, საქართველოს ეკონომიკის 22-წლიანი რეფორმირების შემდეგ მოსახლეობის საშუალო ფენა მხოლოდ 9%-ია. ექსპერტული შეფასებით ქვეყნის მოსახლეობის 15% ღატაკია (პაუპერია), 21% სიღარიბის ზღვარს მიღმაა, 50%-ის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს (რომელიც ხელოვნურად ამცირებს სიღარიბის დონეს), მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენად მიზერულია, რომ, ბუნებრივია, არ არის საკმარისი არა მხოლოდ ადამიანის განვითარებისთვის, არამედ ბიოლოგიური არსებობისთვისაც კი. მდიდრე-

1 **პაპავა ვ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საშუალოვადიან პერსპექტივაში. იხ.: საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში: სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება. თბილისი, „მწიგნობარი", 2013, გვ. 37.

* გარდა იმისა, რომ ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირში შესვლისათვის იგი უნდა იყოს არანაკლებ 4900 ევროსი.

2 http://geostat.ge/?action=page%p_id=118&lang=geo

ბი 5%-ია, აქედან, შეძლებული – 3,5%.[1]

ასეთი მწვავე სოციალური სტრატიფიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საჰარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება.[2] ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ უცხოური ინვესტიციები გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. სსფ-ის მისიის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად, კომერციული ბანკები თანდათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოვიდნენ. საგრძნობლად იკლო საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. 2008 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. აქედან გამომდინარე, საქართველოს საბანკო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა, თუმცა, გლობალურმა კრიზისმა ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა.[3] მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელის ცნობილ დონორთა კონფერენციაზე საქართველოს საბანკო სექტორის მხარდასაჭერად, სესხებისა და გრანტების

1 **არჩვაძე ი.** საშუალო ფენა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №7.

2 **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. GELPAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 62.

3 **ასათიანი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი“, 2009,№4; **Asatiani R.** Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus&Globalization”. Vol. 3, Issue 203, Ca&CC Press, Sweden, 2009, p. 62.

სახით, 850 მლნ დოლარი გამოიყო, 2009 წლის იანვარში კომერციული ბანკების აქტივები, წინა წელთან შედარებით, 319 მლნ ლარით შემცირდა.[1] ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა ქვეყნის რეალურ სექტორზე და განაპირობა საქართველოს საექსპორტო პოტენციალის საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვება.[2]

აღნიშნულმა და სხვა უარყოფითმა შიგა პროცესებმა საქართველოში მწვავე პრობლემად აქცია საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. 2012 წლის ოფიციალური მონაცემებით, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვამ მხოლოდ 31% შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: თურქეთი (16,5%), აზერბაიჯანი (10,6%), უკრაინა (9,9%), გერმანია (5,4%), ჩინეთი (5,4%), აშშ (5,3%).

საქართველო, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. ურთულესი პრობლემების წინაშეა ქვეყნის აგრარული სექტორი, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. გარდა იმისა, რომ 1990 წელთან შედარებით, საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა და წარმოიქმნა სასოფლო-სამეურნეო ლაგი (გარღვევა წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის), გაძლიერდა სოფლის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ქალაქად, ტყეების მასობრივი ჩეხვა და მიწების უცხოელებზე გასხვისება (რაც უაღრესად გაუმჭვირვალე პროცესია). ეს და სხვა ნეგატიური პროცესებიც უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ სოფელს და შოკისმომგვრელ შედეგებს წარმოქმნის.

1 www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets_liabilies_of_commercial _banks_totalgeo.xls

2 საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ორგანულად უკავშირდება გლობალურ ცვლილებებთან ადაპტაციის უნარის მქონე საზოგადოების არსებობას, რისთვისაც საჭიროა ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის განვითარება. განათლების სისტემის რეფორმამ საქართველოში განათლების ხარისხი ვერ გააუმჯობესა, მეტიც, გარკვეული თვალსაზრისით გააუარესა კიდეც. ბევრ სხვა ნაკლოვანებასთან ერთად, ეს მდგომარეობა ქვეყანაში დაწყებულ „ტვინების გადინების“ პროცესს ხომ არ გააძლიერებს? გზას ხომ არ გადაუკეტავს ეკონომიკის მდგრად განვითარებას და წარმოქმნის ანაქრონიზმს?

საქართველო რთულად იკაფავს გზას თანამედროვე, ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. მტკივნეულად მიმდინარეობს ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება, რაც უკავშირდება როგორც ენდოგენურ, ისე ეგზოგენურ ფაქტორებს.[1] ამ მხრივ, ახალ ხელისუფლებას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. დიდია მოლოდინი საზოგადოებაშიც.

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობა უნდა გამხდარიყო საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. საქართველოში ჯერ კიდევ ლაპარაკია არა ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ არსებობასა და ერის გადარჩენაზე. ქვეყნის არასწორმა მართვამ და არსებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის მოშლა. ნაკლებად იქნა გათვალისწინებული ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნები. საქართველო აღმოჩნდა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში.

მიუხედავად, მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს აქვს პოტენციალი

1 **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region Economic and Political Developments”. Bradley C. Ryan Editor**.** New York, “Nova Science Publishers Inc”, 2011.

გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, მთავარია არსებული შესაძლებლობების გონივრულად გამოყენება და, თუნდაც, ის 4,55 მლრდ დოლარი, რომელიც 2010 წლის ჩათვლით შემოვიდა საქართველოში გრანტისა და იაფფასიანი კრედიტის სახით, მიზანმიმართულად და გამჭვირვალედ უნდა მოხმარებოდა ქვეყანას.

მდგომარეობის გამოსწორება, მმართველობის ეფექტიანი და სამართლიანი სისტემის შექმნა, ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის ფუნქციონირების ნეგატიური მხარეების პოზიტიურით შეცვლა ფისკალური პოლიტიკის მოწესრიგებით უნდა დაიწყოს. ამის გარეშე საქართველო ისევ დახმარებების ამარა დარჩება, რაც კიდევ უფრო მიგვაახლოებს ახალ არაპროგნოზირებად რისკებთან.

ვერავითარი რეკომენდაციები ვერ გვიშველის, თუ არ შევიცვალეთ ეკონომიკური ქცევის წესი და ქვეყანაში თუ არ დამყარდა კანონის დიქტატურა, არ ამოქმედდა ალოგიკურად დაქვეითებული პასუხისმგებლობის სინდრომი. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში დროა რეფორმატორებმა არსებითი ცვლილებები შეიტანონ ეკონომიკურ პოლიტიკაში.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ღია საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი, საინფორმაციო ინდუსტრიის განვითარება, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის არნახული ზრდა, საქართველო ისევ ახალი გამოწვევების წინაშეა.

და მაინც, საით მიდის საქართველო? პასუხი მკითხველისთვის მიგვინდია. გვახსოვდეს: „ქვეყნად ერთი საქართველოა და იგი ჩვენია“.

საით მიდის საქართველო?
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი

რეზიუმე

დღეს საქართველოში არსებული არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მრავალ რთულ პრობლემას წარმოშობს, რომელთა გადაჭრის გარეშე, გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპის პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური განვითარება და გარე სამყაროსთან ცივილიზებული ურთიერთობა. ამასთან, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გაანალიზების საფუძველზე, აუცილებელია სათანადო დასკვნების გაკეთება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რათა შევძლოთ ობიექტური პასუხი გავცეთ კითხვას: **საით მიდის საქართველო?**

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, მონოგრაფიაში განხილულია საქართველოში ახალი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთში, ძირითადად 1991-2012 წლებში განვითარებული მოვლენები და პროცესები, გამოკვლეულია ერთდროულად ორი ისტორიული მოვლენის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და „საბჭოთა სოციალიზმის“ კონვერსიის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკაზე წინააღმდეგობებით სავსე გარდამავალი პერიოდის სირთულეები, ქვეყანაში განვლილი თუ მიმდინარე არსებითი ეკონომიკური ძვრები, მიღწეული წარმატებები თუ ჩავარდნები; გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, რაც განმტკიცებულია სტატისტიკური მასალებითა და სხვა ფაქტობრივი მონაცემებით.

განსახილველ საკითხთა არსში გარკვევისა და სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოს ეკონომიკის კონვერსიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, პროცესების, ცნებების თეორიული განზოგადება.

ნაშრომში მოკლედაა გაშუქებული 70-წლიანი სოციალისტური ექსპერიმენტის კრახი როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უპრეცენდენტო მოვლენა, ახსნილია საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის არასახარბიელო წინაპირობები, ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და ეტაპები, გაანალიზებულია ქვეყანაში მომხდარი თუ მიმდინარე ინსტიტუციური რეფორმები, მათ შორის პრივატიზაციის პროცესი და მისი შედეგები, განხილულია როგორც საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა, ისე ფულად-საკრედიტო სისტემა და პოლიტიკა, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საქართველოში მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირებაზე, მისი განვითარების (მათ შორის, მცირე ბიზნესის) შემაფერხებელ ფაქტორებზე, ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებზე. საქართველოს ეკონომიკური პრობლემები დაკავშირებულია გლობალიზაციის შეუქცევად პროცესთან და გაშუქებულია ახალი მსოფლიო წესრიგის მოთხოვნათა ჭრილში, აქცენტი გაკეთებულია ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობებზე და საქართველოს სხვა ისეთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევებზე, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების აუცილებლობა, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის გლობალური ტენდენციები და მათი უდიდესი როლი „ეროვნული მუნდირის“ შენარჩუნებაში. ნაშრომის დამაგვირგვინებელია X თავი – „მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა“. მასში ეკონომიკურ თეორიებთან კავშირში გაანალიზებულია მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპები, მსოფლიოში აპრობირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით

კრიტიკულადაა გაშუქებული საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა ქვეყნის ეკონომიკის წარუმატებლობაზე (მაგალითად, თუნდაც იმაზე, რომ 2012 წლის მონაცემებით, ქვეყნის რეალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 1990 წლის დონის 89,3% შეადგინა, მაშინ როდესაც ეს ბარიერი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაძლია, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის საგარეო ვალმა 13,5 მლრდ დოლარს მიაღწია, მისი მომსახურების წლიურმა ღირებულებამ კი 900 მლნ დოლარს), წარმოჩენილია რეფორმირების პროცესში დაშვებული შეცდომები და გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

საქართველო მაშინ შემობრუნდა წმინდა ლიბერალიზმისკენ, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა მას ზურგი შეაქციეს, ხელისუფლება კი არ აღმოჩნდა მზად კოორდინაცია გაეწია სისტემური გარდაქმნებისათვის, შეემუშავებინა მართვის ბერკეტები და დაეცვა ქვეყნის ეკონომიკა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან. საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისმა დასცა ერთობლივი მოთხოვნა და გაამწვავა სოციალური პრობლემები. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია, რის გარეშეც ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური სისტემა პოლიტიკურად ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გახდა. ამიტომ იმ ერთ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოჰყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით. ვერ მოხერხდა ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში წარმართვა, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება და ა.შ. კვაზიდემოკრატია აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. უკიდურესად დაბალი მოთხოვნის პირობებში მწვავეა სოციალური სტრატიფიკაცია (რაშიც ლომის

წილი არასწორად ჩატარებულ პრივატიზაციაზე მოდის), ღრმავდება სოციალური პოლარიზაცია. არსებული პენსია საარსებო მინიმუმს ვერ ფარავს, რომელიც თავისთავად არარეალურია. ამჟამად სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის პროპორცია 1:100-ზე და მეტია. დაბალია საქმიანი აქტიურობა. 1990 წელთან შედარებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა. უმუშევრობის ოფიციალურმა დონემ 15%-ს გადააჭარბა, თუმცა, მოსახლეობის 70% უმუშევრად მიიჩნევს თავს. ეს აიხსნება იმით, რომ სამუშაო ძალის 55% თვითდასაქმებულია, საიდანაც მიღებული შემოსავალი იმდენად მიზერულია, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი დასაქმებულად ვერ აღიქვამს თავს. ამასთან, აქედან, 80% აგრარულ სექტორშია თვითდასაქმებული.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა (სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაცია და საკუთრების მრავალფორმიანობის ჩამოყალიბება, ახალი საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნა, წარმოების ფაქტორთა, საქონლის და მომსახურების ბაზრების, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ა.შ.), ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ა.შ.) აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო: ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე (1991-1995 წლები) „შოკური თერაპიის“ – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამ გზის პირობებში ფასების მოუმზადებელი ლიბერალიზაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, ახალფორმირებულმა საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებმა სპეკულაციური ორიენტა-

ცია შეიძინა. ამას მოჰყვა საქმიანი აქტიურობის დაცემა და ეროვნული წარმოების პარალიზება.

საქართველოში ეკონომიკის შოკირების დამანგრეველი ეფექტების შემდეგ, რეფორმირების II ეტაპზე (1996-2003 წლები) „ძვირი ფულის“ პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი ეკონომიკის არასტაბილურობისა და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა. მისი უმთავრესი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა იყო. ლარის ხელოვნურმა გამყარებამ და მისი დეფიციტის შექმნამ გამოიწვია დოლარიზაციის სწრაფი ზრდა და ნეგატიური ტენდენციები წარმოქნა როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფისკალურ სფეროში.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ეს ორთოდოქსული მოდელი, ისე როგორც „შოკური თერაპია“ და რეფორმირების III ეტაპზე (2003-2012 წლები) „ანტიკეინზიანურ რევოლუციად“ მონათლული მონეტარიზმის პოსტულატებზე მორგებული ნეოლიბერალური (უფრო ზუსტად, ულტრალიბერალური) ეკონომიკური პოლიტიკა, რომლისთვისაც უცხოა ჭეშმარიტი ლიბერალური ფასეულობები, ქვეყნის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი იყო.

ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში მსოფლიო ეკონომიკური განვითარების I ეტაპი დაიწყო XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან და გაგრძელდა XX საუკუნის 30-იან წლებამდე **(კლასიკურ-ლიბერალურ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა);** II ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 40-იანი წლებიდან და გაგრძელდა 1974-1975 წლების ეკონომიკურ კრიზისამდე **(კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების მოდელზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა);** III ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან და გაგრძელდა 90-იანი წლების II ნახევრამდე **(„ნეოკლასიკურ სინთეზზე“ აგებული ეკონომიკური პოლიტიკა);** IV ეტაპი დაიწყო 90-იანი წლების II ნახევრიდან და დაგვირგვინდა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით **(მონეტარულ თეორიაზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა).**

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში, კლასიკური ფორმით არც ერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია, მითუმეტეს კეინზიანური მოდელი. ამიტომ ქვეყანაში იგნორირებულია ეკონომიკური პოლიტიკისადმი წაყენებული მოთხოვნები, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები, დაბალია ცხოვრების დონე, მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მიზერულია საშუალო ფენა (იგი მხოლოდ 9%-ია), მიუღწევადია სამართლებრივი და სოციალური თანხმობა. მართალია საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან (ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება). დათრგუნულმა მონოპოლიურმა ბაზარმა, კორუფციამ სახელისუფლებო სტრუქტურებში, მმართველობის ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევამ, უცხოური საქონლის იმპორტის ხელშეწყობამ და ბაზრის გაჯერებამ იაფფასიანი პროდუქციით, ამასთან, მენეჯმენტის დაბალმა დონემ, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ, ანტიმონიპოლიური რეგულირების არარსებობამ და ა.შ. დაღი დაასვა მეწარმეობის განვითარებას საქართველოში. ამასთან, ხელი შეუწყო მისი არაოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო საქმიანობის მხოლოდ 6,6%, მაშინ როდესაც საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია, საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს. მოკლედ, **არა ევროპულმა, არამედ, ჯერ კიდევ, საბჭოურმა ორიენტაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე,** გააძლიერა „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას. ამან კიდევ უფრო მიგვაახლოვა ახალ არაპროგნოზირებად რისკებთან. დახმარების იმედად დარჩენილი საქართველო ისევ ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

Rozeta Asatiani
Doctor of Economic
Sciences, Professor

WHERE IS GEORGIA GOING?
CONCEPTUAL ANALYSIS OF SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT

Summary

Peculiar socio-economic situation existing in Georgia today has given rise to a number of complex problems without solving of which in conditions when globalization is gathering pace, normal development of the country and civilized relations with the outer world are impossible. At the same time, on the basis of the analysis of the processes taking place in modern world economy it is necessary to draw appropriate conclusions about the state of the economy in the country in order to give an objective answer to the question: **Where is Georgia going?**

Proceeding from the assigned objectives, the monograph considers the events and processes unfolded in the most important period of the new epoch in Georgia, mainly in the years between 1991 and 2012. Two historical phenomena – the restoration of Georgia's independence and full of contradictions difficult transition period to a market economy based on the conversion of the "soviet socialism", past and current fundamental economic shifts in the country, achievements and failures have been studied simultaneously. Appropriate conclusions supported by statistical materials and other actual data have been done.

In order to understand the essence of the problems and make the

right decisions, we consider it appropriate to make theoretical generalization of significant events, processes and concepts related to the conversion of Georgia's economy.

The monograph presents a brief overview of the collapse of the 70-year socialist experiment as one of the most unprecedented phenomena of the 20th century, explains unfavorable preconditions of the conversion of Georgia's economy, peculiarities and stages of a new type of transition period, analyses the occurred and ongoing institutional reforms in the country, including the privatization process and its outcomes, considers budgetary and tax system and fiscal policy as well as monetary and credit policy. Special attention is paid to the facts hindering the formation of a new type of enterprise in Georgia, its development (including small-scale business), issues of economic growth and development. Georgia's economic issues are linked to the irreversible process of globalization and regarded in the context of the requirements of the new world order, the emphasis is done on framework conditions of economic order and other major challenges facing Georgia, such as the need for the formation and development of civil society, global trends of competition and competitiveness and their pivotal role in preserving the "national uniform". The work is crowned with Chapter 10: "The stages of the world's economy and Georgia's economic policy". It presents the analysis to the stages of the world economic development in connection with economic theories, critical assessment of Georgia's economic policy on the basis of the experience approbated in the world, the author's vision on the country's economic failures (for instance, by the data of 2012 country's real gross domestic product made 89.3% of 1990 level, whereas this barrier was overcome by the absolute majority of the former Soviet republics on 31 December, 2013, the country's foreign debt reached 13.5 mlrd USD and its annual debt service cost made 900 mln USD), mistakes committed during the process of economic reform are shown and relevant conclusions are made.

Georgia turned towards pure liberalism when the developed countries had turned their backs to her, and the government was not ready

to coordinate systemic transformations, to work out control mechanisms and protect country's economy from dogmas imposed from outside. Fiscal crisis caused a fall in aggregate demand and worsened social problems. The national economy lost social orientation, without which the new economic system being in the process of formation had become politically less viable. So this one step forward that Georgia did in the early nineties was accompanied by two steps back as a result of which soviet monopoly built on the slogan of social justice was changed by capitalist monopoly built on clannish interests. The attempts to direct transformational processes into ethic norms, avoid the armed conflicts, develop public sector, etc. failed. Quasi-democracy hampers the progress of the economy and transition to a market economy. Under extremely low demand social stratification (the lion's share of which goes to the wrong privatization) is sharp, social polarization is deepening. The existing pension does not cover the cost of living which in itself is not realistic. Currently, the proportion between labor demand and supply is 1:100 and higher. Business activity is low. Compared to1990, the number of employees decreased by 3.7 times. The official unemployment rate has exceeded 15%, although 70% of the population identify themselves as unemployed. This is explained by the fact that 55% of the workforce is self-employed whose income is so scanty that this part of the population cannot consider themselves busy. However, 80% of them are self-employed in the agricultural sector.

The main reason for all Georgia's failures must be primarily sought in the wrong economic policy. Considerable part of western recommendations that formed the basis of the country's economic policy proved to be inadequate to the level of economic development and national interests. Both institutional transformations (denationalization of the state ownership and formation of plurality of forms of ownership, creation of a new legislative base and appropriate structures, the factors of production, goods and services markets, formation of market infrastructure, etc) and other processes of conversion of economy (price liberalization, demonopolization of economy, lib-

eralization of international trade, etc.) took well-expressed deformative character: at stage I of economic reforms (1991-1995) "shock therapy" – in conditions of this way of transition to market economy the unprepared price liberalization brought with it hyperinflation, newly formed market infrastructure institutions acquired speculative orientation. This was followed by a decline in business activity and paralysis of the national production.

In Georgia after the devastating effects of economic shock, multiplier effect of the "expensive monetary policy" at stage II of reform (1996-2003) became the major reason of economic instability and structural deformation. Its chief goal was to curb inflation through sharp restriction of the money supply. Artificial strengthening of Georgian lari and creation of deficit on it caused rapid growth of dollarization and gave rise to negative trends in monetary and credit as well as fiscal spheres.

This orthodox model of macroeconomic stabilization, as well as "shock therapy" and neoliberal (or more precisely, ultraliberal) economic policy fitted to monetarist postulated, the so-called "anti-Keynesian revolution" at stage III of the reform (2003-2012), for which true liberal values are alien, was the only cause that reform efforts failed in the country.

With regard to economic policy I stage of the world economic development began in the last third of the 18th century and continued until the thirties of the 20th century (**economic policy built on the classical liberal theory**); II stage began in the 1940s and continued until the economic crisis of 1974-1975 (**economic policy fitted to the Keynesian macroeconomic model of economic regulation**); III stage began in the eighties of the 20th century and continued until the second half of the 1990s (**economic policy built on "neoclassical synthesis");** IV stage began in the second half of the 1990s and ended up with the global economic crisis of 2008 (**economic policy fitted to the monetary theory of the "anti-Keynesian revolution"**) .

In economic policy of the transition period Georgia did not make use of any economic theory in the classical form, moreover Keynesian

model. That is why the requirements in relation to economic policy are ignored in the country, legal institutions are weak, the standard of living is low, the Gini coefficient is high, middle class is scanty (only 9%), legal and social agreement is unattainable. It is true, many forms of ownership were formed, but we are far from the pluralism of ownership (because there is no equal right of each form of ownership). The suppressed monopolistic market, corruption in power structures, excessive interference of government in business, encouraging imports of foreign products and market saturation with cheap goods and at the same time, the low level of management, undeveloped infrastructure, the absence of antimonopoly regulation, etc. put their seal on the development of entrepreneurship in Georgia and, at the same time contributed to the formation of its nonoptimal structure. The share of small businesses is only 6.6% of entrepreneurial activity, while the average European index is 40%, the share of medium-sized businesses accounts for 9.2% (18% in the EU), but the share of large business is 84.2% and twice exceeds that of the European Union . In a word, **not European, but still Soviet orientation had a negative impact on the socio-economic development of Georgia,** strengthened the syndrome of "outstretched hand", because of which the independence is gradually lost. It approximates even closer to a new unpredictable risks. With a hope of foreign aid Georgia again faces new challenges.

Розета Асатиани
доктор экономических
наук, профессор

КУДА ДВИЖЕТСЯ ГРУЗИЯ?
КОНЦЕПТУАЛЬНЫЙ АНАЛИЗ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ

Резюме

Неординарная социально-экономическая ситуация существующая сегодня в Грузии породила много сложных проблем, без решения которых в условиях ускоренного темпа глобализации невозможно нормальное развитие страны и цивилизованные отношения со внешним миром. Вместе с этим, на основе анализа процессов имеющих место в современной мировой экономике, необходимо сделать соответствующие выводы относительно экономического состояния страны, чтобы дать объективный ответ на вопрос: **Куда движется Грузия?**

Исходя из поставленных задач, в монографии рассматриваются явления и процессы развернувшиеся в основном в 1991-2012 годах, в наиболее важном периоде новой эпохи в Грузии. Одновременно изучены два исторических события – восстановление независимости Грузии и трудности переходного периода к рыночной экономике на основе конверсии «советского социализма», прошедшие и текущие в стране существенные сдвиги в экономике, достижения и провалы; сделаны соответствующие выводы, которые подтверждаются статистическими материалами и другими фактическими данными.

Для понимания сути рассматриваемых вопросов и принятия

правильных решений, целесообразным является теоретическое обобщение важных процессов, понятий связанных с конверсией экономики Грузии.

В работе кратко освещается крах 70-летнего социалистического эксперимента как одного из самых беспрецедентных явлений XX века, объясняются неблагоприятные предпосылки конверсии в экономике Грузии, своеобразия и этапы переходного периода нового типа, дается анализ произшедших или текущих институциональных реформ, включая процесс приватизации и его результаты, рассмотрена как бюджетно-налоговая система и фискальная политика, так и денежно-кредитная система и политика, особое внимание уделено формированию в Грузии нового типа предпринимательства, факторам мешающим его развитию (включая малый бизнес), вопросам экономического роста и экономического развития. Экономические проблемы Грузии связаны с необратимым процессом глобализации и рассматриваются в свете потребностей нового мирового порядка, акцент сделан на рамочные условия экономического порядка и другие важнейшие вызовы стоящие перед Грузией, такие как необходимость становления и развития гражданского общества, глобальные тенденции конкуренции и конкурентоспособности и их огромной роли в сохранении «национального мундира». Венцом всей работы является Глава X – «Этапы мирового экономичого развития и экономическая политика Грузии». В ней дан анализ этапам мирового экономического развития в связи с экономическими теориями, на основе аппробированного в мире опыта критически освещается экономическая политика Грузии, представлен авторский взгляд на провал экономики страны (взять хотя бы такой пример, что на реальный валовой внутненний продукт страны по данным 2012 года составил 89,3% уровня 1990 года, тогда как этот барьер преодолен абсолютным большинством бывших советских республик и по состоянию на 31 декабря 2013 года внешний долг страны достиг 13,5 млдрд. долларов, а годовая стоимость его обслуживания достигла 900 млн. долларов), показаны ошибки, допущеннные в

процессе реформирования и сделаны соответствующие выводы.

Грузия повернулась к чистому либерализму тогда, когда развитые страны повернулись к ней спиной, а власть оказалась не готовой оказать координацию системным преобразованиям, выработать рычаги управления и защитить экономику страны от догм навязываемых извне. Бюджетно-налоговый кризис вызвал падение совокупного спроса и усугубил социальные проблемы. Национальная экономика потеряла социальную ориентацию, без которого новая экономическая система находящаяся в процессе формирования, политически стала менее жизнеспособной. Поэтому этот одному шагу вперед, который сделала Грузия в начале девяностых годов сопутствовало два шага назад, в результате чего на смену советской монополии построенной на лозунге социальной справедливости пришла капиталистическая монополия построенная на клановых интересах. Не удалось направить трансформационные процессы в этические нормы, избежать вооруженных конфликтов, развить общественный сектор и т.д. Квазидемократия замедляет экономический рост и переход на рыночную экономику. В условиях крайне низкого спроса социальная стратификация остра (львинная доля которой приходится на неправильно проведенную приватизацию), углубляется социальная поляризация. Существующая пенсия не покрывает прожиточный минимум, который сам по себе нереален. В настоящее время пропорция между спросом и предложением рабочей силы составляет 1:100 и выше. Деловая активность низкая. По сравнению с 1990 годом численность занятых по найму сократилась в 3,7 раз. Официальный уровень безработицы превысил 15%, хотя 70% населения считают себя безработными. Это объясняется тем, что 55% рабочей силы являются самозанятыми, полученные доходы настолько мизерны, что эта часть населения не относит себя к занятым. Вместе с тем, из них 80% самозаняты в аграрном секторе.

Главную причину всех неудач Грузии надо искать в первую очередь в неправильной экономической политике. Большая часть западных рекомендаций, которые легли в основу экономической политики страны оказались неадекватными уровню развития

экономики и национальных интересов. Как институционные преобразования (денационализация государственной собственности и формирование множества форм собственности, создание новой законодательной базы и соответствующих структур, факторов производства, рынка продуктов и сервиса, формирование рыночной инфраструктуры и т.д.), так и другие процессы конверсии экономики (либерализация цен, демонополизация экономики, либерализация внешней торговли и т.д.) приняли явно деформационный характер: на I этапе реформирования экономики (1991-1995 годы) «шоковая терапия» - неподготовленная либерализация цен в условиях такого переходного периода переросла в гиперинфляцию, новые сформированные институты рыночной инфраструктуры приобрели спекулятивный характер. За этим последовал упадок деловой активности и паралич национального производства.

В Грузии после разрушительного эффекта шокирующей экономики на II этапе (1996-2003 годы) мультипликативный эффект политики «дорогих денег» стал основной причиной нестабильности экономики и структурной деформации. Главнейшей целью было обуздание инфляции резким ограничением поставки денег. Искуственное укрепление лари и создание его дефицита вызвало быстрый рост долларизации и дало начало негативным тенденциям как в денежно-кредитной, так и фискальной сферах.

Эта ортодоксальная модель макроэкономической стабилизации, также как «шоковая терапия» и неолиберальная (точнее, ультралиберальная) экономическая политика подогнанная под постулаты монетаризма, так называемая «антикейнсианская революция», на III этапе реформирования (2003-2012), для которой чужды истинные либеральные ценности, явилась главной причиной неудачи реформы в стране.

В отношении экономической политики I этап мирового экономического развития начался в последней трети XVIII века и продолжился до тридцатых годов XX века (**экономическая политика построенная на классической либеральной теории**); II этап начался в 40-х годах XX века и продолжился до экономического

кризиса 1974-1975 годов (**экономическая политика подогнанная под кейнсианскую модель макроэкономической регуляции экономики**); III этап начался в 80-х годах и продолжился до второй половины 90-х годов (экономическая политика построенная на «неоклассическом синтезе»); IV этап начался во второй половине 90-х годов и завершился мировым экономическим кризисом 2008 года (**экономическая политика подогнанная под монетарную теорию «антикейнсианской революции»).**

В экономической политике переходного периода Грузия ни одну экономическую теорию не использовала в классической форме, тем более кейнсианскую модель. Поэтому в стране игнорируются требования в отношении экономической политики, правовые институты слабы, жизненный уровень низок, коэфициент Джини высокий, средний слой мизерный (всего лишь 9%), правовое и социальное согласие недостижимо. Правда, образовалось многообразие форм собственности, но мы далеки от плюрализма собственности (так как не существует равного права каждой формы собственности). Ущемленный монопольный базар, коррупция в структурах власти, излишнее вмешательство органов управления в бизнес, поощрение импорта продукции и насыщение рынка дешевой продукцией, вместе с тем, низкий уровень менеджмента, неразвитая инфраструктура, отсутствие антимонопольной регуляции и т.д. наложили печать на развитие предпринимательства в Грузии и способствовали формированию ее неоптимальной структуры. На долю малого бизнеса приходится всего лишь 6,6% предпринимательской деятельности, тогда как средний европейский показатель составляет 40%, на долю среднего бизнеса приходится 9,2% (в Евросоюзе 18%), зато доля крупного бизнеса составляет 84,2% и вдвое превышает соответствующий показатель по ЕС. Одним словом, **не европейская, а все еще советская ориентация оказала негативное влияние на социально-экономическое развитие Грузии,** усилила «синдром протянутой руки», вследствие чего постепенно теряется независимость. Это еще больше приблизило к новым непрогнозируемым рискам. Грузия в надежде получить помощь вновь стоит перед лицом новых вызовов.

შინაარსი

რედაქტორისაგან ---------- 3

რეცენზენტებისაგან ---------- 5

წინათქმა ---------- 11

შესავალი ---------- 15

I თავი. **XX საუკუნის 90-იანი წლები – ახალი ეპოქის დასაწყისი საქართველოში** --- 21

I.1. 70-წლიანი სოციალისტური ექსპერიმენტის კრახი ------ 21

I.2. ორი ისტორიული მოვლენის თანხვედრა საქართველოში - 30

I.3. ბაზარი ახალ ამპლუაში ---------- 33

I.4. ეკონომიკის კონვერსიის განხორციელების წინაპირობები -- 39

II თავი. **პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეკონომიკაში: კანონზომიერებები, თავისებურებები, ეტაპები** ---------- 43

II.1. ახალი ტიპის გარდამავალი პერიოდი ---------- 43

II.2. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის სტრატეგია -- 45

II.3. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელები --------- 47

II.4. ეკონომიკის კონვერსიის ეტაპები ---------- 58

III თავი. **ინსტიტუციური რეფორმები – ეკონომიკის კონვერსიის სტრატეგიული მიმართულება** ---------- 78

III.1. ქართული სახელმწიფოს ახალ ინსტიტუციურ ყაიდაზე მოწყობის აუცილებლობა ---------- 78

III.2. ინსტიტუციური რეფორმების მიმართულებები ---------- 81

III.3. საკუთრების განსახელმწიფოებრივება როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების საფუძველი ---------- 83

III.4. საკუთრების განსახელმწიფოებრივების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ---------- 86

III.5. პრივატიზაცია – ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციის საფუძველი ---------- 95

III.6. „ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფცია და საქართველო ---- 110

IV თავი. **საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა** ---------- 113

IV.1. ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია – საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის უმნიშვნელოვანესი მიმართულება ---- 113

IV.2. ახალი ტიპის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება ---------- 116

IV.3. საბიუჯეტო რეგულირება და სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციის პრობლემა ---------- 128

IV.4. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა ---------- 132

IV.5. საგადასახადო ტვირთი: მძიმე თუ მსუბუქი საქართველოს ეკონომიკისთვის? ---------- 145

IV.6. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირება და ფისკალური ფედერალიზმის ფორმირების თავისებურებები საქართველოში ---------- 151

V თავი. **ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში** ---------- 167

V.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტი ------ 167

V.2. ფულად-საკრედიტო სისტემის სტრუქტურული გარდაქმნები და მონეტარული პოლიტიკა ---------- 173

V.3. თანამედროვე საბანკო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები ---------- 184

V.4. მცდარი მონეტარული პოსტულატები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში ---------- 192

VI თავი. **მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება პოსტკომუნისტურ საქართველოში** --- 199

VI.1. სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების აუცილებლობა ---------- 199

VI.2. მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება-განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები ---------- 205

VI.3. მცირე ბიზნესის განვითარების თავისებურებები --------- 211

VI.4. გარე ეფექტები და „გადასხმის“ ხარჯები ---------- 223

VII თავი. **ეკონომიკური ზრდა და საქართველოს ეკონომიკური განვითარება** ---------- 231

VII.1. ეკონომიკური ზრდის თეორიები და მოდელები --------- 231

VII.2. საქართველოს ეკონომიკური განვითარება ---------- 248

VIII თავი. **გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე** ---------- 256

VIII.1. გლობალიზაცია – მსოფლიო პროცესების გამოძახილი ---- 256

VIII.2. გლობალიზაცია, ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველო ---------- 259

VIII.3. დასავლური დემოკრატიული სისტემა და ეკონომიკური წესრიგი – საქართველოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევები ---------- 269

VIII.4. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ეკონომიკური ასპექტები ---------- 282

IX თავი. **კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა – „ეროვნული მუნდირის“ შენარჩუნების გარანტი** ---------- 294

IX.1. კონკურენციის გლობალური ტენდენციები და კონკურენტუნარიანობა ---------- 294

IX.2. ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი (მაიკლ პორტერის დაიმონდის მოდელი) ---------- 306

IX.3. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი და საქართველო ---------- 312

X თავი. **მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა** ---------- 321

საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი (რეზიუმე) --- 343

WHERE DOES GEORGIA GO? THE CONCEPTUAL ANALYSES OF SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT (Summary) ---------- 349

КУДА ДВИЖЕТСЯ ГРУЗИЯ? КОНЦЕПТУАЛЬНЫЙ АНАЛИЗ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ (Резюме) --- 354

სარჩევი

რედაქტორისაგან ---------- 3

რეცენზენტებისაგან ---------- 5

წინათქმა ---------- 11

შესავალი ---------- 15

I თავი. XX საუკუნის 90-იანი წლები – ახალი ეპოქის დასაწყისი საქართველოში --- 21

II თავი. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეკონომიკაში: კანონზომიერებები, თავისებურებები, ეტაპები ---------- 43

III თავი. ინსტიტუციური რეფორმები – ეკონომიკის კონვერსიის სტრატეგიული მიმართულება ---------- 78

IV თავი. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა ---------- 113

V თავი. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ---------- 167

VI თავი. მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება პოსტკომუნისტურ საქართველოში --- 199

VII თავი. ეკონომიკური ზრდა და საქართველოს ეკონომიკური განვითარება---------- 231

VIII თავი. გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე ---------- 256

IX თავი. კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა – „ეროვნული მუნდირის“ შენარჩუნების გარანტი ---------- 294

X თავი. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა---------- 321

საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი (რეზიუმე) --- 343

WHERE DOES GEORGIA GO? THE CONCEPTUAL ANALYSES OF SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT (Summary) ---------- 349

КУДА ДВИЖЕТСЯ ГРУЗИЯ? КОНЦЕПТУАЛЬНЫЙ АНАЛИЗ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ (Резюме) ---- 354

როზეტა ასათიანი
საით მიდის საქართველო?
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი

გამომცემლობა „სიახლე“
თბილისი 2014

ROZETA ASATIANI

WHERE DOES GEORGIA GO?

THE CONCEPTUAL ANALYSES OF SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT

(In Georgian Language)

Publishing House "Siakhle"
Tbilisi 2014

РОЗЕТА АСАТИАНИ

КУДА ДВИЖЕТСЯ ГРУЗИЯ?

КОНЦЕПТУАЛЬНЫЙ АНАЛИЗ
СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ

(на Грузинском языке)

Издательство “Сиахле”
Тбилиси 2014

საბეჭდი ქაღალდი 60X84 $^{1}/_{16}$;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი – 23,00;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი – 22,50.

გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი,
ყიფშიძის ქ. №10. ტელ.: 599530487;
E-mail: siakhle@gmail.com